ნინო ქუმსიშვილი
რატი ჯულაყიძე
მაია ოთიაშვილი
ირინე მიქაძე
ია გაბუნია



6



# მუსიკა

## მასწავლებლის წიგნი

„კლიო“
„წყაროსთვალი“

## ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება:

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა;

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა:

მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო;

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი:

დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, დასახული მიზნებისათვის მისი გამოყენების ფორმების განსაზღვრა; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად;

დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება:

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები;

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე:

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების

განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;

სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება; მოზარდი მზად უნდა იყოს არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის;

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან:

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, მათ შორის იმათ, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე:

დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების

ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.

ნინო ქუმსიშვილი
რატი ჯულაყიძე
მაია ოთიაშვილი
ირინე მიქაძე
ია გაბუნია

# მუსიკა

## მასწავლებლის წიგნი

## VI კლასი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს

„წყაროსთვალი“

გამომცემლობა „კლიო“

**ნინო ქუმსიშვილი**
**რატი ჯულაყიძე**

**მაია ოთიაშვილი**
**ირინე მიქაძე**
**ია გაბუნია**

**მუსიკა, VI კლასი**

მასწავლებლის წიგნი

მუსიკალური რედაქტორი:
**ირინე მიქაძე, მარინე დაფქვიაშვილი**

ლიტერატურული რედაქტორი:
**თამარ გუჯაბიძე, თეა პიტიურიშვილი**

სანოტო ტექსტის კომპიუტერული უზრუნველყოფა:
**მიხეილ ვაწაძე, სოფო საღარაძე**

ელექტრონული რესურსის უზრუნველყოფა,
ფონოგრამები და LMMS-ის აქტივობები – **მიხეილ ვაწაძე**

დიზაინი და მხატვრობა: **ელენე ვარამაშვილი, ია გაბუნია**

© „წყაროსთვალი“, 2018
© მაია ოთიაშვილი, ირინე მიქაძე, ია გაბუნია, 2018

© გამომცემლობა „კლიო“, 2018
© ნინო ქუმსიშვილი, რატი ჯულაყიძე, 2018

ყველა უფლება დაცულია
ISBN 978-9941-481-29-1

შპს **„გამომცემლობა კლიო“**
ალმაშენებლის გამზ. 181-2, თბილისი, 0112
ტელ.: (+995 32) 234.04.30
E-mail: book@klio.ge
www.klio.ge

**„წყაროსთვალი“**
გარე კახეთის 4, თბილისი, 0144
მობ.: 599 76.10.39
E-mail: tskarostvali@gmail.com
www.tskarostvali.ge

# სარჩევი

1. სახელმძღვანელოს კონცეფცია........................................................................................4
2. ზოგადი ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ...............................................................5
3. სახელმძღვანელოს შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმებთან .......................................6
4. შესავალი..................................................................................................................................11
მიზანი ......................................................................................................................................11
სტრატეგია და მეთოდური რეკომენდაციები .........................................................................11
5. VI კლასის თემებისა და აქტივობების მეთოდური რეკომენდაციები.......................................13
6. რეკომენდებული განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები .....15
7. გაკვეთილების სანიმუშო სცენარები.........................................................................................18
8. VI კლასის შემაჯამებელი გაკვეთილების შეფასების კრიტერიუმები .....................144
9. სანოტო დანართები.....................................................................................................................146
10. პროგრამა LMMS-ის მოხმარების ინსტრუქცია ........................................................................237
11. Audasity-ს მოხმარების წესები.................................................................................................245
12. მოსასმენი მასალის სრული ჩამონათვალი ................................................................................249
13. ლექსიკონი ...................................................................................................................................255
14. გამოყენებული ლიტერატურა .......................................................................................................260

**საავტორო ჯგუფის მიერ შესრულებული თემები**

**ნინო ქუმსიშვილი, რატი ჯულაყიძე:**

1. მუსიკალური თეატრი: ოპერა, მიუზიკლი
2. ნაციონალური ელემენტები პროფესიულ მუსიკაში

რიტმულ-ინტონაციური აქტივობები

**მაია ოთიაშვილი; ირინე მიქაძე; ია გაბუნია**

1. რეალობა და ჩვენი წარმოდგენები
2. ადამიანის პორტრეტი მუსიკაში
3. მუსიკის როლი ხმოვან კინოში
4. მუსიკა საბალეტო სპექტაკლში

მუსიკის სახელმძღვანელოების სერია სწავლების დაწყებითი საფეხურისათვის (V–VI კლასები) ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმას.

სახელმძღვანელოს კონცეფციის ერთ-ერთი მიზანია, მოსწავლეებში მუსიკის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, მსჯელობის, აზრის გამოთქმისა და ინტერპრეტირების უნარების განვითარება.

უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესწავლას, რაც ქმნის გენეტიკური კოდის გახსნისა და, ამ გზით, მუსიკალური უნარების განვითარების შესაძლებლობას. სახელმძღვანელოების სერია ხელს შეუწყობს საერთაშორისო სივრცეში ინტეგრირებული მოქალაქის ჩამოყალიბებას, ამიტომაც დიდი ყურადღება ეთმობა სხვადასხვა ქვეყნის ფოლკლორისა და პროფესიული მუსიკის გაცნობას.

მოსწავლისათვის მყარი და დინამიკური ცოდნის მისაცემად, სერია ირჩევს გაღრმავებული სწავლების ფორმას, რაც გულისხმობს სასწავლო მასალის ეტაპობრივ და მრავალმხრივ მიწოდებას. ინფორმაციული მარცვალი ჩადებულია პირველივე სასწავლო წლის მასალაში, მომდევნო კლასებში კი იგი ღვივდება, ვითარდება და მდიდრდება. საწყის ეტაპზე ბავშვები იწყებენ ინტონაციების, მოტივების, შემდეგ კი ფრაზების, მუსიკალური წინადადებისა და თემების, ნაწარმოების მხატვრული შინაარსის ამოცნობას. საბოლოოდ, ეს უნარები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მოისმინონ, აღიქვან და გაიაზრონ სხვადასხვა მუსიკალური ჟანრი და ფორმა, იმსჯელონ მუსიკის სხვადასხვა მიმართულების შესახებ, ელექტრონული პროგრამების გამოყენებით თავად შექმნან მარტივი კომპოზიციები.

მუსიკალური ცნებების ცოდნა და ფურცლიდან სიმღერის უნარ-ჩვევა, მოსწავლეებს მყარ საფუძველს უქმნის, სწავლების მომდევნო საფეხურზე ცოდნის შევსების და გამყარებისათვის.

წიგნების სერია არ გულისხმობს მუსიკის საგნის პროფესიულ დონეზე სწავლებას. მისი მიზანია, სწავლების პროცესში აქტიურად შეუწყოს ხელი მოზარდის მრავალმხრივ განვითარებას. მუსიკის შინაარსის ამოცნობა და სასიმღერო უნარების ჩამოყალიბება სახელმძღვანელოს ძირითადი კონცეფციაა.

დაწყებითი საფეხურის V-VI კლასში მუსიკის საგნის სასწავლო კომპლექტი შედგება მოსწავლის სახელმძღვანელოს, მასწავლებლის წიგნისა და ელექტრონული რესურსისაგან.

სერიაში შესულია:

1) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მუსიკის სტანდარტისა და გაკვეთილების შესაბამისობის ცხრილი;
2) სცენარები თითოეული გაკვეთილისთვის, რომელთა უმრავლესობა რამდენიმე 5-10-15-წუთიან აქტივობას მოიცავს. აქტივობები ეყრდნობა მუსიკის საგნობრივი პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებსა და ინდიკატორებს. ყოველი აქტივობის ბოლოს მიღებული ცოდნისა და უნარების გენერალიზების მიზნით, მოსწავლეები ასრულებენ შემაჯამებელ სამუშაოს. სახელმძღვანელო ეხმარება პედაგოგს, ჩაატაროს მრავალფეროვანი, საინტერესო და სახალისო გაკვეთილები;
3) სანოტო მასალის დანართი, სადაც თავმოყრილია იმ სიმღერების ვარიანტები, რომელთა შესწავლასაც მასწავლებელი ურჩევს მოსწავლეებს სხვადასხვა გაკვეთილზე;
4) ელექტრონული პროგრამა LMMS-ის და Audacity-ს მოხმარების ინსტრუქცია;
5) დამოწმებული ლიტერატურა.

**დაწყებით საფეხურზე, V-VI კალსის მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნებში მოცემულია რუბრიკა „თავისუფალი აქტივობები“, რომლებიც მასწავლებელს მრავალფეროვანი გაკვეთილის ჩატარების, მოსწავლეებს კი თანმიმდევრული ცოდნის მიღებისა და სასიმღერო უნარების განვითარების საშუალებას მისცემს.მოცემულ აქტივობებს არა აქვს სავალდებულო ხასიათი. მასწავლებელი, კლასის მზაობიდან გამომდინარე, თავად გადაწყვეტს, შეასრულებს თუ არა მას.**

თითოეული გაკვეთილი მოიცავს რამდენიმე განსხვავებულ აქტივობას: სიმღერას, მოსმენას, ჩაწერას, რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებს. წიგნში ჩართულია ინტონაციური სავარჯიშო-გამღერებები, რომლებიც ბავშვს უვითარებს სასიმღერო უნარებს, გამოუმუშავებს მარტივი საგუნდო პარტიის ამოკითხვის ჩვევას, ქმნის პოზიტიურ განწყობასა და ამზადებს კლასს მუსიკის მოსასმენად.

დროდადრო წიგნში ჩართულია აქტივობა, რომელიც ბავშვს ასწავლის მოსმენილ მუსიკალურ ფრაგმენტებში ვიზუალური სახე-ხატების ამოკითხვასა და მათ გადმოტანას ფურცელზე ნიშნებით ან სიმბოლოებით, ე. წ. პიქტოგრამებით. ხშირად, ეს ნიშნები საკმაოდ მარტივია – მთავარია, მოსწავლემ რაღაც ხერხით გამოსახოს წარმოდგენილი მუსიკალური ფრაგმენტი და გაუჩნდეს გარკვეული დამოკიდებულება კონკრეტული მუსიკალური ნაწარმოებისადმი.

წიგნში წარმოდგენილი გაკვეთილის სცენარები მხოლოდ საორიენტაციოა და არა სავალდებულო. პედაგოგს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ შეცვალოს მეთოდი ან აქტივობა. მან უნდა გადაწყვიტოს, სწავლების რა მიმართულებას აირჩევს – მეტ დროსა და ყურადღებას დაუთმობს სიმღერას თუ გასართობ-შემეცნებით აქტივობებზე გააკეთებს აქცენტს. მთავარია, მოსწავლეს განუვითარდეს მუსიკის შინაარსის ამოცნობის უნარი.

სახელმძღვანელოში მოცემული მუსიკალური ცნებებისა და განმარტებების მნიშვნელობას მოსწავლე კონკრეტული მაგალითების მეშვეობით გაიაზრებს. პედაგოგი არ აიძულებს მას რისამე დასწავლას, დაზეპირებას.

## 3 სახელმძღვანელოს შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმებთან

* თითოეულ საკითხს ეთმობა 1 ან 2 აკადემიური საათი.

| | | რეალური და წარმოსახვითი მუსიკაში | | | მუსიკა და ჩვენი ყოფა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | რეალობა და ჩვენი წარმოდგენები | | | ადამიანის პორტრეტი მუსიკაში | | |
| | | როგორ იყენებენ რეკლამაში მუსიკას ჩვენს ცნობიერებაზე გავლენის მოსახდენად?**მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;** | როგორ შეიძლება მელოდიის ჰარმონიზებით მუსიკაში რეალური თუ არარეალური მხატვრული სახის შექმნა? **მუს.დაწყ.(II).1, 2;** | როგორ შეიძლება ჰარმონიზება ჩაიწეროს? **მუს.დაწყ.(II).3.** | როგორ შეუძლია მუსიკას გადმოს-ცეს ადამიანის ხასიათი? **მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;** | როგორ შეიძლება მუსიკის გამომსახველობითი ხერხების გამოყენება ადამიანის ხასიათის გადმოსაცემად? **მუს.დაწყ.(II).1, 2;** | როგორ შეიძლება მუსიკალური პორტრე-ტის სხვადასხვა სიმბოლოთი ჩაწერა ? **მუს. დაწყ.(II).3.** |
| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1-2 | კომპიუტერული თამაშები | X | X | | | | |
| 3 | მარიოს მუსიკალური ფრაზები | X | X | | | | |
| 4 | კომპიუტერული თამაში „ანრაველი“ | X | X | | | | |
| 5 | კომპიუტერული თამაში „აზუ“ | X | X | | | | |
| 6 | მუსიკალური ასოციაცია – 1 | X | X | X | | | |
| 7 | მუსიკალური ასოციაცია – 2 | X | X | X | | | |
| 8 | სარეკლამო რგოლი | X | X | X | | | |
| 9 | ინტონაცია | | | | X | X | |
| 10 | ამოიცანი ხმები | | | | X | X | |
| 11 | ინტონაციები დრამატულ და საოპერო თეატრში | | | | X | X | |
| 12 | ინტონაცია ხალხურ მუსიკაში | | | | X | X | X |
| 13-14 | ნიმუშები ქართული პროფესიული მუსიკიდან | | | | X | X | X |
| 15 | მინდია | | | | X | X | X |
| 16-17 | მუსიკალური პორტრეტი. სურათები გამოფენიდან | | | | X | X | X |
| 18 | ამოიცანი მუსიკალური პორტრეტი | | | | X | X | X |
| 19-20 | ავე მარია | | | | X | X | X |
| 21-22 | კარნავალი | | | | X | X | X |
| 23 | რობერტ შუმანი (შემაჯ.) | | | | X | X | |
| 24-25 | მუსიკა კინოში – შესავალი | | | | | | |
| 26-27 | ამოიცანი ნაცნობი საუნდტრეკები – 1 | | | | | | |
| 28 | ამოიცანი ნაცნობი საუნდტრეკები – 2 | | | | | | |
| 29 | განასხვავე მუნჯი და ხმოვანი კინო | | | | | | |
| 30 | შერეკილები | | | | | | |
| 31 | სიმღერა ქართულ კინოში (შემაჯ.) | | | | | | |
| 32 | აიდა | | | | | | |
| 33 | გაფრინდი, ფიქრო, ოქროს ფრთებით | | | | | | |
| 34 | შემსრულებელი მიუზიკლში | | | | | | |
| 35 | პატარა უფლისწული | | | | | | |

| მუსიკა და კინო | | მუსიკა და თეატრი | | | | | | ეთნოგრაფია და მუსიკა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მუსიკის როლი ხმოვან კინოში | | მუსიკალური თეატრი; ოპერა და მიუზიკლი | | მუსიკა საბალეტო სპექტაკლში | | | | სხვადასხვა კუთხის მცხოვრები ქართველები და მათი ხასიათი ხალხურ შემოქმედებაში | |
| რა ფუნქციებს ასრულებს მუსიკა ხმოვან კინოში? **მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;** | როგორ შეიძლება კინომუსიკის გამომსახველობითი ხერხების გამოყენება პერსონაჟების შინაგანი განცდების გადმოსაცემად? **მუს.დაწყ.(II).1, 2.** | როგორ გადმოიცემა ოპერაში (როკ ოპერაში), მიუზიკლში ამბის მთავარი იდეა და მასში მოქმედი პერსონაჟების ხასიათი? **მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;** | როგორ გადმოვცეთ რეჩიტატივში პერსონაჟის ხასიათი? **მუს.დაწყ.(II).1, 2.** | როგორ იქმნება ბალეტში ცეკვისა და მუსიკის მეშვეობით მხატვრული სახე? **მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;** | როგორია მუსიკის გამომსახველობითი ხერხების როლი ბალეტში? **მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;** | როგორ კარნახობს პლასტიკა მუსიკალური თანხლების არჩევაში და, პირიქით, როგორ ახდენს მუსიკა პლასტიკაზე გავლენას? **მუს.დაწყ.(II).1, 2;** | როგორ შეიძლება საბალეტო ფრაგმენტის მუსიკალური თანხლების ჩაწერა? **მუს.დაწყ.(II).3.** | რით განსხვავდება საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხური მუსიკა? **მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;** | როგორ იჩენს თავს ხალხური სიმღერის მელოდიაში კუთხური თავისებურებები? **მუს.დაწყ.(II).4,5,6,7.** |
| 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| X | X | | | | | | | | |
| X | X | | | | | | | | |
| X | X | | | | | | | | |
| X | X | | | | | | | | |
| X | X | X | X | | | | | | |
| X | X | X | X | | | | | | |
| | | X | X | | | | | | |
| | | X | X | | | | | | |
| | | X | X | | | | | | |
| | | X | X | | | | | | |

| | | რეალური და წარმოსახვითი მუსიკაში | | | მუსიკა და ჩვენი ყოფა | | | მუსიკა და კინო | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | რეალობა და ჩვენი წარმოდგენები | | | ადამიანის პორტრეტი მუსიკაში | | | მუსიკის როლი ხმოვან კინოში | |
| | | როგორ იყენებენ რეკლამაში მუსიკას ჩვენს ცნობიერებაზე გავლენის მოსახდენად?**მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;** | როგორ შეიძლება მელოდიის ჰარმონიზებით მუსიკაში რეალური თუ არარეალური მხატვრული სახის შექმნა? **მუს.დაწყ.(II).1, 2;** | როგორ შეიძლება ჰარმონიზება ჩაიწეროს? **მუს.დაწყ.(II).3.** | როგორ შეუძლია მუსიკას გადმოსცეს ადამიანის ხასიათი? **მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;** | როგორ შეიძლება მუსიკის გამომსახველობითი ხერხების გამოყენება ადამიანის ხასიათის გადმოსაცემად? **მუს.დაწყ.(II).1, 2;** | როგორ შეიძლება მუსიკალური პორტრეტის სხვადასხვა სიმბოლოთი ჩაწერა ? **მუს.დაწყ.(II).3.** | რა ფუნქციებს ასრულებს მუსიკა ხმოვან კინოში? **მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;** | როგორ შეიძლება კინომუსიკის გამომსახველობითი ხერხების გამოყენება პერსონაჟების შინაგანი განცდების გადმოსაცემად? **მუს.დაწყ.(II).1, 2.** |
| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 36 | საოპერო ხმები | | | | | | | | |
| 37-38 | ვესტსაიდური ისტორია | | | | | | | | |
| 39-40 | ვერის უბნის მელოდიები | | | | | | | | |
| 41 | ოლივერი | | | | | | | | |
| 42-43 | მუსიკის ჰანგები | | | | | | | | |
| 44 | ამოიცანი ხასიათი | | | | | | | | |
| 45-46 | ქეთო და კოტე | | | | | | | | |
| 47-48 | სევილიელი დალაქი | | | | | | | | |
| 49 | ჯადოსნური ფლეიტა | | | | | | | | |
| 50 | პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი | | | | | | | | |
| 51 | ორკესტრი | | | | | | | | |
| 52 | ანტრაქტი და კულმინაცია | | | | | | | | |
| 53 | დაისი | | | | | | | | |
| 54 | მიუსადაგე ხმის ტემბრი (შემაჯ.) | | | | | | | | |
| 55 | მუსიკალური ქუდი (შემაჯ.) | | | | | | | | |
| 56 | ბალეტი | | | | | | | | |
| 57-58 | ამოიცანი მეტრი და რიტმი | | | | | | | | |
| 59 | მუსიკა და პლასტიკა | | | | | | | | |
| 60 | ბავშვი და ჯადოსნობა | | | | | | | | |
| 61 | ბალეტის ისტორიიდან – 1 | | | | | | | | |
| 62 | საბალეტო-საცეკვაო სცენები ქართულ ოპერაში | | | | | | | | |
| 63 | გორდა | | | | | | | | |
| 64 | ბალეტის ისტორიიდან – 2 | | | | | | | | |
| 65 | მაკნატუნა | | | | | | | | |
| 66 | ფოლკლორი პროფესიულ მუსიკაში | | | | | | | | |
| 67 | იავნანა | | | | | | | | |
| 68 | სპირიჩუელსი | | | | | | | | |
| 69 | ქართველო, ხელი ხმალს იკარ | | | | | | | | |
| 70 | მრავალჟამიერი | | | | | | | | |
| 71 | ჰერიო, ჰერიო... | | | | | | | | |

| მუსიკა და თეატრი | | | | | | ეთნოგრაფია და მუსიკა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მუსიკალური თეატრი; ოპერა და მიუზიკლი | | მუსიკა საბალეტო სპექტაკლში | | | | სხვადასხვა კუთხის მცხოვრები ქართველები და მათი ხასიათი ხალხურ შემოქმედებაში | |
| როგორ გადმოიცემა ოპერაში (როკ ოპერაში), მიუზიკლში ამბის მთავარი იდეა და მასში მოქმედი პერსონაჟების ხასიათი? **მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;** | როგორ გადმოვცეთ რეჩიტატივში პერსონაჟის ხასიათი? **მუს.დაწყ.(II).1, 2.** | როგორ იქმნება ბალეტში ცეკვისა და მუსიკის მეშვეობით მხატვრული სახე? **მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;** | როგორია მუსიკის გამომსახველობითი ხერხების როლი ბალეტში? **მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;** | როგორ კარნახობს პლასტიკა მუსიკალური თანხლების არჩევაში და, პირიქით, როგორ ახდენს მუსიკა პლასტიკაზე გავლენას? **მუს.დაწყ.(II).1, 2;** | როგორ შეიძლება საბალეტო ფრაგმენტის მუსიკალური თანხლების ჩაწერა? **მუს.დაწყ.(II).3.** | რით განსხვავდება საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხური მუსიკა? **მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;** | როგორ იჩენს თავს ხალხური სიმღერის მელოდიაში კუთხური თავისებურებები? **მუს.დაწყ.(II).4,5,6,7.** |
| 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
| X | X | | | | | | |
| X | X | | | | | | |
| X | X | X | | | | | |
| X | X | | | | | | |
| X | X | | | | | | |
| X | X | X | | | | | |
| X | X | X | | | | | |
| X | X | | | | | | |
| X | X | | | | | | |
| X | X | | | | | | |
| X | X | | | | | | |
| X | X | | | | | | |
| X | X | X | | | | | |
| X | X | X | | | | | |
| X | X | X | | | | | |
| | | | X | X | | | |
| | | | X | X | | | |
| | | | X | X | | | |
| | | | X | X | | | |
| | | | X | X | | | |
| | | | X | X | X | | |
| | | | X | X | X | | |
| | | | X | X | X | | |
| | | | X | X | X | | |
| | | | | | | X | X |
| | | | | | | X | X |
| | | | | | | X | X |
| | | | | | | X | X |
| | | | | | | X | X |
| | | | | | | X | X |

## ინდექსების განმარტება

დაწყებით საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **მუს.დაწყ.(II).1.:**

**„მუს."** – მიუთითებს მუსიკის საგანს;
**„დაწყ."** – მიუთითებს დაწყებით საფეხურს;
**„(II)"** – მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს V-VI კლასებს;
**„1"** – **„1" –** მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

| მუსიკის სტანდარტი (V-VI კლასები) | |
|---|---|
| შედეგების ინდექსი | 1. მიმართულება: შემოქმედება და პრაქტიკა |
| | **სტანდარტის შედეგები**<br>მოსწავლემ უნდა შეძლოს: |
| **მუს.დაწყ.(II).1.** | საიმიჯო მუსიკალური კომპოზიციის (რეკლამის, მუსიკალური ლოგოტიპის) შექმნა; |
| **მუს.დაწყ.(II).2.** | ბგერის, ხმის, ხმაურის, მღერისა და მარტივი მუსიკალური გამომსახველობითი ხერხების მეშვეობით რეალური და წარმოსახვითი სამყაროს ასახვა; |
| **მუს.დაწყ.(II).3.** | ხმოვანი გზავნილის ჩასაწერად ტრადიციული სანოტო ან არატრადიციული სიმბოლოების სისტემების გამოყენება. |
| | **2. მიმართულება: მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია** |
| | მოსწავლემ უნდა შეძლოს: |
| **მუს.დაწყ.(II).4.** | ხმოვანი გზავნილის ემოციურ-შინაარსობრივი დატვირთვის შეგრძნება და რეალურ თუ წარმოსახვით სამყაროსთან ასოციაციურ კავშირების გაბმა; |
| **მუს.დაწყ.(II).5.** | დრამისა და მუსიკის ელემენტების ურთიერთკავშირების ამოცნობა; |
| **მუს.დაწყ.(II).6.** | ტრადიციული თუ არატრადიციული სიმბოლოების სისტემებით ჩაწერილი ხმოვანი გზავნილის ამოცნობა; |
| **მუს.დაწყ.(II).7.** | საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხური შემოქმედებისთვის დამახასიათებელი მუსიკალური ენის ელემენტების განსხვავება. |

## მიზანი

სახელმძღვანელოს მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლის მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებას, ასევე, მის მიერ მსოფლიოს მუსიკალურ კულტურაში ეროვნული მუსიკალური საგანძურის ადგილის გააზრებას. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელებული სხვადასხვა აქტივობით, მოსწავლეებს საინტერესოდ მიეწოდება მასალა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებით კი ეტაპობრივად ვითარდება მათი შემოქმედებითი უნარები.

სახელმძღვანელოს მიზანია, შეაყვაროს ბავშვს მუსიკალური ხელოვნება, აღზარდოს კულტურული მსმენელი, მისცეს მიმართულება ნიჭიერ მოსწავლეებს შემდგომი პროფესიული განვითარებისათვის.

სწავლების საწყის ეტაპზე, სასურველია, მუსიკალური უნარების განვითარება სიმღერასთან მჭიდრო კავშირით წარიმართოს, რასაც წინამდებარე სახელმძღვანელო ითვალისწინებს. სწავლების დაწყებითი საფეხურისთვის საგანგებოდ არის შერჩეული სასიმღერო რეპერტუარის თემატიკა და დიაპაზონი. მუსიკალური ლიტერატურის მოსასმენი მასალა შეესაბამება მოსწავლის ასაკს.

V-VI კლასებში შემავალი თემები საინტერესოდაა გაშლილი სახელმძღვანელოში. მოსწავლეები სხვადასხვა აქტივობას შეასრულებენ კომპიუტერული პროგრამების – LMMS-ის და Audasity-ს გამოყენებით და აქტიურად იქნებიან ჩართული სასწავლო პროცესში.

სანოტო დამწერლობის ეტაპობრივად შესწავლა განაპირობებს როგორც მოსწავლის სათანადო უნარ-ჩვევების განვითარებას, ისე შემდგომში მუსიკალური დამწერლობის, როგორც საერთაშორისო საკომუნიკაციო საშუალების დაუფლებას.

უმთავრესი მიზანი, რომელსაც სკოლაში მუსიკის გაკვეთილები და წინამდებარე სახელმძღვანელო ემსახურება, ყმაწვილებში მუსიკის მოსმენის, შინაარსის წვდომის უნარის გამომუშავება. ბავშვები, მუსიკალური ინტონაციების ამოცნობისა და წარმოსახვის უნარების განვითარების შედეგად, შეძლებენ ამა თუ იმ ნაწარმოების შინაარსის გააზრებას და მსოფლიო მუსიკალური საგანძურის სწორად შეფასებასა და დაფასებას.

## სტრატეგია

დაწყებით საფეხურზე სწავლების სტრატეგია რამდენიმე მეთოდს ეყრდნობა.

ერთ-ერთია ყველაზე მნიშვნელოვანია სწავლების სპირალური მეთოდი: ყოველ ეტაპზე წინასწარ მზადდება საფუძველი ახალი ინფორმაციის მისაღებად, ძველ ცოდნაზე ახლის დასაშენებლად, თანდათან ხდება შესაბამისი უნარების განვითარებაც.

მუსიკალური ტერმინებისა და ცნებების განმარტებები, მათი მნიშვნელობის დამახსოვრების გაადვილების მიზნით, მოსწავლეებს პრაქტიკული სამუშაოების საშუალებით მიეწოდება.

გათვალისწინებულია სხვა დისციპლინებთან ინტეგრირებული გაკვეთილებიც. მაგალითად, უცხოენოვანი სიმღერების შესწავლისას – უცხო ენის, ხოლო კომპიუტერული პროგრამების გამოყენებისას – ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგანთან.

შემოთავაზებული სცენარები აგებულია სწავლების ინტერაქტიურ მეთოდზე. რის შედეგადაც გაკვეთილის მსვლელობისას თითოეული მოსწავლე აქტიურად არის ჩართული სწავლის პროცესში.

სახელმძღვანელოს ერთვის ინოვაციური ელექტრონული პროგრამა, რომელიც გამიზნულია იმისთვის, რომ მოსწავლე მუდმივად იყოს ჩართული მუსიკის მოსმენის პროცესში და თავად შეასრულოს დავალებები; მოსმენილი მუსიკალური მასალა დაუკავშიროს ვიზუალურ გამოსახულებებს,

გარკვეულ სიუჟეტს (მოთხრობა, ზღაპარი, ფილმი, ოპერა, ბალეტი, თეატრი) და ამ გზით მუსიკაში სხვადასხვა სახე-ხატის ამოცნობა შეძლოს.

სწავლების სტრატეგია ითვალისწინებს მოსწავლეში წარმოსახვის უნარის განვითარებას. ამიტომაც, სწავლების საწყის საფეხურებზე, ინოვაციურ ელექტრონულ პროგრამასთან ერთად, უხვადაა წარმოდგენილი ვიდეო და აუდიო მასალა, ამა თუ იმ მუსიკალური ნაწარმოების ან ფრაგმენტის გრაფიკული გამოსახულების მოსმენილთან მისადაგება, ფრაგმენტების საკუთარი ფანტაზიით არატრადიციული სისტემით ჩაწერა მოსწავლეებს მუსიკის შინაარსზე დაფიქრებისაკენ მოუწოდებს.

წიგნში გათვალისწინებულია ავტორების მოსწავლეებთან მრავალწლიანი მუშაობის შედეგად შეძენილი პედაგოგიური გამოცდილება.

კაცობრიობის მონაპოვარი, რასაც მუსიკალური ხელოვნება მოიცავს, მოზარდმა შეიძლება გაიაზროს მოსმენის, პრაქტიკული აქტივობების გზით.

პრაქტიკული აქტივობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე სიმღერაა, ვინაიდან ეს სფერო ადამინებს სოციალიზაციაში ეხმარება. სწორედ ამ მიმართულების განვითარებისათვის სახელმძღვანელოში თავმოყრილია გამართული, შესაბამისი დიაპაზონისა და სირთულის მქონე სოლო თუ საგუნდო სიმღერები.

| რეალური და წარმოსახვითი სამყარო მუსიკაში<br>თემა: რეალობა და ჩვენი წარმოდგენები | მუსიკა და ჩვენი ყოფა<br>თემა: ადამიანის პორტრეტი მუსიკაში | მუსიკა და კინო<br>თემა: მუსიკის როლი ხმოვან კინოში | მუსიკა და თეატრი<br>თემა: ოპერა<br>თემა:მიუზიკლი<br>თემა: მუსიკა საბალეტო სპექტაკლში | ეთნოგრაფია და მუსიკა<br>თემა: სხვადასხვა კუთხის ქართველები და მათიხასიათი ხალხურ შემოქმედებაში |
|---|---|---|---|---|
| რეკლამის მუსიკალური გაფორმება და მისი ზეგავლენა ადამიანის ცხოვრებაზე; რეალური და არარეალური მხატვრული სახეების შექმნა მელოდიათა ჰარმონიზებით, მათი ჩაწერა | მუსიკის როლი, ადამიანის ხასიათის გადმოცემაში, გამომსახველობითი ხერხების მნიშვნელობა მუსიკალური პორტრეტის შექმნაში | მუსიკის როლი ხმოვან კინოში, პერსონაჟის შინაგანი სამყაროს, განწყობის, განცდების გადმოცემაში | ოპერასა და მიუზიკლში სიუჟეტის, იდეის, პერსონაჟების ხასიათის გადმოცემა, რეჩიტატივის გამოყენება; მხატვრული სახის გადმოცემა მუსიკისა და პლასტიკის საშუალებით | საქართველოს კუთხეების მუსიკის განმასხვავებელი ნიშნები, სიმღერის მელოდიაშიკუთხური ნიშნების ამოცნობა |

სახელმძღვანელო ემყარება ინტეგრირებული სწავლების მეთოდს. ინტეგრირება ხდება მათემატიკასთან, ხელოვნებასთან, ლიტერატურასთან, უცხო ენებთან, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგანთან;

- წარმოსახვითი და ასოციაციური უნარების განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს მეთოდად რჩება მუსიკალური ფრაგმენტების დაკავშირება ნახატებთან, ილუსტრაციებთან, მუსიკალურ ფრაგმენტებში ვიზუალური სახე-ხატების ამოკითხვა მეხუთე კლასიდან აქტიურად შემოდის ფაზლის ტიპის ნახატების შესაბამისობა მუსიკალურ ფრაგმენტებთან; ამ ტიპის აქტივობებში მთავარია მოსწავლის დამოკიდებულება მუსიკალური ფრაგმენტისადმი, მასში გადმოცემული შინაარსისა და განწყობილებისადმი. ინტერპრეტირების კარგ საშუალებას იძლევა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. მოსწავლეები კომპიუტერული პროგრამა Audacity და LMMS გამოყენებით ჩაწერენ წინადადებებს, ტექსტებს, შემდეგ ამ ტექსტებს დაადებენ ხმებს, მუსიკალურ ფრაგმენტებს, ასევე, გაახმოვანებენ კადრებს ანიმაციური ფილმებიდან, მუნჯ კინოში, მოძრავ კადრებს დაადებენ მუსიკალურ ფრაგმენტებს, ჩაწერენ გადაცემის ქუდს, მეექვსე კლასში მოსწავლეები მსჯელობენ მუსიკის როლზე მიუზიკლში, თეატრში, ისმენენ საოპერო რეჩიტატივებს და ჩაწერენ პირობითი ნიშნებით;
- საკუთარი დამოკიდებულების, აზრის ჩამოყალიბებისა და ინტერპრეტირების უნარის განვითარება უფრო მაღალ საფეხურს აღწევს. გამოყენებულია ინტერაქტიული სწავლების მეთოდები, ერთერთია გონებრივი იერიში – ყველა იდეა, მოსაზრება, ინტერპრეტაცია მისაღებია, თუმცა უნდა მოხდეს იდეათა გადაფასება, რანგირება. ამ მეთოდს მოსწავლეები მიმართავენ საკლასო მსჯელობის დროს. იზრდება კითხვების დასმის როლი, მათი დანიშნულებაა: წინარე ცოდნის გააქტიურება, ცოდნის გამოვლენა და სწორ აზრამდე მიყვანა, დისკუსიებში მნიშვნელოვანია საკუთარი აზრის გამოთქმა, დასაბუთება, ტოლერანტობის გამოხატულება.

- მუსიკის მოსმენის უნარის განვითრებისათვის, თუ საწყის ეტაპზე გამოყენებული იყო პატარა მოტივების მოსმენა, ამოცნობა, ამ მოტივებში წარმოსახვითი, ასოციაციური ტიპის აქტივობების შესრულება, ამ ეტაპზე ხდება მუსიკალური ფრაზების, მელოდიების, თემების, ფრაგმენტების ამოცნობა და მასთან დაკავშირებული აქტივობების შესრულება, მაგალითად, ვიზუალურის მოსმენილთან, მოსმენილის ვიზუალურთან, მუსიკალური ფრაგმენტების მოძრავ ვიზუალურ მასალასთან დაკავშირება, თუმცა კლებულობს მოძრავი და სტატიკური მასალის გამოყენება, იზრდება წაკითხულ ტექსტის, როგორც, ინფორმაციის პრაქტიკაში აღქმის დანიშნულება (მოსწავლეები კითხულობენ სიტყვიერ ტექსტს, უსმენენ მუსიკას და მიუსადაგებენ მუსიკალურ ფრაგმენტებს).

- სანოტო დამწერლობის სწავლების მეთოდი რთულდება. მუსიკალური ფრაგმენტების, სახე-ხატების პიქტოგრამებით ჩაწერასთან ერთად გამოყენებულია ტრადიციული სანოტო დამწერლობა, ხოლო, სანოტო დამწერლობის უკეთ გააზრების მიზნით – პატარა მოტივების შექმნა, მაგალითად, მოსწავლეები სანოტო ნიმუშიდან ირჩევენ მოტივს (ბგერებს) და ქმნიან ახალს, შერჩევა-ამორჩევისა და დაჯგუფება-დახარისხების მეთოდი ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, ავითარებს დამოუკიდებელი აზროვნების, გადაწყვეტილების მიღების უნარს;

- სახელმძღვანელოში მოცემული ტერმინებისა და ცნებების განსაზღვრება პრაქტიკული სავარჯიშოებით მიიღება.თუ საწყის ეტაპზე მოსწავლე ცნებებსა ტერმინებს ინტუიციურად აღიქვამს, ამ ეტაპზე მათი აღქმა გაცნობიერებულია.ცნებების პრაქტიკული სწავლების მეთოდი ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი უმთავრესი მეთოდია, რაც გულისხმობს „კეთებით", „აღმოჩენით" სწავლას; ამავე მეთოდს ემყარება სახელმძღვანელოში მოცემული მრავალრიცხოვანი პრაქტიკული აქტივობა, მაგალითად, მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტისა და ნამღერის მისადაგება ვიზუალურ მასალასთან, ხმებისა და მუსიკალური ფრაზებისაგან კოლაჟის შექმნა და ა. შ. სახელმძღვანელოში მოცემული გონებრივი, ინტელექტუალური აქტივობები მუსიკის კოგნიტური ფუნქციის ხაზგასმას ემსახურება

■■■ **საგნის სწავლების პროცესში ფასდება მოსწავლის შემდეგი ცოდნა და უნარები:**

- მუსიკალური ხელოვნების ნასწავლი ნიმუშების ცოდნა;
- მუსიკალური დამწერლობის (ასევე სიმბოლოების, პიქტოგრამების შემუშავება) ცოდნა;
- მუსიკალური ტერმინოლოგიის ცოდნა;
- შემოქმედებითობა;
- იმპროვიზაციულობა;
- წარმოსახვითი და ასოციაციური აზროვნება;
- მუსიკის მოსმენის ჩვევა;
- მუსიკალური სმენა და მეხსიერება;
- რიტმის გრძნობა;
- პრეზენტაცია;
- სოციალური უნარები;
- საკუთარი აზრის დასაბუთება;
- ტოლერანტობა.

■■■ **საგნის სწავლების პროცესში მოსწავლე შემდეგი აქტივობებით ფასდება:**

- საკლასო აქტივობებში ჩართულობა;
- ინფორმაციის მიწოდება (მომდევნო კლასებში – მოძიება) გარესამყაროს შესახებ და პრეზენტაციის მომზადება;
- შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა: მუსიკალური კომპოზიციის, მუსიკალური ლოგოტიპის შექმნა;
- იმპროვიზაციული სავარჯიშოების შესრულება: მოტივის და ცალკეული ინტონაციის სხვადასხვა ვარიანტების შექმნა და მათი სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება;
- მოთხრობის, ფოტოების, ანიმაციური/მხატვრული ფილმის (მომდევნო კლასებში ვიდეორგოლის, მუსიკალური კლიპის), ყოფითი შემთხვევების განხილვა და მათი მუსიკალური ანალოგიების შექმნა;
- დისკუსია (დებატი);

■■■ **ბგერის (ხმების), მოტივის, მელოდიის დაკავშირება ვიზუალურ, რეალურ და წარმოსახვით სამყაროსთან**

| შეფასების კრიტერიუმები | | |
|---|---|---|
| ვიზუალური (სხვადასხვა შინაარსის ნახატი, საგნის კომპოზიცია), რეალური და წარმოსახვითი სამყაროს აღწერა | ხმების, მოტივებისა და მელოდიების შერჩევა (შეთხზვა) | ვიზუალური, რეალური და წარმოსახვითი სამყაროს გახმოვანება მუსიკალური ენის ელემენტებით (რიტმი, მეტრი, მელოდია (მოტივი) ტემპი და ა.შ.) და ხელოვნურად შექმნილი ხმებით |
| 2 ქ | 4 ქ | 4 ქ |

■■■ მოსმენილი კომპოზიციების (პროფესიული და ხალხური მუსიკა, გარესამყაროს ხმები და ხმაბაძვითი გზავნილები) ჩაწერა სიმბოლოებით, პიქტოგრამებით, მუსიკალური დამწერლობის გამოყენებით; შთაბეჭდილებების გადმოცემა ნახატით; მოსმენილი მუსიკალური კომპოზიციებისათვის (ფრაგმენტებისათვის) სხვადასხვა ვიზუალური რიგის (ფაზლის ტიპის ნახატები) მისადაგება

| შეფასების კრიტერიუმები | | |
|---|---|---|
| მოსმენილი კომპოზიციების დახასიათება (შინაარსისა და განწყობის აღწერა)<br>2 ქ | სიმბოლოების, პიქტოგრამების შემუშავება<br>4 ქ | მოსმენილი კომპოზიციების ჩაწერა<br>4 ქ |

■■■ **მოსმენილი კომპოზიციის, ნაწარმოების განხილვა და საკლასო მსჯელობაში-დისკუსიაში მონაწილეობა**

| შეფასების კრიტერიუმები | | | | |
|---|---|---|---|---|
| მოსმენილი კომპოზიციის, ნაწარმოების შინაარსისა და განწყობის აღწერა | ამბის, მოთხრობის გამოგონება (პროფესიული მუსიკის შემთხვევაში ავტორისეულ ჩანაფიქრთან დაკავშირება) | აქტიური მონაწილეობა | საკუთარი აზრის დასაბუთება | სხვისი აზრის პატივისცემა |

■■■ **სიმღერის შესრულება**

| შეფასების კრიტერიუმები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სანოტო და სიტყვიერი ტექსტის შესრულება | | ინტონირების სიზუსტე | | გამომსახველად სიმღერა (ცდილობს გადმოსცეს ნაწარმოების მხატვრული შინაარსი, ითვალისწინებს დინამიკურ ნიშნებს), საკუთარი ინტერპრეტაციით შესრულება (იყენებს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს) | |
| უჭირს სიტყვიერი ან სანოტო ტექსტის დამახსოვრება | სანოტო და სიტყვიერ ტექსტს იოლად იმახსოვრებს | ინტონირებისას უშვებს შეცდომებს | იცავს ინტონირების სიზუსტეს | მღერის ერთფეროვნად | ცდილობს შეასრულოს გამომსახველად, საკუთარი ხედვით |

■■■ **რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების შესრულება**

| შეფასების კრიტერიუმები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბგერათრიგის, ინტერვალების, მოტივების სიმღერა | | ინტონირების სიზუსტე, რიტმული ნახაზის სიზუსტე | | იმპროვიზირების უნარი | |
| უჭირს სიმღერა | სწორად მღერის (ნაწილობრივ, სრულად) | უჭირს ინტონირების, რიტმული ნახაზის სიზუსტის დაცვა | იცავს ინტონირების, რიტმული ნახაზის შესრულების სიზუსტეს (ნაწილობრივ, სრულად) | ვერ ავლენს იმპროვიზირების უნარს | ნაწილორივ ან კარგად ავლენს იმპროვიზირების უნარს |

## რიტმული ნახაზის შესრულება

| შეფასების კრიტერიუმები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რიტმული ნახაზის სიზუსტე 4 ქ | სინქრონულობის დაცვა წყვილში, ჯგუფში შესრულებისას 4 ქ | | რიტმული იმპროვიზირების უნარი 2 ქ | | |
| ნაწილობრივ იცავს 1, 2, ქ | ზუსტად იცავს 3, 4 ქ | უჭირს სინქრონული შესრულება 1, 2 ქ | არ არღვევს სინქრონულობას 3, 4 ქ | ვერ ავლენს იმპროვიზირების უნარს 0 ქ | ნაწილობრივ ან კარგად ავლენს იმპროვიზირების უნარს 1, 2 ქ |

## საპრეზენტაციო უნარები მოხსენება – რეფერატი

| შეფასების კრიტერიუმები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა, კონტაქტი აუდიტორიასთან 4 ქ | | ინფორმაციის მოძიება (ნასწავლი ცნებებისა და ტერმინების ცოდნა) 4 ქ | | თვალსაჩინოებების და ტექნიკური საშუალებების (თანამედროვე ტექნოლოგიები) გამოყენება 2 ქ | | კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა 2 ქ | |
| სათქმელი ნაკლებად გასაგებია 1, 2 ქ | სათქმელი ნათლად და გასაგებად არის გადმოცემული 3, 4 ქ | მოძიებული ინფორმაცია არასაკმარისია 1, 2 ქ | ინფორმაცია საინტერესო და ამომწურავია 3, 4 ქ | გამოყენებული რესურსი არასაკმარისია 1 ქ | გამოყენებული რესურსი საინტერესო და ამომწურავია 2 ქ | პასუხები არაადეკვატურია 0 ქ | პასუხები ამომწურავია 1, 2 ქ |

## სხვადასხვა სახის პრაქტიკული სამუშაო

| შეფასების კრიტერიუმები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორგანიზებულობა | | ტექნიკის (ხმის, სხეულის მოძრაობის, მიმიკის და ა. შ.) და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების (რიტმის, მეტრის, მელოდიის, რეგისტრის და ა. შ.) ფლობა, პრაქტიკული გამოყენების უნარი 4 ქ | | შემოქმედებითობა: ტექნიკის,მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, წარმოსახვითი და ასოციაციური უნარების, იმპროვიზირების ეფექტური გამოყენება ჩანაფიქრის გადმოსაცემად 4 ქ | |
| ნაკლებად არის ჩართული პრაქტიკული სამუშაოს შესრულებაში 1 ქ | აქტიური და ორგანიზებულია პრაქტიკული სამუშაოს შესრულებაში 1 ქ | ნაწილობრივ ავლენს პრაქტიკულ უნარებს 1, 2 ქ | კარგად ავლენს პრაქტიკულ უნარებს 3, 4 ქ | ნაწილობრივ ავლენს შემოქმედებით უნარებს 1, 2 ქ | კარგად ავლენს შემოქმედებით უნარებს 3, 4 ქ |

## თვითშეფასების რუბრიკა

| რა ისწავლე | რა იცი | რა გინდა, რომ უკეთ იცოდე |
|---|---|---|
| თემათა ან პრაქტიკული უნარების ჩამონათვალი | | |

## სარჩევი

გაკვეთილების სანიმუშო სცენარები

**რეალობა და ჩვენი წარმოდგენები**
1-2. კომპიუტერული თამაშები ........................ 19
3. მარიოს მუსიკალური ფრაზები .................. 22
4. კომპიუტერული თამაში „ანრაველი“ .......... 23
5. კომპიუტერული თამაში „აბზუ“.................. 25
6. მუსიკალური ასოციაცია – 1 ...................... 26
7. მუსიკალური ასოციაცია – 2 ...................... 28
8. სარეკლამო რგოლი .................................. 29

**ადამიანის პორტრეტი მუსიკაში**
9. ინტონაცია................................................. 32
10. ამოიცანი ხმები ......................................... 35
11. ინტონაციები დრამატულ
და საოპერო თეატრში ............................... 38
12. ინტონაცია ხალხურ მუსიკაში .................... 40
13-14. ნიმუშები ქართული
პროფესიული მუსიკიდან .................................. 42
14-15 „მინდია“ ................................................. 44
16-17. „სურათები გამოფენიდან“ .................... 46
18. ამოიცანი მუსიკალური პორტრეტი ............ 48
19-20. „ავე მარია“.......................................... 50
21-22. „კარნავალი“ ........................................ 52
23. რობერტ შუმანი
– შემაჯამებელი გაკვეთილი....................... 56

**მუსიკის როლი ხმოვან კინოში**
24-25. მუსიკა კინოში – შესავალი ................... 60
26-27. ამოიცანი ნაცნობი საუნდტრეკები – 1.....67
28. ამოიცანი ნაცნობი საუნდტრეკები – 2...... 69
29. განასხვავე მუნჯი და ხმოვანი კინო .......... 71
30. „შერეკილები“ .......................................... 73
31. სიმღერა ქართულ კინოში
– შემაჯამებელი გაკვეთილი....................... 75

**მუსიკალური თეატრი – ოპერა და მიუზიკლი**
32. „აიდა“...................................................... 77
33. „გაფრინდი, ფიქრო, ოქროს ფრთებით“..... 80
34. შემსრულებელი მიუზიკლში....................... 82
35. „პატარა უფლისწული“ ............................. 84
36. საოპერო ხმები ......................................... 85
37-38. „ვესტსაიდური ისტორია“ ..................... 87
39-40. „ვერის უბნის მელოდიები“ ................... 89
41. „ოლივერი“ .............................................. 90
42-43. „მუსიკის ჰანგები“ ............................... 92
44. ამოიცანი ხასიათი .................................... 93
45-46. „ქეთო და კოტე“.................................. 95
47-48. „სევილიელი დალაქი“ ......................... 99
49. „ჯადოსნური ფლეიტა“ ............................ 101
50. „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ ........... 103
51. ორკესტრი ............................................... 105
52. ანტრაქტი და კულმინაცია ....................... 108
53. „დაისი“ ................................................... 111
54. მიუსადაგე ხმის ტემბრი
– შემაჯამებელი გაკვეთილი ..................... 113
55. მუსიკალური ქუდი
– შემაჯამებელი გაკვეთილი....................... 114

**მუსიკა საბალეტო თეატრში**
56. ბალეტი.................................................... 115
57-58. ამოიცანი მეტრი და რიტმი .................. 118
59. მუსიკა და პლასტიკა ............................... 121
60. „ბავშვი და ჯადოსნობა“ .......................... 123
61. ბალეტის ისტორიიდან – 1 ....................... 124
62. საბალეტო-საცეკვაო სცენები
ქართულ ოპერაში...................................... 125
63. „გორდა“ .................................................. 127
64. ბალეტის ისტორიიდან – 2 ....................... 129
65. „მაკნატუნა“ – შემაჯამებელი გაკვეთილი . 131

**ეთნოგრაფია და მუსიკა**
66. ფოლკლორი პროფესიულ მუსიკაში........... 133
67. იავნანა .................................................... 134
68. სპირიჩუელსი........................................... 136
69. „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“
– შემაჯამებელი გაკვეთილი....................... 139
70. მრავალჟამიერი ....................................... 141
71. ჰერიო, ჰერიო... ...................................... 143

რეალური და წარმოსახვითი მუსიკაში
თემა: რეალობა და ჩვენი წარმოდგენები

მოცემულ თემას მომდევნო თემამდე დაეთმობა 8 გაკვეთილი.

**სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:**

- როგორ იყენებენ რეკლამაში მუსიკას ჩვენს ცნობიერებაზე გავლენის მოსახდენად?
- როგორ შეიძლება მელოდიის ჰარმონიზებით მუსიკაში რეალური თუ არარეალური მხატვრული სახის შექმნა?
- როგორ შეიძლება ჰარმონიზება ჩაიწეროს?

**შედეგი:** მუს.დაწყ.(II).1, 2; მუს.დაწყ.(II).3. მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;
**მიზანი**: ცნებები – მელოდია, ჰარმონია. არსებული მასალიდან გამომდინარე, კომპიუტერული თამაშების გმირების წარმოჩენა, მათი მუსიკალური ლაიტთემების გააზრება და მათ მოქმედებებთან ჰარმონიული დაკავშირება.

## 1-2 კომპიუტერული თამაშები

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიომასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

პირველი კომპიუტერული თამაშები ამერიკელმა ფიზიკოსებმა ტომას გოლდსმიტმა და ესტლ რეი მანმა გამოიგონეს 1948 წელს. თამაშები იწერებოდა ახლადშექმნილი კომპიუტერებისათვის. დროთა განმავლობაში თამაშები დაიხვეწა, განვითარდა და დიდი პოპულარობა მოიპოვა მთელ მსოფლიოში. განსაკუთრებით დიდ წარმატებას 1978 წლისთვის იაპონიაში მიაღწია. შესაძლებელია, თამაშები აღვიქვათ ვირტუალური სივრცის ხელოვნების ერთგვარ დრამატულ ფორმად, რომელსაც ხუთი საკვანძო ელემენტი აქვს: სტილი, ფაბულა, გმირი, დეკორაცია და მუსიკა – ლაიტთემები. ამიტომაც თამაშებში განსაკუთრებულად დიდი დრო ეთმობა მუსიკას, ისევე, როგორც ფილმებსა თუ მულტფილმებში. მუსიკა სრულად ავსებს თამაშის ვიზუალს, შინაარსს, მიჰყვება გმირის მოქმედებას და იქმნება სრულყოფილი პროდუქტი. თამაშებისათვის მსოფლიოს მრავალი კომპოზიტორი წერს მუსიკას. ზოგიერთი მათგანი იმდენად პოპულარული გახდა, რომ მათ ასრულებენ სიმფონიური ორკესტრები და ცალკეული შემსრულებლები. 2012 წელს აშშ-მა კომპიუტერულ თამაშებს ხელოვნების დარგის სტატუსი მიანიჭა და ნაციონალური კულტურის მონაპოვრად აღიარა.



**ტომას გოლდსმიტი და ესტლ რეი მანი**



**ტომას გოლდსმიტი**

**მითითება:** მოცემულ კომოპიუტერულ თამაშებში დიდი ყურადღება ეთმობა მუსიკალურ გაფორმებას. ბავშვი უსმენს მუსიკას, აკვირდება თამაშის ვიზუალს და მსჯელობს, როგორ არის გადმოცემული ინტონაციით კომპიუტერული თამაშის გმირის ხასიათი, მოქმედება. მუსიკით ამოიცნობს თამაშის შინაარსს, განწყობას; რომელი მუსიკა რომელ ფრაგმენტს შეესაბამება და სხვ. თემაში – „რეალობა და ჩვენი წარმოდგენები“ – მოცემული და აქტივობებში გამოყენებულია შემდეგი კომპიუტერული თამაშები: Super Mario, Age Of Mytology, Abzu, Unravel, Somorost, Old Man’s Journey, GTA, Last Of Us, The Stanley Parable.

**რუბრიკა – ნებაყოფლობითი აქტივობა.**

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმღერონ სავარჯიშო, რომელიც განკუთვნილია სასიმღერო სუნთქვის განვითარებისათვის. ამავდროულად, მოუსმინონ სავარჯიშოს თანხლებას (მასწავლებელი უკრავს), თვალი მიადევნონ სანოტო ჩანაწერს და ჟღერადობას შეურჩიონ შემდეგი სიტყვები: კეკლუცი, დინჯი, მოკლე, ლაღი, მკვეთრი, რბილი.



**აქტივობა 2**

კომპიუტერული თამაში – „სუპერ მარიო“ – „SUPER MARIO“

მოცემულია კომპიუტერული თამაში „სუპერ მარიოს“ ორი სხვადასხვა ტურის ვიდეოფრაგმენტი უხმოდ. მასწავლებელი ბავშვებს სათითაოდ აჩვენებს ამ ვიდეოებს. შემდეგ ასმენინებს ამ ფრაგმენტების მუსიკალურ თემებს და სთხოვს, თავიანთი ასოციაციით ამოიცნონ და მიუსადაგონ მოცემულ ვიდეო მუსიკალურ ფრაგმენტებს. ბავშვები მსჯელობენ და ასაბუთებენ თავიანთ მოსაზრებებს. მასწავლებელი კითხვებით ამოწურავს ამ თემას:

1. როგორი ხასიათისაა თითოეული ფრაგმენტის მუსიკა?
2. რა ჟანრისაა ეს მუსიკალური ფრაგმენტები?

3. რომელ ცეკვას გვახსენებს ერთ-ერთი თემა?
4. როგორი პერსონაჟია მარიო – მხიარული თუ სევდიანი, მოხერხებული თუ მოუხერხებელი?







„მარიოს“ მუსიკა დაწერა იაპონელმა კომპოზიტორმა კოძი კონდომ 1985 წელს. თავდაპირველად კომპოზიტორი ფიქრობდა, რომ მარიოს ყველა ტურს ერთი და იგივე მუსიკალური თემა ექნებოდა, მაგრამ შემდგომში დაწერა კიდევ ხუთი თემა. პირველი თემა დაწერილია C-dur-ში, ჯაზური მუსიკის დამახასიათებელ რიტმში. კომპოზიტორი ამბობდა, რომ თუ მუსიკა არ დაემთხვევა გმირის სირბილს, ხტუნვას და ამოვარდნილი იქნება თამაშის სიუჟეტიდან, ის გადააკეთებს ამ მუსიკალურ თემას. პირველ თემას, რომელიც C-dur-შია დაწერილი, Ground theme – **ხმელეთის თემა** ეწოდება.







**კოძი კონდო**

**აქტივობა 3**

მასწავლებელი დაუკრავს მოცემულ მოტივს და ბავშვებთან ერთად გაიმღერებს. ბავშვები ამოიცნობენ თამაშის მოტივს.

Super Mario



## 3 მარიოს მუსიკალური ფრაზები

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი გაყოფს კლასს ჯგუფებად, სთხოვს, დააკვირდნენ მოცემულ სურათს და გამოსახონ მეტრი და რიტმი. მოსწავლეთა ერთი ჯგუფი სხვადასხვა მოძრაობით გამოსახავს რიტმს, მეორე ჯგუფი – მეტრს. შემდეგ ჯგუფები როლებს გაცვლიან.



**აქტივობა2**

მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს სხვადასხვა მუსიკალურ ფრაზებს, რომლებიც გამოხატავენ გმირის სხვადასხვა მოქმედებასა და მდგომარეობას:





**1 – თამაშის წაგება;**

**2 – თამაშის მოგება;**

**3 – გმირის ახტომა;**

**4 – მონეტის მოპოვება.**

ბავშვებმა უნდა ამოიცნონ გმირის რომელ მოქმედებებს გამოხატავენ ეს ფრაგმენტები, იპოვონ ვიდეოში შესაბამისი მომენტები და უპასუხონ შეკითხვას:

რა საერთო აქვს თამაშის გამოსახულება-სა და მუსიკის ჟღერადობას ერთმანეთ-თან? იმსჯელონ და გამოხატონ გრფიკუ-ლი ხაზით ან პიქტოგრამებით.






გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი უჩვენებს ვიდეოს, სადაც „მარიოს“ ლაიტთემებზე აგებულ კომპოზიციას ასრულებს სიმფონიური ორკესტრი.

## 4 კომპიუტერული თამაში „ანრაველი“ – „UNREAL“

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: იმღერეთ და გაეცანით სამი სახის გამა დო მაჟორს და მის პარალელურ ლა მინორს.

**დო მაჟორი**

ბუნებრივი



ჰარმონიული



მელოდიური



მერყევი ბგერების გადაწყვეტა მყარში



გადიდებული ინტერვალები და მათი გადაწყვეტა



**ლა მინორი**

ბუნებრივი



ჰარმონიული



მელოდიური



მერყევი ბგერების გადაწყვეტა მყარში



გადიდებული ინტერვალები და მათი გადაწყვეტა




დო მაჟორსა და ლა მინორში შექმენით მოტივები, რომლითაც კომპიუტერული თამაშის გმირს დაახასიათებთ. ჩაწერეთ სანოტო რვეულში.

### აქტივობა 2

მოცემულია პერსონაჟი კომპიუტერული თამაშიდან –„ანრაველი“. ბავშვები აკვირდებიან ამ პერსონაჟს, მის ვიზუალს, ხასიათს. მასწავლებელი სთხოვს, დაწერონ ზღაპარი ამ გმირზე და შეურჩიონ მუსიკა. შემდგომ ამ მუსიკის ფონზე, წაიკითხონ თავიანთი მოგონილი ამბავი. გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი აჩვენებს ამ თამაშის ორიგინალურ ვერსიას. ბავშვები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს.



**თამაშის პერონაჟი Unravel**

1. როგორი ხასიათისაა თამაშის გმირი?
2. დაემთხვა თუ არა მათ მიერ შექმნილი გმირი ნამდვილ გმირს?
3. როგორი მუსიკალური გაფორმებაა კომპიუტერულ თამაშში: ილუსტრაციული თუ კონტრასტული?

### აქტივობა 3

ბავშვები შეარჩევენ დო მაჟორის ბგერებს, სანოტო რვეულში ჩაწერენ მოტივს, რომლითაც გამოსახავენ კომპიუტერული თამაშის გმირს. შემდეგ მასწავლებელი დაუკრავს და მოასმენინებს კლასს მოსწავლეთა ნამუშევრებს.

# 5 კომპიუტერული თამაში 3 – „აბზუ“ – „ABZU“

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მოსწავლეები მღერიან ინტერვალებს, როგორც ერთ, ისე ორ ხმაში – სეკუნდებს, სეპტიმებს, ტერციებს, სექსტებს, პრიმებს, კვარტებს, კვინტებს, ოქტავებს:




მასწავლებელი სთხოვს, ინტერვალებს შეურჩიონ სახელწოდებები: კეთილხმოვანი ანუ კონსონანსი, არაკეთილხმოვანი ანუ დისონანსი, გამჭირვალე ანუ წმინდა.

მოსწავლეები ამოარჩევენ ინტერვალებს და სანოტო რვეულში ჩაწერენ მელოდიას, რომელიც კომპიუტერულ თამაშში მოქმედი გმირების მოძრაობებს ასახავს.

**აქტივობა 2**

**აბზუ** არის წყალქვეშა სათავგადასავლო კომპიუტერული თამაში, სადაც გმირი ყვინთავს საიდუმლოებებით მოცულ ოკეანეში. სიტყვა „აბზუ“ აღებულია ძველი შუმერული მითოლოგიიდან და ნიშნავს ქაოსს, საიდანაც ცა და დედამიწა წარმოიშვა. ამ თამაშისათვის მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა **ოსტინ ვინთორმა**.






**ოსტინ ვინთორი**

მასწავლებელი ასმენინებს ბავშვებს თამაშის მუსიკალურ ნაწყვეტს ისე, რომ არ უყვება შინაარსს. ასახელებს თამაშის მხოლოდ სახელწოდებას. თავდაპირველად, ბავშვები მუსიკალური გახმოვანების საშუალებით, თავიანთი ასოციაციით ხატავენ გმირს. მასწავლებელი ეკითხება მათ:

1. სად ვითარდება თამაში.
2. რა ჟანრია: სათავგადასავლო თუ მძაფრსიუჟეტიანი?
3. როგორია თამაშის ტემპი?

შემდგომ მასწავლებელი აჩვენებს თამაშის ვიდეოს. ბავშვები უყურებენ თამაშს, უსმენენ მუსიკალურ გახმოვანებას და იაზრებენ, რა დაემთხვა და რა არა მათ წინასწარ წარმოსახვებსა და გმირთა სახეებთან დაკავშირებით.



**კადრები კომპიუტერული თამაშიდან Abzu**

## 6 მუსიკალური ასოციაცია – 1

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

### აქტივობა 1

მოსწავლეები მღერიან სამხმოვანებებს დო მაჟორსა და ლა მინორში. როგორც ჰორიზონტალში, ისე ვერტიკალში.




დაახასიათებენ სამხმოვანებების ჟღერადობას და შეარჩევენ სიტყვებს: კეთილხმოვანი – კონსონანსი, დაძაბული – დისონანსი, მაჟორული ან მინორული.

### აქტივობა 2

მოცემულია სამი სხვადასხვა ჟანრის კომპიუტერული თამაში: „მითოლოგიური ერა“ – Age Of Mytology, „სამოროსტი“ – Samorost, „მოხუცის მოგზაურობა“ – Old Man’s Journey. მასწავლებელი ასმენინებს ამ თამაშების საუნდტრეკებს ისე, რომ არ ასახელებს თამაშების სათაურებს. ბავშვები უსმენენ მუსიკას და წიგნში მოცემულ ფოტოებს ხასიათის მიხედვით უსადაგებენ. შემდგომ მასწავლებელი აჩვენებს და ასმენინებს სწორ ვარიანტებს. ბავშვები მსჯელობენ თავანთ მოსაზრებებზე.








1. როგორი ხასიათისაა თითოეული თამაშის მუსიკა?
2. როგორ გადმოსცემს მუსიკა თამაშის შინაარსს, მათ გმირებს?
3. ამოიცანი, როგორია მუსიკალური გაფორმების ფორმები: ილუსტრაციული თუ კონტრასტული?

### აქტივობა 3

მასწავლებელი დაუკრავს თემას და კლასთან ერთად გაიმღერებს ნოტების დასახელებით. ბავშვები ამოიცნობენ მუსიკას „მითოლოგიური ერიდან“.

**მითოლოგიური ერა**

Age of Mytology



**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: იმღერეთ სამი სახის სოლ მაჟორი და მისი პარალე-ლური მი მინორი. ამ ტონალობაში შექმენით და სანოტო რვეულში ჩაწერეთ თქვენი საყვარელი კომპიუტერული თამაშის მუსიკალური თანხლება.

**სოლ მაჟორი**

ბუნებრივი



ჰარმონიული



მელოდიური



მერყევი ბგერების გადაწყვეტა მყარში



გადიდებული ინტერვალები და მათი გადაწყვეტა




**მი მინორი**

ბუნებრივი



ჰარმონიული



მელოდიური



მერყევი ბგერების გადაწყვეტა მყარში



გადიდებული ინტერვალები და მათი გადაწყვეტა




**აქტივობა 2**

მოცემულია სამი სხვადასხვა ჟანრის კომპიუტერული თამაში: **The Last Of Us** („უკანასკნელი ჩვენ-განი“**), GTA** („ავტომობილების გატაცება“**), The StanleyParable** („სტენლის იგავი“). მასწავლებელი ასმენინებს ამ თამაშების საუნდტრეკებს ისე, რომ არ ასახელებს თამაშების სათაურებს. ბავშვები უსმენენ მუსიკას და უსადაგებენ წიგნში მოცემულ ფოტოებს ხასიათის მიხედვით. შემდგომ, მასწავლებელი აჩვენებს და ასმენინებს სწორ ვარიანტებს. ბავშვები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს და მსჯელობენ.

1. როგორი ხასიათისაა თითოეული თამაშის მუსიკა?
2. როგორ გადმოსცემს მუსიკა თამაშის შინაარსს, მათ გმირებს?
3. როგორია მუსიკალური გაფორმების ფორმები: ილუსტრაციული თუ კონტრასტული?









## 8 სარეკლამო რგოლი

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიომასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, შექმნან სარეკლამო რგოლები კომპიუტერული თამაშებისთვის.

**რეკლამა** – reclamo – ლათინური სიტყვაა და ყვირილს ნიშნავს. რეკლამა არის ინფორმაცია, განკუთვნილი ფართო მასებისთვის, რათა მიიპყროს ადამიანთა ყურადღება და გაუღვივოს ინტერესი სარეკლამო საგნის მიმართ, შეუქმნას გარკვეული განწყობა. რეკლამას უკეთებენ ახლადგადაღებულ ფილმებს, სპექტაკლებს, კონცერტებს, სპორტულ თამაშებს და ნებისმიერ პროდუქციას. რეკლამა ვრცელდება ტელევიზიით, რადიოთი, ჟურნალ-გაზეთებით, ბანერების მეშვეობით და სხვ. სარეკლამო რგოლები გარკვეული სიხშირით მუდმივად გადის ეთერში,რაც სხვადასხვაგვარად მოქმედებს ადამიანებზე: ზოგს ძალიან მოსწონს, ზოგს კი – პირიქით. პირველი სატელევიზიო რეკლამა ეთერში გავიდა აშშ-ში, 1941 წელს. ხოლო პირველი სარეკლამო გმირი, რომელიც მთლიანად კომპიუტერის მეშვეობით XX საუკუნის 90-იან წლებში შეიქმნა, არის თეთრი დათვი, რომელიც კოკა-კოლას მიირთმევს.



მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს უყურონ „კოკა-კოლას“ ორ ვიდეოს და სთხოვს მათ, აღნიშნონ მსგავსება და განსხვავება მათ შორის რომელ ვიდეოშია გამოყენებული მათთვის ნაცნობი მელოდია (ე. გრიგის „ანიტრას ცეკვა“)?

სატელევიზიო და ინტერნეტ-რეკლამებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მუსიკას, ისევე როგორც კომპიუტერულ თამაშებში. მათი შემქმნელები მუსიკალური გაფორმების სხვადასხვა ხერხსა და ფორმას იყენებენ:ილუსტრაციულს, კონტრასტულს, სიუჟეტურს, მუსიკალური ლაიტთემებისგან შემდგარი კოლაჟები განსაკუთრებულად ფერადოვანსა და ეფექტურს ხდის მათ.

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს LMMS-ის პროგრამაში შექმნან სარეკლამო რგოლები.

**აქტივობა 1**

აარჩიონ კომპიუტერული თამაშებიდან: „მარიო“, „აბზუ“, „ანრაველი“ – მუსიკალური ფრაზები; შექმნან მუსიკალური კომპოზიცია LMMS-ს პროგრამაში. შეადგინონ სარეკლამო ტექსტი კომპიუტერული თამაშებისთვის, გააფორმონ მუსიკალური კოლაჟით და შექმნან სარეკლამო რგოლი.

**აქტივობა 2**

მასწავლებელი სთავაზობს ბავშვებს, დაამზადონ რეკლამა სიმღერისათვის „Yellow Submarine“ და რეკლამისათვის გამოიყენონ ანიმაციური ფილმი, რომელიც წყალქვეშა ნავზეა გადაღებული.



**YELLOW SUBMARINE**

ტექსტი და მუსიკა:
**ჯონ ლენონისა და პოლ მაკარტნის**

In the town where I was born,
Lived a man who sailed to sea,
And he told us of his life,
In the land of submarines,

So we sailed on to the sun,
Till we found the sea green,
And we lived beneath the waves,
In our yellow submarine,

**მისამღერი:**
We all live in yellow submarine,
yellow submarine, yellow submarine,
We all live in yellow submarine,
yellow submarine, yellow submarine.

And our friends are all aboard,
Many more of them live next door,
And the band begins to play.

**მისამღერი:**
We all live in yellow submarine . . .

As we live a life of ease
Everyone of us has all we need,
Sky of blue, and sea green,
In our yellow submarine.

**მისამღერი:**



სიმღერა – “Yellow Submarine” _ „ყვითელი წყალქვეშა ნავი“ გამოყენებულია ამავე სახელწოდების ანიმაციურ ფილმში. სიმღერას ასრულებს „ბითლზის“ წევრი რინგო სტარი, რომელიც დასარტყამ საკრავზე უკრავდა.




**რინგო სტარი**

  

ბავშვები სანოტო ჩანაწერის მიხედვით ამოიცნობენ სიმღერას და მღერიან (იხ. დანართი).



ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲧᲝᲤᲐ
ᲗᲔᲛᲐ: ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲨᲘ

მოცემულ თემას მომდევნო თემამდე დაეთმობა 15 გაკვეთილი.

**სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:**

- როგორ შეუძლია მუსიკას გადმოსცეს ადამიანის ხასიათი?
- როგორ შეიძლება მუსიკის გამომსახველობითი ხერხების გამოყენება ადამიანის ხასიათის გადმოსაცემად?
- როგორ შეიძლება მუსიკალური პორტრეტის სხვადასხვა სიმბოლოთი ჩაწერა

**შედეგი:** მუს.დაწყ.(II).1, 2; მუს.დაწყ.(II).3. მუს.დაწყ.(II).4,5,6,7.

**მიზანი**: მოცემული მასალის საფუძველზე, მუსიკის გამომსახველი საშუალებების: მელოდია, ჰარმონია, რიტმი, კილო (მინორული, მაჟორული), ტემპი, ტემბრი – ხერხების გამოყენებით, ადამიანის ხასიათის, მისი მუსიკალური პორტრეტის შექმნა. სალაპარაკო და მუსიკალური ინტონაციის გააზრება და ურთიერთკავშირი. ინტონაციის როლი მუსიკალური პორტრეტის შექმნაში.

## 9 ᲘᲜᲢᲝᲜᲐᲪᲘᲐ

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

მუსიკაში გარკვეული შინაარსის, ამბის, მოვლენისა თუ სახის გადმოსაცემად სხვადასხვა გამომსახველი საშუალება, ანუ მუსიკალური ენის სხვადასხვა ელემენტი გამოიყენება. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს გაიხსენონ და დაასახელონ ისინი (მელოდია, რიტმი, ჰარმონია, კილო, ტემბრი, ტემპი და ა.შ.).

მუსიკაში მხატვრულ სახეს, ხასიათსა თუ პორტრეტს ყველაზე ზუსტად და უშუალოდ გამოხატავს ინტონაცია, კონკრეტულად კი – **მუსიკალური ინტონაცია.**

**ინტონაცია** ლათინური სიტყვაა და გარკვევით, ხმამაღლა წარმოთქმას ნიშნავს. ამ სიტყვაში ვგულისხმობთ გრძნობებითა და განცდებით აღსავსე გამომსახველ გამოთქმას, სიტყვას. მუსიკის ინტონაციები კი ადამიანის მეტყველებაზე ბევრად უფრო მრავალფეროვანი, მდიდარი, ღრმა და ფაქიზია. მუსიკალურ ინტონაციას შეუძლია გრძნობებისა და განცდების ისეთი ფაქიზი ელფერის გადმოცემა, როგორსაც სიტყვით ვერანაირად გადმოვცემთ. მუსიკალური ინტონაცია განსაზღვრავს მუსიკალური სახის ხასიათსა და შინაარსს. ინტონაცია სამი კომპონენტისაგან შედგება: ბგერის სიმაღლე, კილოური მხარე და რიტმული სურათი.

ტიპობრივი ინტონაციების ერთობლიობა ამა თუ იმ კომპოზიტორის შემოქმედებით სახესაც განსაზღვრავს და როგორც ასაფიევი ამბობდა, მის „ინტონაციურ ლექსიკონსაც“. მასვე ეკუთვნის ტერმინი „ეპოქის ინტონაციური ლექსიკონი“ – ამა თუ იმ ეპოქაში გავრცელებული ინტონაციების ერთობლიობა.

მუსიკალური ინტონაციების ბუნების საკითხებს და მათ ნათესაობას სამეტყველო ინტონაციებთან უძველესი დროიდან სწავლობდნენ მეცნიერები. საინტერესოა, რომ მეცნიერებაში გავრცელებული ერთ-ერთი მოსაზრებით, მუსიკა ადამიანის აღელვებული მეტყველების ინტონაციის საფუძველზე, სხავდასხვა ემოციისა და გრძნობის (სიხარულისა თუ მწუხარების) განცდისას, ხმის აწევ-დაწევისა თუ შენელება-აჩქარების პროცესში წარმოიშვა. ზოგიერთი მეცნიერის აზრით კი, მუსიკა ნადირ-ფრინველთა სასიყვარულო ძახილის მიბაძვით შეიქმნა. თუმცა, პირველყოფილი ადამიანის პრიმიტიული სიმღერაც კი უფრო მეტადაა მუსიკალური ხელოვნება, ვიდრე ფრინველთა

უცვლელი გალობა. ბულბული დღემდე ისევე გალობს, როგორც უწინ, ხოლო ადამიანის მუსიკალური შემოქმედება მუდმივად იცვლება და ვითარდება. მხოლოდ ადამიანს შეუძლია მუსიკის მეშვეობით გადმოსცეს მრავალფეროვანი განცდა, ემოცია, დამოკიდებულება გარე სამყაროსადმი. სწორედ ესაა ხელოვნების მთავარი თავისებურება.

სალაპარაკო და მუსიკალური ენის საერთო ღერძი ინტონაციაა. მათ აერთიანებს ჟანრებიც და ისეთი ინტონაციები, როგორიცაა: თბილი, ალერსიანი, სევდიანი, მწუხარე, დიდებული, საზეიმო. ისინი გვესმის როგორც ყოფით და ლიტერატურულ, ისე მუსიკალურ მეტყველებაშიც. მუსიკალური ინტონაციის გამომსახველობის წყალობით განვასხვავებთ ერთმანეთისაგან ხალხურ მუსიკას პროფესიულისგან, ქართულს – უცხოურისაგან, ძველებურს – თანამედროვესგან. მუსიკის ინტონაციური ბუნება გვაძლებს საშუალებას შევიგრძნოთ და განვასხვავოთ სხვადასხვა კომპოზიტორთა მუსიკალური ენის თავისებურებანი. მეორე მხრივ, ზოგჯერ მეტყველება ისე მუსიკალურად ჟღერს, ისე დამაჯერებელია მასში პაუზები, აქცენტები, ისე ზუსტადაა გამოკვეთილი მნიშვნელოვანი, საკვანძო სიტყვები, თითქოს სადაცაა მელოდიად იქცევაო.

**აქტივობა 1**

მასწავლებელი ბავშვებს სთავაზობს:

1. შეარჩიეთ რომელიმე ლექსი, წაიკითხეთ განწყობისა და ხასიათის შესაბამისად;
2. შეურჩიეთ რომელიმე კონკრეტულ ლექსს რომელიმე ინსტრუმენტული ნაწარმოები;
3. რომელ ლექსზე შეთხზავდი მელოდიას, სიმღერას?
4. აქციე სიტყვა მუსიკად: შეარჩიე შენი საყვარელი ლექსი და გახდი პატარა კომპოზიტორი.

   მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ლექსისთვის რამდენიმე მუსიკალურ პიესას: მაგ., კ. დებიუსის „მთვარის შუქი“, შოპენის ნოქტიურნი N1 და სხვ.

**შენიშვნა:** ამ ტიპის აქტივობები შეიძლება სხვადასხვა გაკვეთილზე იქნას გამოყენებული.

**აქტივობა 2**

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ფოტოებს და მიმართავს: დააკვირდით ფოტოებს, ამოიცანით ემოცია და გაახმოვანეთ ინტონაციურად.








**აქტივობა 3**

მასწავლებელი მიმართავს ბავშვებს: იმღერეთ სამი სახის ფა მაჟორი და მისი პარალელური რე მინორი. ამოარჩიეთ ბგერები, შექმენით მოტივი, ჩაწერეთ სანოტო რვეულში და სხვადასხვა ინტონაციით უმღერეთ კლასელებს.

**ფა მაჟორი**

ბუნებრივი



ჰარმონიული



მელოდიური



მერყევი ბგერების გადაწყვეტა მყარში



გადიდებული ინტერვალები და მათი გადაწყვეტა




**რე მინორი**

ბუნებრივი



ჰარმონიული



მელოდიური



მერყევი ბგერების გადაწყვეტა მყარში



გადიდებული ინტერვალები და მათი გადაწყვეტა



**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმღერონ სავარჯიშო, ამოიცნონ ინტერვალი, რომელიც ყველაზე ხშირად მეორდება. უპასუხონ შეკითხვას: რომელი კილო ისმის სავარჯიშოში აღმოსავლური თუ ჩინური პენტატონიკა?

ამის შემდეგ, იმღერონ სავარჯიშო სხვადასხვა განწყობით: 1. მხიარულად და ენერგიულად; 2. ლაღად და მღერადად.



**აქტივობა 2**
**ამოიცანი ადამიანთა ხმები**

მასწავლებელი სთავაზობს სხვადასხვა პროფესიის გამოჩენილ ადამიანთა ხმის ჩანაწერებს. ბავშვებ-მა უნდა მოუსმინონ და ისაუბრონ მათ ინტონაციაზე, საუბრის ტემპზე, მანერაზე.

**შენიშვნა:** თუ ბავშვებს ეს ხმები არასდროს მოუსმენიათ, მაშინ მასწავლებელი წინასწარ გააცნობს და შემდეგ ახალი თანმიმდევრობით შესთავაზებს. რის შემდეგაც, ბავშვები ამოიცნობენ ხმებს. მაგალითისთვის: გია ყანჩელი, ლევან წულაძე, ნანი ბრეგვაძე, სესილია თაყაიშვილი, კახი კავსაძე, ოთარ ტატიშვილი და სხვ.

ბავშვები ყურადღებით მოუსმენენ ცნობილი ადამიანების ხმებს, მათთან ინტერვიუების ფრაგმენ-ტებს. შემდეგ მათ დასახასიათებლად შეარჩევენ განსაზღვრებების წყვილს:

1. ა) მხიარული და ენერგიული; ბ) სევდიანი და მოდუნებული
2. ა) სათნო და ნაზი; ბ) ცბიერი და უხეში
3. ა) პოეტური და ემოციური; ბ) არაგულწრფელი და ცივი
4. ა) მგრძნობიარე და მღელვარე; ბ) ფუქსავატი და ზედაპირული
5. ა) იუმორით სავსე და კეთილი; ბ) მკაცრი და სერიოზული
6. ა) მოწოდებითი და მჭექარე; ბ) დაღლილი და სუსტი

აუდიოჩანაწერის მოსმენის შემდეგ, ამოიცნობენ გამოჩენილ ადამიანებს ხმების მიხედვით და მიუსადაგებენ ფოტოებს:



**გია ყანჩელი**



**ლევან წულაძე**



**სესილია თაყაიშვილი**



**ნანი ბრეგვაძე**



**კახი კავსაძე**



**ოთარ ტატიშვილი**

**აქტივობა 3**

თუკი ყურადღებით მოვუსმენთ ნებისმიერ საუბარს, შევამჩნევთ, რომ ჩვენი მეტყველება ერთ სიმაღლეზე როდი ჟღერს; შინაარსიდან და ხასიათიდან გამომდინარე იგი ხან მაღლდება, ხან კი დაბლდება. ამგვარად იცვლება ჩვენი მეტყველების, ანუ ჩვენი ლაპარაკის ინტონაცია.

სალაპარაკო ინტონაცია ესაა მეტყველების დროს ჩვენი ხმის ამაღლება ან დადაბლება.

ზოგიერთი ინტონაციის გადმოცემა წერის დროსაც შესაძლებელია და ამისთვის ვიყენებთ სხვადასხვა სასვენ ნიშანს: წერტილი, კითხვის ნიშნანი, ძახილის ნიშანი. აქედან გამომდინარე გვაქვს **სამეტყველო ინტონაციის 3 სახე:**

1. თხრობითი, მტკიცებითი – არის მშვიდი ინტონაცია და წერის დროს ვამთავრებთ მას წეტილით – ● **გათენდა.**
2. კითხვითი ინტონაცია – **?** **გათენდა?**
3. ძახილის ინტონაცია – **!** **გათენდა!**

**აქტივობა 4**

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს წარმოთქვან წინადადებები სამივე ინტონაციით:

ნიმუში აქტივობისთვის:

1. **„დავითი ისრაელთა გაერთიანებული სამეფოს დამაარსებელი და პირველი მეფე იყო“.**
2. ***„ოთარ თაქთაქიშვილის „მინდია“ პირველი ქართული ოპერაა, რომელშიც ღირსეული ასახვა ჰპოვა ვაჟა-ფშაველას პოეტურმა სახეებმა“.***

შემდგომ, ბავშვები, რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოებებიდან თავად შეარჩევენ რამდენიმე თხრობით წინადადებას და წაიკითხავენ 3 ტიპის ინტონაციით.

მასწავლებელი ეკითხება მათ: როგორ შეცვალა წინადადების შინაარსი განსხვავებული ინტონაციებით?

**აქტივობა 5**

ერთსა და იმავე წინადადებას მოსწავლეები ამჯერად წარმოთქვამენ **სხვადასხვა ხასიათის ინტონაციით:** მხიარულად, სევდიანად, მრისხანედ, ემოციურად და ა. შ. იმსჯელებენ, რამდენად შეიცვალა წინადადების შინაარსი განსხვავებული ხასიათის ინტონაციით წარმოთქმამ.

ნიმუში აქტივობისთვის:

1. **მანძილს ორ ბგერას შორის ინტერვალი ეწოდება.**
2. **„თბილისო, მზის და ვარდების მხარეო“.**

**აქტივობა 6**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ამოიცნონ „ემოციები“ და გაახმოვანონ. გრაფიკული ხაზით გამოხატონ ინტონაციების სიმაღლე.



ბავშვები ახმოვანებენ მოცემულ ნახატებს, ამ ხმებს გადააქცევენ სემპლებად და LMMS-ის პროგრამაში ქმნიან კომპოზიციებს – კოლაჟებს.

## 11 ინტონაციები დრამატულ და საოპერო თეატრში

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქვს თუ არა სიმაღლე ინტონაციას?**

**იზომება თუ არა ინტონაცია?**

დრამატულ თეატრში მსახიობები თავიანთ ტექსტებს გადმოგვცემენ სამეტყველო ინტონაციებით, რომელთა სიმაღლე ზუსტად არ განისაზღვრება. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე ფრაგმენტი თეატრალური სპექტაკლიდან, სადაც მსახიობები განსხვავებული ინტონაციებით წარმოთქვამენ ტექსტს. ოპერაში კი, მომღერალი იყენებს მუსიკალურ ინტონაციებს, რომლის სიმაღლე ზუსტადაა განსაზღვრული.

მთავარი განსხვავება მუსიკალურ და სალაპარაკო ინტონაციებს შორის ისაა, რომ მუსიკალური ინტონაციის ზუსტად განსაზღვრა შესაძლებელია. ამ ინტონაციის განსაზღვრა, უპირველეს ყოვლისა, ხდება ინტერვალებით. ბავშვები გაიხსენებენ, რა არის ინტერვალი და დაასახელებენ მათ.

> **ინტერვალი** მანძილია ორ სხვადასხვა სიმაღლის ბგერას შორის. სწორედ ინტერვალებით იზომება მუსიკალური ინტონაცია.

სიმღერის დროს მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ზუსტად და სუფთად გაიმღერონ ინტონაცია, ანუ ზუსტად გადავიდნენ ერთი ბგერიდან მეორეზე.

მასწავლებელი განმარტავს, რომ ინტონაცია არის ყველა მუსიკალური კანონის საფუძველი. ეს არის ყველაზე მთავარი, რითაც იწყება მუსიკა. სანამ ცალკეულ ბგერებს არ დავალაგებთ და არ ვაქცევთ სიტყვებად, ვერ მივიღებთ სალაპარაკო ენას. ასევე, სანამ ბგერები არ იქცევა მუსიკალურ ინტონაციებად, მანამდე არ შეიქმნება მუსიკაც. თუმცა, მუსიკის შესაქმნელად მხოლოდ ეს არ კმარა. საწყისი ინტონაციები უნდა გაგრძელდეს და განვითარდეს. მუსიკალური მასალის განვითარებისთვის კი უამრავი ხერხი არსებობს.

**აქტივობა 1**

1. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, თავად შეარჩიონ წინადადებები და სხვადასხვაგავარი ინტონაციით წაიკითხონ. შემდეგ კი ეს სამეტყველო ინტონაციები გაიმღერონ.
2. დაადგინონ, რა განსხვავებაა სალაპარაკო ინტონაციასა და მუსიკალურ ინტონაციას შორის.

ამის შემდეგ მასწავლებელი საუბრობს მხოლოდ მუსიკალურ ინტონაციაზე.

**აქტივობა 2**

1. იპოვონ მუსიკალურ ფრაგმენტებში გარკვეული ინტონაციები და ისინი ინტერვალით აღნიშნონ, რა ინტერვალზეა სვლა. მასწავლებელი მოსწავლეებს ასმენინებს მუსიკალურ ფრაგმენტებს ვერდის ოპერებიდან: „ტრავიატადან" – სუფრულს , „აიდადან" – ეგვიპტელთა მარშს. ასევე ფრაგმენტს ბეთჰოვენის მე-5 სიმფონიის I ნაწილიდან. ბავშვები უსმენენ მუსიკას, თვალს ადევნებენ სანოტო ჩანაწერს, ამოიცნობენ ინტერვალებს.

**აქტივობა 3**

მასწავლებელი აძლევს დავალებას:

1. მოსწავლეებმა მოძებნონ სხვადასხვა მუსიკალურ ნაწარმოებში ინტონაციები და აღნიშნონ, რა ინტერვალზეა სვლა.
2. შეადგინონ სხვადასხვა მუსიკალური ინტონაციებიდან რაიმე მცირე მელოდია და შეეცადონ ჩაწერონ ისინი ნოტებით.
3. შექმნან საკუთარი მუსიკალური ინტონაცია და ჩაწერონ.

ბავშვები მოისმენენ მუსიკას და ამოცნობენ საწყის ინტერვალებს, რაც განსაზრვრავს კიდეც ნაწარმოების ხასიათს.







ლ.ვ. ბეთჰოვენი






სცენა ოპერიდან „აიდა“



სცენა ოპერიდან „ტრავიატა“






ჯ. ვერდი

## 12 ინტონაცია ხალხურ მუსიკაში

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

განუმეორებელი თავისებურება აქვს ხალხური სიმღერის ყველა ჟანრს. ესაა დამახასიათებელი ინტონაციები, რიტმი, კილოური შეფერილობა, ფორმა, შესრულების მანერა, რისი მიხედვითაც განვასხვავებთ ერთმანეთისაგან იავნანასა და შრომის სიმღერას, საფერხულოსა და ლირიკულის და ა.შ.

**აქტივობა 1**

მასწავლებელი შეარჩევს რამდენიმე ქართულ ხალხურ სიმღერას. მაგალითად, „მამლი მუხასა“, „მოდი ვნახოთ ვენახი“, „კირია ლესა“, „შინა ვორგილ“, „ახ ლაზარე, ლაზარე“, „მუმლი მუხასა“, „ჭონა“, „ჩონგური“ და სხვ. სთხოვს ბავშვებს, სხვადასხვა ინტონაციით წაიკითხონ მათი ტექსტები:

1. მხიარულად;
2. ენერგიულად;
3. მგრძნობიარედ;
4. გაბმულად, ლირიკულად;
5. მტკიცედ;
6. მღერადად;
7. იდუმალებით;
8. შეპარვით.

სვამს შეკითხვას, სიმღერის ხასიათიდან გამომდინარე როგორ იცვლება ინტონაცია.

ბავშვები გრაფიკული ხაზით ან პიქტოგრამით გამოხატავენ ინტონაციებს.

**აქტივობა 2**

წარმოდგენილი სიმღერებიდან შეარჩევენ ერთ-ერთს და იმღერებენ შესაბამისი ხასიათით.

ჩონგური

**მეგრული სიმღერა**

ასე ჩონგური ქოვთქუათუ-ნა,
სქანი დო ჩქიმი გაჭირება-და.
ვოუ ნანა, დიდავოი ნანა, დიდავოი ნანა-და
ჩონგურ სი მუ შეგილებუ-და,
ვეგიგადვე განჩინება-და.
ვოუ ნანა, დიდავოი ნანა, დიდავოი ნანა-და

დუდი ოყვილარი მაფუ-და
საქმექ თეში გინმართუ-და.
ვოუ ნანა, დიდავოი ნანა, დიდავოი ნანა-და.
უბედური ჩქიმი დუსუ-და,
ირფელ ჭუა ჩქიმდა მურსუ-და.
ვოუ ნანა, დიდავოი ნანა, დიდავოი ნანა-და.



**საქართველოს რომელი კუთხის საკრავია ფანდური? ჩონგური?**

**რამდენი სიმი აქვს ფანდურს? ჩონგურს?**

**აქტივობა 3.**

**გაიმღერე და გაამოიცანი, რა სიმღერაა**



## „წინწყაროს“ მგალობელი შაშვი

**ეს საინტერესოა:**

1975 წ., ესპანეთი, ქალაქი ვიგო. ხანგრძლივი გასტროლისა და კონცერტების შემდეგ ანსამბლი რუსთავი მორიგი კონცერტისათვის ემზადებოდა.

აი, რას იხსენებს ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი: „ვიგო ლამაზი ზღვისპირა ქალაქია. სცენა მოწყობილი იყო ულამაზეს დიდ პარკში, ღია ცის ქვეშ. კულისები და უკანა ფარდა გაეკეთებინათ სუროსა და ზეთისხილის რტოებისგან, ხოლო უზარმაზარი სცენა ჩაფლული იყო პალმებსა და ჭადრებში, რომელთა ტოტებზე დამაგრებული იყო ხმის დიდი გამაძლიერებლები. კონცერტის დაწყების წინ, შაშვმა გალობა დაიწყო, რამაც „ჩვენი საკონცერტო დარბაზი“ კიდევ უფრო ეგზოტიკური გახადა. მერე შაშვის გალობა შეწყდა და ტყის იდუმალი სიჩუმე ჩამოწვა. ეს შთაბეჭდილება გაძლიერდა, როცა ჰამლეტ გონაშვილმა „წინწყარო“ წამოიწყო, მას შაშვი „გამოეხმაურა“ გალობით, თითქოს ხმას უწყობსო ჩვენს მგალობელს. ეს ფაქტი იმდენად მომხიბლავი იყო, რომ ანსამბლის წევრებს გაუჭირდათ სიმღერა. მათ არ სურდათ, დაერღვიათ ეს დიდებული დუეტი. კონცერტს 16 000 მაყურებელი ესწრებოდა და სულგანაბული ადევნებდა თვალყურს ამ საკვირველ სანახაობას“.



ანსამბლი „რუსთავი“



ჰამლეტ გონაშვილი

**ქართული ხალხური სიმღერა „წინწყარო“.**

სიმღერის მოსმენის შემდეგ, მასწავლებელი ბავშვებს გაახსენებს ადამიანის სასიმღერო ხმების დასახელებებს.

მამაკაცთა ხმები, სიმაღლის მიხედვით, სამ ჯგუფად იყოფა:

1. **ტენორი** – მაღალი ხმა;
2. **ბარიტონი** – საშუალო ხმა;
3. **ბანი** – დაბალი ხმა.

მასწავლებელი სვამს კითხვას, რომელ ჯგუფს მიაკუთვნებდით ჰამლეტ გონაშვილის ხმას?

„მუსიკა და ჩვენი ყოფის“ ერთ-ერთ გაკვეთილზე მასწავლებელი სთავაზობს ბავშვებს ინტერვიუს ელისო ვირსალაძესთან.

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა1**

ამ გაკვეთილზე მასწავლებელი საუბრობს ქართულ პროფესიულ მუსიკაში პოეტური და მუსიკალური ინტონაციების ურთიერთკავშირზე და სთავაზობს მოსწავლეებს ფრაგმენტებს ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებიდან: ა) ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი", კიაზოს მიმართვა ხალხისადმი და თავისუფლების სცენა; ბ) ნ. სულხანიშვილის აკაპელა „გუთნური".

შევთავაზოთ ლიტერატურული ტექსტი ლიბრეტოდან და შემდეგ გავაჟღეროთ მუსიკალური ფრაგმენტი – ანუ როგორ გადმოსცემენ კომპოზიტორები ამ ტექსტებს მუსიკით.




**სცენები ოპერიდან „დაისი"**

**კიაზოს მიმართვა ხალხისადი და თავისუფლების სცენა „დაისიდან"**
**(II მოქმედება)**

თავდაპირველად მიიღეთ
ჩემი გულწრფელი სალამი,
ღმერთმა გიკურთხოთ მარჯვენა
მაღლა გეჭიროთ ალამი.
მტერსა ურჯულოს, თავხედსა
გადმოულახავს ზარია,
გაუთელია ჯეჯილი
დაუწვავს ეზო-კარია.
ნუ დავთმობთ თავისუფლებას
ჩვენი ცოცხალის თავითა,
აღდგება ხალხი გულადი
თავის ძლიერი მკლავითა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მოითხოვს ჩვენსა დიადსა,
და ჩვენი მკლავით შევმუსრავთ
კარზე მომდგარსა წყვდიადსა.
შევხვდეთ და შევირაზმოთ
ვაჟკაცის სულის ვალადი,
მოგვქონდეს დროშა ფერადი
აბჯარი რკინა-ფოლადი.
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა,
სიკვდილი სახელოვანი".



**ზაქარია ფალიაშვილი**

მოსწავლეებმა უნდა ალმოაჩინონ ამ ფრაგმენტში საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი და მუსიკა.

**აქტივობა 2**

მოსწავლეები კითხულობენ ილია ჭავჭავაძის ლექსს, უსმენენ ნიკო სულხანიშვილის გუნდს „გუთნური“ და მსჯელობენ, როგორაა ასახული ლექსის შინაარსი, ხასიათი და განწყობა მუსიკაში. სალაპარაკო და მუსიკალური ინტონაციების დასახასიათებლად იყენებენ სიტყვებს: სიხარული, მწუხარება, სევდა, თანაგრძნობა, სიმშვიდე, აღტაცება და ა.შ.

**აქტივობა 3**

მოსწავლეები მოისმენენ მეგრულ სიმღერას „ჩელა“ (იხ. დანართი), სადაც მეურმე თავის დარდსა და ფიქრებს უზიარებს ხარებს – ჩელას, მუსკას. შემდეგ ადარებენ ერთმანეთს ორ სიმღერას „გუთნურსა„ და „ჩელას“, აღნიშნავენ მსგავსებასა და განსხვავებას.

## გუთნის დედა

**ი. ჭავჭავაძე**

„გადი-გამოდი, გუთანო, ღირღიტავ, ბანი უთხარო“.

ერთს ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ,
წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ.
ერთგულად ვჭიმოთ ჭაპანი ჩვენი,
უსიხარულოდ დავლიოთ დღენი,
ბელტი ბელტზედა გადმოვაწვინოთ
და შრომის ოფლი მიწას ვაწვიმოთ.
ნუ დამიღონდი!.. შენი უღელი
ჩემს უღელზედა არ არის ძნელი:
მეც შენებრ მიწას დავყურებ თვალით,
რადგანაც ზეცა წამართვეს ძალით;
შენებრ მეც მელის მიწა ვით მსხვერპლსა,
სიკვდილის შემდეგ დასავიწყელსა.
შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?!.
ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება...



ნიკო სულხანიშვილი



ილია ჭავჭავაძე

## ჩელა

მეგრული ხალხური სიმღერა

აშო ჩელა, ვიშო მუსკა,
ოუ, ნანა, სკანი ცოდა, ნანინა.
სი მონობაშ გეგაფილი,
ოუ, ნანა, სკანი ცოდა, ნანინა.

მისამღერი:
ო, ოუ ნანა, ნანა
ოუ ნანა, სკანი ცოდა, ნანინა.

სი უჩონჩხე, სი უგურე,
ოუ, ნანა, სკანი ცოდა, ნანინა.
სი კისერი ელაფირი.
ოუ, ნანა, სკანი ცოდა, ნანინა.

მისამღერი:
ო, ოუ ნანა, ნანა...

## 15 მინდია

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მოსწავლეები მღერიან სამი სახის რე მაჟორს და მისი პარალელურ სი მინორს. მასწავლებელი სთავაზობს, ამ ტონალობებში გამოიგონონ მელოდიები, რომლითაც სხვადასხვა პორტრეტს დაახასიათებენ.

რე მაჟორი

ბუნებრივი



ჰარმონიული



მელოდიური



მერყევი ბგერების გადაწყვეტა მყარში



გადიდებული ინტერვალები და მათი გადაწყვეტა




სი მინორი

ბუნებრივი



ჰარმონიული



მელოდიური



მერყევი ბგერების გადაწყვეტა მყარში



გადიდებული ინტერვალები და მათი გადაწყვეტა



ოთარ თაქთაქიშვილის **„მინდია“** პირველი ქართული ოპერაა, რომელშიც ღირსეული ასახვა ჰპოვა ვაჟა-ფშაველას პოეტურმა სახეებმა.

...დიდი ხნის განშორების შემდეგ სამშობლოში ბრუნდება მინდია, რომელმაც დიდი გამოცდილება მიიღო წლების მანძილზე. დაბრუნებისას შეიტყობს, რომ მისი საცოლის დაცვისას ჩალხიასთან ორთაბძოლაში დაეღუპა ძმა. ტრადიციების მიხედვით, ახლა მინდიამ უნდა იძიოს შური. მინდია თავდაპირველად უარს ამბობს სისხლის აღებაზე, მაგრამ თანასოფლელთა დაჟინებით, იძულებული ხდება უღალატოს საკუთარ პრინციპებს, საკუთარ თავს. ბოლოს და ბოლოს, იგი კლავს ჩალხიას, რითაც იცავს ადათ-წესებს, მაგრამ არღვევს ბუნების კანონს. ბუნებაც ზურგს აქცევს მინდიას. სასოწარკვეთილი მინდია თავს იკლავს. ახლაღა ხვდებიან თანამემულენი მინდიას კეთილშობილებას.ოპერა მთავრდება ეპიკური, ამაღლებული ხასიათის საგუნდო სცენით, რომელშიც ნაწარმოების დედააზრია გადმოცემული. ეს დედააზრი კი ავტორთა მიერ ასეა განსაზღვრული: „არავის აქვს უფლება ხელყოს ადამიანის სიცოცხლე, თუ ის განსაცდელს არ უმზადებს სამშობლოს“.

**აქტივობა 2**

მასწავლებელი მიმართავს ბავშვებს:

1. წაიკითხეთ ვაჟა-ფშაველას ლექსი „ღამე მთაში“.
2. მოისმინეთ სამი ფრაგმენტი ოპერიდან „მინდია“:
   ოპერის პროლოგი – ლექსს კითხულობს გურამ საღარაძე.
   მინდიას არია პირველი მოქმედებიდან.
   დასკვნითი გუნდი ოპერის ეპილოგიდან.

ბავშვები ისმენენ და მსჯელობენ, რა მსგავსება და განსხვავებაა ამ ფრაგმენტებს შორის. ახასიათებენ თითოეულ მათგანს.

ღამე მთაში **(ფრაგმენტი)**

ხევი მთას ჰმონებს, მთა – ხევსა,
წყალნი – ტყეს, ტყენი – მდინარეთ,
ყვავილნი – მიწას და მიწა –
თავის აღზრდილთა მცინარეთ
და მე ხომ ყველას მონა ვარ,
პირზედ ოფლ-გადამდინარედ!
ეხლა ცა წყნარობს... სოფელსაც
გულწყნარად დაეძინება.



ვაჟა-ფშაველა



ოთარ თაქთაქიშვილი

**აქტივობა 3**

ღამე მთაში **(ფრაგმენტი)**

დაღამდა... წვრილნი ვარსკვლავნი
აყვავდენ, დასხდენ ცაზედა;
მთვარე კი ჯერ არსადა სჩანს,
არ დაგვნათოის თავზედა...

ბავშები კითხულობენ ამ კუპლეტს და შემდეგ ცდილობენ, ლექსი აქციონ სიმღერად, ანუ მოუძებნონ შესაფერისი მუსიკალური ინტონაციები.



**სცენა სპექტაკლიდან „მინდია“**

**აქტივობა 4**

ამ გაკვეთილის ფარგლებში, მოისმენენ და შეისწავლიან გ. ბზვანელის სიმღერა „სამშობლოს“ და შეასრულებენ მოსწავლის წიგნში მოცემულ დავალებას (იხ. მოსწავლის წიგნი. გვ.34).

# 16-17 მუსიკალური პორტრეტი. „სურათები გამოფენიდან“

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიომასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მოსწავლეები იმღერებენ ბუნებრივ დო მაჟორს, ქრომატიულ გამა დო მაჟორს და დო ბგერიდან აგებულ პენტატონიკას. გამოთქვამენ აზრს, რომელ წყობასა თუ კილოში შექმნიდნენ მელოდიას, რომელიც ჩინური შენობების, პაგოდების სურათს შეეფერება.

ბუნებრივი



ქრომატიული გამა დო მაჟორი



პენტატონიკა





**პაგოდა**

**აქტივობა 2**



**მოდესტ მუსორგსკი**



**ვიქტორ ჰარტმანი**

განსაკუთრებით დიდია ინტონაციის როლი მუსიკალური დახასიათების, პორტრეტის შესაქმნელად. – რა არის პორტრეტი? ეს ადამიანის, მისი სახის გამოხატვაა.

მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს მ. მუსორგსკის საფორტეპიანო სიუიტას **„სურათები გამოფენიდან“**, რამოდენიმე პიესას: ჯუჯა, ორი ებრაელი, ტიულირიის ბაღი, ლიმოჟის ბაზრობა, გამოუჩეკავი წიწილების ბალეტი, კუდიანი დედაბერი.

ბავშვები ისმენენ მუსიკას და მათი ხასიათიდან გამომდინარე განსაზღვრავენ:

1. აღნიშნული პიესებიდან, რომელია მუსიკალური პორტრეტი?
2. როგორაა დახასიათებული თითოეული პერსონაჟი? მხიარული, სევდიანი, ენერგიული, მტკიცე, ძლიერი, სუსტი, სასტიკი, უხეში, კეთილი, მშვიდი, მშფოთვარე და ა.შ. განსაზღვრავენ, რომელია მათგან ზღაპრული და რომელი – რეალური, ყოფითი სახე.
3. გამომსახველობის რა საშუალებებს იყენებს კომპოზიტორი მოცემული ამა თუ იმ პერსონაჟის

დასახასიათებლად? როგორი ხასიათისაა მელოდია – გაბმული, მღერადი თუ რეჩიტატიული? როგორია ტემპი – ნელი, ზომიერი თუ ჩქარი? როგორია მისი კილო – მაჟორი ჭარბობს თუ მინორი?

4. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს მოცემული მუსიკალური პორტრეტები სხვადასხვა გრაფიკული სიმბოლოთი ჩაწერონ.
5. დასახელებული მუსიკალურ-გამომსახველი საშუალებების მიხედვით წარმოიდგინონ ეს მუსიკალური პორტრეტები. დახატონ მათ წარმოდგენაში წარმოსახული პორტრეტები, წარმოიდგინონ, როგორი სახის ნაკვთები აქვთ, მოხუცია თუ ახალგაზრდა, ლამაზია თუ მახინჯი, კეთილი თუ ბოროტი, როგორი მზერა აქვს და ა.შ.



**გამოფენაზე**

მასწავლებელი ბავშვებს სთავაზობს იგივე საფორტეპიანო პიესებს, ამჯერად, მ. რაველის გაორკესტრებით. ბავშვები ისმენენ და ადარებენ ორიგინალს.



**ორი ებრაელი: მდიდარი და ღარიბი**



**გამოუჩეკავი წიწილები**

მუსორგსკიმ თავისი უდროოდ გარდაცვლილი მეგობრის, ნიჭიერი მხატვრისა და არქიტექტორის, ვ.ჰარტმანის ნამუშევრების მიხედვით შექმნა ათი ვირტუოზული, სახასიათო პიესა, რომელთაც აერთიანებთ „გასეირნების თემა“. პიესებს შორის ვხვდებით სცენებს როგორც რეალური ცხოვრებიდან, ისე ზღაპრულ სახეებს, წარსულის სურათებსა და არქიტექტურულ პროექტს. მუსორგსკიმ გაამდიდრა საფორტეპიანო მუსიკა ვოკალური, სამეტყველო და სასიმღერო ინტონაციებით. სასიმღერო ტიპის მელოდია გვხვდება პიესებში: „გასეირნება“, „გოლიათური კარიბჭე“, „ძველი სასახლე“, „ბიდლო“ (მძიმე ურემი). სამეტყველო ინტონაციებით კი „ორი ებრაელის“ პერსონაჟები ხასიათდებიან. ამგვარი ინტონაციები გვხვდება „ჯუჯაშსა“ და „ტიულირიის ბაღშიც“. ცხოვრების ნათელი და ზღაპრული მხარეები ასახულია სკერცოზულ პიესებში: „ტიულირიის ბაღი“, „ლიმოჟის ბაზრობა“ და „გამოუჩეკავი წიწილების ბალეტი“.

## 18 ამოიცანი მუსიკალური პორტრეტი

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიომასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მოსწავლეები მღერიან სამი სახის სი ბემოლ მაჟორს და მის პარალელურ რე მინორს. მასწავლებელი სთავაზობს, ამ ტონალობებში გამოიგონონ მელოდიები, რომლითაც სხვადასხვა პორტრეტს დახატავენ.

**სი ბემოლ მაჟორი**

ბუნებრივი



ჰარმონიული



მელოდიური



მერყევი ბგერების გადაწყვეტა მყარში






**სოლ მინორი**

ბუნებრივი



ჰარმონიული



მელოდიური



მერყევი ბგერების გადაწყვეტა მყარში







სცენა ს. პროკოფიევის
ბალეტიდან „რომეო და ჯულიეტა“

**აქტივობა 2**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ, ნაცნობი მუსიკალური ნაწარმოებები, რომლებ-შიც შეიძლება იყოს დახატული მუსიკალური სახე-პორტრეტი. დააკვირდნენ ფოტოებს, რომლებიც დაეხმარებათ მათ გახსენებაში.

შემდეგ მოისმენენ სხვადასხვა მუსიკალურ ფრაგმენტს და მიუსადაგებენ ფოტოებს. განსაზ-ღვრავენ:

1. რომელია მათგან რეალური და რომელი ზღაპრული სახე.
2. როგორი ინტონაციებით არიან დახასიათებულნი ეს გმირები? როგორია მათი მელოდია, რიტმი, ტემპი, რომელ რეგისტრში ჟღერს ესა თუ ის თემა?
3. თუ პიესა საორკესტროა, რომელ საკრავს იყენებს კომპოზიტორი ამა თუ იმ სახის შესაქმნელად?

იხსენებენ, რა არის ჰარმონია და ტემბრი.

**აქტივობა 3**

მასწავლებელი შეარჩევს რამდენიმე პიესას მუსიკალური პორტრეტისთვის:

1. ანიტრას ცეკვა – ე. გრიგის საორკესტრო სიუიტიდან „პერ გიუნტი“
2. ჯულიეტა-გოგონა – პროკოფიევის ბალეტიდან „რომეო და ჯულიეტა“
3. პეტიასა და ბაბუას თემები – პროკოფიევის სიმფონიური ზღაპრიდან „პეტია და მგელი“.



რომეო და ჯულიეტა



ანიტრას ცეკვა



პეტია და მგელი

ბავშვები ისმენენ მუსიკას და მიუსადაგებენ ფოტოებს.

# 19-20 ავე მარია

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

ღვთისმშობლის სახე ზეციურ, ამაღლებულ სამყაროსთან არის დაკავშირებული, იგი ადამიანებში მშვენიერებასა და მარადიულ გრძნობებს აღვიძებს.

სხვადასხვა ეპოქის ხელოვნებაში პოეტები, კომპოზიტორები, მხატვრები თავიანთ ქმნილებებში ღვთისმშობლის მარადიულ, წმინდა და კეთილ სახეს ასახავენ. ამ სხვადასხვა ნაწარმოებებს აერთიანებთ გულწრფელობა, სინათლე, სიყვარული, ღვთისმშობლისადმი მოწიწება და მუხლმოდრეკა.

**აქტივობა 1**

ბავშვები ყურადღებით ისმენენ რამდენიმე მუსიკალურ ნაწარმოებს, რომლებიც ღვთისმშობელს ეძღვნება:

მუსიკის მოსმენისას ყურადღებას ამახვილებენ ნაწარმოების ხასიათზე და თუ როგორ ეთანხმება მელოდიის მღერადობა და თანაბარზომიერი რიტმი ლექსის ხასიათს.

1. ქართული საგალობელი „შენ ხარ ვენახი";
2. კაჩინი. „ავე მარია";
3. ბახ-გუნო. „ავე მარია;
4. შუბერტი. „ავე მარია".

ბავშვები მსჯელობენ, რა აქვთ საერთო ამ სიმღერებს. დასახასიათებლად აირჩევენ განსაზღვრებებს: სადღესასწაულო, მშვიდი, უშფოთველი, მღელვარე, მთთოლვარე, სიხარული, სიყვარული, სინაზე, ამაღლებული, უსასრულობა.

**აქტივობა 2**

1. მოსწავლეები აკვირდებიან ღვთისმშობლის განსხვავებულ ფოტოებს და თითოეულს შესაბამის მუსიკას მიუსადაგებენ (ქართული და უცხოური).
2. იხსენებენ და კლასში წაიკითხავენ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ რომელიმე ლექსს შესაბამისი ინტონაციით.



**რაფაელი. „მადონა ჩვილით"**



**რაფაელი. „სიქსტის მადონა"**



**ხატი „შენ ხარ ვენახი"**

**Ave Maria!**

Gratia plena Maria,
gratia plena,
maria gratia plena,
ave, ave Maria!
dominus,
dominus tecum.
benedicta tu in mulieribus
et benedictus,
et benedictus,
fructus ventris,
ventris tui, Jesus.



**რაფაელი. „მადონა ჩვილით“**

Ave Maria (ლათინურად – გიხაროდენ მარიამ) ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი საგალობელია.



ფ. შუბერტი

„ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა! კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის, და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშევ სულთა ჩვენთა“

შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ამ ტექსტზე ძალიან ბევრი მუსიკალური ნაწარმოები აქვთ დაწერილი სხვადასხვა დროის ცნობილ ევროპელ კომპოზიტორებს. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ულამაზესი „ავე მარია“ კი ეკუთვნის რომანტიკული მუსიკის თვალსაჩინო წარმომადგენელს, ავსტრიელ კომპოზიტორს, ფრანც შუბერტს (1797-1828 წწ.). თავდაპირველად კომპოზიტორმა ამ მელოდიას ინგლისელი პოეტის, ვალტერ სკოტის პოემის „ტბის ქალწულის“ გერმანული თარგმანის ერთი ეპიზოდი დაუდო საფუძვლად. თუმცა, საბოლოოდ, სიმღერაში ლოცვის ტექსტი დამკვიდრდა. შუბერტი 28 წლის იყო ეს პატარა შედევრი რომ შექმნა და სამი წლის შემდეგ მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა. მან უზარმაზარი მუსიკალური მემკვიდრეობა დაუტოვა მომავალ თაობებს. მათი უმრავლესობის შესრულებასა და აღიარებას თავად კომპოზიტორი ვერ მოესწრო. მხოლოდ შუბერტის სიკვდილის შემდეგ გახდა პოპულარული მისი სიმფონიები, საგუნდო და ინსტრუმენტული მუსიკა და, რაც მთავარია, სიმღერები, რომელთა რაოდენობა რამდენიმე ასეულს აღწევს.

**აქტივობა 3**

მოსწავლეები უსმენენ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ საგალობელს „შენ ხარ ვენახი“ და შუბერტის სიმღერას „ავე მარია“ და თვალს ადევნებენ სანოტო ჩანაწერს (იხ. დანართი).

# 21-22 კარნავალი

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი მიმართავს კლასს: მუსიკალური ბგერების ჩაწერა შესაძლებელია როგორც ნოტებით, ასევე ასოებით. პირველი ოქტავის ნოტები შემდეგნაირად აღინიშნება – $c_1$, $d_1$, $e_1$, $f_1$, $g_1$, $a_1$, $h_1$.



$c_1$ $d_1$ $e_1$ $f_1$ $g_1$ $a_1$ $h_1$ $c_2$

ბგერის ნახევარი ტონით ამაღლების ნიშანს ♯ ამ სისტემით შეესაბამება შემდეგი აღნიშვნა:

♯ = is

ბგერის ნახევარი ტონით დადაბლების ნიშანს ♭ ამ სისტემით შეესაბამება შემდეგი აღნიშვნა:

♭ = es

ბგერების აღმნიშვნელ ხმოვნებთან ♯ და ♭ ჩაწერის დროს ხმოვანი იკვეცება. მაგალითად, მი ბემოლი აღინიშნება es და არა ees.

მასწავლებელი ამღერებს ბავშვებს გამა დო მაჟორს ასოების დასახელებით. შემდეგ მოსწავლეები ამოარჩევენ ბგერების აღმნიშვნელ ასოებს, შექმნიან სხვადასხვა პორტრეტის დამახასიათებელ მოტივს და ჩაწერენ.

მოსწავლეები მღერიან კანონს, სადაც გამოყენებულია ნოტების ასოებრივი აღნიშვნა.

## C–a–f–f–e–e






**მუსიკალური პორტრეტები** პირველად მე-18 საუკუნის ფრანგმა კომპოზიტორებმა „დაგვიხატეს“. ამაზე მეტყველებს მათი საკლავესინო პიესების დასახელებები; მაგ., ფრანსუა კუპერენის „ფლორენციელი ქალი“, „და მონიკი“, „იდუმალი ქალი“ და სხვ. ფლორენციელ ქალს კუპერენი სწრაფი იტალიური ცეკვა „ტარანტელათი“ ახასიათებს, „და მონიკში“ კი კომპოზიტორი გოგონას მხიარულ სახეს ხატავს.

მკაფიოდ, ნათლად და განსაკუთრებით ფერადოვნად არის გამოხატულია პორტრეტები XIX საუკუნის გერმანელი კმოპოზიტორის რობერტ შუმანის საფორტეპიანო სიუიტა **„კარნავალში“**.

იგი კომპოზიტორის საფორტეპიანო შემოქმედების მწვერვალია. აღსანიშნავია, რომ კომპოზიტორმა მას უწოდა „მინიატურული სცენები 4 მუსიკალურ ბგერაზე: AEsCH. „კარნავალი“ არის მუსიკალური პორტრეტების ერთგვარი გამოფენა. აქ, როგორც სცენაზე, ჩაივლიან სხვადასხვა ნიღბიანი პერსონაჟები. საზეიმო მსვლელობის ყოველი მონაწილე წარმოგვიდგება არა მარტო გარეგნული იერით, არამედ კომპოზიტორი მუსიკით გადმოგვცემს მათ სულიერ სამყაროს. კარნავალი 20 პიესისგან შედგება იწყება შესავლით, პრეამბულით, რომელიც საზეიმო, სადღესასწაულო ხასიათისაა. მსმენელის წინაშე წარსდგებიან კარნავალის მონაწილე ტრადიციული ნიღბები: ტლანქი, მოწყენილი პიერო, მოქნილი და მხიარული არლეკინი, პრანჭია კოლომბინა და პანტალონე, მათ მოსდევენ ფანტასტიკური ნიღბები: მოცეკვავე ასოები, პეპლები აქვე ჩნდებიან შუმანის ორეულები – ევზებიუსი და ფლორესტანი (ეს ორი სახელი – მისი ლიტერატურული ფსევდონიმებია. შუმანი ხშირად თავის სტატიებს ამ გმირების სახელებით აქვეყნებდა). შემდეგ შუმანის მეგობრები: კლარა ვიკი, რომელიც სიუიტაში შესულია „კიარინას“ სახელით და ერნესტინა ფონ ფრიკენი – „ესტრელას“ სახელით. მათ მოსდევენ შოპენი, პაგანინი. მუსიკალური პორტრეტების გარდა სიუიტაში უხვადაა ვალსები, რომლის ფონზე ჩაივლიან „კარნავალის“ პერსონაჟები. „კარნავალს“ აგვირგვინებს „დავითსბუნდლერების მარში“. კომპოზიტორმა ერთმანეთს დაუპირისპირა ფილისტერები და დავითსბიუნდლერები. ამ პიესისთვის შუმანმა გამოიყენა XVII საუკუნის გერმანული ხალხური ცეკვა „ბაბუა“. ცნობილია, რომ ბიბლიური დავითი ებრძოდა ებრაელთა მტრებს – ფილისტიმელებს. ამ სიტყვიდან წარმოდგება „ფილისტერები“, რომელშიც შუმანი გულისხმობდა მდარე გემოვნების გონებაშეზღუდულ ადამიანებს.

**აქტივობა 2**

მრავალფეროვანი პიესებიდან შევარჩიოთ რამდენიმე წყვილი და შევადაროთ ისინი:

1. „პიერო“ და „არლეკინი“
2. „შოპენი“ და „პაგანინი“
3. „კიარინა“ და „ესტრელა“.

🔊 ბავშვები ისმენენ შუმანის „კარნავალიდან“ პიესებს: პიერო, არლეკინი, შოპენი, პაგანინი, კიარინა, ესტრელა.

მასწავლებელი სვამს კითხვებს:

1. თქვენი აზრით, რა ნიშნით დავაჯგუფეთ „კარნავალის“ ეს პერსონაჟები?
2. რა აქვთ საერთო კიარინასა და ესტრელას?

უპირველეს ყოვლისა, ეს რომანტიკული სახეებია და მათ კომპოზიტორი ერთი და იმავე საცეკვაო ფორმით – ვალსით ახასიათებს. თუმცა, ეს ვალსები განსხვავებული ხასიათისაა. „კიარინას“ ნიღბის ქვეშ კომპოზიტორის მეუღლე, ცნობილი პიანისტი კლარა ვიკი იგულისხმება. ახალგაზრდა გოგონას სახეს გვიხატავს პიესა „ესტრელა“.

მოსწავლეები ადარებენ ქალთა ამ სახეებს. აღნიშნავენ, რა განსხვავებაა მათ შორის. იყენებენ განსაზღვრებებს: თავშეკავებული, მგრძნობიარე, პოეტური, ცეცხლოვანი, შთაგონებული, ფეთქებადი, გარეგნულად ბრწყინვალე, ემოციური, მგზნებარე.

3. ვინ არიან პიერო და არლეკინი? შეადარეთ ისინი ერთმანეთს და მოიფიქრეთ განსაზღვრებები მათ დასახასიათებლად.
4. როგორია ორი მუსიკოსის – პაგანინისა და შოპენის მუსიკალური პორტრეტები? გამომსახველობის რა ხერხებს მიმართავს შუმანი?

**აქტივობა 3**

ასევე ისმენენ ფ. შოპენის ნოქტიურნს №2 და ნ. პაგანინის კაპრისს №24. შემდეგ ადარებენ ამ პიესებს შუმანის პიესებს: „შოპენი“ და „პაგანინი“ – საფორტეპიანო სიუიტა „კარნავალიდან“.


**კიარინა**



**პიერო და კოლომბინა**



**პიერო და არლეკინი**


**ესტრელა**

ლეონ ბაქსტის ესკიზები მიხეილ ფოკინის ბალეტისთვის „კარნავალი“, რომელიც შუმანის მუსიკაზეა დადგმული.










ფრედერიკ შოპენი



ნიკოლო პაგანინი



ერნესტინა ფონ ფრიკენი – „ესტრელა“



კლარა ვიკი – „კიარინა“

**აქტივობა 4**

მასწავლებელი ბავშვებს აძლევს დავალებას: გადაწერონ მოცემული ტექსტი და გაიმღერონ ოქტავით ქვევით.

### სიმღერა

**რობერტ შუმანი**



**ეს საინტერესოა:**

რობერტ შუმანი ბავშვობიდან ოცნებობდა, ცნობილი პიანისტი გამხდარიყო. იგი ენერგიას არ იშურებდა, ძალიან ბევრს მეცადინეობდა, საათობით უკრავდა, ასრულებდა ურთულეს ტექნიკურ პასაჟებს, სავარჯიშოებს ფორტეპიანოზე. მაგრამ მარჯვენა ხელზე ფიზიკური ტრავმა მიიღო და, სამწუხაროდ, ვერ აისრულა ბავშვობის ოცნება. სამაგიეროდ, ფორტეპიანო მისთვის ყველაზე საყვარელი საკრავი გახდა. ამ საკრავისთვის მას მრავალი ნაწარმოები აქვს დაწერილი. საფორტეპიანო მუსიკის მეშვეობით იგი გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას მეგობრების, ბავშვების, ცხოვრების, ბოროტებისა თუ სიკეთისადმი. შუმანი ფორტეპიანოსთან იყო დაკავშირებული მთელი სიცოცხლის მანძილზე და მას უზიარებდა თავის ფიქრებს, ოცნებებს, შთაბეჭდილებებს. კლარა ვიკსა და რობერტ შუმანს 8 შვილი ჰყავდათ და არაა გასაკვირი, რომ რობერტი მათთვისაც წერდა საბავშვო პიესებს, რომელთა შორისაა: „საბავშვო სცენები“, „ალბომი ახალგაზრდებისთვის“. ბავშვები ჩვენს დროშიც ხშირად ასრულებენ შუმანის პიესა „მამაც მხედარს“, რომელიც სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა რეპერტუარშია შეტანილი.

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს „მამაცი მხედრის“ მოსმენას და მის სანოტო ჩანაწერს, რომელსაც ბავშვები თვალყურს ადევნებენ.

# 23 რობერტ შუმანი – შემაჯამებელი გაკვეთილი

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

ბავშვები ისმენენ შუმანის სხვადასხვა ნაწარმოებებს, რის შემდეგაც მასწავლებელი სთხოვს შეადგინონ მუსიკალური ქუდი და მოაწყონ პრეზენტაცია თემაზე, **„რობერტ შუმანი“**.



**რობერტ შუმანი**

რობერტ შუმანი რომანტიკოსი კომპოზიტორია. იგი იყო არა მარტო კომპოზიტორი, არამედ პიანისტი, პედაგოგი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, ფილოსოფოსი. 1840 წელს ლაიფციგის უნივერსიტეტმა შუმანს ფილოსოფიის დოქტორის წოდება მიანიჭა.

რობერტ შუმანი დაიბადა 1810 წლის 8 ივნისს, გერმანიის ქალაქ ცვიკაუში, წიგნის გამომცემლის ოჯახში. მამამისი, ავგუსტ შუმანი, აფასებდა შვილის მუსიკალურ ნიჭს და ცდილობდა, მისთვის ხელი შეეწყო. ის თავად ჩავიდა დრეზდენში კომპოზიტორ კარლ მარია ვებერთან და სთხოვა, მისი შვილი ემეცადინებინა კომპოზიციაში, მაგრამ ვებერი მალე ლონდონში გაემგზავრა და ეს ურთიერთობა არ შედგა. რობერტმა 7 წლის ასაკიდან დაიწყო მუსიკალური ნაწარმოებების შეთხზვა. ამავე დროს მშვენივრად დაეუფლა ფორტეპიანოზე დაკვრას. მუსიკის გარდა მას აინტერესებდა ისტორია, განსაკუთრებით ძველბერძნული მითები, ლეგენდები, ტრაგედიები. ასევე ლიტერატურა – შილერის, ბაირონის, ჰაინეს პოეზია, რომელთა ლექსებზე მომავალში შექმნა კიდეც საუკეთესო ვოკალური ნაწარმოებები.

რობერტი სწავლობდა ცვიკაუს გიმნაზიაში. იგი სერიოზულად გაიტაცა ფილოლოგიამ, წერდა ლიტერატურულ სტატიებს, დაამუშავა ლათინური ლექსიკონი, რომელიც მამამისის, ავგუსტ შუმანის გამომცემლობაში გამოიცა. ლიტერატურამ იმდენად გაიტაცა რობერტი, რომ ის დიდხანს ფიქრობდა, მომავალში მუსიკოსი გამოსულიყო, თუ ლიტერატორი და პუბლიცისტი. მამის სიკვდილის შემდეგ, 1828 წელს, შუმანი ლაიფციგის უნივერსიტეტში იწყებს სწავლას. დედას სურდა, რობერტი იურისტი გამხდარიყო და ლაიფციგის უნივერსიტეტიდან ის გადადის ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში. მაგრამ რობერტი გრძნობდა, რომ მუსიკა მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხდებოდა. მან გადაწყვიტა, პიანისტი გამხდარიყო. 1830 წელს შუმანმა განახორციელა თავისი ოცნება, დაბრუნდა ლაიფციგში და დაიწყო მეცადინეობა ფრიდრიხ ვიკთან, რომელიც ფორტეპიანოს პედაგოგი და კარგი მუსიკოსი იყო.

მიუნხენში ყოფნისას შუმანმა გაიცნო გერმანელი პოეტი ჰაინრიხ ჰაინე. 1830 წელს მან პირველად მოუსმინა იმ დროის უდიდეს მევიოლინესა და კომპოზიტორს, ნიკოლო პაგანინის, რომლის ხელოვნებამ ახალგაზრდა მუსიკოსზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. მან გულმოდგინე მეცადინეობა დაიწყო ფორტეპიანოზე დაკვრაში, მაგრამ სერიოზულად დაიზიანა ხელი, რის გამოც სამუდამოდ გამოეთხოვა ვირტუოზი შემსრულებლის კარიერას. სამაგიეროდ, 1832 წლიდან მთლიანად კომპოზიციის შესწავლით დაკავდა. მეცადინეობა დაიწყო ჰ. დორნთან. ამ დროისთვის იქმნება მისი საფორტეპიანო ნაწარმოებები: „პეპლები“, „ვარიაციები აბეგის თემაზე“, „სიმფონიური ეტიუდები“, „კარნავალი“, „ფანტასტიკური პიესები“, „კრეისლერიანა“. 1834 წელს შუმანმა თავის მეგობრებთან ერთად დააარსა „ახალი მუსიკალური ჟურნალი“, სადაც აქვეყნებდა სტატიებსა და კორესპონდენციებს მუსიკასა და ლიტერატურაზე, საერთოდ, ხელოვნებაზე. წერდა სტატიებს გამოჩენილ კომპოზიტორებზე: ბახზე, მოცარტზე, ბეთჰოვენზე, ბერლიოზზე, შოპენზე, ლისტზე. შუმანმა ხელი შეუწყო ბახის მუსიკალური ნაწარმოებების შესწავლასა და პოპულარიზაციას. მანვე

ალმოაჩინა ფრანც შუბერტის სიმფონია დო მაჟორი, რომელის ხელნაწერსაც შუბერტის ძმასთან მიაგნო. „ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ჩემს ცხოვრებაში“ – ასე შეაფასა მან ეს აღმოჩენა.

1839 წელს ლაიფციგში შონფელდის ეკლესიაში შუმანმა ჯვარი დაიწერა თავისი მასწავლებლის, ფრიდრიხ ვიკის ქალიშვილზე, კლარა ვიკზე, რომელსაც ბავშვობიდან იცნობდა. კლარა ვიკი შესანიშნავი პიანისტი იყო. შუმანი ყოველთვის ესწრებოდა კლარა ვიკის კონცერტებს, როგორც ლაიფციგში, ასევე გასტროლებზე, სადაც ისინი ერთად მიემგზავრებოდნენ. ამ კონცერტებზე კლარა ვიკი ხშირად ასრულებდა შუმანის საფორტეპიანო ნაწარმოებებს.

ამ პერიოდში დაწერა მან 140 სიმღერა, საფორტეპიანო ნაწარმოებები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „კარნავალი“. 1840-43 წლებში შუმანი ცნობილი გერმანელი კომპოზიტორის, ფელიქს მენდელსონის მიწვევით ლაიფციგის კონსერვატორიაში ასწავლიდა.

1844 წელს შუმანი კლარა ვიკთან ერთად გაემგზავრა პეტერბურგსა და მოსკოვში, სადაც მას დიდი პატივისცემითა და სიყვარულით შეხვდნენ. მოგზაურობიდან დაბრუნებული შუმანების ოჯახი ლაიფციგიდან დრეზდენში გადავიდა საცხოვრებლად. დრეზდენში კომპოზიტორი ავად გახდა. ექიმები უძლურნი აღმოჩნდნენ მისი ავადმყოფობის წინაშე. რობერტ შუმანი გარდაიცვალა 1856 წლის 28 ივლისს. დასაფლავებულია ქ. ბონში.



რობერტ შუმანის ხელნაწერი



შუმანის როიალი

## მელოდია

**რობერტ შუმანი**



**აქტივობა 2**

ბავშვები უსმენენ რ. შუმანის ორ პიესას საფორტეპიანო ციკლიდან „კარნავალი“: „პრეამბულას“ და „დავითსბუნდლერთა მარშს“. ბავშვები ადარებენ მათ ერთმანეთს და მსჯელობენ ნაწარმოების ხასიათზე, განწყობაზე, რიტმსა და ჟანრზე.

ბავშვები უყურებენ ვიდეოს რ. შუმანის „კარნავალი“ – ერთმოქმედებიანი ბალეტი მ. ფოკინის ქორეოგრაფიით.

„შეიძლება დამაჯერებლად ითქვას, – წერდა პ. ი. ჩაიკოვსკი, – რომ მიმდინარე საუკუნის მეორე ნახევრის მუსიკა შეადგენს მომავალი ხელოვნების ისტორიის პერიოდს, რომელსაც მომდევნო თაობები შუმანისეულს უწოდებენ“. რობერტ შუმანი მუსიკალური რომანტიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელია. იგი მენდელსონთან და შოპენთან ერთად რომანტიკოსთა მეორე თაობას მიეკუთვნება. შუმანი XIX საუკუნის გერმანული კულტურის მოწინავე, პროგრესული იდეების მატარებელი ხელოვანია. ამავე დროს, ის, როგორც რომანტიკოსი მუსიკოსი, აღსავსეა წინააღმდეგობით, მტკივნეულად განიცდის ცხოვრებასთან კონფლიქტს და ხშირად სულიერ შვებას ეძებს საკუთარი ფანტაზიით შექმნილ სამყაროში. შუმანი გაორებული ბუნების ხელოვანია. ერთი მხრივ, ის წარმოგვიდგება, როგორც ბობოქარი სულის ხელოვანი, რომელიც თავისი გაბედულებით გმობს მეშჩანობას, სიყალბეს. ამით წააგავს თანამედროვე პოეტებსა და მუსიკოსებს: ჰაინეს, ბაირონს, ჰიუგოს, ბერლიოზსა და ვაგნერს. მეორეს მხრივ, შუმანი წარმოგვიდგება მეოცნებე, პოეტური ბუნების პასიურ ხელოვნად. ეს საპირისპირო საწყისები შუმანმა განსაზღვრა შემდეგნაირად: ბობოქარი და მგზნებარე დაკავშირებულია „ფლორესტანთან“, პასიური – „ევზებიუსთან“. ეს საწყისები შუმანის შემოქმედების დამახასიათებელი მხატვრული სახეებია. ამავე დროს, ფლორესტანი და ევზებიუსი შუმანის ლიტერატურული ფსევდონიმებიცაა. ამ სახელებით ის აქვეყნებდა კორესპონდენციებს ჟურნალ-გაზეთებში. ეს სახეები კომპოზიტორმა შექმნა ჟან პოლის რომან „ონავრული წლების“ გმირების, ტყუპი ძმების – ვულტისა და ვალტის ზეგავლენით.

სხვა რომანტიკოსების მსგავსად, შუმანის შემოქმედება ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. მის მუსიკას ახასიათებს ალსარების მომენტები. შუმანს იზიდავდა არა მარტო ადამიანის ფსიქოლოგიური სამყარო, არამედ ბუნების პოეტური სურათები, ხალხური ყოფის სცენები. უაღრესად თვითმყოფია შუმანის სტილი, მისი მუსიკალური ენა, რიტმი, ჰარმონია, ფორმა. ის წარმოგვიდგება, როგორც ბრწყინვალე ნოველისტი, მუსიკოსი-პორტრეტისტი. საფორტეპიანო მუსიკა შუმანისთვის ყველაზე ახლობელია. ფორტეპიანოს გზით ის გამოხატავს თავის დამოკიდებულებას სინამდვილესთან, ცხოვრებასთან. ამ საკრავთან შუმანი დაკავშირებული იყო მთელი სიცოცხლის განმავლობაში და მას უზიარებდა თავის ფიქრებს, ოცნებებს, შთაბეჭდილებებს. შუმანი შოპენთან ერთად გვევლინება რომანტიკული საფორტეპიანო მუსიკის ახალი სტილის დამამკვიდრებლად, რომლის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი იმპროვიზაციულობაა. იმპროვიზაციის გზით შუმანი გამოსახავს მუსიკალურ პორტრეტებსა და შთაბეჭდილებებს. იმპროვიზაციაა მისი ნოვატორობის სათავე. მან საფორტეპიანო შემოქმედებაში გამოიყენა ისეთი ფორმები, რომლებიც დიდ გასაქანს აძლევდა იმპროვიზაციულობას: სიუიტა, ვარიაცია, რონდო. შუმანის შემოქმედების მკვლევარი ჟიტომირსკი ამ ფორმებს უწოდებს „სიუიტას გამჭოლი განვითარებით“. ამ ფორმის საფუძველია ვარიაციის სამი სახეობა:

I – მკაცრი ვარიაციები ანუ კლასიკური სტილის ვარიაციულობა, როცა თემა ინარჩუნებს ინტონაციურ და ჰარმონიულ სქემას.

II ნაირსახეობას ეწოდება „თავისუფალი ვარიაციები“. ამ დროს ნაწარმოებში მთავარი თემა არ გამოიკვეთება. ამ პრინციპზეა აგებული საფორტეპიანო სიუიტა „კარნავალი“ (1834-35 წწ.).

III – „ვარიაციები თემის გარეშე“. ამ დროს ციკლის სხვადასხვა ვარიაცია მხოლოდ უახლოვდება ერთმანეთს, ახალი სახეები იბადება არა ძველის საფუძველზე, არამედ ასოციაციის გზით. ამის თვალსაჩინო მაგალითია „კრეისლერიანა“ (1838 წ.).

როგორც აღვნიშნეთ, „კარნავალი“ აგებულია თავისუფალი ვარიაციების პრინციპზე. თავად კომპოზიტორმა „კარნავალს“ უწოდა „მინიატურული სცენები ოთხ მუსიკალურ ბგერაზე: AEsCH, ანუ ლა, მი-ბემოლ, დო, სი“. ეს ბგერები სხვადასხვა კომბინაციით შესულია „კარნავალის“

პიესებში, რომლებიც თემატურად სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისგან. აღნიშნული ასოები ჩეხური ქალაქის – აშის (A,s,CH) სახელიცაა, სადაც ცხოვრობდა შუმანის სატრფო, ერნესტინა ფონ ფრიკენი. გარდა ამისა, ასოები SCH თვით კომპოზიტორის გვარის Schuman პირველი ბგერის გამომსახველია გერმანულად.

ამ თემებთან დაკავშირებით, მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს კლასს, შუბერტის ცნობილი სიმღერა „კალმახი“.

რობერტ შუმანის უფროსი თანამედროვე იყო ავსტრიელი კომპოზიტორი, **ფრანც შუბერტი**, რომანტიკული მუსიკის ფუძემდებელი. იგი 600-ზე მეტი სიმღერის ავტორია. თავისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სიმღერა „კალმახი“ შუბერტმა დაწერა ახლო მეგობრის, გერმანელი პოეტის – ქრისტიან შუბარტის ლექსზე. კომპოზიტორის მეგობრების მოგონებებიდან ცნობილია, რომ ეს სიმღერა შექმნისთანავე პოპულარული გახდა და აღიარეს, რომ იგი „შუბერტის ერთ-ერთი ყველაზე გრაციოზული და ნაზი ნაწარმოებია“. სიმღერაში ასახულია მზის სხივებით განათებულ წყაროს წყალში მოლივლივე კალმახი, რომელიც ბოლოს მეთევზის ანკესზე წამოეგება. სიმღერის ვოკალური მელოდია მოქნილი და მოძრავია, ვერცხლისწყალივით სწრაფი და ბროლივით წკრიალა აკომპანემენტი კი გამჭვირვალე წყაროს რაკრაკსა და წყლის ჩქაფუნს გამოხატავს.

ამ სიმღერის მელოდია შუბერტმა მოგვიანებით გამოიყენა თავის საფორტეპიანო კვინტეტში (იხ. დანართი).

## შუბერტის „კალმახი“
## Forelle

ტექსტი: **ქ. შუბარტის**
მუსიკა: **ფ. შუბერტის**



**ქრისტიან შუბარტი**

In einem Bächlein helle,
Da schoß in froher Eil
Die launische Forelle
Vorüber wie ein Pfeil.
Ich stand an dem Gestade
Und sah in süßer Ruh
Des muntern Fischleins Bade
Im klaren Bächlein zu.
Ein Fischer mit der Rute
Wohl an dem Ufer stand,
Und sah's mit kaltem Blute,
Wie sich das Fischlein wand.
So lang dem Wasser Helle,
So dacht ich, nicht gebricht,
So fängt er die Forelle
Mit seiner Angel nicht.



**ფრანც შუბერტი**

მუსიკა და კინო

თემა: მუსიკის როლი ხმოვან კინოში

მოცემულ თემას დაეთმობა 8 გაკვეთილი.

**სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:**

- რა ფუნქციებს ასრულებს მუსიკა ხმოვან კინოში?
- როგორ შეიძლება კინომუსიკის გამომსახველობითი ხერხების გამოყენება პერსონაჟების შინაგანი განცდების გადმოსაცემად?

**შედეგი:** მუს.დაწყ.(II).1, 2; მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;

**მიზანი**: კონტრასტული მუსიკალური თემების, რიტმული კონტრასტისგაცნობა-გააზრება. როგორ შეიძლება კინომუსიკის გამომსახველობითი ხერხების გამოყენება პერსონაჟების შინაგანი განცდების გადმოსაცემად.

## 24-25 მუსიკა კინოში – შესავალი

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი უხსნის ბავშვებს, როგორ ჩაწერონ დაბალი რეგისტრის ბგერები. გააცნობს ბანის გასაღებში ჩაწერილ ნოტებს. გაიხსენებენ, რა არის რეგისტრი და რამდენ ოქტავად იყოფა ფორტეპიანოს კლავიატურა.




სთხოვს, ბანის გასაღებში ჩაწერონ მოტივი და იმსჯელონ, ფილმის რომელი პერსონაჟის მოტივი შეიძლება იყოს, მამაკაცის თუ ქალის.

მოსწავლეები დააკვირდებიან მოცემულ ნახატს. ამოიცნობენ ბანის გასაღებში ჩაწერილ ნოტებს და გაიხსენებენ ნოტების ასოებრივ აღნიშვნას.



მუსიკალურ-თეატრალურ ნაწარმოებებს – ოპერასა და ბალეტს საფუძვლად უდევს ლიბრეტო. თეატრალური სპექტაკლიც და ფილმებიც ლიბრეტოს მსგავს ლიტერატურულ საფუძვლებზე, სცენარებზეა აგებული. ამავე დროს, დრამატული სპექტაკლი, მხატვრული, დოკუმენტური თუ მულტიპლიკაციური ფილმი, ტელე თუ რადიოგადაცემა თითქმის არ იქმნება მუსიკის გარეშე. გავიხსენოთ ე. გრიგის სიუიტა „პერ გიუნტი", შექმნილი ჰ. იბსენის დრამატული სპექტაკლისთვის; ასევე რ. როჯერსის მიუზიკლი „მუსიკის ჰანგები", რომელმაც მეორე სიცოცხლე ფილმით მოიპოვა...

მუსიკა თეატრში, კინოსა თუ ტელევიზიაში სხვადასხვა როლსა და ფუნქციას ასრულებს; ის შეიძლება წამყვანი და მთავარი იყოს, ან მოქმედების ილუსტრაციას ახდენდეს, გვიხსნიდეს ფილმისა თუ სპექტაკლის შინაარსს, გადმოგვცემდეს ამა თუ იმ პერსონაჟის განწყობასა და ემოციურ მდგომარეობას...




ჩარლი ჩაპლინი –კადრები მუნჯი კინოდან

კინემატოგრაფიის გარიჟრაჟზე, როცა კინო მუნჯი იყო, ფილმებს ყოველთვის თან ახლდა მუსიკა, რომელსაც ფილმის ჩვენებისას ასრულებდნენ იქვე, კინოდარბაზში მყოფი პიანისტი აკომპანიატორები, ე.წ. „ტაპერები". ისინი იყვნენ ახალგაზრდა კომპოზიტორები, მუსიკოსები, სტუდენტები. მუსიკა მაყურებელს ეხმარებოდა უფრო ღრმად განეცადა ის, რაც ეკრანზე ხდებოდა. „ტაპერები" უკრავდნენ პოპულარულ პიესებს და საკუთარ იმპროვიზაციასაც. მთავარი იყო, მუსიკას ეკრანზე ნანახის შინაარსი გადმოეცა. თურმე, ცნობილი კომპოზიტორი დიმიტრი შოსტაკოვიჩიც ხშირად ყოფილა ტაპერი.

იმის გამო, რომ ყველა მუსიკოსს არ შეეძლო ცვალებადი კინოკადრის შესაბამისი მუსიკა შეესრულებინა, ტაპერთა დასახმარებლად შეიქმნა სპეციალური ალბომი-სახელმძღვანელოები, რომლებშიც სხვადასხვა სახის, უპირველეს ყოვლისა, თავმოყრილი იყო საყოფაცხოვრებო ტიპის მუსიკა: რომანსები, სიმღერები, ცეკვები, მარშები, ფრაგმენტები კლასიკური ნაწარმოებებიდან.

1895 წლის 18 დეკემბერს, პარიზში, კაპუცინების ბულვარზე, „გრანდ კაფეში" შედგა მსოფლიოში პირველი კინოსეანსი, რომელიც წარმოადგინეს ძმებმა ლუმიერებმა,კინემატოგრაფიის ფუძემდებლებმა.



ძმები ლუმიერები



კადრი ძმები ლუმიერების ფილმიდან „მატარებელი"

1912 წელს, პირველმა ქართველმა რეჟისორმა, ვასილ ამაშუკელმა, გადაიღო პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, ხოლო 1916-1918 წლებში ალექსანდრე წუწუნავამ – პირველი ქართული მხატვრული ფილმი „ქრისტინე“. ეს მუნჯი ფილმები იყო და მათ ჩვენებას თან ახლდა მუსიკა.




**კადრები ფილმიდან „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“**

1929 წლისთვის აშშ-ში გადაიღეს ხმოვანი ფილმებიც. 1931 წელს ეკრანზე გამოვიდა პირველი ხმოვანი საბჭოთა ფილმიც – „ცხოვრების საგზური“, დ. შოსტაკოვიჩის მუსიკით. შოსტაკოვიჩს ეკუთვნის მუსიკა ქართველი რეჟისორის, მ. ჭიაურელის, ცნობილი ფილმისთვის „ბერლინის დაცემა“ (1950 წ.). პირველი ხმოვანი ფილმებისთვის ბევრი სიმღერა დაიწერა, რომლებიც მალე ძალიან პოპულარული გახდა და ხალხი დღესაც სიამოვნებით მღერის მათ. თანდათან ფილმებში ინსტრუმენტული მუსიკაც აჟღერდა.

ზოგჯერ მუსიკა „კადრს მიღმაც ჟღერს“. იგი ემოციურად ალამაზებს სიუჟეტს. მუსიკა გადმოსცემს გმირის აზრებსა და გრძნობებს. თანამედროვე კინოფილმებს ელექტრონული და კომპიუტერული მუსიკითაც აფორმებენ.

**აქტივობა 2**

ბავშვები უყურებენ ფრაგმენტებს ქართული მუნჯი ფილმიდან „ჩემი ბებია“ და განსაზღვრავენ მუსიკალური გაფორმების სახეს.




**კადრი ფილმებიდან „ჩემი ბებია“**

**ლექსიკონი:**

**საუნდტრეკი** – სპეციალურად ფილმისთვის დაწერილი მუსიკა. კომპოზიტორს ფილმისთვის ირჩევს რეჟისორი. იგი წყვეტს, როგორი უნდა იყოს მუსიკა ამა თუ იმ სცენაში. კომპოზიტორი ჯერ უყურებს ფილმს, აკვირდება სცენებსა და კადრებს, განსაზღვრავს მათ ხანგრძლივობას და მხოლოდ ამის შემდეგ წერს მუსიკას ფილმისათვის.

**რეჟისორი** – კინოფილმის ან ტელე თუ რადიოგადაცემის დამდგმელი, რომელიც ხელმძღვანელობს შემოქმედებით პროცესს და მუშაობს მსახიობებთან, დამდგმელ ოპერატორთან, მხატვრთან, კომპოზიტორთან ერთად.

**პროდიუსერი** (ინგლ. producer) — კინოსტუდიის მეპატრონე, რომელიც ხანდახან თავადაც დგამს ფილმებს.

# ყვითელი ფოთლები

მუსიკა კინოფილმიდან „მიმინო“

კომპოზიტორი: გ. ყანჩელი






**აქტივობა 3**

გ. ყანჩელი, „ყვითელი ფოთლები“.

ბავშვები ისმენენ მუსიკას და თვალს ადევნებენ სანოტო ჩანაწერს. მასწავლებელი სთხოვს, მოიფიქრონ, როგორი ხასიათის კინოკადრს შეეფერება იგი.

შესაძლებელია თუ არა ამ მუსიკით გაფორმდეს მხიარული სიუჟეტი?

შესაძლებელია თუ არა ამ მუსიკაზე ცეკვა?

**ლექსიკონი:**

**მუსიკალური პროდიუსერი** (ინგლ. record producer) — პირი, რომელიც პასუხისმგებელია ხმის ჩაწერის პროცესზე და ხარისხზე. იგი არჩევს რეპერტუარს, ადგენს პროექტებს, იქნება ეს ალბომი, სიმღერა, რადიოგადაცემა თუ სხვა. პროდიუსერი თავად ირჩევს ხმის რეჟისორებს, ასისტენტებს, მემონტაჟეებს. თავისი პროდიუსერები ჰყავს მსხვილ სტუდიებსაც. ზოგჯერ მუსიკოსები თავად ირჩევენ პროდიუსერებს.

**ხმის ოპერატორი, რეჟისორი** ფლობს გახმოვანების ტექნიკას და ტექნოლოგიებს, სხვადასხვა აუდიოსისტემასა და პროგრამებს. შეუძლია იმუშაოს კინოსტუდიაში, თეატრში, ტელევიზიაში და ა.შ.

# ყვითელი ფოთლები

მუსიკა კინოფილმიდან „მიმინო“

**მუსიკა: გია ყანჩელის**

**ტექსტი: პეტრე გრუზინსკის**

ყვითელი ფოთლები
თან მიაქვს ქარს,
დააყრის ფიფქებად
შენ სახლის კარს.

გეძახი, არავინ
არა მცემს ხმას,
ყვითელი ფოთლები
სიჩუმეს ჰგავს.

და მაინც ყვითელი
ფოთლების მწამს,
ყვითელი ფოთლები
სიჩუმეს ჰგავს.

**გაიმღერე და ამოიცანი, რა სიმღერაა?**





გია ყანჩელი




ქართველი კომპოზიტორი გია ყანჩელი თანამედროვე მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია. მის მუსიკას მსოფლიოს უდიდეს საკონცერტო დარბაზებში წარმატებით ასრულებენ ცნობილი ორკესტრები, აღიარებული შემსრულებლები. სხვადასხვა ქვეყანაში ტარდება საერთაშორისო ფესტივალები, რომლებიც ქართველი კომპოზიტორის შემოქმედებისადმია მიძღვნილი.

გასული საუკუნის 90-იან წლებამდე ყანჩელის შემოქმედებაში სიმფონიურ მუსიკას ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ამ ჟანრმა მოუტანა მას საერთაშორისო აღიარება. ფართო საზოგადოების სიყვარული და პოპულარობა კი ქართველ კომპოზიტორს თეატრალურმა და კინომუსიკამ მოუპოვა. აღსანიშნავია: შვიდი სიმფონია, ოპერა „და არს მუსიკა“, „სტიქსი“, მუსიკა ფილმებისათვის: „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „შერეკილები“, „ცისფერი მთები“, „რეკორდი“, „როცა აყვავდა ნუში“, „მიმინო“, „არ იდარდო“; მუსიკა ცნობილი რეჟისორის, რობერტ სტურუას მიერ რუსთაველის სახელობის თეატრში დადგმული სპექტაკლებისათვის: „ხანუმა“, „კავკასიური ცარცის წრე“, „რიჩარდ III“, „მეფე ლირი“ და სხვა.

# შერეკილები

კომპოზიტორი: გ. ყანჩელი




**აქტივობა 4**

🔊 გ.ყანჩელი, მუსიკა კინოფილმიდან „შერეკილები“.

ბავშვები ისმენენ მუსიკას და თვალს ადევნებენ სანოტო ჩანაწერს. მასწავლებელი სთხოვს, მოიფიქრონ, როგორი ხასიათის კინოკადრს მიესადაგება იგი;

შესაძლებელია თუ არა, ამ მუსიკით გაფორმდეს მხიარული სიუჟეტი?

შესაძლებელია თუ არა ამ მუსიკაზე ცეკვა?

## 26-27 ამოიცანი ნაცნობი საუნდტრეკები – 1

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიომასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

### აქტივობა 1

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ამოიცნონ ბანის გასაღებში ჩაწერილი გამები და იმღერონ ოქტავით ზემოთ, პარალელურად ტაშით გამოხატონ რიტმული სურათი.

**დო მაჟორი**




**ლა მინორი**



**აქტივობა 2**

მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს 4 აუდიოჩანაწერს; საუნდტრეკებს მათთვის ნაცნობი და საყვარელი ფილმებიდან: „მარტო სახლში“, „ადამიანი-ობობა“, „სუპერმენი“, „ჰარი პოტერი“ და სთხოვს, ამოიცნონ და დაასახელონ ეს საუნდტრეკები. შემდგომ, ბავშვები უყურებენ ვიდეოფრაგმენტებს დასახელებული ფილმებიდან.

როგორც ვიცით, პირობითი გაფორმების ორი სახე არსებობს: ილუსტრაციული და კონტრასტული. კინემატოგრაფიაში რეჟისორები კონტრასტულ გაფორმებას კონტრაპუნქტს უწოდებენ. მუსიკალური კონტრაპუნქტის მსგავსად, კინემატოგრაფიაშიც კადრში, სადაც კონტრასტული მუსიკალური გაფორმებაა, ხდება სხვადსხვა მოქმედება და მათ განსხვავებული, კონტრასტული და დამოუკიდებელი მუსიკალური ნაწყვეტები ადევს. მასწავლებელი კითხვებით აჯამებს ბავშვების შთაბეჭდილებებსა და მოსაზრებებს:

1. როგორი ხასიათისაა თითოეული საუნდტრეკი?
2. რომელია პირობითი მუსიკალური გაფორმება?
3. რომელია სიუჟეტური გაფორმება?
4. არის თუ არა ამ ფრაგმენტებში კონტრასტული გაფორმება?
5. არის თუ არა ისეთი მუსიკალური გაფორმება, რომელიც აღწერს ბუნების პეიზაჟსა და განწყობას?

მასწავლებელი ავალებს ბავშვებს, მოიფიქრონ სიუჟეტი და შექმნან კონტრასტული გაფორმების ნიმუში: მხიარულ მოქმედებას მიუსადაგონ სევდიანი მუსიკა და პირიქით, შიშისმომგვრელ სიუჟეტს – მხიარული მუსიკა.



ადამიანი ობობა



ჰარი პოტერი



სუპერმენი



მარტო სახლში

## 28 ამოიცანი ნაცნობი საუნდტრეკები – 2

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიომასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ამოიცნონ ბანის გასაღებში ჩაწერილი გამები და იმღერონ ოქტავით ზემოთ, პარალელურად ტაშით გამოხატონ რიტმული სურათი.

**სოლ მაჟორი**




**მი მინორი**



**აქტივობა 2**

მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს ხუთ ვიდეოფრაგმენტს ქართული მხატვრული ფილმებიდან: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „ნატვრის ხე“, „უძინართა მზე“, „ფეოლა“, „ღიმილის ბიჭები“. სთხოვს ბავშვებს, ამოიცნონ ეს ფილმები, დაასახელონ მუსიკალური გაფორმების რა სახეები და ხერხებია გამოყენებული ამ ნაწყვეტებში. ბავშვები პასუხობენ კითხვებს:

1. რომელ ფრაგმენტშია მუსიკალური გაფორმება ილუსტრაციული?
2. რომელია მუსიკალური გაფორმება კადრს მიღმა?
3. სად გვიხატავს მუსიკა ბუნების სურათს?
4. არის თუ არა ამ ფილმებში გამოყენებული გმირების ლაიტთემები?

ლაიტთემების დახმარებით ბავშვები ამოიცნობენ პერსონაჟთა ხასიათს.

**კადრები ფილმებიდან**



**ფეოლა**



**ღიმილის ბიჭები**



**მე, ბებია, ილიკო და ილარიონი**



**ნატვრის ხე**



**უძინართა მზე**

რას ნიშნავს **მუსიკალური გაფორმება „კადრს მიღმა“**?

მაგალითად; ფილმის გმირი მიდის ქუჩაში, ასრულებს სხვადასხვა მოქმედებას, ამ დროს კადრს მიღმა ისმის სხვადასხვა მუსიკა: სიმღერა სახლიდან, გამვლელის ღიღინი, კაფედან გამოსული მუსიკა, ქუჩის მუსიკოსების სიმღერა და დაკვრა... ასეთი კადრები შეგიძლიათ ნახოთ ფილმებში: „იყო შაშვი მგალობელი“, „არასერიოზული კაცი“, „გიორგობისთვე“...

## 29 განასხვავე მუნჯი და ხმოვანი კინო

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ამოიცნონ ბანის გასაღებში ჩაწერილი გამები და იმღერონ ოქტავით ზემოთ. რიტმული სურათი გამოხატონ ტაშით.

**ფა მაჟორი**




**რე მინორი**




**აქტივობა 2**

მასწავლებელი ბავშვებს უჩვენებს ვიდეოფრაგმენტებს მუნჯი და ხმოვანი მხატვრული ფილმებიდან: „ქოლგა“, „ქორწილი“, „ლაზარე“, სადაც ბუნების სურათის გასაფორმებლად გამოყენებულია კ. დებიუსის „მთვარის შუქი“; „პირველი მერცხლის“ 2 ეპიზოდს: 1. ფეხბურთელები აცილებენ

მეტოქეებს და მღერიან ხალხურ სიმღერას „აბა ულა“. 2. ფეხბურთელების გამარჯვების სცენა, რომელიც გაფორმებულია ჯანსუღ კახიძის მარშით. ბავშვებმა უნდა ამოიცნონ ფილმები, დაასახელონ და გაარჩიონ, რომელია მუნჯი კინო და რომელი ხმოვანი. ამის შემდეგ იმსჯელონ თითოეული ფრაგმენტის მუსიკალურ გაფორმებაზე.

1. როგორია მუსიკალური გაფორმება:
   ა) პირობითი თუ სიუჟეტური? ბ) ილუსტრაციული თუ კონტრასტული?
2. რომელ ვიდეოფრაგმენტში აღწერს მუსიკა ბუნებას?

**კადრები ფილმებიდან**


ქოლგა


ქორწილი


პირველი მერცხალი


ლაზარე

მასწავლებელი ბავშვებს კიდევ ერთხელ უჩვენებს იგივე ფრაგმენტებს მხატვრული ფილმიდან „პირველი მერცხალი“ და სთხოვს მათ, შეუცვალონ მუსიკალური გაფორმება ამ ორ ვიდეოფრაგმენტს, გაიაზრონ, როგორ შეიცვლება თითოეული ფრაგმენტის შინაარსი ამის შედეგად.

**ინფორმაციისათვის: ჯანსუღ კახიძე** – ქართველი დირიჟორი, ლოტბარი, კომპოზიტორი და მომღერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. 1957 წელს ჩამოაყალიბა ანსამბლი „შვიდკაცა“, რომელმაც ახალგაზრდობის მეექვსე მსოფლიო ფესტივალზე ოქროს მედალი მოიპოვა. ჯანსუღ კახიძე იყო საქართველოს საგუნდო კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი დირიჟორი. 1973 წლიდან, საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის უცვლელი სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი. მას დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდობის მუსიკალური აღზრდის საქმეში. გასული საუკუნის 80-იან წლებში იგი სისტემატურად ატარებდა კლასიკური მუსიკის საღამოებს. შექმნილი აქვს მუსიკა კინოფილმებისთვის: „შერეკილები“, „პირველი მერცხალი“ (გ. ყანჩელთან ერთად), „დათა თუთაშხია“ (ბ. კვერნაძესთან ერთად), „იავნანა“, „რაჭა, ჩემი სიყვარული“, „ყვარყვარე“ და სხვა. წარმატებით დირიჟორობდა ბავარიის, ლონდონის, პარიზის, მილანის ლა-სკალას, ვაშინგტონისა და ბოსტონის, სიდნეისა და მელბურნის ორკესტრებს.

აღსანიშნავია რომ ჯ. კახიძის სადირიჟორო ჯოხი ინახება ქ. ბუსეტოში, ჯ. ვერდის სახლ-მუზეუმში. 1993 წელს ჯ. კახიძემ დააარსა საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“, რომელსაც მაესტროს გარდაცვალების შემდეგ სათავეში ჩაუდგა მისი ვაჟი, ვახტანგ კახიძე.





ჯანსუღ კახიძე დირიჟორობისას

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიომასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ამოიცნონ ბანის გასაღებში ჩაწერილი გამები და იმღერონ ოქტავით ზემოთ და ტაშით გამოხატონ რიტმული სურათი.

**რე მაჟორი**




**სი მინორი**



**აქტივობა 2**

მასწავლებელი ბავშვებს უჩვენებს რამდენიმე ვიდეოფრაგმენტს ქართული მხატვრული ფილმიდან „შერეკილები“; სთხოვს, ამოიცნონ მუსიკალური გაფორმების სახეები:

1. ვიდეოფრაგმენტი, სადაც გამოყენებულია სიუჟეტური გაფორმება;
2. ვიდეოფრაგმენტი, სადაც მუსიკა გვიხატავს გმირის პორტრეტს;
3. ვიდეოფრაგმენტი, სადაც მუსიკა აღწერს გმირების მოქმედებებს და სრულად თანხვდება მათ.

**აქტივობა 2**

მასწავლებელი სთხოვს, უყურონ ფილმს „შერეკილები“, განასხვავონ და ამოიცნონ გმირთა მუსიკალური ლაიტთემები.





**კადრები ფილმიდან „შერეკილები“**

**აქტივობა 3**

1. მასწავლებელი ავალებს ბავშვებს, მოიძიონ ისეთი ფრაგმენტები, სადაც გამოყენებულია კონტრასტული მუსიკალური გაფორმება.

2. თავად შეუცვალონ კინოფრაგმენტებს მუსიკალური გაფორმება; მაგ., მხიარულ მოქმედებას დაადონ სევდიანი მუსიკა და პირიქით, კადრიდან წამოსულ მღელვარე ან სევდიან განწყობას – მხიარული. ე.ი. შექმნან კონტრასტული მუსიკალური გაფორმების ნიმუშები.

LMMS-ში სხვადასხვა საუნდტრეკების ნაწყვეტებისგან ააწყონ მუსიკალური კოლაჟები.





**კადრები ფილმიდან „შერეკილები“**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შექმნან ფილმის პერსონაჟის, ქრისტეფორეს მოტივი. ამისათვის მოსწავლეები თავად აირჩევენ საგასაღებო ნიშანს. სავარაუდოდ, მოტივი ჩაიწერება ბანის გასაღებში, ვინაიდან გმირს დაბალი რეგისტრის ხმა აქვს.

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ამოიცნონ ბანის გასაღებში ჩაწერილი გამები და იმღერონ ოქტავით ზემოთ. რიტმული სურათი გამოხატონ ტაშით.

**სი ბემოლ მაჟორი**




**სოლ მინორი**



**ამოიცანი ფილმის პერსონაჟების ხასიათი სიმღერის მიხედვით**

**აქტივობა 2**

მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს სიმღერებს ქართული მხატვრული ფილმებიდან:

1. ბაში-აჩუკის სიმღერა – კ/ფ „ბაში-აჩუკი" (კომპ. ს. ცინცაძე)
2. მაია წყნეთელის სიმღერა – კ/ფ „მაია წყნეთელი" (კომპ. ს. ცინცაძე)
3. „გარეთ თოვს" – კ/ფ „ყვავილი თოვლზე" (კომპ. რ. ლაღიძე)
4. „თბილისის დილა" – კ/ფ „აბეზარა" (კომპ. რ. ლაღიძე)
5. „სიმღერა შავ კატაზე" – კ/ფ „აბეზარა" (კომპ. ს. ცინცაძე)
6. „ჰერიო, ჰერიო" – კ/ფ „ჩაძირული ქალაქის მაძიებელნი" (კომპ. რ. ლაღიძე) (იხ. დანართები)

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, სცადონ ფილმების ამოცნობა, ისაუბრონ თითოეული პერსონაჟის ხასიათზე. შემდეგ, წლის განმავლობაში, ბავშვები შეისწავლიან მოცემულ სიმღერებს და თავად მღერიან. მოსმენილ სიმღერებს მიუსადაგებენ ფოტოებს.



**„ბაში-აჩუკი"**



**„აბეზარა"**



**„ჩაძირული ქალაქის მაძიებელნი"**



**„ყვავილი თოვლზე"**



**„მაია წყნეთელი"**

მუსიკა და თეატრი
თემა: მუსიკალური თეატრი; ოპერა და მიუზიკლი

მოცემულ თემას დაეთმობა 24 გაკვეთილი.

**სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:**

- როგორ გადმოიცემა ოპერაში, როკ ოპერაში, მიუზიკლში ამბის მთავარი იდეა და მასში მოქმედი პერსონაჟების ხასიათი?
- როგორ გადმოვცეთ რეჩიტატივში პერსონაჟის ხასიათი?

**შედეგი: მუს.დაწყ.(II).1, 2. მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;**

**მიზანი**: სასიმღერო ხმების ტიპების, საოპერო სპექტაკლის ელემენტების, საორკესტრო პარტიის, ინსტრუმენტალური ანტრაქტის, არიის, მუსიკალური ნომრის, რეჩიტატივის, ინსტრუმენტალური თანხლების გაცნობა, გააზრება, აღქმა.

## 32 აიდა

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიომასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

### აქტივობა 1

მოსწავლეები გამოსახავენ რიტმს სხვადასხვა მოძრაობით:



### აქტივობა 2.

მასწავლებელი მოკლედ მოუთხრობს ბავშვებს თეატრის წარმოშობისა და კონკრეტულად, მუსიკალური თეატრის შესახებ:

მუსიკალური თეატრი სათავეს იღებს უძველესი რიტუალებიდან და სახალხო დღესასწაულებიდან, სადაც გაერთიანებული იყო სიმღერა, ცეკვა, მუსიკა და მოქმედება. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო თეატრი, რომელიც გულისხმობს მაყურებლის არსებობას, მის თანამონაწილეობას. სიტყვა „თეატრი" ბერძნულია და „სანახაობის ადგილს" ნიშნავს. სიტყვის საფუძველი კი არის ზმნა „ვუყურებ", „ვხედავ".

ბერძნული თეატრი უძველეს დროში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე შეიქმნა. მასში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მუსიკას. თეატრალური დადგმის აქტიური მონაწილე იყო გუნდი, რომელიც

გადმოსცემდა დრამის იდეას, მოქმედ გმირთა ფიქრებსა და განცდებს. ადგილს, სადაც გუნდი იყო განლაგებული, ორხესტრა ეწოდებოდა.

ბერძნული თეატრის იდეით, XVI საუკუნის დასასრულს, იტალიაში შეიქმნა მუსიკალური თეატრის ახალი ჟანრი, იტალიურად, dramma per musica – „დრამა, გადმოცემული მუსიკით". კომპოზიტორმა კლაუდიო მონტევერდიმ კი ამ ჟანრს „ოპერა" (იტალიურად opera – „ნაშრომი") უწოდა. იტალიიდან ოპერა მთელს ევროპაში გავრცელდა.

დროთა განმავლობაში, შეიქმნა მუსიკალური თეატრის სხვადასხვა ჟანრი: ოპერეტა, ვოდევილი, მიუზიკლი, როკ-ოპერა და სხვ.

მოსწავლეები უსმენენ და აკვირდებიან ფრაგმენტებს ჯუზეპე ვერდის ოპერიდან „აიდა" და ელტონ ჯონის იმავე სახელწოდების მიუზიკლიდან (სცენა – ამნერისი მსახურების გარემოცვაში). მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იპოვონ სხვაობა ორ დადგმას შორის და უპასუხონ შეკითხვებს:

1. რომელ ფრაგმენტში აქვს სიმღერასა და ქორეოგრაფიას თანაბარი მნიშვნელობა და რომელშია საცეკვაო ნომრები ჩანართის სახით?
2. რომელი ფრაგმენტია დაწერილი პოპ მუსიკის სტილში?
3. მოსმენილი ფრაგმენტებიდან რომელი შეიძლება მივაკუთვნოთ საოპერო ჟანრს და რომელი – მიუზიკლს?
4. რომელ ფრაგმენტში ექცევა მეტი ყურადღება შემსრულებლის სერიოზულ ვოკალურ მონაცემებს და მაღალ სასიმღერო ტექნიკას?




**ფრაგმენტებს ჯუზეპე ვერდის ოპერიდან „აიდა"**

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები უპასუხებენ შეკითხვებს, მასწავლებელი ესაუბრება მათ მუსიკალურ-თეატრალური ჟანრების – ოპერისა და მიუზიკლის შესახებ.

**ოპერა** მუსიკალურ-თეატრალური წარმოდგენაა, რომელიც აერთიანებს მუსიკას, დრამას, მხატვრობასა და ქორეოგრაფიას. მისი შინაარსის გადმოცემაში ყველაზე მნიშვნელოვანია მუსიკა. საოპერო გმირები სიმღერის და საორკესტრო აკომპანემენტის მეშვეობით არიან დახასიათებულნი. გმირის გრძნობებისა და აზრების გადმოცემის მთავარი ფორმაა **არია** – ვრცელი სოლო სასიმღერო ეპიზოდი. ოპერაში ასევე ჩართულია საანსამბლო და საგუნდო ნომრებიც.

**მიუზიკლი** მუსიკალური თეატრის კიდევ ერთი ჟანრია. უფრო ხშირად იგი კომედიური შინაარსისაა. მიუზიკლი შეიცავს საესტრადო ჟანრებისა და ოპერის გამომსახველობით ხერხებს. მასში შერწყმულია დიალოგები, სიმღერები, შოუ; დიდ როლს თამაშობს ქორეოგრაფია, რომელიც განსხვავდება საბალეტო და სალონური ცეკვებისაგან. მიუზიკლის მუსიკალური სტილი მრავალფეროვანია, შეიცავს ჯაზის და სხვადასხვა თანამედროვე მიმართულების ელემენტებს. ეს ყველაფერი მოითხოვს მოქმედების დინამიურობას. მიუზიკლში გამოყენებულია ელექტროაკუსტიკური აპარატურა.

**აქტივობა 3**

მასწავლებელი გააცნობს მოსწავლეებს ჯუზეპე ვერდის ოპერა „აიდას“ ლიბრეტოს:*

ეგვიპტელთა მონობაში მყოფ ეთიოპელ მეფის ასულ აიდასა და დამპყრობელთა მთავარსარდალ რადამესს ერთმანეთი შეუყვარდებათ. ეგვიპტის ფარაონის ქალიშვილ ამნერისსაც უყვარს რადამესი. ეთიოპიის მეფე ამონასრო, აიძულებს აიდას, გამოკითხოს რადამესს, სადაა განლაგებული ეგვიპტელთა ჯარი. აიდა შეასრულებს მამის დავალებას და რადამესს გაქცევას შესთავაზებს. ეჭვიანი ამნერისი, ქურუმებთან ერთად, შეიტყობს ამის შესახებ და რადამესს ღალატში ამხელს. სასამართლოზე რადამესს მიწისქვეშეთში დატყვევებას მიუსჯიან. აიდა შეიტყობს სასამართლოს გადაწყვეტილებას, რადამესთან შეაღწევს და ისინი სიცოცხლის ბოლო წუთებს ერთად ატარებენ.

ბავშვები უყურებენ ფრაგმენტს ვერდის ოპერიდან „აიდა“, სადაც მთავარი ქურუმი რამფისი რადამესს აცნობებს, რომ ეთიოპიელთა მოსალოდნელი თავდასხმის გამო, სასწრაფოდ უნდა აირჩიონ ეგვიპტელთა ჯარის მხედართმთავარი.

შემდეგ მოასმენინებს ოპერის კულმინაციურ სცენას – გუნდსა და მარშს მეორე მოქმედებიდან.

მოსწავლეები წაიკითხავენ სიტყვა „კულმინაციის“ განმარტებას და დაადგენენ, მოსმენილი ორი ფრაგმენტიდან რომელს შეიძლება ვუწოდოთ კულმინაციური.

- ☑ **გუნდი** ვოკალისტ შემსრულებელთა დიდი ჯგუფია; ოპერაში – მუსიკალური ნომერი, რომელსაც ეს ჯგუფი ასრულებს.
- ☑ **კულმინაცია** მუსიკალური ფრაზის, წინადადების ან ნაწარმოების ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდია, სადაც დაძაბულობა მწვერვალს აღწევს.
- ☑ **სოლო** იტალ. სიტყვაა და ნიშნავს „მარტოს“, მუსიკაში – ერთი შემსრულებლის მიერ ნაწარმოების შესრულება.
- ☑ **ლიბრეტო** იტალ. სიტყვაა და „პატარა წიგნს“ ნიშნავს. ლიბრეტო მუსიკალური სპექტაკლის (ოპერა, ბალეტი, მიუზიკლი) შინაარსია, რომელიც კონკრეტული ნაწარმოებისათვის იწერება.

**აქტივობა 2**

მასწავლებელი ესაუბრება ბავშვებს კიდევ ერთი საოპერო სპექტაკლის შესახებ.

**ჯუზეპე ვერდი** (1813 ლე რონკოლე – 1901 მილანი) გენიალური იტალიელი საოპერო კომპოზიტორი, მისი შემოქმედება უდიდესი საჩუქარია როგორც მსოფლიო მუსიკალური კულტურისათვის, ასევე ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც არ არის გულგრილი საოპერო ხელოვნების მიმართ. ვერდის ოპერების მელოდიები განსაკუთრებით მღერადი და ადვილად დასამახსოვრებელია. მთელ მსოფლიოში უდიდესი სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობს ოპერები: „ბალ მასკარადი“, „რიგოლეტო“, „ტრუბადური“, „ტრავიატა“, „აიდა“, „ოტელო“, „ფალსტაფი“.





**ელტონ ჯონი (1947)** – ინგლისელი პოპ და როკ მუსიკოსი, მომღერალი და კომპოზიტორი, მიღებული აქვს გრემის ექვსი ჯილდო, ბრიტანული მუსიკის 4 ჯილდო, ოსკარი, ოქროს გლობუსი, ტონის ჯილდო და კენედის ცენტრის ჯილდო. კარიერის მანძილზე ჯონმა გაყიდა 250 მილიონზე მეტი ჩანაწერი, რამაც იგი ყველა დროის ყველაზე პოპულარულ შემსრულებლად აქცია.

3 წლის ასაკში ჯონმა ფორტეპიანოზე დაკვრა დაიწყო. ერთი წლის შემდეგ კი სმენით აწყობდა სიმღერებს, უკრავდა წვეულებებსა და ოჯახურ შეკრებებზე. 7 წლის ასაკში მუსიკალურ სკოლაში დაიწყო სწავლა. მუსიკისადმი დიდ ინტერესს ავლენდა, ქმნიდა მელოდიებს. 11 წლის ასაკში მიიღო გრანტი „მუსიკის სამეფო აკადემიაში" განათლების მისაღებად. ერთ-ერთი მასწავლებლის მოგონებით, მან, ერთი მოსმენით, ზუსტად შეასრულა ფორტეპიანოზე ჰენდელის ოთხგვერდიანი ნაწარმოები.

შემდეგი ხუთი წლის მანძილზე ბიჭუნა დადიოდა ლონდონის აკადემიაში. ამბობდა, რომ მოსწონდა შოპენისა და ბახის შესრულება, აგრეთვე გუნდში სიმღერა.

თავდაპირველად იგი უკრავდა ბარებში, შემდეგ მართავდა კონცერტებს, იყო სხვადასხვა ანსამბლის წევრი. ბრიტანული ჟურნალის დახმარებით ელტონ ჯონი დაუკავშირდა ბერნ ტოპენს – თავისი სიმღერების ტექსტების მომავალ ავტორს, რომელთანაც შემდგომში მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი ჰქონდა. სიმღერა Your Song გახდა ელტონ ჯონის, პირველი ჰიტი. ამის შემდეგ მან შექნა ისეთი ცნობილი სიმღერები, როგორებიცაა: Goodbye Yellow Brick Road, Captain Fantastic and the Brown Dirt Cowboy, Breaking Hearts, Songs from the West Coast, Peachtree Road, The Captain & the Kid, The Diving Board და სხვ. ასევე სიმღერები ანიმაციური ფილმისათვის The Lion King და მიუზიკლი „აიდა".

## 33 გაფრინდი, ფიქრო, ოქროს ფრთებით

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

### „ნაბუქოს" შექმნის ისტორია

იტალიელმა კომპოზიტორმა, ჯუზეპე ვერდიმ, ახალგაზრდობის წლებში დაკარგა ოჯახი – ორი შვილი და საყვარელი მეუღლე. ამ ტრაგედიის გამო გადაწყვიტა, აღარასოდეს შეექმნა მუსიკა. მილანის საოპერო თეატრის „ლა სკალას" იმპრესარიო მერელი დიდად აფასებდა კომპოზიტორის ტალანტს. სწორედ მისი ძალისხმევით აღმოჩნდა ვერდის ხელში ახალი ლიბრეტო, რის საფუძველზეც შეიქმნა ოპერა „ნაბუქო". ამ ფაქტის შესახებ ვერდი იხსენებს:

„ქუჩაში რაღაც გაურკვეველმა უსიამოვნო გრძნობამ შემიპყრო. დიდი სევდა თითქოს გულს მიპობდა... შინ დაბრუნებისას რვეული მაგიდაზე ვისროლე. დაცემისას ხელნაწერი გადაიშალა. სრულიად ანგარიშმიუცემლად ჩემი მზერა მოხვდა ფურცელს, სადაც ერთმა სტრიქონმა მიიპყრო ჩემი ყურადღება "Va pensiero, sull'ale dorate" („გაფრინდი, ფიქრო, ოქროს ფრთებით").

შემდეგ გვერდებსაც გადავხედე, რამაც უდიდესი ზემოქმედება იქონია ჩემზე. მით უფრო, რომ ეს იყო ბიბლიის სიუჟეტი. წიგნისა, რომელიც ამქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარდა.

წავიკითხე ერთი ფურცელი, შემდეგ – მეორე. მაგრამ გამახსენდა ჩემი გადაწყვეტილება, რომ არასოდეს დავწერდი მუსიკას. დავხურე რვეული და წავედი დასაძინებლად, მაგრამ „ნაბუქო" არ

მასვენებდა, დაძინება ვერ შევძელი. ავდექი და ტექსტი წავიკითხე არა ერთხელ, ორჯერ ან სამჯერ, არამედ იმდენჯერ, რომ დილისათვის სოლერას ლიბრეტო ზეპირად ვიცოდი.

მაინც არ ვაპირებდი საკუთარი თავისადმი მიცემული სიტყვის გატეხას. თეატრში მისვლისას გადავწყვიტე, დამებრუნებინა მერელისათვის ხელნაწერი.

– ხომ მართალაც მშვენიერია?! – მკითხა მერელიმ.

– ნამდვილად!

– აქციე ის მუსიკად!

– ეს აზრადაც არ მომსვლია!

– აქციე ის მუსიკად, გთხოვ!

ამ სიტყვების შემდეგ მან რვეული ქურთუკის ჯიბეში ჩამიტენა, მხრებზე ხელი მომკიდა და ქუჩაში გამაგდო, ზურგს უკან კარი მომიხურა და გასაღებით ჩაკეტა.

რა უნდა მექნა? ჯიბეში „ნაბუქოს“ ტექსტით შინ დავბრუნდი. დღეს ერთი სტროფი, ხვალ – მეორე, აქ ერთი ნოტი, იქ – ფრაზა. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ შეიქმნა მუსიკა.

ეს იყო ის ოპერა, საიდანაც ჩემი, როგორც ხელოვნის, ცხოვრება დაიწყო, მიუხედავად იმისა, რომ მომიხდა ბრძოლა მრავალრიცხოვანი მტრული ძალის წინააღმდეგ, შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ „ნაბუქო“ ბედნიერი ვარსკვლავზე დაიბადა“.

„ებრაელების გუნდმა“ “Va pensiero, sull’ale dorate” (136 ფსალმუნის თავისუფალი ინტერპრეტაცია), რომლის ტექსტმაც თავიდანვე მიიპყრო ვერდის ყურადღება, პირველივე სპექტაკლიდან მაყურებლის სიყვარული დაიმსახურა და დღემდე იტალიის არაოფიციალურ ჰიმნად ითვლება



**„ებრაელთა გუნდი“ „ნაბუქოდან“**

## 34 შემსრულებელი მიუზიკლში

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიომასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გამოსახონ რიტმი პოლიეთილენის ჭიქისა და სხვადასხვა მოძრაობების გამოყენებით:

**ითამაშე რიტმული თამაში „გაიხსენე სახელი“**

მოცემული აქტივობა შემუშავებულია თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონ-სერვატორიისა და ოსლოს მუსიკის აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა მიერ.

თამაშის გამოყენების ნებართვისთვის ავტორთა ჯგუფი მადლობა უხდის პროექტის ყველა მონაწ-ილეს.

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს დააკვირდნენ ნახატს, გაეცნონ თამაშის წესს.

**გაიხსენე სახელი**




თამაშის წესი შემდეგია: მოსწავლეები წრეში სხდებიან და რიტმში ასრულებენ სურათზე გამოსახ-ულ მოძრაობებს, ასახელებენ საკუთარ სახელს და რომელიმე კლასელის სახელს. ტემპის დარ-ღვევის შემთხვევაში, ან სახელის დაგვიანებით წარმოთქმისას, მოწაფე წრის ცენტრში გადაინაც-ვლებს და დაელოდება, ვიდრე არ დაასახელებენ მის სახელს.

**აქტივობა 2**

მასწავლებელი კლასს სთავაზობს ნაწყვეტებს მიუზიკლებიდან:

1. „როგორ მივაღწიოთ წარმატებას ბიზნესში ხელგაუნძრევლად“ (კომპ. ფრენკ ლესერი);
2. „პატარა სერენადა“ (კომპ. სტივენ სონდჰეიმი);
3. „ჰამილტონი“ (კომპ. ლი მანუელ მირანდა);
4. „პატარა პრინცი“ (კომპ. ფრედერიკ ლოუ);

სთხოვს, დაადგინონ, ამ ჟანრის – მიუზიკლის – რომელი დამახასიათებელი თავისებურებები იჩენს თავს წარმოდგენილ ეპიზოდებში:

1. მუსიკასა და ქორეოგრაფიას თანაბარი როლი ენიჭება სპექტაკლის სიუჟეტის განვითარებაში ან მთავარი გმირების დახასიათებაში;
2. მუსიკა ითვალისწინებს თანამედროვე პოპ კულტურის ტენდენციებს და იყენებს მათ მხატვრული სახის შესაქმნელად;
3. მიუზიკლი არ ითხოვს შემსრულებელისგან ძლიერ ვოკალს. საკმარისია მუსიკალურობა და დრამატული ნიჭი;
4. შემსრულებელი უნივერსალური უნდა იყოს, მას უნდა შეეძლოს მსახიობობა, სიმღერა და ცეკვა.

**კადრები მიუზიკლებიდან**



„როგორ მივაღწიოთ წარმატებას ბიზნესში ხელგაუნძრევლად“



„პატარა სერენადა“



„ჰამილტონი“



„პატარა პრინცი“

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოიძიონ ინფორმაცია ამ კომპოზიტორებისა და ნაწარმოებების შესახებ.

# 35 პატარა უფლისწული

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიომასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს ფრაგმენტებს ორი განსხვავებული ჟანრის ნაწარმოებიდან: რიკარდო კოჩანტეს მიუზიკლიდან „პატარა უფლისწული“ – უფლისწულისა და მელიის სცენა-დიალოგს და ჰუმპერდინკის ოპერიდან „ჰენზელი და გრეტელი“ – ბავშვების დუეტს „ძამიკო, მოდი, ვიცეკვოთ“. სთხოვს, უპასუხონ შეკითხვებს და იმსჯელონ, რა განსხვავებაა მოცემულ ფრაგმენტებს შორის:

1. როგორია მომღერალთა ტემბრი ხასიათობრივად – ხავერდოვანი, გამჭვირვალე, ფაქიზი, მკვეთრი, რბილი, წკრიალა?
2. რომელ რეგისტრში მღერის თითოეული პერსონაჟი – მაღალი, საშუალო, დაბალი?
3. რა განსხვავებაა ორი ნაწარმოების ინსტრუმენტულ თანხლებას შორის?
4. დააკვირდით და აღწერეთ მომღერალთა სიმღერის თავისებურება, არის თუ არა განსხვავება ორ ფრაგმენტს შორის, რაში გამოიხატება იგი? რომელ ფრაგმენტშია სასიმღერო პარტია ლაპარაკთან მიახლოებული?

მასწავლებელი განმარტავს:



**მიუზიკლი „პატარა უფლისწული“** დაწერილია ფრანგი მწერლის, პედაგოგისა და მფრინავის ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის იმავე სახელწოდების ალეგორიული ნოველის მიხედვით. ნოველაში მოთხრობილია პატარა უფლისწულის ამბავი, რომელსაც საკუთარი პლანეტა ჰქონდა. მას ლამაზმა, მაგრამ ჭირვეულმა ვარდმა აწყენინა, ბაობაბებმა კი პლანეტის დაპყრობა მოინდომეს. ნაწყენი უფლისწული სხვა პლანეტების მოსანახულებლად გაემგზავრა. მოხვდა დედამიწაზე, სადაც უამრავი თავგადასავალი გადახდა. უდაბნოში გაიცნო და დაუმეგობრდა მფრინავს. დედამიწაზე მან კიდევ ერთი მეგობარი გაიჩინა – მელია, რომელიც მიუზიკლის მოცემულ ფრაგმენტშია ასახული.



**ოპერა „ჰენზელსა და გრეტელს“** საფუძვლად უდევს გერმანელი მეზღაპრე ძმების გრიმების იმავე სახელწოდების ზღაპარი. ოპერის შინაარსი, ანუ ლიბრეტო შემდეგია: დედა ფიჩხის მოსატანად, ტყეში აგზავნის და-ძმას, ჰენზელსა და გრეტელს. ბავშვებს შემოაღამდებათ, ულრან ტყეში გზა აებნევათ და შეშინებულებს უცნაური არსებები ელანდებათ. დაღლილებს ჩაეძინებათ; გამთენიისას კი ულამაზესსა და უცნაურ, ნამცხვრისგან აშენებულ სახლს დაინახავენ.

ალმოჩნდება, რომ სახლი ბოროტ კუდიან დედაბერს ეკუთვნის. იგი ბავშვებს მოჯადოებულ სახლში შეიტყუებს და ჰენზელის შეჭმას განიზრახავს, მაგრამ და-ძმის სიყვარული და ერთგულება ჯადოქრობაზე ძლიერია. ისინი გავარვარებულ ღუმელში შეაგდებენ დედაბერს და სხვა ბავშვებსაც გაათავისუფლებენ ჯადოქრობისაგან. გამარჯვებული ჰენზელი და გრეტელი სიხარულით ეგებებიან მშობლებს, რომლებიც ბავშვების საძებრად ტყეში წამოსულან.

ამ ოპერის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სცენაა ცეკვა სიმღერით „ძმიკო, ერთად ვიცეკვოთ“.



იტალიური წარმოშობის ფრანგმა მომღერალმა და კომპოზიტორმა **რიკარდო კოჩანტემ** სახელი გაითქვა მიუზიკლებით „პატარა უფლისწული“ და „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“.



გერმანელი კომპოზიტორი **ენგელბერტ ჰუმპერდინკი** (1854-1921) ცნობილია ოპერით „ჰენზელი და გრეტელი“. გერმანიის საოპერო თეატრებში ამ ოპერის დადგმა საშობაო ტრადიციად იქცა.

## 36 საოპერო ხმები

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიომასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

### აქტივობა 1

მასწავლებელი მიმართავს კლასს: გაიმღერეთ სავარჯიშო, რომელსაც, ხშირად, საოპერო მომღერლები მღერიან. მასწავლებელი ფორტეპიანოზე ასრულებს აკომპანემენტს.




ა. შ.

### აქტივობა 2

მასწავლებელი უჩვენებს ეპიზოდებს სხვადასხვა ოპერიდან: ვ.ა. მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტა“ – ღამის დედოფლის არია; ჯ. პუჩინის „ტურანდოტი“ – კალაფის არია, ჟ. ბიზეს „კარმენი“ – ესკამილიოს კუპლეტები, ჯ. ვერდის – მთავარი ქურუმის სოლო, შ. გუნოს „რომეო და ჯულიეტა“ – ჯულიეტას არია, ჟ. ბიზეს „კარმენი“ – კარმენის ხაბანერა.

სთხოვს მოსწავლეებს, ამოიცნონ მუსიკით და იმსჯელონ, როგორ გმირს განასახიერებს თითოეუ-

ლი მომღერალი. განუმარტავს, რომ მოქმედი გმირი გრძნობებს გადმოსცემს სიმღერის სოლო ნომრით –არიით. კლასში გაიმართება დისკუსია საოპერო გმირთა ხასიათის შესახებ, რის შემდეგაც, მასწავლებელი მოუყვება ამ პერსონაჟების შესახებ:



ღამის დედოფალი ოპერიდან „ჯადოსნური ფლეიტა“ ბოროტი ძალების მფარველია და უპირისპირდება სინათლის, სიბრძნისა და სიკეთის სამეფოს. მაგრამ, როგორც ყველა ზღაპარში, აქაც სიკეთე იმარჯვებს.



ჯულიეტა ოპერიდან „რომეო და ჯულიეტა“ – ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე გოგონა (ჯულიეტას პარტიას ასრულებს გამოჩენილი ქართველი მომღერალი ნინო მაჩაიძე).



კალაფი ჯ. პუჩინის ოპერიდან „ტურანდოტი“ არის გამარჯვებული რაინდი, რომელმაც გამოიცნო ყველა გამოცანა და გააღვიძა სიყვარული პრინცესა ტურანდოტის გულში.



ესკამილიო ოპერიდან „კარმენი“ მამაცი ტორეადორია, რომელიც ხალხის სიყვარულით სარგებლობს.



მთავარი ქურუმი ოპერიდან „აიდა“ უდიდესი ძალაუფლების მქონე ბრძენია.



კარმენი ოპერიდან „კარმენი“ ძლიერი, თავდაჯერებული ქალია.

მასწავლებელი განმარტავს:

☑ საოპერო ხმები იყოფა დიაპაზონის მიხედვით. **დიაპაზონი** – სასიმღერო ხმის ან საკრავის ბგერითი მოცულობაა.

**ქალთა ხმებია**: *სოპრანო* – მაღალი ხმა.

*კოლორატურული* სოპრანო* – სოპრანოს სახეობაა, როლისთვისაც დამახასიათებელია სისხარტე, ვირტუოზულობა, განსაკუთრებულად მაღალი ბგერების აღების შესაძლებლობა, მდიდრულად მოკაზმული, უხვი მელიზმებით დატვირთული მელოდიის შესრულება. სიტყვა *კოლორატურული* ხმის თავისებურებაა, მისი ხარისხი და განსაკუთრებული შესაძლებლობა. არსებობს კოლორატურული სოპრანო და კოლორატურული მეცო სოპრანოც (ცნობილია ჯოაკინო როსინის ოპერებში); *მეცო სოპრანო* – საშუალო, *კონტრალტო* ან *ალტი* – დაბალი.

**მამაკაცთა ხმებია**: *ტენორი* – მაღალი, *ბარიტონი* – საშუალო, *ბანი* – დაბალი

**ბავშვთა ხმები:** *დისკანტი* – მაღალი, *ალტი* – დაბალი

მოსწავლეები განმეორებით მოისმენენ ფრაგმენტებს და დაადგენენ, რომელი საოპერო ხმისათვის არის დაწერილი ესა თუ ის საოპერო ნომერი.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოიძიონ ინფორმაცია მსოფლიოში აღიარებული ქართველი მომღერლების შესახებ.

## 37-38 ვესტსაიდური ისტორია

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

### აქტივობა 1

მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს ფრაგმენტებს ლეონარდ ბერნსტაინის კინომიუზიკლ* „ვესტსაიდური ისტორიიდან“. ბავშვები უსმენენ და აკვირდებიან: „რაკეტების“ (პოლონელი ამერიკელი ახალგაზრდების დაჯგუფება) და „ზვიგენების“ (პუერტორიკელი ახალგაზრდების დაჯგუფება) სცენებს ინტროდუქციაში*, „ზვიგენების“ და „რაკეტების“ ცეკვას კლუბში, ტონის სიმღერას, მარიას სიმღერას, მარიასა და ტონის სცენა-დუეტს აივანზე, „ზვიგენების“ ცეკვას.

ყოველი ფრაგმენტის ნახვისა და მოსმენის შემდეგ, მოსწავლეები მსჯელობენ ნაწყვეტის შინაარსზე, გმირების ხასიათსა და განცდებზე.

მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს:

1. რა როლი აქვს ცეკვას?
   ა) ცეკვა მოქმედების უშუალო ნაწილია;
   ბ) ცეკვა მოქმედების მსვლელობაში ჩანართის როლს ასრულებს და ესთეტიკური დანიშნულება აქვს.
2. რომელი ცეკვის რიტმი აქვს მიუზიკლის საცეკვაო ნომრებს – ვალსის, ლენდლერის, პოლონეზის, კონტრდანსის, ლათინურ-ამერიკული – სამბას?
3. შემოთავაზებულ მიუზიკლში მსახიობის რომელ მონაცემს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა?
   ა) არტისტიზმს;
   ბ) ვოკალურ მონაცემებს;
   გ) ქორეოგრაფიულ შესაძლებლობებს;
   დ) ყველაფერს ერთად.

მასწავლებელი მოსწავლეებს მოუთხრობს „ვესტსაიდური ისტორიის“ შინაარსს, რომელიც აგებულია ინგლისელი დრამატურგისა* და პოეტის, უილიამ შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ სიუჟეტზე.

პიესა „რომეო და ჯულიეტა“ მრავალი კომპოზიტორის შთაგონების წყარო გახდა. მაგ., სერგეი პროკოფიევმა დაწერა მუსიკა ბალეტისათვის „რომეო და ჯულიეტა“, პიოტრ ჩაიკოვსკის ეკუთვნის საორკესტრო უვერტიურა-ფანტაზია იმავე სახელწოდებით, რიკარდო კოჩანტემ ამ თემაზე შექმნა მიუზიკლი. ბერნსტაინის მიუზიკლ „ვესტსაიდური ისტორიაში“ მოქმედება ხდება აშშ-ში, გასული საუკუნის 50-იან წლებში და აღწერილია, თუ როგორ შეეწირა ტონისა და მარიას სიყვარული ახალგაზრდათა დაჯგუფებების, პოლონელ-ამერიკელი „რაკეტებისა“ და პუერტორიკელი „ზვიგენების“, დაპირისპირებას. ნაწარმოების იდეაა აგრესიის დაგმობა, მოწოდება სიყვარულის, მშვიდობისა და მეგობრობისაკენ.



ტონი და მარია



„ზვიგენები“




„რაკეტები“

**ლეონარდ ბერნსტაინი** (1918-1990) ამერიკელი კომპოზიტორი, პიანისტი და დირიჟორია. იგი იყო პირველი ამერიკელი დირიჟორი, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა. მან უდირიჟორა მსოფლიოს სახელგანთქმულ ორკესტრებს და ნიუ-იორკის ფილარმონიის მთავარი დირიჟორი იყო. პირველმა შეასრულა ამერიკული პროფესიული მუსიკის ნიმუშები. ბერნსტაინი რამდენიმე მიუზიკლის ავტორია. მათ შორისაა „ვესტსაიდური ისტორია“. ასევე შექმნა ოპერები, სიმფონიები, ბალეტები, მუსიკა კინოსა და თეატრისათვის და სხვა ჟანრის თხზულებები. ცნობილია ბერნსტაინის ლექციების ციკლი მუსიკის შესახებ ბავშვებისთვის. ამ ლექციებზე იგი მსმენელებს აცნობდა მუსიკალური ხელოვნების შედევრებს, თავად უკრავდა ფორტეპიანოზე და დირიჟორობდა ორკესტრს.



**აქტივობა 2**

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, იმღერონ მიუზიკლიდან სიმღერა A Girl’s Song and Ballet Sequence (იხ. დანართი).

☑ ***კინომიუზიკლი** (ინგლ. musical) – მიუზიკლის თეატრალური დადგმის ეკრანიზაცია. მაგ., ფილმები: „შერბურის ქოლგები“, „ჩემი მშვენიერი ლედი“, „სასაცილო გოგონა“, „ოლივერი“, „მუსიკის ჰანგები“, „ვესტსაიდური ისტორია“ და სხვ.

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი, თვალსაჩინოება

**აქტივობა 1**

მოსწავლეები აკვირდებიან ფრაგმენტს ქართული მიუზიკლიდან „ვერის უბნის მელოდიები“, მრეცხავების სიმღერის სცენას.

მასწავლებელი განმარტავს:





„ვერის უბნის მელოდიები“ პირველი ქართული მიუზიკლია. მუსიკის ავტორია გიორგი ცაბაძე, რეჟისორი და სცენარის ავტორი – გიორგი შენგელაია, მთავარ როლებში არიან გამოჩენილი მსახიობები სოფიკო ჭიაურელი და ვახტანგ კიკაბიძე. მთავარი გმირის ვარდოს პარტიას მღერის ნანი ბრეგვაძე. მოსწავლეები მსჯელობენ, დაადგენენ ორ ნიშანს, რომლებიც განსაზღვრავს ნაწარმოების ჟანრს, აგრეთვე, ჩამოთვლიან თავისებურებებს, რომლებიც დაკავშირებულია საოპერო ხელოვნებასთან. გამოარკვევენ, მოცემული ნომერი საგუნდოა თუ საანსამბლო?

შემდეგ მოსწავლეები მოუსმენენ გოგონების დუეტს და მსჯელობენ ბავშვების ხმის რეგისტრსა და ტემბრზე, გაიხსენებენ ბავშვთა ხმებს. გამოარჩევენ, რომელი გოგონა მღერის დისკანტის პარტიას და რომელი – ალტს. მასწავლებელი სთხოვს, დუეტი მიუზიკლიდან შეადარონ „გენიოსების“ ტრიოს მოცარტის ოპერიდან „ჯადოსნური ფლეიტა“. იმსჯელონ ორი ჟანრის მსგავსებასა და განსხვავებაზე.

**აქტივობა 2**

მოსწავლეები მღერიან „ვერის უბნის მელოდიებიდან“ სიმღერებს „ანა ბანასა“ და „ალილოს“ (იხ. დანართი).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წიგნში დააკვირდნენ სანოტო ჩანაწერს და განმარტავს, რომ მეორე ხმაში ნოტებს შტილები ქვედა მიმართულებით ეწერება. სთხოვს მოსწავლეებს, ნოტების დასახელებით იმღერონ ჯერ მეორე ხმა, შემდეგ – პირველი და შეაერთონ ხმები. გაიხსენონ, რა არის დუეტი და ტრიო.

**გიორგი (გოგი) ცაბაძე** (1924-1986) – გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი. მისი სიმღერები: „მთაწმინდის მთვარე“, „თბილისის მუხამბაზი“, ქუჩა-ქუჩა“, „მეფაიტონე“ და სხვ. ხალხში პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობს. გოგი ცაბაძე პირველი ქართულ მიუზიკლის, „ვერის უბნის მელოდიების“, ავტორია. მას შექმნილი აქვს ასევე ოპერეტები და მუსიკა თეატრალური სპექტაკლებისთვის.



**გ. ცაბაძე**

**აქტივობა 3**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წინასწარ დარიგებულ ფურცლებზე დააკვირდნენ ნაბეჭდ ტექსტს, მოუსმინონ გოგონების დიალოგს მიუზიკლიდან „ვერის უბნის მელოდიები" და აღნიშნონ ის სიტყვები, რომლებსაც განსაკუთრებულად გამოყოფენ პატარა მსახიობები. იმსჯელონ, რა ხერხით არის ეს მიღწეული: ტემბრული ცვლილებით, სიტყვაში რომელიმე მარცვლის გახანგრძლივებით, ბგერის გაძლიერებით თუ ბგერის სიმაღლის შეცვლით. შემდეგ ნაბეჭდ ტექსტში გამოყოფილ სიტყვებთან და მარცვლებთან დასვან შესაბამისი ნიშნები: (ნიშნების მნიშვნელობა მოიძიონ ლექსიკონში) crescendo = <, diminuendo = > , forte = f, piano = p, ritenuto=rit., accelerando=accel., fermato= 𝄐.

დაადგინონ, რომელ მუსიკალურ ტემპს მიესადაგება გოგონების დიალოგი: allegro თუ adagio.

| | |
|---|---|
| თამრო | – მარო! მარო! გაიღვიძე! ნახე, ბუხარში რამოდენა ცეცხლია, ვაი!. |
| მარო | – რა კარგი ცეცხლი ყოფილა! ნახე, რამხელა თოვლი მოსულა! |
| თამრო | – უი, ჩვენი დროგი სულ სავსეა შეშით. |
| მარო | – რა ლამაზია! |
| ორივე | – მთელი ზამთარი თბილად ვიქნებით! |
| მარო | – ვაი! თამრო, თამრო, ნახე რა სუნია! |
| ორივე | – რა სუნია! |
| თამრო | – რა გემრიელი სადილი გვექნება! |
| ორივე | – რა კარგია! |

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაინაწილონ მოცემული ტექსტი და წაიკითხონ. დანარჩენმა მოსწავლეებმა კი ჩაწერონ წაკითხული ტექსტის ინტონაცია, როგორც ტრადიციული სანოტო სისტემით, ასევე სხვადასხვა ნიშნით, პიქტოგრამებით.

## 41 ოლივერი

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

მასწავლებელი მოასმენინებს მოსწავლეებს ლაიონელ ბარტის მიუზიკლ „ოლივერს", რომლის ლიბრეტო დაიწერა ჩარლზ დიკენსის რომანის, „ოლივერ ტვისტის თავგადასავლის" მიხედვით. მიუზიკლის პრემიერა შედგა 1960 წელს ლონდონში, ხოლო რამოდენიმე წელიწადში მის საფუძველზე შეიქმნა ფილმი, რომელმაც საქვეყნო აღიარება მოიპოვა და რამოდენიმე „ოსკარი" მიიღო. ფილმში მთავარ როლს თამაშობს მარკ ლესტერი. ცნობილია, რომ მარკ ლესტერი და უდიდესი პოპვარსკვლავი მაიკლ ჯექსონი უახლოესი მეგობრები იყვნენ.



**ლაიონელ ბარტი**
ინგლისელი მწერალი და კომპოზიტორია. ცნობილია მუზიკლით „ოლივერი“. აღსანიშნავია ის, რომ მუზიკლში მუსიკაც და ტექსტიც ლაიონელ ბარტს ეკუთვნის.



**ჯაკომო პუჩინი**
იტალიელი საოპერო კომპოზიტორია. ავტორია ოპერებისა: „ბოჰემა“, „ტოსკა“, „ჩიო-ჩიო-სანი“ ან „მადამ ბატერფლაი“, „ტურანდოტი“.

**აქტივობა 1**

მოსწავლეები ასრულებენ მასწავლებლის მითითებას:

მოუსმინეთ ფრაგმენტებს და შეადარეთ, რომელია დაწერილი მიუზიკლის და რომელი – ოპერის ჟანრში. დაახასიათეთ სამი ნიშანი, რის მიხედვითაც მიაკუთვნეთ ფრაგმენტი ამა თუ იმ სახეობას.

1. ლ. ბარტი. მიუზიკლი „ოლივერი“ – სცენა სასადილოში; ბიჭუნების გუნდი.
2. ჟ. ბიზე. ოპერა „კარმენი“ – სცენა მოედანზე; ბიჭუნების გუნდი.
3. ლ. ბარტი. მიუზიკლი „ოლივერი“ – სცენა დუქანში. ნენსის სიმღერა.
4. ჯ. პუჩინი. ოპერა „ბოჰემა“ – სცენა დუქანში. მიუზეტას ვალსი.

მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს:

1. რომელი გუნდის შესრულება საჭიროებს მაღალ ვოკალურ ტექნიკას?
2. რა აქვთ საერთო და რით განსხვავდება ერთმანეთისგან მიუზეტას ვალსი და ნენსის სიმღერა?
   ა) ბგერის წარმოთქმით (საოპერო ხმა, საესტრადო ხმა);
   ბ) მეტრით (ორივე ნომერს საფუძვლად უდევს ვალსის მეტრი);
   გ) სცენის შინაარსით (თავმომწონე მიუზეტა თავს იქებს და ამით ყურადღებას იქცევს; ნენსი კი ყურადღებას იქცევს ბიჭუნას გადასარჩენად).
3. რომელ ფრაგმენტში აქვს სიმღერას, ცეკვასა და მოქმედებას თანაბარი მნიშვნელობა და რომელ ფრაგმენტშია წამყვანი ვოკალური პარტია*?

**აქტივობა 2**

მოსწავლეები უსმენენ „სცენას სხვენში“ „ოლივერიდან“, მსჯელობენ სიმღერის შინაარსსა და დადგმაზე; მასწავლებელი სთავაზობს, იმღერონ სიმღერა I'd Do Anything, შემდეგ კი სიმღერა Oom-pah-pah (იხ. დანართი).

**აქტივობა 3**

მოსწავლეები მოისმენენ „ოლივერიდან“ „დილის სცენას“, სადაც ვოკალური პარტიები კონტრაპუნქტულ მრავალხმიანობას ქმნის. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, დააკვირდნენ, რამდენი სხვადასხვა მელოდია ჟღერს გუნდში ერთდროულად.

მოსწავლეები მოძებნიან „კონტრაპუნქტის“ განმარტებას ლექსიკონში და გაიხსენებენ ამ ტერმინის მნიშვნელობას.

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიომასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მოსწავლეები მოისმენენ ფრაგმენტებს რიჩარდ როჯერსის მიუზიკლ „მუსიკის ჰანგებიდან“. ლიბრეტო მოგვითხრობს ავსტრიული მუსიკალური ოჯახის ფონ ტრაპების ისტორიას და შექმნილია მარია ფონ ტრაპის ავტობიოგრაფიული რომანის მიხედვით.



**მსახიობები, რომლებიც მიუზიკლში ფონ ტრაპების ოჯახს განასახიერებენ**



**მარია ფონ ტრაპი ოჯახთან ერთად**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაადგინონ, რა ჟანრს მიეკუთვნება მოსმენილი ფრაგმენტები და დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრება, აღნიშნონ გამომსახველი ხერხები, რომლებიც იძლევა საფუძველს ამ ჟანრის განსაზღვრისათვის.



**რიჩარდ როჯერსი** (1902-1979) ამერიკელი კომპოზიტორია. იგი მიუზიკლ „მუსიკის ჰანგების“, 900-მდე სიმღერისა და ბროდვეის* 43 მიუზიკლის ავტორია; პირველი კომპოზიტორი, რომელიც ერთდროულად ფლობს ემის, გრემის, ოსკარის, ტონი ევარდის პრიზებსა და პულიცერის პრემიას*.

**პულიცერის პრემია** – ჯილდო, რომელსაც განსაკუთრებული ღვაწლისათვის ანიჭებენ ჟურნალისტებს, მწერლებსა და კომპოზიტორებს.

**ბროდვეი** – კრებითი სახელწოდება 40-ზე მეტი დიდი კომერციული თეატრისა, რომლებიც განლაგებულია ნიუ-იორკში, ბროდვეის ქუჩაზე, მანჰეტენის თეატრალურ კვარტალში. ასეთივეა ლონდონში ქოვენთ-გარდენი. ბროდვეიზე საფუძველი ჩაეყარა ამერიკულ თეატრალურ კულტურას. აქ იდგმება მიუზიკლებიც. ბროდვეიმ, ისევე როგორც ჰოლივუდმა, უდიდესი როლი ითამაშა თანამედროვე კულტურის ჩამოყალიბებაში.

მოსწავლეები უსმენენ სიმღერა „ედელვაისს“ რიჩარდ როჯერსის მიუზიკლ „მუსიკის ჰანგებიდან“ და „ყვავილების დუეტს“ ლეო დელიბის ოპერა „ლაკმედან“, ამერიკელი სოპრანოს, ნადინ სიერასა და ქართველი მეცო სოპრანოს, ანიტა რაჭველიშვილის შესრულებით.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაადგინონ, მოსმენილი ფრაგმენტებიდან რომელს მიესადაგება შემდეგი სიტყვები:

ა) მიუზიკლი არ ითხოვს შემსრულებლისაგან მაღალ ვოკალურ მონაცემებს; საკმარისია მუსიკალობა და დრამატული ნიჭი.

ბ) ოპერაში მთავარი ყურადღება ექცევა შემსრულებლის ვოკალურ მონაცემებს და მაღალ სასიმღერო ტექნიკას.

კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ მოსწავლეები ბუნებრივად დაადგენენ, რომელი დუეტი რომელ ჟანრს მიეკუთვნება.

**აქტივობა 3**
მოსწავლეები მოისმენენ და უყურებენ ფრაგმენტებს მიუზიკლებიდან: „ლენდლერს“ – რიჩარდ როჯერსის „მუსიკის ჰანგებიდან“ და „მამბოს“ – ლეონარდ ბერსტაინის „ვესტსაიდური ისტორიიდან“.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმსჯელონ ამ ორი ცეკვიდან რომელი მიეკუთვნება ძველებურ ავსტრიულს და რომელი – ლათინო-ამერიკულს.

**აქტივობა 4**
შემდეგ კი სთავაზობს, იმღერონ სიმღერები: „ედელვაისი“, „დო, რე, მი...“ და „მარტოხელა მწყემსი“ (The Lonely Goatherd) (იხ. დანართები).

## 44 ამოიცანი ხასიათი

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიომასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს: გაიხსენე კანონი და იმღერე კლასელებთან ერთად. ამოიკითხე ბანის გასაღებში მამაკაცთა ხმისთვის ჩაწერილი ამ კანონის მეორე მელოდია.



**აქტივობა 2**

მოსწავლეები აკვირდებიან გმირების პორტრეტებს მიუზიკლ „კორდებალეტიდან“ და დაახასიათებენ მათ:

ა) თავგანწირული, შეყვარებული;

ბ) მხიარული, მოხერხებული;

გ) ამაყი, დამოუკიდებელი.







მასწავლებელი მიმართავს კლასს: წარმოგიდგენთ სხვადასხვა სტილის და ჟანრის მუსიკალურ ფრაგმენტებს. რომელი მუსიკალური ფრაგმენტი რომელ გმირს შეეფერება? დაასახელეთ ამ ფრაგმენტებში წარმოდგენილი სტილი ან ჟანრი:

ა) ფოქსტროტი*;

ბ) სიმღერა-ბალადა*;

გ) სამბა*.

ახლა კი მოუსმინეთ მუსიკალურ ნომრებს მიუზიკლიდან და დაადგინეთ, რამდენად სწორად გამოიცანით თითოეული გმირის მუსიკალური დახასიათება.

**ფოქსტროტი** – ამერიკული ცეკვა, რომელიც მსახიობმა ჰარი ფოქსმა შექმნა. გასული საუკუნის დასაწყისში ფოქსტროტი ევროპაშიც გავრცელდა. ეს ცეკვა ჰაეროვანი და მსუბუქია, რბილ ნაბიჯებზეა აგებული.

**სიმღერა-ბალადა** – თხრობითი ხასიათის სიმღერა.

**სამბა** – ლათინურ-ამერიკული ცეკვა, შეიქმნა ბრაზილიური და აფრიკული ცეკვების გაერთიანების შედეგად.

**აქტივობა 3**

მოსწავლეები მოისმენენ ფრაგმენტებს ორი მიუზიკლიდან, დააკვირდებიან სურათებს და ამოიცნობენ, რომელ სურათს შეიძლება მოარგონ მოცემული მუსიკალური თანხლება.





**აქტივობა 4**

მასწავლებელი მოასმენინებს ბავშვებს ლენსკის არიას პიოტრ ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინიდან“ და ედგარის არიას გაეტანო დონიცეტის ოპერა „პოლკის ქალიშვილიდან“.

მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს:

1. მოსმენილი ფრაგმენტებიდან რომელ არიაშია გადმოცემული მეოცნებე, რომანტიული ყმაწვილის სახე?
2. რამ გიკარნახათ თქვენი პასუხი?
3. რა განწყობას გიქმნით დონიცეტის არიაში ხშირად გამოყენებული მაღალი ბგერები? გადმოსცემს: ა) გმირის გულისტკივილს; ბ) გმირის პანიკურ შიშს; გ) გმირის უდარდელობას.
4. რამ განაპირობა თქვენი პასუხი?

**აქტივობა 5**

შემდეგ, მოსწავლეები უსმენენ აუდიოჩანაწერს ვინჩენცო ბელინის ოპერა „ნორმადან“ (Casta Diva) და „სუფრულს“ (Brindisi) ვერდის ოპერა „ტრავიატადან“. პასუხობენ შეკითხვებს:

1. რომელი არია შეიძლება ასახავდეს ლოცვას ტაძარში?
2. რომელ ფრაგმენტშია მოცემული სადღესასწაულო განწყობა?

ამჯერად მოსწავლეები აკვირდებიან მოცემული მუსიკალური ნომრების ვიდეოჩანაწერს და მსჯელობენ, რამდენად სწორი იყო მათი ვარაუდი.

## 45-46 ქეთო და კოტე

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი, თვალსაჩინოება

**აქტივობა 1**

მასწავლებელი ბავშვებს გააცნობს ვიქტორ დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ ლიბრეტოს. ოპერის მოქმედება მიმდინარეობს მე-19 საუკუნის თბილისის გარეუბანში. ლიბრეტოს გაცნობამდე მასწავლებელი განმარტავს:

ოპერა, ისევე როგორც ყველა თეატრალური სპექტაკლი, **მოქმედებებად** იყოფა. ოპერა შეიძლება შედგებოდეს ერთი, ორი, სამი ან ოთხი მოქმედებისაგან. მათი რაოდენობა დამოკიდებულია მოქმედების ადგილმდებარეობისა და დროის ცვლილებაზე. მოქმედება იყოფა სურათებად, სცენებად და ნომრებად.

**მოქმედება პირველი**

თავად ლევან ფალავანდიშვილის სახლში წვეულებაა. თავადი სანადიროდ არის წასული, ხოლო სტუმრებს მისი და, კნეინა მარო მასპინძლობს.

ლევანი ნადირობიდან ბრუნდება. შორიდანვე მოისმის მისი ლაღი და მხიარული სიმღერა. თავადი შესანიშნავ გუნებაზეა. მაჭანკალი ბაბუსი ცდილობს, ლევანს მდიდარი ვაჭრის, მაკარ ტყუილკოტრიაშვილის ლამაზი ქალიშვილი ქეთო გაურიგოს. ქორწინება ორივე მხარისთვის ხელსაყრელი იქნება. ვალებში ჩავარდნილი ლევანი ლამაზ საცოლესთან ერთად მზითვად მისი მამის ქონებასაც მიიღებს, მაკარი კი წარჩინებულ გვართან დამოყვრდება. ლევანს შორეული მოგზაურობიდან დაბრუნებული ძმისწული ეწვევა. კოტე ბიძას გამოუტყდება, რომ ცოლის მოყვანა აქვს განზრახული. თავის მხრივ, ლევანიც ამბობს, რომ მასაც სურს დაოჯახება. საუბრის დროს კოტე იგებს, რომ ბიძამისს, რომელმაც კოტეს საცოლის

ვინაობა არ იცის, ცოლად მისი სატრფოს მოყვანა აქვს გადაწყვეტილი. თავზარდაცემული კოტე ცნობილ მაჭანკალს, ბარბალეს მიმართავს. ბარბალე კარგი გასამრჯელოს ფასად დახმარებას ჰპირდება კოტეს.

ბარბალე და ბაბუსი კინკლაობენ. თითოეულს ლევანის მაჭანკლობა სურს. თავადი მათ წილისყრას სთავაზობს. გამარჯვებული ბაბუსი დასცინის ბარბალეს, კინკლაობა ჩხუბში გადაიზრდება.

**მეორე მოქმედება**

მაკარი კმაყოფილია თავადთან შესაძლო დამოყვრებით. მას გზა ეხსნება მაღალი წრის საზოგადოებისაკენ, რასაც ასე ნატრობდა.

ქეთოსა და თავადი ლევანის ნიშნობის დღეს საპატარძლო სასოწარკვეთილებას შეუპყრია, რადგან მას ლევანის ძმისწული, კოტე უყვარს.

ბარბალეს რჩევით, კოტე როიალის ამწყობის როლში გამოჩნდება მაკარის სასახლეში. ქეთოს ბიძაშვილები, მაკარის ნოქრები საქო და სიკო ქეთოს გაბედნიერებას ულოცავენ. ქეთო მათ თავის გასაჭირს უხსნის და დახმარებას სთხოვს. ბარბალეც თავის გეგმას სთავაზობს. იკრიბებიან სტუმრები. მაკარს ყალბ უწყებას მიართმევენ – თითქოს მას სასწრაფოდ იბარებს გამომძიებელი. შეშფოთებული მაკარი ბოდიშს იხდის სტუმრებთან, ვინაიდან იძულებულია დატოვოს ისინი და წავიდეს. ლევანი მოუთმენლად ელის მშვენიერი საცოლის გამოჩენას. და აი, ისიც – ქეთოს ტანსაცმელში გამოპრანჭული ბარბალე მანჭვა-გრეხით გამოდის. „საცოლის“ სიმახინჯით აღშფოთებული და შეურაცხყოფილი თავადი ხმალს იშიშვლებს. შეშინებული სტუმრები იფანტებიან.

**მესამე მოქმედება**

მაკარი გაოცებულია, რომ თავადმა მისი ლამაზი ქეთო დაიწუნა. დახმარებისთვის ბარბალეს მიმართავს, რომელიც ვაჭარს ჰპირდება, რომ ერთ საათში ქეთოსა და თავადს ჯვარს დაწერს. ბარბალე წერილობით პირობას ართმევს მაკარს, რომ იგი თანახმაა, ჯვარი დაიწერონ ქეთომ და... კოტემ, კარნახობს მოხერხებული ბარბალე.

შემორბის აღელვებული ბაბუსი. ყველაფერს ფარდა ეხდება, მაგრამ უკვე დაგვიანდა: ქეთომ და კოტემ ჯვარი დაიწერეს. თავადი ლევანი აღარ ბრაზობს, მეტოქე მისივე ძმისწული აღმოჩნდა. თავადი მამულის ნახევარს ჩუქნის კოტეს. ყველაფერი საერთო მხიარულებით მთავრდება.

**აქტივობა 2**

მასწავლებელი მიმართავს კლასს: საოპერო სპექტაკლში სხვადასხვა მუსიკალური ნომრი ენაცვლება ერთმანეთს: არია, რეჩიტატივი, სიმღერა, რომანსი, კუპლეტები, გუნდი და სხვადასხვა შემადგენლობის ანსამბლები: დუეტი, ტერცეტი, კვარტეტი, კვინტეტი, სექსტეტი და ა.შ., ასევე საცეკვაო ნომრები.

მოისმინეთ ფრაგმენტები ოპერიდან „ქეთო და კოტე“:
მაკარის არია – „ფულები არის ჩვენი გამხარებელი“;
რეჩიტატივი – მაკარისა და საქოს;
კოტეს რომანსი – „ნაზი ხარ ნაზი“;
სტუმრების შემოსვლა – გუნდი „სალამი ჩვენს მასპინძელსა“;
ქეთოს არია – „ერთ საღამოს“;
კვინტეტი – ქეთო, ბარბარე, კოტე, სიკო და საქო – „ჩუმად, ჩუმად, არვინ გაგვიგოს“;
ქეთოსა და კოტეს დუეტი;
მაზურკა;
ცეკვა ქართული.

წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი განმარტებები და ამის მიხედვით დაადგინეთ, რომელ ფრაგმენტში სრულდება არია, რომანსი, დუეტი, კუპლეტები, სად ჟღერს გუნდი და ანსამბლი, რომელ ფრაგ-

მენტშია გამოყენებული რეჩიტატივი? თქვენი აზრით, რომელი ფრაგმენტია ცეკვა (მასწავლებელი მოასმენინებს ფრაგმენტებს არეული თანმიმდევრობით).

- ☑ **არია** ოპერის სოლო ეპიზოდია, რომელსაც მომღერალი ორკესტრის თანხლებით ასრულებს. არია გამოირჩევა მელოდიურობით; არიაში იხსნება ოპერის გმირის ხასიათი, სულიერი მდგომარეობა.
- ☑ ოპერაში **დუეტი** ორი მოქმედი პირის მიერ სრულდება.
- ☑ **კანცონა** (იტალ. სიმღერა) მოქმედი გმირის სოლო სასიმღერო ნომერია, რომელიც სიუჟეტის შესატყვისად მოქმედებაში ჩართულ სიმღერას წარმოადგენს.
- ☑ **რეჩიტატივი** ლაპარაკთან მიახლოვებული სასიმღერო ნომერია. არსებობს რეჩიტატივის ორი სახე: 1. secco – „მშრალი“ რეჩიტატივი, კლავესინის თანხლებით; 2. accompagnato – რეჩიტატივი საორკესტრო აკომპანემენტის თანხლებით.
- ☑ **გუნდი** მოქმედ პირთა ჯგუფური ვოკალური ნომერია.
- ☑ **რომანსი** – ოპერაში სატრფოსადმი მიძღვნილი სასიყვარულო შინაარსის სოლო ნომერია.
- ☑ **ანსამბლი** – ორი და მეტი შემსრულებლის მიერ ნაწარმოების შესრულება ან ასეთი შემადგენლობისათვის დაწერილი ქმნილებაა.
- ☑ **კუპლეტები** – ოპერის სასიმღერო ნომერია, რომელიც სიუჟეტის მიხედვითაც სიმღერაა. იგი მუსიკალურად ერთსა და იმავე მელოდიაზე აგებული სასიმღერო სტროფებისაგან შედგება.



**ვიქტორ დოლიძე** (1890-1933) დაიბადა ოზურგეთში. ბავშვობიდან გამოირჩეოდა განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით. მაგრამ ოჯახი მას ბანკის მოხელის კარიერას უმზადებდა. უკრავდა გიტარასა და მანდოლინაზე, ჩამოაყალიბა ამ საკრავებზე დაკვრის წრე, რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობდა. სწავლობდა კიევში კომერციულ სასწავლებელში, პარალელურად კი ეუფლებოდა ვიოლინოზე დაკვრას. ავტორია ოთხი ოპერის. მათ შორის, ყველაზე ცნობილია „ქეთო და კოტე“. ვიქტორ დოლიძემ შექმნა სიმფონიური სურათი „ივერიადა“ და საფორტეპიანო კონცერტი. გატაცებული იყო ოსური ფოლკლორით და ჩაწერა ამ კუთხის 200-მდე ხალხური სიმღერა. დაკრძალულია თბილისის დიდუბის პანთეონში.

ოპერა „ქეთო და კოტე“ დაიწერა ცნობილი დრამატურგის, ავქსენტი ცაგარლის პიესა, „ხანუმას“ მიხედვით. ეს პიესა რელისტურად ასახავდა XIX საუკუნის თბილისურ ყოფა-ცხოვრებას. ლიბრეტოს ავტორი თავად კომპოზიტორი იყო, რედაქტორი კი – ცნობილი ქართველი პოეტი იოსებ გრიშაშვილი. „ქეთო და კოტე“ მხატვრული თვალსაზრისით მეტად ფასეულ ნაწარმოებს წარმოადგენს. მუსიკალური ელვარების, თეატრალური სისხარტის, მოხდენილი სცენური დრამატურგიის მეოხებით, მან ქართული მუსიკის ისტორიაში ეროვნული კომიკური ოპერის ჟანრის კლასიკური შედევრის ადგილი დიმკვიდრა.

**აქტივობა 3**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წაიკითხონ მოქმედი გმირების დახასიათება. თვითონვე განსაზღვრონ, რომელ პერსონაჟს რომელი სასიმღერო ხმა შეესაბამება და დაასრულონ მოცემული წინადადებები.

1. ახალგაზრდა კოტე სულ ახლახანს დაბრუნდა სამშობლოში. მას უყვარს მშვენიერი ქეთო და ოცნებობს, ცოლად შეირთოს. კოტეს პარტია* დაწერილია მამაკაცის მაღალი ხმის – ტენორისათვის.
2. მაკარი მდიდარი ვაჭარია, რომელსაც სურს თავისი ქალიშვილი ასაკოვან თავად ლევან ფალავანდიშვილს მიათხოვოს. მაკარი მღერის არიას „ფულები არის ჩვენი გამხარებელი“. მაკარის პარტია დაწერილია მამაკაცის დაბალი ხმის – ბანისთვის.
3. ქეთო თავის არიაში იხსენებს, როგორ გაიცნო კოტე თეატრში და უნაზეს გრძნობას ავლენს

მის მიმართ. ქეთოს პარტია გამოირჩევა განსაკუთრებული ვურტუოზულობითა და მოქნილობით. დაწერილია ქალის მაღალი ხმის –კოლორატურული სოპრანოსთვის.

4. ბაბალე მაჭანკალია, რომელმაც მოატყუა არანაკლებ გამოცდილი მაჭანკალი ბაბუსი, თავადი ლევანი, ვაჭარი მაკარი და სტუმრები. ამგვარად მოხერხდა ქეთოსა და კოტეს ჯვრისწერა. ბაბალეს პარტია დაწერილია სოპრანოზე დაბალი ხმის – მეცო სოპრანოსათვის.

შემდეგ მოსწავლეები მოისმენენ ფრაგმენტებს: მაკარის არიას, კოტეს რომანსს, ქეთოს არიას, ბაბალეს პარტიას ფინალში და შედარებენ საკუთარ ვარაუდებს.





**აქტივობა 4**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოუსმინონ რეჩიტატივს და ჩაწერონ პიქტოგრამებით.

შემდეგ მოსწავლეები, წინასწარ დარიგებულ ფურცლებზე დააკვირდებიან ნაბეჭდ ტექსტს, მოისმენენ რეჩიტატივს და შემოხაზავენ იმ სიტყვებს, რომლებსაც მომღერლები განსაკუთრებულად გამოყოფენ. მოსწავლეები განიხილავენ ამ ინტონაციებს და არკვევენ, რა დატვირთვა აქვს აქცენტირებულ სიტყვებს.

| | |
|---|---|
| საქო | – ბატონო მაკარ! |
| მაკარი | – რა ამბავია? |
| საქო | – სასამართლოს გამომძიებელი გიბარებს საჩქაროდ, ვიღაცას შენი სახელით, 4000 ათასი ყალბი ფული გაუცია. |
| მაკარი | – თქვენთან უკაცრავად, ვეცდები, ჩქარა დავბრუნდე. და იმედი მაქვს, რომ არ მოიწყენთ. საქო! |
| საქო | – ბატონო! |
| მაკარი | – აბა შენ იცი, საქმეს როგორ მიხედავ. ქეთოს უთხარი, ჩქარა გამოვიდეს! |
| საქო (სიკოს) | – კეთილი! ბარბარეს უთხარით, ჩქარა გამოვიდეს! |
| საქო (სტუმრებს) | – ბატონებო, სარძლო მოდის! |

მასწავლებელი გაანაწილებს დიალოგის როლებს, სთხოვს მოსწავლეებს, მოუსმინონ და ჩაწერონ კლასელების „რეჩიტატივის“ ინტონაცია სხვადასხვა ნიშნით.

## 47-48 სევილიელი დალაქი

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

### აქტივობა 1

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ნახონ და მოისმინონ ფრაგმენტები ჯოაკინო როსინის ოპერა „სევილიელი დალაქიდან“, წაიკითხონ ქვემოთ მოყვანილი ტექსტი და ამის მიხედვით ამოიცნონ პერსონაჟი, საანსამბლო ნომერი; საორკესტრო ეპიზოდის შემთხვევაში ოპერის უვერტიურაა თუ მოქმედებაში ჩართული ნომერი – ინტერმედია* (განასხვავონ უვერტიურა და საორკესტრო ჩანართი).

**უვერტიურა** – ორკესტრი ჟღერს საზეიმო განწყობით, ინტონაციები სავსეა იუმორით, სხვადასხვა ინსტრუმენტის გადაძახილები ქმნის მდიდარ ფერთა პალიტრას. შემდგომ ჟღერს სხარტი, მკაფიო რიტმის მქონე თემა. პაუზებით დაყოფილი, მოკლე ფრაზებით აგებული მელოდია, ორკესტრის მკაფიო პულსაციის ფონზე, თითქოს, მოქმედ გმირთა საიდუმლო შეთქმულების ინტონაციებს გადმოგვცემს. თავიდანვე ნათელია, რომ ოპერა კომიკური სიუჟეტით განვითარდება. მეორე მღერადი თემა მოქმედ პირთა სილაღესა და ხალისზე მიგვანიშნებს. თანდათან მუსიკა კულმინაციისაკენ მიიწევს. უვერტიურის დამაგვირგვინებელი საზეიმო აკორდები სრული საორკესტრო შემადგენლობით ჟღერს.

**ფიგაროს კავატინა*** (ბარიტონი)

სიცოცხლით სავსე დალაქი ქება-დიდებით ყვება საკუთარ თავზე, როგორი მნიშვნელოვანი პერსონაა და როგორ უხმობს მას საშველად ყველა. ფიგაროს სოლო ჟღერს სწრაფ ტემპში, დინამიკურად მიიწევს დასასრულისაკენ. სიტყვების სწრაფი გამღერება იუმორს სძენს პერსონაჟის კავატინას.

**გრაფ ალმავივას კანცონა*** (ტენორი)

გრაფი სატრფოს კანცონას უმღერის. კანცონა იტალიურად სიმღერას ნიშნავს. ამ შემთხვევაში ეს სერენადაა, რადგან გრაფი, გიტარის თანხლებით, ფანჯარასთან უმღერის თავის რჩეულს (სხვა შემთხვევაში, კანცონა არის სიმღერა, რომელსაც სიუჟეტის მიხედვით, მღერის მოქმედი გმირი).

**ფიგაროსა და გრაფის დუეტი**

ოპერის გმირები – ფიგარო და გრაფი ალმავივა ეცნობიან ერთმანეთს და გრაფის როზინაზე დაქორწინების გეგმას დასახავენ. ფიგარო აღუთქვამს დახმარებას, გრაფი კი ჰპირდება გასამრჯელოს.

**როზინას კავატინა** (კოლორატურული მეცო-სოპრანო)

როზინა ოცნებობს უცნობ ჭაბუკზე, რომელმაც სერენადებით მოხიბლა და შეაყვარა თავი. კავატინა ვირტუოზულობით გამოირჩევა, რაც კოლორატურული მეცო-სოპრანოს პარტიისათვის არის დამახასიათებელი.

**რეჩიტატივი* და ბაზილიოს არია** (ბანი)

ბარტოლოს ესტუმრა მეგობარი დონ ბაზილიო, რომელმაც ჭორი მოიტანა: თითქოს, გრაფ ალმავივას როზინა უყვარს. ისმის მშრალი, სალაპარაკო მეტყველებასთან მიახლოვებული დიალოგი, რეჩიტატივი secco, კლავესინის თანხლებით.

„ჭორი ჯერ სიოსავით დაფრინავს, მერე კი ქარიშხლად გადაიქცევა და ქვეყანას მოედება“. ბაზილიოს არია ამ სიტყვების შესაფერისად ვითარდება.

**სცენა, მამაკაცთა გუნდი და სექსტეტი**

ფიგაროსა და ალმავივას ჩანაფიქრის მიხედვით, გრაფი ალმავივა როზინას სახლში ცდილობს ოთახი დაიქირაოს და შემდეგ, ნასვამი ჯარისკაცის სახით გამოეცხადება ბარტოლოს. სახლის პატრონი ალშფოთებულია, ატყდება აყალმაყალი. დონ ბარტოლო უხმობს ჯარისკაცებს, რათა ახალგაზრდა თავიდან მოიშოროს. ალმავივა ოფიცერს ჩუმად გაუმხელს ვინაობას. ოფიცერი, თავის ჯარისკაცებთან ერთად, სახლს მყისიერად ტოვებს.

**ბარტოლოს სცენა, რეჩიტატივი და არია** (კომიკური ბანი, basso-buffa)

ბარტოლო თხოვს მუსიკის მასწავლებელს, რომელიც სინამდვილეში გადაცმული ალმავივაა, დაუკრას აკომპანემენტი როზინასადმი მიძღვნილი სიმღერისათვის. ბარტოლო მღერის და როზინას მიმართ თავის გრძნობას ავლენს.

**საორკესტრო ჩანართი**

გაავდრდა. წვიმის წვეთების იმიტაციას ხის ჩასაბერი საკრავები ქმნიან, ელვის სურათს კი სიმებიანთა გლისანდო ხატავს. საორკესტრო პარტიაში თანდათან საკრავთა სხვა ჯგუფები ჩაერთვება და მთელი ორკესტრი ქარბუქს, ჭექა-ქუხილსა და ძლიერ წვიმას გვიხატავს.

**ტერცეტი**

მოხერხებული ფიგარო გრაფს და როზინას სახლიდან გააპარებს. ისინი ეკლესიაში მიდიან ჯვრის დასაწერად.

**ფინალური* სცენა.**

ალმავივა და როზინა ბედნიერები არიან. ყველა ზეიმობს მათთან ერთად.



☑ **ინტერმედია** – ძირითად საოპერო სცენებს შორის მოცემული ჩანართი: ინსტრუმენტული, ვოკალური ან მეტყველება – დიალოგი.

☑ **ფინალი** – მუსიკალური ნაწარმოების – ოპერის, ბალეტის, სიმფონიის ან სონატის დასკვნითი, დამასრულებელი ნაწილი.

☑ **buffa (ბუფა)** – იტალიური კომიკური ოპერის ჟანრი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ყოფით თემაზე აგებული სიუჟეტი, კომიკური სიტუაციები და პერსონაჟები; არიასა და საანსამბლო ნომრებში გამოყენებულია ვოკალური სწრაფსათქმელები; მთავარ მოქმედ გმირებს აქვთ პირველი გამოსასვლელი არია – კავატინა; არიებს, საანსამბლო ნომრებსა და გუნდებს შორის ჩართულია რეჩიტატივი secco – „მშრალი" რეჩიტატივი, რომელიც კლავესინის თანხლებით სრულდება; ოპერა buffa ორ მოქმედებას შეიცავს და ყოველი მოქმედება დიდი საანსამბლო ნომრით მთავრდება.

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიომასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი განმარტავს: ავსტრიულ-გერმანული თეატრის ერთ-ერთი ჟანრია ზინგშპილი – სპექტაკლი მუსიკალური ნომრებით. Singspiele – გერმანულად სიმღერასა და თამაშს ნიშნავს. თავისი ნიშან-თვისებებით ეს ჟანრი თანამედროვე მიუზიკლის ერთ-ერთი წინამორბედია. ზინგშპილის საფუძველზე მოცარტმა ახალი საოპერო ჟანრი შექმნა, სადაც რეჩიტატივების ნაცვლად საუბარი, დიალოგებია. ზინგშპილის ლიბრეტო იწერება გერმანულ ენაზე, ახასიათებს ყოფითი ან ზღაპრული სიუჟეტი და რამდენიმე კომიკური პერსონაჟი.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წაიკითხონ მოცარტის ოპერა „ჯადოსნური ფლეიტის“ ლიბრეტო და მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტები მიუსადაგონ ლიბრეტოს ეპიზოდებს.

„ღამის დედოფლის სამფლობელოში შემთხვევით აღმოჩნდება უფლისწული, რომელსაც საშინელი გველი მოსდევს. დედოფლის ფრეილინები უფლისწულ ტამინოს გადაარჩენენ. სანაცვლოდ კი დედოფლის ქალიშვილის, პამინას გათავისუფლებას თხოვენ. ისინი ტამინოს პამინას სურათს უჩვენებენ და ეუბნებიან, თითქოს, ბოროტმა ჯადოქარმა ზარასტრომ მოიტაცა. უფლისწულს ერთი დანახვით შეუყვარდება მშვენიერი პამინა და გადაწყვეტს, გაათავისუფლოს იგი. სამი გენიოსი ტამინოს გზას უჩვენებს ზარასტროს სასახლემდე.

ტყის კაცი პაპაგენო ტამინოს მიყვება. **პაპაგენოს სიმღერა.** ტამინოს ჯადოსნური ფლეიტა აქვს ავი სულების დასაფრთხობად, ხოლო პაპაგენოს – ჯადოსნური ზანზალაკები. თუ სირთულე შეხვდებათ, ან საკრავებს ააჟღერებენ და განსაცდელს თავს დააღწევენ. პაპაგენო ჩუმად შეაღწევს ზარასტროს სასახლეში და პამინას ტამინოზე მოუთხრობს. ისინი სიხარულით მიიჩქარიან ტამინოსაკენ, რომლის ჯადოსნური ფლეიტის ხმა პასუხად ესმით, პაპაგენო თავის ზანზალაკებს აჟღერებს. **ჟღერს პაპაგენოს და პამინას დუეტი ზანზალაკებისა და გუნდის თანხლებით.**

საბოლოოდ ირკვევა, რომ ზარასტრო სიბრძნის, სინათლისა და სიკეთის სამეფოს ქურუმია, რომელსაც ღამის დედოფალი ებრძვის. ეს უკანასკნელი გამოეცხადება პამინას და სთხოვს ზარასტროს განადგურებას. **ღამის დედოფლის არია.**

პამინა სასოწარკვეთილებაშია. მის საშველად სამი გენიოსი ბიჭუნა მოდის. **გენიოსების სიმღერა.**

ოპერას ბედნიერი დასასრული აქვს. სიკეთე იმარჯვებს და ბევრი სირთულის მიუხედავად, ტამინო და პამინა დაქორწინდებიან. ტყის კაცი პაპაგენოც შეხვდება თავის რჩეულ პაპაგენას და ბედნიერია. **პაპაგენოსა და პაპაგენას დუეტი.**



**პაპაგენო და პაპაგენა**

**აქტივობა 2**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, განმეორებით მოუსმინონ ფრაგმენტებს ოპერიდან და იმსჯელონ, ამოიცნონ, რომელი ეპიზოდია არია, რომელი – დუეტი და ტრიო, სად არის ჩართული ცეკვა და სად ჟღერს გუნდი.

მოსწავლეები გაიხსენებენ კოლორატურული სოპრანოს განმარტებას და ამის მიხედვით დაასახელებენ, რომელი პერსონაჟი მღერის ამ საოპერო ხმის ტემბრით.

მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს:

> **კოლორატურული სოპრანოსათვის** დამახასიათებელია გასაოცარი ვირტუოზულობა, მაღალი რეგისტრი, მოქნილი პლასტიური სვლები, რომლებიც მაქმანებივით ამშვენებს მომღერლის პარტიას.

**აქტივობა 3**

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, იმღერონ სამი გენიოსის ტრიო მოცარტის ოპერიდან „ჯადოსნური ფლეიტა“

## Bald prangt, den Morgen zu verkünden




2. Dir strahlt aus tausend Augen wider
dein Bild, o Lichtesquell.
In Perlen fiel der Tau hernieder
und grüßt dich rein und hell.
Dir dankt, o hehre Lebenssonne,
die stille Blume Lichteswonne;
dir dankt in frohbewegter Brust
die neu erwachte Lebenslust!

3. Schwing frei dich von dem Rand der Erde
empor in Ätherblau!
Beglückt im Reich des Lichtes werde
die ärmste, tiefste Au.
Wir werfen ab der Nächte Sorgen;
des besten Tages schöner Morgen,
er bricht in jeder Seele an,
er führt sie froh auf lichter Bahn.

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მოსწავლეები აკვირდებიან და ტაშით გამოსახავენ რიტმულ სურათს. დაასახელებენ და ამოიცნობენ თითოეულ დაჯგუფებას:




**აქტივობა 2**

მასწავლებელი უჩვენებს ფრაგმენტს რიკარდო კოჩანტეს მიუზიკლიდან „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ – პოეტი გრენგუარის თხრობას („კათედრალების ეპოქა“). შემდეგ – ფრაგმენტს რუჯერო ლეონკოვალოს ოპერა „ჯამბაზებიდან“. სთხოვს მოსწავლეებს, წაიკითხონ ქვემოთ მოყვანილი ტექსტი და ამოიცნონ პერსონაჟი. მოსმენის შედეგად დაადგინონ, რომელ ჟანრს ეკუთვნის თითოეული ფრაგმენტი, ოპერას თუ მიუზიკლს. გამოთქვან აზრი, რის მიხედვით მიიღეს გადაწყვეტილება.



რიკარდო კოჩანტეს მიუზიკლ „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში“ პოეტი გრენგუარი, რომელიც ნაწარმოებში მთხრობელიც არის და მოქმედი გმირიც, მონოლოგში „Le Temps Des Cathédrales“ („კათედრალების ეპოქა“) მოგვითხრობს:

– დიდი ხნის წინათ, ნოტრდამის ტაძართან, ტრუბადურები* და ქუჩის მუსიკოსები სიყვარულზე მღეროდნენ. ჩვენს ათასწლეულში მსახიობები, მოძრაობითა და პოეტური რითმებით კვლავ გადმოვცემთ უძველეს ისტორიას სიყვარულის შესახებ.



ლეონკოვალოს ოპერა „ჯამბაზებში“, ჯამბაზი მღერის თავის მძიმე ბედზე. იგი იძულებულია, სპექტაკლში თამაშობდეს და იღიმებოდეს მაშინაც კი, როდესაც მისი სული და გული ტირის.

**აქტივობა 3**

მასწავლებელი გააცნობს კლასს რიკარდო კოჩანტეს მიუზიკლ „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ ლიბრეტოს, რომელსაც უდიდესი ფრანგი მწერლის ვიქტორ ჰიუგოს რომანი დაედო საფუძვლად.

მოქმედება შუა საუკუნეების პარიზში ხდება. მომხიბლავი ბოშა ქალის, ესმერალდას მიმართ არ არიან გულგრილნი ტაძრის მნათე კვაზიმოდო, ტაძრის მსახური ფროლი და ახალგაზრდა კაპიტანი ფოებუსი. ფროლს სურს ესმერალდა ტაძრის კოშკში დაატყვევოს, მაგრამ მას კაპიტანი გადაარჩენს. ესმერალდა პაემანზე ხვდება კაპიტანს, ფროლი კი ფოებუსს მზაკვრულად ჩასცხებს ზურგში ესმერალდას დანას და მკვლელობა ბოშა ქალს ბრალდება. ამისათვის მას სიკვდილს მიუსჯიან. ფლორი ესმერალდას სიყვარულის ფასად გათავისუფლებას ჰპირდება, მაგრამ ქალი უარს ეუბნება. იგი თავისუფალ ადამიანად რჩება, მაგრამ ამას მისი სიცოცხლე ეწირება.

მიუზიკლი „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ შევიდა „გინესის რეკორდების წიგნში“, როგორც ყველა დროის ყველაზე წარმატებული მიუზიკლი. დებიუტიდან პირველსავე წელს, სპექტაკლი მრავალჯერ დაიდგა მსოფლიოს სხვადასხვა თეატრის სცენაზე.

მოსწავლეები მოისმენენ ტერცეტს „Belle“ („ლამაზმანი“), სადაც მიუზიკლის გმირები სიყვარულს უხსნიან ესმერალდას (სიმღერის ჩანაწერებს სპექტაკლიდან და საკონცერტო შესრულებით). მოსწავლეები ამოიცნობენ და დაასახელებენ მამაკაცთა სასიმღერო ხმებს.



☑ **ტრუბადური** – შუა საუკუნეებში პოეტი-მომღერალი რაინდი.

# 51 ორკესტრი

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიომასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს სიმფონიური ორკესტრის შემადგენლობას. მიუთითებს სურათზე და განმარტავს:




სიმფონიურ ორკესტრში ინსტრუმენტთა ოთხი ჯგუფია გაერთიანებული: სიმებიან-ხემიანი, ხის ჩასაბერი, ლითონის ჩასაბერი და დასარტყამი.

სიმებიან-ხემიან საკრავთა ჯგუფს მიეკუთვნება: ვიოლინო, ალტი, ჩელო, კონტრაბასი.

ხის ჩასაბერი საკრავებია: ფლეიტა, ჰობოი, კლარნეტი, ფაგოტი.

ლითონის ჩასაბერი საკრავებია: ვალტორნა, საყვირი, ტრომბონი, ტუბა.

დასარტყამი საკრავებია: ლიტავრები, დიდი და პატარა დოლები (დაფდაფი), თეფშები, სამკუთხედი, ქსილოფონი, კასტანეტები და სხვ.

ორკესტრს შეიძლება დაემატოს პატარა კლავიშებიანი დასარტყამი ინსტრუმენტი – ჩელესტა, სიმებიანი საკრავი – არფა, კლავიშებიანი საკრავი – როიალი, კლავიშიანი სასულე საკრავი – ორგანი.

საოკესტრო ნაწარმოები იწერება **პარტიტურის** სახით, რომელშიც თითოეული საკრავის პარტია* ცალ-ცალკეა გამოწერილი. დირიჟორს – პარტიტურა, ხოლო ინსტრუმენტალისტებს თავ-თავიანთი პარტიათა ნოტები უდევთ პულტებზე (ნოტების დამჭერ საყრდენებზე). საორკესტრო პარტიტურის გარდა, არსებობს საგუნდო და საოპერო პარტიტურაც. პარტიტურის საფორტეპიანო ვარიანტს **კლავირი** ეწოდება.

**პარტია** – მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოების ის ნაწილია, რომელიც დაწერილია რომელიმე ერთი ხმისათვის ან ერთი ინსტრუმენტისათვის. ვოკალურ-ინსტრუმენტულ ნაწარმოებში გამოარჩევენ სოლო ვოკალურ, საანსამბლო, საგუნდო და საორკესტრო პარტიებს.

მასწავლებელი მიმართავს კლასს: მოისმინეთ ორი ფრაგმენტი ვაგნერის „ნიბელუნგის ბეჭდიდან" და ხასიათობრივად შეადარეთ ისინი.

თავდაპირველად ისმენენ ფრაგმენტს ვაგნერის ოპერა „ზიგფრიდიდან". მასწავლებელი სთხოვს, უპასუხონ შეკითხვებს:

1. რა დატვირთვას სძენს უროს ხმას საორკესტრო თანხლება? (უფრო გამომსახველს ხდის შინაარსის გადმოცემას)

შემდეგ, მოსწავლეები მოისმენენ ამავე ოპერიდან მეორე ფრაგმენტს – „ზიგფრიდის იდილია". გამოთქვამენ აზრს და პასუხობენ შეკითხვებს:

1. რას შეიძლება ასახავდეს მუსიკა?
   ა) ბრძოლის სცენას.
   ბ) დღესასწაულის სცენას.
   გ) ბუნების პეიზაჟს. (ბუნების პეიზაჟს)
2. რა როლი აქვს საკრავებს? (ვალტორნები – ზიგფრიდის ბუკის ხმას გამოსახავს, ხის ჩასაბერები (კლარნეტი და ფლეიტა) – ჩიტების ხმას, სიმებიან-ხემიანთა ჯგუფი – ბუნების ხმებს).


ზიგფრიდი

მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გამოთქვამენ თავის აზრს, მასწავლებელი უყვება ოპერის ამ ფრაგმენტის შინაარსს: „ზიგფრიდის იდილია" – მთავარი მოქმედი გმირის ზიგფრიდის რაინზე გასეირნების სცენას და ბუნებასთან იდილიას ასახავს.

შემდეგ განმარტავს კიდევ ერთ სცენას ვაგნერის ოპერიდან „ვალკირიები", კერძოდ, ვალკირიებზე, ომის ქალღმერთებზე, რომლებიც ბრძოლის ველზე დაფრინავენ და გმირთა ბედს წყვეტენ.

ასმენინებს მოსწავლეებს „ვალკირიების ფრენის სცენას" აღნიშნული ოპერიდან. სთხოვს, დააკვირდნენ:

1. რა დატვირთვა აქვს ამ ფრაგმენტში ორკესტრს – მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო? (მნიშვნელოვანი)
2. როგორ არის გადმოცემული საორკესტრო პარტიაში სცენის შესატყვისი შინაარსი? (გლისანდოები სიმებიან-ხემიან საკრავების პარტიაში, ხოლო ლითონის ჩასაბერებთან, კერძოდ, ვალტორნების პარტიაში მუსიკალური თემა – ვალკირიების ლაიტთემა, გამოკვეთილი პუნქტირული რიტმით. მას საბრძოლო იერიშის ხასიათი აქვს და ენერგიულია).


„ვალკირიები"

მასწავლებელი სთხოვს, პიქტოგრამებით ჩაწერონ ეპიზოდი „ვალკირიების ფრენა"; ჩანაწერში გამოყონ თემა და თანხლება.

შემდეგ ასმენინებს ვაგნერის ოპერა „ლოენგრინის" შესავალს. ყვება ოპერის მთავარი გმირის, ლოენგრინის შესახებ, რომელიც ციურ სამეფოში ცხოვრობს და მიწაზე ჩაგრულთა დასახმარებლად დაეშვება.

საორკესტრო პარტია გადმოსცემს ციური, უსხეულო რაინდის თანდათან დაშვებას მიწაზე და მის ხორცშესხმას, მებრძოლ რაინდად გადაქცევას. მასწავლებელი ეკითხება, ინსტრუმენტთა რომელი

ჯგუფით და რა გამომსახველობითი ხერხებით (ვიოლინოთა მაღალი რეგისტრი) აღწევს ამას.

**რიჰარდ ვაგნერი** (1813 ლაიფციგი – 1882 ვენეცია) – გერმანელი საოპერო კომპოზიტორი, ოპერის ჟანრის რეფორმატორი, დირიჟორი და დრამატურგი, საკუთარი ოპერების ლიბრეტოს და მრავალი თეორიული შრომის ავტორი. მისი ოპერების პერსონაჟები შუა საუკუნეების გერმანული და სკანდინავიური მითოლოგიის ღმერთები და გმირები არიან. ამ ნაწარმოებებში ყველა გმირს, საგანს, გრძნობას თავისი ლაიტმოტივები აქვს.



ვაგნერმა დაწერა მსოფლიოში ყველაზე გრძელი სოლო არია, ის ჟღერს ბრუნჰილდას მსხვერპლშეწირვის სცენაში, ოპერა „ღმერთების სიკვდილში“. არია 15 წუთის განმავლობაში გრძელდება. ვაგნერს ეკუთვნის ასევე ყველაზე გრძელი ოპერა „ნიურნბერგის მაისტერზინგერები“, რომელიც 5 საათზე მეტხანს გრძელდება.

გენიალური კომპოზიტორის ოპერების დადგმისათვის გერმანიის ქალაქ ბაიროითში აშენდა საოპერო თეატრი.

ვაგნერი მეგობრობდა გამოჩენილ უნგრელ კომპოზიტორ ფერენც ლისტთან. ლისტის ქალიშვილი კოზიმა ვაგნერის მეუღლე იყო.

**ეს საინტერესოა:**

**პარტიტურა**

1855 წელს ვაგნერი მიიწვიეს ლონდონის ფილარმონიაში რამდენიმე კონცერტის ჩასატარებლად. იგი, ლონდონში გამოჩენისთანავე, კრიტიკის ქვეშ მოექცა. ლონდონელებს აღიზიანებდათ, რომ ვაგნერი ბეთჰოვენის სიმფონიებს ზეპირად დირიჟორობდა. მას მიუთითეს, რომ ეს დიდი უპატივცემულობა იყო ბეთჰოვენისადმი. შემდეგ კონცერტზე პარტიტურა ნამდვილად იდო პიუპიტრზე. კონცერტი წარმატებული იყო. მუსიკისმცოდნეები გარს შემოეხვივნენ ვაგნერს.

– ჩვენ ხომ ვამბობდით! ეს სულ სხვა ჟღერადობაა! ბეთჰოვენისებური ჟღერადობა. როგორ არაჩვეულებრივად შეასრულეთ „სკერცო“! რა კარგად ჟღერდნენ ალტები... – ამ სიტყვებით ერთ-ერთმა მუსიკისმცოდნემ გადაშლილი პარტიტურა აიღო და ნახა, რომ ეს იყო ჯოაკინო როსინის „სევილიელი დალაქის“ პარტიტურის საფორტეპიანო ვარიანტი – კლავირი, რომელიც პიუპიტრზე თავდაყირა იდო.

**რეფორმა** – გარდაქმნა, შეცვლა, გადაკეთება.

## 52 მუსიკალური ანტრაქტი და კულმინაცია

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

### აქტივობა 1

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ ნახატს, ხელით გამოსახონ რიტმი, ფეხით – მეტრი.



შემდეგ ისინი გაეცნობიან ბანის გასაღებში დამატებით ხაზებზე დაწერილ ნოტებს.




### აქტივობა 2

მასწავლებელი განმარტავს: ოპერას ხსნის უვერტიურა – საორკესტრო შესავალი, რომელიც ოპერის მთავარ იდეასა და შინაარსს განსაზღვრავს (მაგალითად, გავიხსენოთ უვერტიურები ოპერებისათვის „ლოენგრინი“, „სევილიელი დალაქი“). ზოგიერთ შემთხვევაში საორკესტრო პარტია ჩართულია მოქმედებებს შორისაც. ასეთ ჩანართს **მუსიკალური ანტრაქტი** ეწოდება და მისი მომდევნო მოქმედების შინაარსს გადმოსცემს. მაგ., ფრანგი კომპოზიტორის ჟორჟ ბიზეს ოპერა „კარმენში“, მუსიკალური ანტრაქტი მოცემულია ყოველი მოქმედების წინ. ანტრაქტი III მოქმედებისათვის გადაიზრდება განთიადზე მთებში მსვლელობის სცენაში.

მასწავლებელი ასმენინებს მოსწავლეებს ჯერ III, შემდეგ კი IV მოქმედების მუსიკალურ ანტრაქტებს და სთავაზობს, ამოიცნონ:

1. რა განწყობაა მოცემული მუსიკაში და რომელი ინსტრუმენტებით არის იგი გადმოცემული?
2. რა ემოციით არის დატვირთული მუსიკა და რას შეიძლება ასახავდეს?

მათი პასუხის შემდეგ, მოუთხრობს, რომ IV მოქმედებაში ასახულია სევილიის დღესასწაული – ტორეადორების შებმა ხარებთან და შესაბამისად, ანტრაქტი ცეცხლოვანი ესპანური ცეკვების რიტმებზეა აგებული.



**ჟორჟ ბიზე** (1838 პარიზი – 1875 პარიზი) – გენიალური ფრანგი კომპოზიტორი, მოღვაწეობდა პარიზში. ოპერები მისი შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილია. პოპულარულია მისი ოპერა „კარმენი“, რომლის ლიბრეტოს საფუძვლად დაედო ფრანგი მწერლის ამავე სახელწოდების ნოველა. ცნობილია აგრეთვე ოპერა „მარგალიტის მაძიებლები“, სიმფონია დო მაჟორი, მუსიკა ფრანგი მწერლის, ალფონს დოდეს მოთხრობის მიხედვით დადგმული სპექტაკლისათვის „არლელი ქალი“.

**აქტივობა 3**

შემდეგ მასწავლებელი გაახსენებს და უჩვენებს ფრაგმენტს ვერდის ოპერა „აიდადან“ და განმარტავს:

ჯუზეპე ვერდის „აიდაში“ მოცემულია სადღესასწაულო სცენა – მეომართა გამარჯვებით დაბრუნება ბრძოლის ველიდან. ამასთან დაკავშირებით ჟღერს ტრიუმფალური მარში, რომელიც ამ ოპერის კულმინაციურ ნაწილშია ჩართული.



მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ამოიცნონ, რომელი ინსტრუმენტები ჟღერს ორკესტრში ყველაზე გამომსახველად და მიჰყავს თემა (სამი საყვირის პარტია).

**აქტივობა 4**

მასწავლებელი განმარტავს, რომ ოპერებში საორკესტრო პარტია შეიძლება თანხლებას უწევდეს საბალეტო სცენას. მაგ., ფლეიტის სოლო ქრისტოფ ვილიბალდ გლუკის ოპერა „ორფეოსი და ევრიდიკედან“. მოსწავლეები ისმენენ ამ ფრაგმენტს. შემდეგ მასწავლებელი მათ უყვება ოპერის შინაარსს:

გერმანელი კომპოზიტორის, ქრისტოფ ვილიბალდ გლუკის ოპერა „ორფეოსი და ევრიდიკეს“, საფუძვლად დაედო ძველი ბერძნული მითი ორფეოსის შესახებ, რომლის მეუღლე ევრიდიკე, გარდაცვალების შემდეგ ხვდება მიწისქვეშეთში, ჰადესის სამეფოში. მითის თანახმად, ღმერთები ნებას დართავენ ორფევსს, ჩავიდეს ჰადესთან, გამოიყვანოს და დააბრუნოს ევრიდიკე ცოცხალთა სამეფოში. ორფეოსი შეაღწევს ნეტარ სულთა სამფლობელოში, ელიზიუმის მინდვრებზე, სადაც ევრიდიკე იმყოფება. ამ სცენის ნეტარებითმოცულ და ამავე დროს, სევდიან შინაარსს გამოხატავს ფლეიტის ტემბრი. ფლეიტის სოლო, სიმებიან საკრავთა თანხლებით, ძალზე მომხიბლავი აღმოჩნდა, იგი „გლუკის მელოდიის“ სახელითაა ცნობილი.





**ქრისტოფ ვილიბალდ გლუკი** (1714 ერასბახი – 1787 ვენა) – საოპერო ჟანრის ერთ-ერთი ყველაზე დიდი რეფორმატორი, გერმანელი კომპოზიტორი. გლუკი ამბობდა: „უბრალოება და სიმართლე წარმოადგენს მშვენიერების დიად პრინციპებს ხელოვნების ყველა ნაწარმოებში“. იგი უარყოფდა ვირტუოზულობას, როგორც თვითმიზანს. მისი აზრით, მუსიკას უნდა გადმოეცა მოქმედი გმირების განცდები და გრძნობები. გლუკის მიზანი იყო ოპერაში მუსიკისა და დრამატული მოქმედების სინთეზი. მისი აზრით, მუსიკა ოპერის გმირთა სულიერი სამყაროს გახსნის საშუალებაა და ამიტომ იგი დრამას უნდა დამორჩილებოდა.

გლუკმა გააერთიანა ოპერაში მუსიკა და დრამა. საოპერო სპექტაკლის ყველა ელემენტი შერწყმული და დაკავშირებულია ოპერის შინაარსთან. არია აღარ არის საკონცერტო ნომერი, რომელიც მომღერლის ვოკალური ვირტუოზულობის დემონსტრირებას ახდენს. იგი ორგანულადაა ჩართული მოქმედებაში და გმირის განცდებს გადმოსცემს. რეჩიტატივი გამომსახველი, მღერადია, მასში გრძნობათა დინამიკაა გამოხატული. არიები, რეჩიტატივები და გუნდები ინარჩუნებს დამოუკიდებელ ფუნქციას და ამასთანავე, დიდ დრამატულ სცენებში ერთიანდება.

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიომასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი, თვალსაჩინოება

**აქტივობა 1.**

მოსწავლეები წაიკითხავენ ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისის" ლიბრეტოს. წინასწარ დარიგებულ ფურცლებზე, პერსონაჟების ხასიათზე მსჯელობის შემდეგ, მოქმედი პირების სახელებთან დაწერენ შესაბამის საოპერო ხმებს. შემდეგ, მოისმენენ ოპერის ფრაგმენტებს: მალხაზის არიას, ცანგალას კუპლეტებს, მაროს არიას, კიაზოს სიმღერას და დაადგენენ, რამდენად სწორი იყო მათი ვარაუდი.

მოქმედი პირები:

მალხაზი (ჯარისკაცი) – ტენორი

მარო (გლეხის გოგონა) – სოპრანო

კიაზო (ასეულის ასისთავი) – ბარიტონი

ცანგალა (მესტვირე) – ბანი

მოქმედი პირები:

მალხაზი (ჯარისკაცი)

მარო (გლეხის გოგონა)

ცანგალა (მესტვირე)

კიაზო (ასეულის ასისთავი)

## ლიბრეტო

**მოქმედება პირველი:**

სოფელი საეკლესიო დღესასწაულის, ხატობისათვის ემზადება, საღამო ხანია. ნანო მოუთმენლად ელის დღესასწაულის დაწყებას. მისი მეგობარი მარო კი მოწყენილია, რადგან არაფერი ისმის მისი სატრფოს – მალხაზისაგან, რომელიც დიდი ხანია, შორეულ მხარეს გაემგზავრა. მაროს მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ საკუთარი ნების წინააღმდეგ დანიშნულია ასისთავ კიაზოზე.

ნანო მაროს ამცნობს მალხაზის ჩამოსვლას, რომელიც შორიდან მოიმღერის. შეხვედრის დროს, მალხაზი იგებს მაროს დანიშვნის თავზარდამცემ ამბავს. ხატობის დღესასწაულზე ხალხი მხიარულობს. გლეხის ბიჭი ტიტო და მესტვირე ცანგალა ერთმანეთს შაირობაში ეჯიბრებიან, ტიტო იმარჯვებს. გაბრაზებული ცანგალა ჩხუბს წამოიწყებს. თანასოფლელები მათ აშველებენ.

ნანოს წრეში მარო და მალხაზი შეჰყავს... ცანგალა ემუქრება ნანოს, რომ ამ ამბავს კიაზოს აცნობებს. ნანო თავიდან იცილებს აბეზარ მესტვირეს.

ისმის ზარების რეკვა. ხალხი ეკლესიისაკენ მიემართება. მალხაზი მაროსთან განმარტოებას ლამობს, მაგრამ მარო ხელიდან უსხლტება. მალხაზი დარდობს.

**მოქმედება მეორე**

დღესასწაული ეკლესიის ეზოში გრძელდება. ცანგალამ კიაზოს მაროსა და მალხაზის შეხვედრის ამბავი შეატყობინა. კიაზო შურისძიების გრძნობით ანთებული, ღვინოს ეძალება.

მარო აღელვებულია, რადგან მეტოქეების შეხვედრას ელის. ნანო შეყვარებულებს კიაზოს მოახლოებას ატყობინებს. მაროს და ნანოს თხოვნით მალხაზი მათ გაეცლება.

მოულოდნელად განგაში იწყება. სამშობლოს მტერი შემოესია და კიაზო ხალხს ბრძოლისაკენ მოუწოდებს.

**მოქმედება მესამე**

ცანგალასგან მაროსა და მალხაზის შეხვედრის ამბის გაგების შემდეგ კიაზო მაროს პასუხს სთხოვს. მარო აღარ მალავს საკუთარ გრძნობებს მალხაზისადმი. მალხაზის გამოჩენა ვითარებას ამწვავებს. კიაზო სასწრაფოდ ითხოვს შეყვარებულთა განშორებას. იმართება ორთაბრძოლა. მო-ლაშქრეთა სიმღერის გაგონებაზე მეტოქეები წუთიერად გონს მოეგებიან... კიაზო მახვილით გან-გმირავს მალხაზს. მარო დასტირის სატრფოს. ხალხი კიაზოს კიცხავს და სამშობლოს დასაცავად მიემართება.

**აქტივობა 2**

მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს მათთვის უკვე ნაცნობ სცენას – კიაზოს მიმართვა ხალხ-ისადმი და გუნდი „თავისუფლება“. სთხოვს მოსწავლეებს, დაადგინონ, სად შეიძლება ჟღერდეს ეს ფრაგმენტი ლიბრეტოს მიხედვით.

მასწავლებელი სთხოვს, ამოიცნონ, რომელი ეპიზოდია მათთვის ნაცნობი და რას მოაგონებს ის. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ აზრს, მასწავლებელი განმარტავს: საქარ-თველოს სახელმწიფო ჰიმნს საფუძვლად დაედო სწორედ ეს ეპიზოდი. გამოჩენილმა ქართველმა საგუნდო კომპოზიტორმა, იოსებ კეჭაყმაძემ, ზაქარია ფალიაშვილის მუსიკის მიხედვით შექმნა ჰიმნი.

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, იმღერონ საქართველოს ჰიმნის გამარტივებული ვარიან-ტი სამ ხმაში და ამოიცნონ მესამე ხმის პარტიაში ბანის გასაღებში დამატებით ხაზებზე დაწერილი ნოტები (იხ. დანართი).

**ზაქარია ფალიაშვილი** (1871-1933) – ქართველი კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი და საზო-გადო მოღვაწე. ქართული ხალხური მუსიკისა და მსოფლიო მუსიკალური ტრადიციების შერ-წყმით, მან საფუძველი ჩაუყარა ქართულ ეროვნულ მუსიკალურ კულტურას.

ფალიაშვილი ახალგაზრდობის წლებიდანვე გამოირჩეოდა აქტიური მოღვაწეობით. ჯერ კიდევ მოსკოვში სწავლის პერიოდში შექმნა ქართველ სტუდენტთა გუნდი; მართავდა ფოლკლორულ საღ-ამოებს. მან დააარსა „ქართული ფილარმონიული საზოგადოება“ და სათავეში ედგა ამ საზოგა-დოებასთან არსებულ სამუსიკო სკოლას; აგროვებდა ქართულ ხალხურ სიმღერებს და გადაჰქონდა ნოტებზე. ფალიაშვილმა გამოსცა კრებული „40 ქართული ხალხური სიმღერა“. მისი ჩაწერილი საგალობლები და ხალხური სიმღერები საუკეთესოა სანოტო ჩანაწერებს შორის.

ზაქარია ფალიაშვილის ოპერები „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“ დღემდე დიდი პოპულარო-ბით სარგებლობს. კომპოზიტორის სახელს ატარებს თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი, ქუჩები თბილისსა და ქუთაისში.

## 54 მიუსადაგე ხმის ტემბრი – შემაჯამებელი გაკვეთილი

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიომასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს:

დააკვირდნენ ფოტოებს სხვადასხვა საოპერო გმირების გამოსახულებით და შეურჩიონ ქვემოთ მოცემული სიტყვები:

1. მრისხანე, ცეცხლოვანი (ღამის დედოფალი);
2. ლამაზი, შეუპოვარი (ამნერისი);
3. ამაყი, დამოუკიდებელი  (კარმენი).





იმსჯელონ, როგორი ხმის ტემბრი შეიძლება ჰქონდეს თითოეულს.

შემდეგ კი მასწავლებელი მოასმენინებს მოსწავლეებს ამ სამი პერსონაჟის სოლო პარტიას: ღამის დედოფლის არიას ვ.ა. მოცარტის ოპერა „ჯადოსნური ფლეიტიდან“, ამნერისის სცენას ჯ. ვერდის ოპერა „აიდადან“, კარმენის ხაბანერას ჟ. ბიზეს ოპერა „კარმენიდან“. სთხოვს, მიუსადაგონ ისინი სურათებს, იმსჯელონ, რამდენად სწორად შეურჩიეს დახასიათება.

**აქტივობა 2**

ამჯერად სთხოვს,  დააკვირდნენ მამაკაცთა ფოტოებს და შეურჩიონ ქვემოთ მოცემული სიტყვები:

4. მეოცნებე ჭაბუკი (კალაფი);
5. მამაცი მებრძოლი (ტორეადორი);
6. ბრძენი ქურუმი (რამფისი).





იმსჯელონ, როგორი ხმის ტემბრი შეიძლება ჰქონდეს თითოეულს.
იმის შემდეგ, რაც მოსწავლეები გამოთქვამენ აზრს, მასწავლებელი მოასმენინებს მოსწავლეებს ამ სამი პერსონაჟის პარტიას: კალაფის არიას ჯ. პუჩინის ოპერა „ტურანდოტიდან“, ტორეადორის კუპლეტებს ჟ. ბიზეს ოპერა „კარმენიდან“, რამფისის სცენას ჯ. ვერდის ოპერა „აიდადან“. სთხოვს, მიუსადაგონ ისინი სურათებს; იმსჯელონ, რამდენად სწორად შეურჩიეს დახასიათება.

## 55 მუსიკალური ქუდი – შემაჯამებელი გაკვეთილი

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს მუსიკალური რეკლამის, სატელევიზიო გადაცემის ქუდისა და მუსიკალური ლოგოტიპის შესახებ. სატელევიზიო გადაცემის ქუდი ქმნის განწყობას და გარკვეულწილად, დაკავშირებულია მოცემული გადაცემის შინაარსთან.

ლოგოტიპი მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „ლოგოს“, რაც ნიშნავს „სიტყვას“, „დაღს“. მუსიკალური ლოგოტიპი წარმოადგენს მოკლე მუსიკალურ ფრაზას ან მოტივს, რომელიც თან ახლავს რაიმე სახელოვანი ფირმის გამოჩენას, როგორც აუდიო, ისე ვიდეოწარდგენის შემთხვევაში.

მუსიკალური რეკლამა ქმნის დადებით, პოზიტიურ ფონს და კიდევ უფრო ამძაფრებს მოწოდებული ინფორმაციით მიღებულ შთაბეჭდილებას.

მასწავლებელი მოასმენინებს საქართველოს სახელმწიფო რადიოს მუსიკალურ ქუდს და სთხოვს მოსწავლეებს, იმსჯელონ, რა ტიპის გადაცემას შეიძლება ჰქონდეს მსგავსი ქუდი.

მოსწავლეები მოისმენენ ფრაგმენტებს: ლუჩიას არიას დონიცეტის ოპერა „ლუჩია დი ლამერმურიდან“; „ვალკირიების ფრენის სცენას“ ვაგნერის ოპერიდან „ვალკირიები“; ინტროდუქციას „კათედრალების ეპოქა“ რიკარდო კოჩანტეს მიუზიკლ „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარიდან“.

სთხოვს, იმსჯელონ, რა ტიპის გადაცემის ქუდისათვის გამოიყენებდნენ ამ ფრაგმენტებს. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გამოთქვამენ აზრს, მასწავლებელი სთავაზობს, ქვემოთმოყვანილი გადაცემების ქუდებისათვის შეარჩიონ მუსიკა. სავარაუდოდ, მოსწავლეები მუსიკალურ ფრაგმენტებს დააკავშირებენ შემდეგ გადაცემებთან:

1. გადაცემა – „ჩვენ ვუსმენთ ოპერას“ – ლუჩიას არია დონიცეტის ოპერიდან „ლუჩია დე ლამური“;
2. გადაცემა – „სამეცნიერო ფანტასტიკა“ – „ვალკირიების ფრენის სცენა“ ვაგნერის ოპერიდან „ვალკირიები“;
3. შემეცნებით-გასართობი გადაცემა „ევროპის ულამაზესი ქალაქები“ – ინტროდუქცია „კათედრალების ეპოქა“ „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრიდან“.

**აქტივობა 2**

მასწავლებელი შესთავაზებს ნაწყვეტებს მოსმენილი ოპერებიდან და მიუზიკლებიდან. სთხოვს, მოცემული ფრაგმენტებიდან შექმნან სატელევიზიო გადაცემის ქუდი. მოარგონ შემდეგი ტიპის გადაცემებს:

**მუსიკალური ფრაგმენტები**

1. ღამის დედოფლის არია მოცარტის ოპერიდან „ჯადოსნური ფლეიტა“;
2. ფიგაროს კავატინა როსინის „სევილიელი დალაქიდან“;
3. მამბო ბერნსტაინის მიუზიკლიდან „ვესტსაიდის ისტორია“;
4. სიმღერა „დო, რე, მი“ როჯერსის მიუზიკლიდან „მუსიკის ჰანგები“.

**სატელევიზიო გადაცემები**

1. მუსიკალური გადაცემა „საოპერო ხმები“;
2. გადაცემა „სტილისტი”
3. საბავშვო შემეცნებითი მუსიკალური გადაცემა „ჩვენ ვუსმენთ კლასიკას“;
4. გადაცემა „დღესასწაულები ლათინური ამერიკის ქვეყნებში“.

მუსიკა და თეატრი
თემა: მუსიკა საბალეტო სპექტაკლში

მოცემულ თემას მომდევნო თემამდე დაეთმობა 10 გაკვეთილი.

**სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:**

- როგორ იქმნება ბალეტში ცეკვისა და მუსიკის მეშვეობით მხატვრული სახე? მუს. დაწყ.(II).4,5,6,7;
- როგორია მუსიკის გამომსახველობითი ხერხების როლი ბალეტში? მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;
- როგორ კარნახობს პლასტიკა მუსიკალური თანხლების არჩევაში და, პირიქით, როგორ ახდენს მუსიკა პლასტიკაზე გავლენას? მუს.დაწყ.(II).1, 2;
- როგორ შეიძლება საბალეტო ფრაგმენტის მუსიკალური თანხლების ჩაწერა? მუს. დაწყ.(II).3.

**მიზანი**: მეტყველი ჟესტისა და მუსიკალური ინტონაციის, საბალეტო ხელოვნების, მისი სხავადასხვა ფორმებისა და მიმართულებების, კლასიკური და თანამედროვე ბალეტის გაცნობა.

## 56 ბალეტი

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიომასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

ოპერასთან ერთად, ბალეტი მუსიკალურ-თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე რთული და მრავალფეროვანი ჟანრია. მისი საფუძველია ცეკვა. თავად სიტყვა ბალეტი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „ballo“ და ნიშნავს „ვცეკვავ“. ბალეტში ცეკვასთან ერთად უმნიშვნელოვანესია პანტომიმა. გაიხსენეთ, რა არის პანტომიმა? ამასთან, საბალეტო სპექტაკლში ხელოვნების სხვა დარგებიცაა გაერთიანებული. უპირველეს ყოვლისა, მუსიკა, ასევე მხატვრობა, დრამატული თეატრალური ხელოვნება, ლიტერატურა.

საბალეტო სპექტაკლს საფუძვლად უდევს ლიბრეტო, რომელიც რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვითაა აგებული. საუკუნეთა მანძილზე ბალეტი თანდათან გასართობი ხელოვნებიდან სერიოზულ ხელოვნებად იქცა. მთელ მსოფლიოში ცნობილი და პოპულარული ბალეტების ავტორი, პიოტრ ჩაიკოვსკი ამბობდა: „ბალეტი ეს იგივე სიმფონიააო“. მისი ბალეტები, რომლებიც ფრანგ ქორეოგრაფ მორის პეტიპასთან ერთად შეიქმნა, ღრმა შინაარსითა და გრძნობებით გამოირჩევა. ეს ბალეტები აკადემიური, კლასიკური ბალეტების ნიმუშებად იქცა.

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს:

1. გაიხსენონ ჩაიკოვსკის ზღაპრული ბალეტები, რომელთაც ბედნიერი დასასრული აქვთ, რომლებშიც სიყვარული და სიკეთე ყოველთვის ამარცხებს ბოროტებას.
2. მოისმინონ მუსიკალური ფრაგმენტები მათთვის ცნობილი ბალეტებიდან და მიუსადაგონ ფოტოებს.
   პ. ჩაიკოვსკის „გედების ტბა“ – პატარა გედების ცეკვა, ოდეტა, ოდილია, ფინალური სცენა;
   პ. ჩაიკოვსკის „მძინარე მზეთუნახავი“ – ვალსი;
   ი. სტრავინსკის „ფასკუნჯი“ – ფასკუნჯის ცეკვა;
   ს. პროკოფიევის „კონკია“ – ფერიების ცეკვა, მეჯლისის სცენა – ვალსი.
3. გაიხსენონ, რომელი ლიტერატურული ნაწარმოებები უდევს საფუძვლად მათ ლიბრეტოებს (შარლ პეროს ზღაპრები – „მძინარე მზეთუნახავი“ და „კონკია“; რუსული ხალხური ზღაპარი – „ფასკუნჯი“, „გედების ტბა“ – გერმანული ლეგენდა).
4. აქვთ თუ არა ამ ბალეტების მთავარ გმირებს საკუთარი მუსიკალური დახასიათებები – ლაიტთემები?





სცენები ბალეტ „კონკიადან“



„მძინარე მზეთუნახავი“




**„გედების ტბა“**




**„ფასკუნჯი“**

### აქტივობა 2

მასწავლებელი უჩვენებს ბავშვებს ორ ვიდეო ფრაგმენტს მძინარე მზეთუნახავის თემაზე შექმნილი ანიმაციური ფილმიდან „მძინარე მზეთუნახავი“ და მხატვრული კინოფილმიდან “**Maleficent**”. ბავშვებმა უნდა ამოიცნონ ამ ფრაგმენტებში მათთვის ნაცნობი ვალსის თემა ჩაიკოვსკის ბალეტიდან, რომლებიც აქ სიმღერების სახით არის წარმოდგენილი.

**ერთხელ სიზმარში**

Once Upon A Dream

Lyrics from `Sleeping Beauty~
Written by Sammy Fain and Jack Lawrence

I know you, I walked with you once upon a dream
I know you, the gleam in your eyes is so familiar a gleam
Yet I know it's true that visions are seldom all they seem
But if I know you, I know what you'll do
You'll love me at once, the way you did once upon a dream

But if I know you, I know what you'll do
You'll love me at once
The way you did once upon a dream

I know you, I walked with you once upon a dream
I know you, the gleam in your eyes is so familiar a gleam
And I know it's true that visions are seldom all they seem
But if I know you, I know what you'll do
You'll love me at once, the way you did once upon a dream




**კადრები ფილმიდან „მალეფისენტი“ (Maleficent)**

# ONCE UPON A DREAM

from Walt Disney's SLEEPING BEAUTY

Words and Music by SAMMY FAIN
and JACK LAWRENCE
Adapted from a Theme by TCHAIKOVSKY




ბავშვები უსმენენ სიმღერას და თვალს ადევნებენ სანოტო ჩანაწერს.

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიომასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

მასწავლებელი ბავშვებს უჩვენებს ვიდეოფრაგმენტებს სხვადასხვა საბალეტო სპექტაკლიდან და სვამს კითხვას:

- თქვენი აზრით, მუსიკის გამომსახველი საშუალებებიდან (მელოდია, რიტმი, მუსიკალურ საკრავთა ტემბრი, ტემპი, დინამიკა) რომელია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ბალეტში?

**აქტივობა 1**

**ამოიცანი მეტრი და რიტმი საბალეტო ცეკვებში**

ბავშვები უყურებენ ვიდეოფრაგმენტებს სხვადასხვა საბალეტო სპექტაკლებიდან 1. „პატარა გედების ცეკვა“ პ. ჩაიკოვსკის ბალეტ „გედების ტბიდან“; 2. „ყვავილების ვალსი“ პ. ჩაიკოვსკის ბალეტ „მაკნატუნადან“; 3. სცენა და „გოგონების ცეკვა“ ლ. მინკუსის ბალეტ „დონ კიხოტიდან“; 4. ვალსი პ. ჩაიკოვსკის ბალეტ „მძინარე მზეთუნახავიდან“.

მასწავლებელი სთხოვს, დაადგინონ თითოეულ ფრაგმენტში მოცემული ცეკვის მეტრი და უპასუხონ შეკითხვებს:

ა) რა მოძრაობებით გამოიყოფა ძლიერი თვლა?

ბ) რომელი ცეკვაა 2/4, 3/4, 4/4 თვლაზე?

გ) რა ხასიათისაა ყოველი საცეკვაო ნომერი?

შეურჩიონ ცეკვებს შესაბამისი დახასიათებები: სწრაფი, ენერგიული, ხალისიანი, საზეიმო, მსუბუქი, სევდიანი, ნელი და ა.შ.









**აქტივობა 2**

მასწავლებელი მიმართავს ბავშვებს: იმღერეთ და ამოიცანით ინტერვალები. გაეცანით ალტერაციის ნიშან დუბლ დიეზს. იგი ორმაგი დიეზია – ამაღლებს ბგერას ერთი მთელი ტონით. სავარჯიშოში აღმოაჩინეთ ეს ნიშანი. შეასრულეთ სავარჯიშო ისე, რომ ყოველი ორი ტაქტის გამღერების შემდეგ შეცვალოთ ინტონაცია.



**აქტივობა 3**

ბავშვები აკვირდებიან ფრაგმენტებს ორი სხვადასხვა ბალეტიდან: 1. ლ. მინკუსის „დონ კიხოტი“ მ. პეტიპას ან რ. ნურიევის ქორეოგრაფიით; 2. ლ. აუერბახის „პატარა სირინოზი“ ჯ. ნოიმაიერის ქორეოგრაფიით. პასუხობენ შეკითხვებს:

1. რომელი მათგანის მუსიკაში ისმის საცეკვაო რიტმი და მეტრი უფრო მკვეთრად?
2. რამდენად ემთხვევა ცეკვის რიტმი და ტემპი მუსიკალური თანხლების რიტმსა და ტემპს?





**სცენები ბალეტ „დონ კიხოტიდან“**





**სცენები ბალეტ „პატარა სირინოზიდან“**

**აქტივობა 4**

ბავშვები კვლავ უყურებენ ფრაგმენტს ლ. აუერბახის „პატარა სირინოზიდან“და პასუხობენ შემდეგ კითხვებს:

1. რა მუსიკალური საშუალებებით ახასიათებს კომპოზიტორი პატარა სირინოზს?
2. როგორ არის გადმოცემული ეს მუსიკალური ხერხი საცეკვაო მოძრაობაში? შეეცადეთ, საკუთარი ჟესტით გამოხატოთ.
3. რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე პატარა სირინოზის პორტრეტმა?

ამ საკითხებზე ისაუბრონ კლასში და გამართონ დისკუსია.



**ჯ. ნოიმაიერი**



**რ. ნურიევი**



**ლ. მინკუსი**



**ლ. აუერბახი**

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიომასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ მოცემულ ფრაგმენტებს და აღნიშნონ:

1. რომელ ცეკვაში მიჰყვება მუსიკა (მუსიკალური ტექსტი) კვალდაკვალ საცეკვაო მოძრაობას (ქორეოგრაფიულ ტექსტს)?
2. რომელ ფრაგმენტში არ არის ამგვარი თანხვედრა?
3. რომელი მხატვრული სახე იქმნება მოცემულ ფრაგმენტში?
4. რა მუსიკალური ხერხებით გადმოიცემა შინაარსი, ანუ როგორია რიტმი და მელოდია?
5. რა ქორეოგრაფიული ხერხებით არის გადმოცემული ამა თუ იმ ფრაგმენტის შინაარსი? ამასთან დაკავშირებით, გაიხსენონ სხვა მაგალითებიც.



**„მძინარე მზეთუნახავი“**



**„მძინარე მზეთუნახავი“**



**ი. კილიანის ქორეოგრაფია**

ამგვარად, საბალეტო სპექტაკლში მუსიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს და მას სხვადასხვაგვარი ფუნქცია აქვს. ამისდა მიხედვით, განასხვავებენ საბალეტო მუსიკის ნაირსახეობებს:

1. **საცეკვაო აკომპანემენტი** – მუსიკა, რომელიც საცეკვაო ნომერს მუსიკალურ თანხლებას უწევს.
2. **აკომპანემენტი** – მუსიკა, რომელიც კვალდაკვალ მიჰყვება ცეკვის ყოველ ჟესტს.
3. **თანამოქმედი მუსიკა** – მუსიკა, რომლის დროსაც თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება ქორეოგრაფიულ და მუსიკალურ კომპონენტებს.
4. **დამოუკიდებელი მუსიკა** – მუსიკა, რომელიც არ შექმნილა სპეციალურად საბალეტო სპექტაკლისთვის, ცეკვისთვის.
5. არსებობს ასევე საბალეტო სპექტაკლები, სადაც წონასწორობა მუსიკის სასარგებლოდაა დარღვეული, ანუ მუსიკა ქორეოგრაფიაზე უპირატესია. ასეთ ბალეტს უწყვეტი, ე.წ. გამჭოლი მუსიკალური განვითარება აქვს.

მასწავლებელი უჩვენებს ვიდეოფრაგმენტებს პ. ჩაიკოვსკის ბალეტებიდან „მძინარე მზეთუნახავი“ და „მაკნატუნა“, მოცარტის მუსიკაზე შექმნილ თანამედროვე ბალეტს ი. კილიანის ქორეოგრაფიით და ბალანჩინის „ბაროკოს“.

**აქტივობა 2**

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: იმღერეთ სავარჯიშო და დაადგინეთ, რა ინტერვალი გხვდებათ აღმავალი სვლის დროს. აღნიშნეთ ტაქტები, რომლებიც სხარტად, ხალისიანად ჟღერს და ტაქტები, რომლებიც თხოვნის ინტონაციით, სევდიანად ჟღერს.




**აქტივობა 3**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ რიტმული თამაში.



**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიომასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთხოვს კლასს, იმღერონ სავარჯიშო და იპოვონ გადიდებული კვარტა. მოუსმინონ ჟღერადობას და მოარგონ შემდეგი სიტყვები – დიდებული, ამაღლებული, ფართო, მშვიდი, ნაზი, სევდიანი, მხიარული (მასწავლებელი ამღერებს კლასს მოცემულ სავარჯიშოს, როგორც თანხლების გარეშე, ასევე თანხლებით).



**აქტივობა 2**

ბავშვები უყურებენ ფრაგმენტებს მ. რაველის ოპერა-ბალეტიდან „ბავშვი და ჯადოსნობა“ ირჟი კილიანის ქორეოგრაფიით. ბავშვები მსჯელობენ, როგორაა დახასიათებული ბავშვი მუსიკასა და ცეკვაში:

1. როგორ მიჰყვება ქორეოგრაფიული ტექსტი მუსიკალურ ტექსტს?
2. როგორია საცეკვაო რიტმის მნიშვნელობა?
3. იკითხება თუ არა ცეკვაში სიუჟეტი, შინაარსი? აღწერეთ, რა ხდება სცენაზე.
4. თქვენი აზრით, რომელი მუსიკალური ელემენტი გადმოსცემს უკეთ ბავშვის ხასიათს – მელოდია თუ თანხლება?
5. როგორი ქორეოგრაფიული მოძრაობებითაა გადმოცემული ბავშვის ხასიათი? შეძლებისდაგვარად, თქვენი საკუთარი მოძრაობებით, გადმოეცით ბავშვის ხასიათი.
6. ჩამოთვალეთ, რომელი ყოფითი საგნები გააცოცხლა კომპოზიტორმა ბალეტში.



სცენა ოპერა-ბალეტიდან



მ. რაველი



ი. კილიანი

## 61 ბალეტის ისტორიიდან – 1

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიომასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მოსწავლეები იმღერებენ სავარჯიშოს თანხლების გარეშე, შემდეგ, თანხლებასთან ერთად. დაადგინენ, რა ინტერვალები ხვდებათ აღმავალი სვლის დროს. სავარჯიშოს ჟღერადობას შეურჩევენ შემდეგ სიტყვებს – რბილი, ფაქიზი, ნათელი, მუქი, გამჭირვალე.



კლასიკური ბალეტის მამად მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ფრანგი მოცეკვავე, ბალეტმეისტერი და ქორეოგრაფიული ხელოვნების თეორიტიკოსი ჟან ჟორჟ ნოვარი ითვლება. მან დაამუშავა ტრაგიკული და გმირული ბალეტის პრინციპები. დიდ ყურადღებას ანიჭებდა მუსიკას. თვლიდა, რომ ცეკვას უნდა აესახა მუსიკა, რომ ცეკვამ უნდა გადმოგვცეს ის, რასაც მუსიკა გვეუბნება. ნოვარი კომპოზიტორებისაგან ითხოვდა შეექმნათ ისეთი მუსიკა, რომელიც თითოეული სიტუაციისა და ყველანაირი გრძნობის გამომხატველი იქნებოდა. მხოლოდ 100 წლის შემდეგ შეიქმნა ის ბალეტები, რომლებშიც მუსიკა გამოსახვის მთავარ საშუალებად იქცა. ასეთია მაგ., პ. ჩაიკოვსკის ბალეტები.

ბალეტში ცეკვები განირჩევიან არა მხოლოდ თავიანთი ფორმით, არამედ სახეობითაც. არის ე.წ. კლასიკური ცეკვა და სახასიათო ცეკვა.კლასიკური ცეკვა სრულდება პუანტებზე (თითის წვერებზე), იგი გულისხმობს განსაკუთრებულ პოზებს და ჟესტებს, რომლებიც ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ჩამოყალიბდა. არსებობს კლასიკური ცეკვის 5 ძირითადი პოზიცია, რომელიც ფრანგმა ბალეტმეისტერმა პიერ ბოშანმა ჩამოაყალიბა.



კლასიკური ცეკვების სახეებია **ალეგრო** და **ადაჟიო**. ალეგრო ჩქარი, სწრაფი ცეკვაა, რომელიც გამოირჩევა თავისი ვირტუოზული ტექნიკით. ადაჟიო კი ნელი, ლირიკული ცეკვაა.

სახასიათო ცეკვები ერთგვარად ბაძავენ ხალხურ და სამეჯლისო ცეკვებს. თუ კლასიკური ცეკვები გადმოსცემენ გმირთა განწყობას და გრძნობებს, სახასიათო ცეკვები გადმოგვცემენ გარკვეულ ხასიათს, იქნება ეს ეროვნული, ზღაპრული, ფანტასტიკური, კომიკური და ა.შ. კლასიკური ცეკვებისთვის აუცილებელია ფეხის ტერფების180 გრადუსიანი განშლა, ნახტომები, ბრუნვები და „ფრენის“ უზუსტესი ტექნიკა. სახასიათო ცეკვებში კი ტერფების 180 გრადუსიანი განშლა არ არის აუცილებელი.



**აქტივობა 2**

ბავშვები აკვირდებიან მოცემულ ფოტოებს და გამოარჩევენ, რომელია მათგან კლასიკური და რომელი სახასიათო ცეკვები.



**აქტივობა 3**

ბავშვები უყურებენ ფრაგმენტებს სხვადასხვა საბალეტო სპექტაკლებიდან: პ. ჩაიკოვსკის „მაკნატუნა“, მინკუსის „ბაიადერკა“, „დონ კიხოტი“ და განასხვავებენ ერთმანეთისაგან კლასიკური და სახასიათო ცეკვის ნიმუშებს.

## 62 საბალეტო-საცეკვაო სცენები ქართულ ოპერაში

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. დროთა განმავლობაში, ხალხური ცეკვების საფუძველზე ჩამოყალიბდა თეატრალიზებული ქართული ცეკვა და საფუძველი ჩაეყარა ქართულ ეროვნულ საბალეტო ხელოვნებას.

საბალეტო საცეკვაო სცენებით მდიდარია ქართული კლასიკური ოპერაც. ქართული ქორეოგრაფიის შესანიშნავ ნიმუშებს ვხვდებით ზ. ფალიაშვილის, მ.ბალანჩივაძის, დ,არაყიშვილის, ვ. დოლიძის ოპერებში.თითქმის ყველგან ვხვდებით ცეკვა „ქართულს“. ეს არის წყვილთა რომანტიკული ხასიათის ცეკვა, რომელიც ქართული ხალხური ქორეოგრაფიის მწვერვალად ითვლება. ახასიათებს მამაკაცის სწრაფი, ენერგიული მოძრაობები,ფეხის მრავალნაირი გასმა ტანის ყოველგვარი რხევის გარეშე. ქალის მოძრაობები კი გედისებურად ნარნარი,მოქნილია, თითქოს მიწას არც

ეხებიან და ჰაერში დაცურავენო. მელოდია მრავალგზის მეორდება, ზომა უმეტესად სამწილადია და ჩქარი ტემპით გამოირჩევა.

საინტერესოა, რომ ეს ცეკვა თავიანთ ნაწარმოებებში ქართველთა გარდა გამოიყენეს უცხოელმა კომპოზიტორებმაც, მათ შორის გლინკამ, რუბინშტეინმა, ხაჩატურიანმა...

### აქტივობა 1

მასწავლებელი ასმენინებს ცეკვა „ქართულის" სამ ნიმუშს ფალიაშვილისა და დოლიძის ოპერებიდან: „აბესალომ და ეთერი", „დაისი" და „ქეთო და კოტე".

ცეკვა „მირზაია" („სამაია"), რომელიც ჯერ კიდევ წარმართობის პერიოდიდან არსებობდა საქართველოში, ნაყოფიერების ღმერთს – მთვარეს ეძღვნებოდა, ასევე გვხვდება ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერში". ხოლო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი ცეკვა „ბაღდადურის" ელემენტები ვ. დოლიძემ ოპერა „ქეთო და კოტეში" გამოიყენა. „ბაღდადური" ქალაქური ცეკვაა, იგი ხშირად სრულდებოდა საგაზაფხულო დღესასწაულებზე, განსაკუთრებით ყეენობაზე. მას საფუძვლად დაედო ქართული გლეხური ცეკვა „ბუქნი". ახასიათებს ხტომითი მოძრაობები და პანტომიმის ელემენტები.

### აქტივობა 2

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს საცეკვაო სცენების ვიდეოფრაგმენტებს აღნიშნული ოპერებიდან და მიმართავს: უყურეთ ამ ცეკვებს, ყურადღებით მოუსმინეთ მუსიკას, განსაზღვრეთ მათი ტემპი, ზომა, ხასიათი და შეადარეთ ერთმანეთს.



**მირზაია – სამაია**



**ცეკვა ქართული**

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიომასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმღერონ სავარჯიშო. დაადგინონ, რა ინტერვალები ხვდებათ დაღმავალი სვლების დროს. შემდეგ მოსწავლეები მღერიან თანხლების გარეშე. მსჯელობენ, როგორი ინტონაციით მთავრდება სავარჯიშო: კითხვითი, ბრძანებითი თუ თხრობითი.

შემდეგ მოისმენენ სავარჯიშოს თანხლებასთან ერთად და მსჯელობენ, როგორ იცვლება ჟღერადობა ამ შემთხვევაში.



პირველი ქართული ბალეტები მე-20 საუკუნის 30-იან წლებში შეიქმნა, ესენია: ანდრია ბალანჩივაძის „მთების გული“, გრიგოლ კილაძის „სინათლე“. მათ მოჰყვა ცინცაძის „ცისფერი მთის საუნჯე“, ა. მაჭავარიანის „ოტელო“, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო ქართული ბალეტია და სხვა.

ქართული ბალეტის განვითარებაში უდიდესი და უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ვახტანგ ჭაბუკიანმა – პირველი ქართული ბალეტების ქორეოგრაფმა და უბადლო მოცეკვავემ. მან ქართულ ბალეტში გააერთიანა კლასიკური ბალეტისა და ქართული ქორეოგრაფიის ელემენტები. დავით თორაძის **„გორდას“** საბალეტო დადგმაც სწორედ მან განახორციელა.


**დავით თორაძე**

„გორდას“ საფუძვლად დაედო თქმულება სურამის ციხის აგების შესახებ. ახალგაზრდა მოქანდაკე გორდასა და მეფის ასულ ირემას ერთმანეთი შეუყვარდებათ. გორდა უყვარს ჯავარასაც, რომელსაც შურს ახალგაზრდების სიყვარულის და მათზე შურისძიებას გადაწყვეტს, თუმცა ბალეტს ბედნიერი დასასრული აქვს.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაეცნონ ბალეტ „გორდას“ ლიბრეტოს შინაარსს, მოუსმინონ მუსიკას, ნახონ რამოდენიმე ფრაგმენტი ამ ბალეტიდან და მოაწყონ პრეზენტაცია კლასში.

**აქტივობა 2**

ბავშვები ისმენენ და უყურებენ რამდენიმე ფრაგმენტს ბალეტიდან და განასხვავებენ:

1. რომელია კლასიკური ცეკვა?
2. რომელია სახასიათო?
3. რომელია პანტომიმის ეპიზოდები და რას მოგვითხრობენ ისინი?
4. როგორ არიან დახასიათებულნი მთავარი გმირები: გორდა, ირემა და ჯავარა?
5. რომელი ქართული ხალხური სიმღერის თემაა გამოყენებული ირემას ადაჟიოში?(„მზე შინა“)
6. რომელი ქართული ეროვნული ცეკვის რიტმები ესმით მტერთან ბრძოლის თემაში? („ხორუმი“)




**სცენები ბალეტიდან „გორდა“**



**ვახტანგ ჭაბუკიანი ოტელოს როლში**

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

მე-20 საუკუნიდან საბალეტო ჟანრში კომპოზიტორები და ქორეოგრაფები ახალ გამომსახველობით საშუალებებს ეძებენ. იქმნება მოდერნ ბალეტი.

წარმოშობით ქართველი ჯორჯ ბალანჩინი (გიორგი ბალანჩივაძე) უდიდესი ამერიკელი ქორეოგრაფი, ამერიკული კლასიკური ბალეტის ფუძემდებელი და საზოგადოდ, თანამედროვე ნეო-კლასიკური საბალეტო ხელოვნების შემქმნელია. იგი მთელს მსოფლიოში თანამედროვეობის უდიდეს ქორეოგრაფადაა აღიარებული. თავდაპირველად ბალანჩინი სიუჟეტურ ბალეტებს დგამდა. შემდეგ კი უსიუჟეტო, ე.წ. აბსტრაქტული ბალეტების დადგმა დაიწყო. მისი წარმოდგენები უმეტესად ერთმოქმედებიანია. ბალანჩინის საბალეტო სპექტაკლებს ახასიათებს მსხვილი ქორეოგრაფიული მონახაზი. ძალზე ხატოვანი, გამომსახველი, რთული მოძრაობების საშუალებით იგი ცდილობს, მუსიკა ხილვადი გახადოს. მან ხელი შეუწყო საბალეტო ქორეოგრაფიის ახალი მიმართულებების ჩამოყალიბებას. ბალანჩინის უსიუჟეტო ბალეტები ძირითადად დადგმულია სიმფონიურ მუსიკაზე, რომელიც, ჩვეულებრივ, ცეკვისთვის არ არის განკუთვნილი. იგი თავის ბალეტებში არა მხოლოდ გვიხსნის მუსიკის შინაარსსა და მასში გადმოცემულ ემოციებს, არამედ მისი ცეკვა ურთიერთქმედებს მუსიკასთან.

ბალანჩინი მიიჩნევდა, რომ ბალეტში სულაც არ არის აუცილებელი სიუჟეტი, მთავარია მხოლოდ მუსიკა და მოძრაობა. გარდა ამისა, თვლიდა, რომ სპექტაკლი შეიძლება დეკორაციებისა და მდიდარი კოსტიუმების გარეშეც დაიდგას. ქორეოგრაფისთვის მთავარი ინსტრუმენტი, მთავარი საშუალება მოცეკვავის სხეულია და სწორედ ის უნდა იყოს პირველ რიგში წარმოჩენილი, ცეკვა უნდა გამოსახავდეს ყველაფერს მხოლოდ მუსიკის მეშვეობით.

ეყრდნობოდა რა კლასიკურ მუსიკას, ბალანჩინი მასში ახალ შესაძლებლობებს ხედავდა. მან გაამდიდრა და განავითარა იგი. ბალანჩინის თავისი სპექტაკლებისთვის სჭირდებოდა მოცეკვავეები, რომლებიც უაღრესად მაღალი ტექნიკითა და მუსიკალური რიტმის მკაფიო გრძნობით გამოირჩეოდნენ. იგი ამბობდა: „ტექნიკა და ხელოვნება ერთი და იგივეა. ტექნიკა არის შესაძლებლობა, უნარი. მხოლოდ მისი საშუალებით შესძლებთ გადმოსცეთ და გამოხატოთ თქვენი ინდივიდუალობა, სილამაზე და ფორმა“. აღსანიშნავია, რომ მან დადგა ასევე ჩაიკოვსკის ბალეტი „მაკნატუნა“.



**ჯორჯ ბალანჩინი**



**ჯორჯ ბალანჩინი და იგორ სტრავინსკი**

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ამოიცნონ და განასხვავონ კლასიკური და თანამედროვე ბალეტის ნიმუშები:






**აქტივობა 2**

მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს ორი განსხვავებული სტილის მუსიკალურ ნაწარმოებს: ფ.შოპენის – ნოქტიურნი №2 და ჯ. გერშვინის „რაფსოდია ბლუზის ტონებში“. სთხოვს ბავშვებს, მიუსადაგონ მუსიკა ფოტოებს და გამოხატონ მუსიკა პლასტიკით.

**აქტივობა 3**

მასწავლებელი სთავაზობს ორ ვიდეოფრაგმენტს ბალანჩინის ბალეტებიდან: 1. „ძვირფასი ქვები“, რომელშიც გამოყენებულია გ. ფორეს (ძვირფასი ქვა – ზურმუხტი), ი. სტრავინსკის (ლალი) და პ. ჩაიკოვსკის (ბრილიანტი) მუსიკა. 2. ქორეოგრაფიული დადგმა ი. სტრავინსკის სავიოლინო კონცერტის მუსიკაზე.

**აქტივობა 3**

მოსწავლეები იმღერებენ და დაადგენენ, რა ინტერვალები ხვდებათ. მოცემული სავარჯიშოს ჟღერადობას მოარგებენ შემდეგ სიტყვებს – ღირსეული, ამაღლებული, მედიდური, დინჯი, მკვირცხლი, სხარტი, შეუპოვარი.



**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიომასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

პიოტრ ჩაიკოვსკის ბალეტ „მაკნატუნას" ლიბრეტოს საფუძვლად დაედო გერმანელი მწერლის ერნსტ ჰოფმანის საშობაო ზღაპარი. ბალეტის მოქმედება ერთ პატარა გერმანულ ქალაქში ხდება. ბავშვები უფროსებთან ერთად ზეიმობენ საშობაო-საახალწლო ნაძვის ხის გარშემო. გოგონა მაშას (კლარას) ნათლიამ თხილის მტეხავი თოჯინა, მაკნატუნა („შჩელკუნჩიკი"), აჩუქა. საღამოვდება, სტუმრები დაიშლებიან, მაშა ვერ იძინებს. მას ეჩვენება, რომ ნაძვის ხე იზრდება, სათამაშოები ცოცხლდებიან და საიდანღაც გამოძვრებიან თაგვები თავიანთი მეფით. ისინი ხის ჯარისკაცებს ბრძოლას გაუმართავენ. უთანასწორო ბრძოლაში მამაცი მაკნატუნაც ჩაერთვება. მას მაშაც დაეხმარება-ფეხსაცმელს გაიძრობს და თაგვების მეფეს ესვრის. ასე გადაარჩენს იგი მაკნატუნას. მაკნატუნა მშვენიერ პრინცად იქცევა. თოვლის ფიფქების ვალსის ფონზე მაშა და პრინცი მშვენიერ ზღაპრულ სამეფოში მიემგზავრებიან, დედოფალ-ფერია დრაჟეს ტკბილეულთა სამეფოში. იწყება ზეიმი, სადაც სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრები თავიანთ ეროვნულ ცეკვებს ასრულებენ. ბალეტი მთავრდება სილამაზითა და სიყვარულით აღსავსე ყვავილების ვალსით.

**მორის პეტიპა** (1818-1910) ფრანგი ქორეოგრაფი და მოცეკვავე, რომელმაც უაღრესად დიდი როლი ითამაშა რუსული ბალეტის ისტორიაში. მან შექმნა დიდი ბალეტების კლასიკური სტილი, რომელიც გამოირჩევა უმაღლესი ოსტატობით, მკაცრი გათვლებით და პოეტური შთაგონებით. აღსანიშნავია მისი დადგმები ჩაიკოვსკის ბალეტებისა, ასევე მინკუსის „დონ კიხოტისა", „ბაიდარკასი" და სხვ.



**პ. ჩაიკოვსკი**



**მ. პეტიპა**



**ე. ჰოფმანი**

### აქტივობა 1

მასწავლებელი სთავაზობს ბავშვებს ფრაგმენტებს ჩაიკოვსკის ბალეტ „მაკნატუნადან" და სვამს კითხვებს:

1. რომელია თქვენთვის ნაცნობი მელოდიები?
2. გამომსახველობის რა საშუალებებს იყენებს კომპოზიტორი თაგვებისა და მაკნატუნას ორთაბრძოლის სცენაში? როგორ ვითარდება კეთილი და ბოროტი სახეები?
3. რომელი საკრავი გამოიყენა ჩაიკოვსკიმ ფერია დრაჟეს ცეკვაში? რა ხასიათს ქმნის ეს საკრავი?



**ჩელესტა**

**აქტივობა 2**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეადარონ:

ა) თოვლის ფიფქების და ყვავილების ვალსები.

ბ) ტკბილეულთა ცეკვები;

აღნიშნონ, როგორ ვლინდება მათში ზღაპრული და ამასთანავე, ეროვნული ხასიათი; რითი ჰგვანან და რითი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან.

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს აარჩიონ „მაკნატუნას“ სხვადასხვა მუსიკალური ნომრებიდან მცირე მოტივები, გადააქციონ სემპლებად და მუსიკალურ კომპიუტერულ პროგრამაში შექმნა კოლაჟი. შემდეგ ეს კოლაჟი გამოხატონ გრაფიკული ხაზით ან პიქტოგრამებით.



**სცენები ბალეტიდან „მაკნატუნა“**

ეთნოგრაფია და მუსიკა

თემა: სხვადასხვა კუთხის მცხოვრები ქართველები და მათი ხასიათი ხალხურ შემოქმედებაში

მოცემულ თემას დაეთმობა 6 გაკვეთილი.

**სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:**

- რითი განსხვავდება საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხური მუსიკა?
- როგორ იჩენს თავს ხალხური სიმღერის მელოდიაში კუთხური თავისებურებები?

**შედეგი:** მუს.დაწყ.(II).4,5,6,7.

**მიზანი**: პროფესიულ მუსიკასში სხვადასხვა ინტონაციის, კილოს ამოცნობა, სხვადასხვა ხალხის ცეკვების გაცნობა და მათი რიტმო-ინტონაციის აღქმა, როგორც ხალხურ, ასევე პროფესიულ მუსიკაში. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ფოლკლორული თავისებურებების გააზრება.

## 66 ფოლკლორი პროფესიულ მუსიკაში

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიომასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

ფოლკლორი პროფესიული მუსიკის საზრდოა. თითქმის ყველა კომპოზიტორი მიმართავს თავის ნაწარმოებებში ინტონაციებს ხალხური მუსიკიდან. ზოგიერთ პროფესიულ ნაწარმოებში შეგვიძლია ამოვიცნოთ ამა თუ იმ ხალხური სიმღერის მელოდია, ზოგგან კი ხალხური ინტონაცია კომპოზიტორის მუსიკალურ ენასთან არის შეზრდილი.

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმღერონ ქართული ხალხური სიმღერების – „ლალე“, „ციცინათელა“, „სულიკო“ – მელოდიები (იხ. დანართები).

მოსწავლეები მოისმენენ სულხან ცინცაძის სიმებიანი კვარტეტისათვის დაწერილ იმავე სახელწოდების მინიატურებს: „ციცინათელა“, „ლალე“, „სულიკო“, ამოიცნობენ ხალხური სიმღერების მელოდიებს და ამის მიხედვით მიანიჭებენ თითოეულს სახელწოდებას.

მოსწავლეები მოისმენენ სულხან ცინცაძის სხვა საკვარტეტო მინიატურებსაც: „საჭიდაო“ და „ინდი-მინდი“, ასევე IV კვარტეტის I ნაწილს. მასწავლებელი სთხოვს, ამოიცნონ, რომელ ნაწარმოებში არ ისმის ხალხური მუსიკის ინტონაცია. ბავშვები დაასახელებენ ნაწარმოებებს, სადაც გამოყენებულია ხალხური მოტივები და პასუხობენ შეკითხვას:

- რომელი გამომსახველობითი საშუალებებით არის გადმოცემული ხალხური ინტონაციები: მელოდიით, საკრავის ტემბრით თუ რიტმით?

**აქტივობა 2**



მასწავლებელი სთხოვს, დააკვირდნენ ეკრანს და ტაშით გაიმეორონ ხორუმის მუსიკალური თანხლების რიტმი. შემდეგ მოსწავლეები მოისმენენ სამი სხვადასხვა კომპოზიტორის – ალექსი მაჭავარიანის, სულხან ცინცაძისა და მერი დავითაშვილის – ხორუმებს და პასუხობენ შეკითხვას:

- რომელი გამომსახველი ხერხით არის გადმოცემული ხორუმის ინტონაცია?

## 67 იავნანა

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიომასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმღერონ ქართული ხალხური სიმღერა.









2) პაწაწინა იადონო და ვარდის კონაო
დღეს ხომ კარგად გაიგონე ჩემი ნანინაო
და თუ კარგად გაიგონე ხომ მოგეწონაო
იავნანა ვარდოვ ნანა იავნანინაო

**აქტივობა 2**

შემდეგ მოსწავლეები მოისმენენ სამ ფრაგმენტს პიოტრ ჩაიკოვსკის ბალეტ „მაკნატუნადან“: 1. სტუმრებთან მისალმების სცენა; 2. არაბული ცეკვა „ყავა“; 3. „ყვავილების ვალსი“.

დაასახელებენ, რომელ ფრაგმენტში გვხვდება ქართული ხალხური მუსიკის ინტონაცია.

მოსწავლეები, სავარაუდოდ, დაასახელებენ არაბულ ცეკვას.

**აქტივობა 3**

მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს ესპანურ ხალხურ ცეკვა ხოტას. შემდეგ მოისმენენ სამ ნაწარმოებს: გლინკას სიმფონიურ ფანტაზია „არაგონული ხოტას“, „ვალს-ფანტაზიასა“ და „ჩერნომორის მარშს“. მასწავლებელი სვამს შეკითხვას: რომელ ნაწარმოებშია გამოყენებული ესპანური ცეკვის რიტმო-ინტონაცია?



**ცეკვა „ხოტა“**

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთავაზობს კლასს ზანგური სპირიჩუელსის შესწავლას. შეახსენებს, რომ ჩანაწერის სახით მოცემულია საგუნდო პარტიტურა. ვიოლინოს გასაღებში ჩაწერილია პირველი და მეორე ხმის პარტიები (მეორე ხმისათვის განკუთვნილ ნოტებს შტილები მიწერილი აქვს ქვედა მიმართულებით), ხოლო ბანის გასაღებში – მესამე და მეოთხე ხმის პარტიები.



**აქტივობა 2**

მოსწავლეები მოისმენენ ანტონინ დვორჟაკის სიმფონიის №9 „ახალი სამყაროდან“ I ნაწილს და ამოიცნობენ სპირიჩუელსის ინტონაციას; დაასახელებენ საკრავებს, რომელიც მას გადმოსცემს.

მასწავლებელი მოუთხრობს მოსწავლეებს, რომ ჩეხმა კომპოზიტორმა ა. დვორჟაკმა იმოგზაურა აშშ-ში, სადაც დაჰყო სამი წელი. ამერიკაში იგი დაინტერესდა როგორც ინდიელების, ისე ზანგური ფოლკლორით, რაც აისახა მის სიმფონიაში „ახალი სამყაროდან“. ნაწარმოებში გამოყენებულია აგრეთვე, ჩეხური მუსიკის ინტონაციები. გამოჩენილი ამერიკელი კომპოზიტორი ლეონარდ ბერნსტაინი წერდა, რომ სხვადასხვა ქვეყნის ფოლკლორზე დაყრდნობით დვორჟაკმა მრავალნაციონალური ინტონაციებით შექმნა მე-9 სიმფონია „ახალი სამყაროდან“.

**ანტონინ დვორჟაკი** (1841-1904) ჩეხი კომპოზიტორია. თავის ნაწარმოებებში იგი მშობლიური ბოჰემიისა და მორავიის ფოლკლორულ მელოდიებს იყენებდა. ასევე გამოყენებული აქვს ზანგური ფოლკლორის, სპირიჩუელსის ინტონაციები. დვორჟაკმა შექმნა ოპერები, სიმფონიები, მუსიკა გუნდისა და სიმებიანი საკრავებისათვის. მრავალი ქვეყნის საკონცერტო დარბაზში სრულდება და დიდი პოპულარობით სარგებლობს დვორჟაკის მე-9 სიმფონია „ახალი სამყაროდან“, სლავური ცეკვები, სავიოლონჩელო და საფორტეპიანო კონცერტები.



**აქტივობა 3**

ზანგური სპირიჩუელსის ინტონაციებით არის გაჯერებული ამერიკელი კომპოზიტორის ჯორჯ გერშვინის პირველი ამერიკული ეროვნული ოპერა „პორგი და ბესი“.

მასწავლებელი მოასმენინებს მოსწავლეებს სპირიჩუელსს და ფრაგმენტებს ოპერიდან: Sommertime და გუნდი O, I Can See Down. სთხოვს, იპოვონ მსგავსება მათ შორის; დაადგინონ, სად არის გატარებული ხალხური ინტონაცია – თანხლებაში, მელოდიურ ხაზში, რიტმში.



**სცენა ოპერიდან „პორგი და ბესი“**



**ჯორჯ გერშვინი როლიათან**

☑ **სპირიჩუელსი** სასულიერო სიმღერის ჟანრი, რომელიც ამერიკაში აფრო-ამერიკული ფოლკლორის ტრადიციებზე აღმოცენდა.

ბავშვები უსმენენ ფრაგმენტებს გერშვინის ნაწარმოებიდან: „რაფსოდია ბლუზის ტონებში“ და ოპერა „პორგი და ბესიდან“ Sommertime. პასუხობენ შეკითხვაზე:

- რომელ ფრაგმენტზე შეიძლება ვთქვათ, რომ კომპოზიტორმა გამოიყენა ხალხური ინტონაცია?



**ანიმაცია. ფანტაზია გერშვინის რაფსოდიაზე – ბლუზის ტონებში**

**აქტივობა 4**

**ქართული მუსიკალური ფოლკლორი** მრავალ დიალექტად იყოფა და ხშირ შემხვევაში კონკრეტული კუთხისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებით ხასიათდება. ამის ნათელი მაგალითია ყველა მხარეში არსებული ერთი და იმავე სახელწოდებების სიმღერები: მგზავრული, ნადური, მაყრული, სუფრული, ალილო, ფერხული და სხვ., რომლებიც ასე განსხვავდება ერთმანეთისგან.

მასწავლებელი მოასმენინებს კახურ „ჩაკრულოს“ და გურულ „ხასანბეგურას“, თუმცა არ დაასახელებს კუთხეებს. სთხოვს მოსწავლეებს:

წაიკითხეთ ტექსტი, სადაც აღწერილია თითოეული სიმღერის დამახასიათებელი მუსიკალური ელემენტი. ამის მიხედვით ამოიცანით და დაასახელეთ საქართველოს რომელ კუთხეს ეკუთვნის ეს სიმღერა.

1) კახურ სიმღერაში „ჩაკრულო“ ულამაზეს ჰარმონიას ქმნის გუნდის უნისინიური გაბმული ბანი, სოლისტების – პირველი და მეორე ხმის პარტიების თანაჟღერადობა. სოლოს მელოდია შემკულია შელამაზებებით-მელიზმებით. სიმღერა დიდებული, მასშტაბურია.
2) გურული სიმღერა „ხასანბეგურა“ სწრაფი და ენერგიული, ამავე დროს თხრობითი ხასიათისაა. სრულდება გუნდისა და ტრიოს მონაცვლეობით. კრიმანჭულის სწრაფი მოძრაობა, მეორე ხმისა და ბანის დამოუკიდებელი მელოდიები საოცარ პოლიფონიურ ჟღერადობას ქმნის.

**ეს საინტერესოა:**

კახური სიმღერა „ჩაკრულო“ შესულია იუნესკოს არამატერიალური მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხაში, როგორც კაცობრიობის ზეპირსიტყვიერი და არამატერიალური მემკვიდრეობის შედევრი. 1977 წელს ილია ზაქაიძის და როსტომ საგინაშვილის მიერ შესრულებული ვერსია „ნასამ“ კოსმოსში გაგზავნა.

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი მოასმენინებს სამ ფრაგმენტს შემდეგი ოპერებიდან: 1. ნიკო სულხანიშვილის „პატარა კახი" – არია (დაიგვიანეს); 2. ზაქარია ფალიაშვილის ოპერიდან „აბესალომ და ეთერი" – აბესალომის არიოზო (მე ბაბი-ბანად გეძებდი); 3. აბესალომისა და მურმანის დუეტს (მურმანო, მითხარ, მითხარ, შენსა მზესა). ბავშვები მსჯელობენ, რომელ ფრაგმენტში ისმის ხალხური სიმღერის მოტივები.

**აქტივობა 2**

მოსწავლეები კვლავ მოისმენენ სამ ფრაგმენტს ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერიდან": 1. ეთერის არია (დედინაცვალი); 2. კვარტეტი (წამწამსა და წამწამს შუა); 3. გუნდი საქორწილო სცენიდან.

ამოიცნობენ, რომელ ფრაგმენტში ისმის მათთვის ნაცნობი ქართული ხალხური სიმღერის მელოდია. გაიხსენებენ სიმღერის სახელწოდებას.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაადგინონ, რომელ ფრაგმენტზე შეიძლება ვთქვათ, რომ კომპოზიტორმა გამოიყენა ხალხური ინტონაცია.

**აქტივობა 3**

მასწავლებელი სთავაზობს ბავშვებს იმღერონ ქართული ხალხური სიმღერა „ქართველო, ხელი ხმალს იკარ".

სთხოვს მოსწავლეებს, მოუსმინონ სიმღერას, წაიკითხონ ტექსტი და ამის მიხედვით ამოიცნონ, რომელი კუთხის სიმღერაა.

1. იმერული შრომის სიმღერა „ნადური" ორი გუნდის მონაცვლეობით სრულდება, რაც მთიდან მთაზე გადაძახილის, ექოს, ერთად, შეთანხმებულად, გუნდურად მუშაობის სცენას ხატავს. სიმღერა დინამიკურად ტემპის მატებით ვითარდება. მხოლოდ ფინალში, ორივე გუნდის უნისონურ ჟღერადობაში, ისმის შენელება ნიშნად იმისა, რომ მუშაობა დასრულდა.
2. კახურ შრომის სიმღერაში „კალოსპირული" სოლოსტის ხავერდიოვანი ხმის ტემბრი დინჯად, აუჩქარებლად გადმოსცემს გლეხკაცის შრომას. ისევე როგორც ჩაკრულოში, აქაც სოლისტის პარტიისათვის დამახასიათებელია მელოდიის მელიზმებით*, ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში ეგრეთ წოდებული ჩახვევებით, გალამაზება. გრძელი გრძლიობის ბგერებით აჟღერებული გუნდისა და სოლისტის პარტიები დინჯად, აუჩქარებლად, უცვლელი ტემპით იწყებს და ასრულებს თხრობას.

   მელიზმი* (ბერძნ. სამკაულს ნიშნავს) – მელოდიის შელამაზება.

# ქართველო ხელი ხმალს იკარ



**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიომასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, მოუსმინონ და შეადარონ ერთმანეთს შემდეგი სიმღერები: ფშაური ნანა და მეგრული ნანა. გამოთქვან აზრი, რამდენხმიანია სიმღერები, იპოვონ მსგავსება და განსხვავება მათ შორის.

იმღერონ ქალაქური სიმღერების პოპური და ჟღერადობას მოარგონ ქვემოთ მოცემული წინადადებები:

1. მკვეთრი, ტეხილი რიტმი.
2. დისონანსური ჟღერადობა.
3. მღერადი მელოდია ვალსის რიტმით.

მოუსმინონ „ჭიჭეტურას“ და ამოიცნონ შინაარსი:

ა) მეგრული სახუმარო სიმღერა, სადაც ასახულია მხიარულება სოფლის ეზოში.

ბ) ძილისპირული ნანა.

გ) კახური შრომის სიმღერა.

შემდეგ მოსწავლეები მოუსმენენ სვანურ ფერხულს „შინა ვორგილ“ და რაჭულ საცეკვაო სიმღერას „ტაში, ბიჭო გიორგუნა“. მსჯელობენ, რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისა და სხვა კუთხის სიმღერებისაგან. პოულობენ ერთ საერთო ელემენტს, რითაც დააკავშირებენ ამ ორ სიმღერას.

**აქტივობა 2**

შეადარებენ თუშურ სიმღერას „მთიდან სიმღერით მოვდივართ“ და იმერული მგზავრულ „ჰადილოის“ – ხასიათის, ტემპის, რიტმის მიხედვით.

მოსწავლეები უსმენენ და შემდეგ მღერიან „მრავალჟამიერს“. გამოთქვამენ ვარაუდს, რა ტიპის – ქალაქური თუ სხვადასხვა კუთხის ფოლკლორული (კახური, გურული, მეგრული ფშაური სვანური, რაჭული) ინტონაციები ახდენს გავლენას რატი ჯულაყაძის ამ ნაწარმოებზე.

მოსწავლეთა სავარაუდო პასუხი იქნება იმერული, ქალაქური ფოლკლორული ინტონაციები.

# მრავალჟამიერი

მუსიკა რატი ჯულაყიძე




მრავალსა წელსა
მრავალსა წელსა
თქვენი სიცოცხლე
მრავალჟამიერ

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, ვიდეო და აუდიო მასალა, ინსტრუმენტი, მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი

**აქტივობა 1**

მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს და ამღერებს რ. ლაღიძის სიმღერას „ჰერიო, ჰერიო..“. მოსწავლეები ამ სიმღერაში ამოიცნობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელ ინტონაციებს, დააკონკრეტებენ, რომელი კუთხის სიმღერას მოაგონებთ ეს ნაწარმოები.

„ჰერიო, ჰერიო ...“

მუსიკა: რევაზ ლაღიძე
ტექსტი: პეტრე გრუზინსკი

ჰერიო, ჰერიო, ბიჭებო ჰე!
ბიჭებო, ბიჭებო, ბიჭებო ჰე!
ქვეყნად რამდენი ზღვა არის
რამდენი ლურჯი ცა არის,
მაგრამ აქ მაინც სხვა არის.
ჩვენი მზე უფრო თბილია,
ნიავი უფრო გრილია,
ჩვენი ცა მაინც სხვა არის.

მზეო, მზეო, ცხრათვალაო,
ჩქარა, რა მოგდის.
თუ სამოთხის ნახვა გინდა,
დაბლა ჩამოდი.
ქვეყნად ბევრი ხმელეთია,
ბევრი ზღვა არის,
მაგრამ განა ასეთია,
ეს სულ სხვა არის.

**გაიმღერე და ამოიცანი რა სიმღერაა**







რევაზ ლაღიძის მუსიკის შთაგონების წყარო, როგორც თავადაც ამბობდა, სამშობლო, მისი მთა-ბარი და მდიდარი ხალხური სიმღერა იყო.

რ. ლაღიძე 1921 წლის 10 ივლისს დაიბადა. მუსიკა ბავშვობიდან უყვარდა, მუსიკალურ სკოლაშიც დადიოდა და ვიოლინოზე დაკვრას სწავლობდა. მაგრამ ფეხბურთის თამაში კიდევ უფრო მეტად მოსწონდა, თანაც ეთაკილებოდა ქუჩაში ვიოლინოთი სიარული და მუსიკის სწავლასაც მალე მიანება თავი; გადაწყვეტილი ჰქონდა, ექიმი ან ინჟინერი გამოსულიყო. თუმცა, კეთილი და ჭკვიანი ადამიანების მონდომებით მუსიკასთან კავშირი არ გაუწყვეტია და, საბოლოოდ, კონსერვატორიაშიც კი ჩაირიცხა საკომპოზიციო ფაკულტეტზე გამოჩენილი კომპოზიტორის, ანდრია ბალანჩივაძის კლასში. რევაზ ლაღიძე ყოველთვის კეთილად იგონებდა იმ ხალხს, ვინც მას სხვადასხვა დროს ასწავლიდა და რჩევებს აძლევდა. ლაღიძეს უამრავი ნაწარმოები აქვს დაწერილი სხვადასხვა ჟანრში. მათ შორისაა ოპერა „ლელა“, სიმფონიური სურათი „საჭიდაო“, პიესები ფორტეპიანოსათვის, ჩელოსათვის და სხვა მრავალი საგუნდო თუ ინსტრუმენტული პიესა, სიმღერები კინოფილმებისათვის. განსაკუთრებული ადგილი მის ცხოვრებაში სასიმღერო ჟანრს ეკავა. სიმღერაა ის სფერო, დიდ კომპოზიტორს შემოქმედებითი გზის დასაწყისშივე რომ მოუტანა აღიარება. ყველასათვის ცნობილი „სიმღერა თბილისზე“ კი, რომლის ტექსტი ცნობილ პოეტ პეტრე გრუზინსკის ეკუთვნის, დიდი ხანია, ჩვენი დედაქალაქის ჰიმნად იქცა.

## გაკვეთილი 23 – რობერტ შუმანი

**განმსაზღვრელი შეფასება:**

| რ. შუმანის ნაწარმოებების მოსმენა, მუსიკალური ქუდის შექმნა და პრეზენტაციის მომზადება | | პიესების მოსმენა (საფორტეპიანო ციკლიდან „კარნავალი“) და დახასიათება | |
|---|---|---|---|
| მსჯელობს მოსმენილ ნაწარმოებებზე, მათ განწყობასა და შინაარსზე | მუსიკალური ქუდის შესაქმნელად შეარჩევს ნაწარმოებებიდან მუსიკალურ ფრაგმენტებს | ადარებს ერთმანეთს მოსმენილ პიესებს, მსჯელობს განწყობაზე | მსჯელობს მუსიკალური ენის ელემენტებზე (ტემპზე, რიტმზე, მელოდიაზე) |
| 2 ქ | 2 ქ | 3 ქ | 3 ქ |

## გაკვეთილი 31– სიმღერა ქართულ კინოში

**შეფასების კრიტერიუმები** (ყოველი კრიტერიუმი შეიძლება შეფასდეს სიტყვიერი ან წერილობითი კომენტარით):

| ქართული მხატვრული ფილმებიდან სიმღერების მოსმენა და ამოცნობა | |
|---|---|
| საუბრობს და ახასიათებს ფილმის პერსონაჟებს და მასთან დაკავშირებულ სიმღერებს ხასიათის მიხედვით | სიმღერებს მიუსადაგებს ფოტოებს |

## გაკვეთილი 54 – მიუსადაგე ხმის ტემბრი

**თვითშეფასება:**

მოსწავლეები ინდივიდუალურად ასრულებენ დავალებას

| ოპერის პერსონაჟების ამსახველი ფოტოების პერსონაჟის დამახასიათებელ სიტყვებთან და ხმის ტემბრებთან დაკავშირება | | |
|---|---|---|
| ფოტოების მიხედვით ახასიათებს პერსონაჟებს | შეურჩევს შესაბამის განმარტებებს | მსჯელობს რომელი ხმის ტემბრი მოუხდება თითოეულს |

მასწავლებელი მოასმენინებს სამი პერსონაჟის (კარმენის, ამნერისის, ღამის დედოფლის) სოლო პარტიებს, მოსწავლეები ინდივიდუალურად ასრულებენ დავალებას.

## გაკვეთილი 55 – მუსიკალური ქუდი

**განმსაზღვრელი შეფასება:**

მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს სატელევიზიო გადაცემის მუსიკალური ქუდისა და ლოგოტიპის შესახებ. მასწავლებელი მოასმენინებს მუსიკალურ ფრაგმენტებს ოპერებიდან და მიუზიკლებიდან. მოსწავლეებმა უნდა შექმნან გადაცემის ქუდი ჩამოთვლილი სატელევიზიო გადაცემებისათვის.

| მუსიკალური ფრაგმენტებისაგან სატელევიზიო გადაცემის ქუდის შექმნა | | |
|---|---|---|
| განიხილავს სატელევიზიო გადაცემის ტიპს | ახასიათებს მუსიკალურ ფრაგმენტებს განწყობის შინაარსის მიხედვით | ყოველ გადაცემას შეუსაბამებს მუსიკალურ ფრაგმენტებს |
| 3 ქ | 3 ქ | 4 ქ |

## გაკვეთილი 65 –მაკნატუნა

**განმსაზღვრელი შეფასება:**

| ჩაიკოვსკის ბალეტ „მაკნატუნადან“ მუსიკალური ფრაგმენტების მოსმენა და დახასიათება, მცირე მოტივების გამოყენებით მუსიკალურ-კომპიუტერულ პროგრამაში მუსიკალური კოლაჟის შექმნა | | |
|---|---|---|
| ახასიათებს მუსიკალურ ფრაგმენტებს, საუბრობს მუსიკალური ენის გამომსახველობით ხერხებზე | არჩევს მცირე მოტივებს და გადააქცევს სემპლებად | მუსიკალურ კომპიუტერულ პროგრამაში ქმნის კოლაჟს და ჩაწერს პიქტოგრამებით |
| 3 ქ | 3 ქ | 4 ქ |

## გაკვეთილი 69 — ქართველო ხელი ხმალს იკარ

**ურთიერთშეფასება:**
მოსწავლეთა ჯგუფები შეაფასებენ ერთმანეთის ნამუშევარს

| | |
|---|---|
| ქართული ოპერებიდან მუსიკალური ფრაგმენტების მოსმენა (ზ. ფალიაშვილის ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“ – ეთერის არია, კვარტეტი „წამწამსა და წამწამს შუა“, გუნდი საქორწილო სცენიდან) და ხალხური სიმღერის მოტივის ამოცნობა | ხალხური სიმღერების მოსმენა (რაჭული „ნადური“, კახური „კალოსპირული“), სიმღერების დიალექტის განსაზღვრა |

# YELLOW SUBMARINE

P. Macartney, J. Lenon




12
green and we lived be neath the waves in our
12
15
yel - low sub - ma - rine
da cappo
We all live in a yel - low sub - ma - rine,
15
19
yel - low sub - ma - rine, yel - low sub - ma - rine, We all live in a
19




სანოტო ტექსტი ჩაწერილია რ. ჯულაყიძის მიერ

# ჩელა

მეგრული

ჩაწერილია რ. ჯულაყიძის მიერ




2) სი უჩონჩხე სი ულურე
ჰოუ ნანა სქანი ცოდა ნანინა
სი კისერი ელაფირი
ჰოუ ნანა სქანი ცოდა ნანინა

# შენ ხარ ვენახი

ღვთიშობლის საგალობელი „შენ ხარ ვენახი“ XII საუკუნეში
დავით აღმაშენებლის ძემ დემეტრე I-მა დაწერა

დამუშავებულია
ზ. ფალიაშვილის მიერ




შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული
მორჩი, კეთილი, ედემს შინა რგული,
ალვა სუნნელი, სამოთხესა მოსული,
ღმერთმან შეგამკო, ვერვინ გკობს ქებული
და თავი თვისით, მზე ხარ გაბრწყინებული

სანოტო ჩანაწერი გადმოტანილია კრებულიდან „ნანინა“ 2014 წ. ავტორები: ნ. ქუმსიშვილი, რ. ჯულაყიძე, ა. უშვერიძე

# Ave Maria

ტექსტი – შუბარტის
მუსიკა – ფ. შუბერტის




na, Ma - ri - - - a, gra - ti - a -
ple - - - na, Ma - ri - - - a, gra - ti - a - ple -
na, A - ve, A - ve! Do - mi -
nus, do - mi - nus - te - cum. Be - ne -


dic - - - ta tu in mu - li - e - ri - bus et
be - - - ne - dic 3 - - 3 - tus, et
be - - - ne - dic - tus fruc - tus ven - tris, ven - tris
tu - - - i, je - 3 - - 3 - sus.


A - - - - - - ve Ma - ri - - - - - - - -
a!
dim.

# კალმახი

## The Trout (Die Forelle)

Franz Schubert

Poco Moderato




22
zu, des mun - tern Fisch - leins Ba - de im kla - ren Bäch - lein zu.
30
Ein Fi - scher mit der
p
pp
Ru - the wohl an dem U - fer - stand, und sah's mit kal - tem Blu - te, wie
40
sich das Fisch - lein wand. So lang' dem Was - ser Hel - le, so dacht' ich, nicht ge -


bricht, so fängt er die Fo - rel - le mit sei - ner An-gel nicht. so
50
fängt er die_ Fo - rel - le mit sei - ner An-gel nicht.
p
pp
Doch end - lich ward dem Die - be
60
die Zeit zu lang. Er macht das Bäch - lein tü - ckisch
cresc.
p


trü - be, und eh' ich es gedacht, so zuck - te sei - ne Ru - the das
p
Fische - lein, das Fisch-lein zap - pelt d'ran, und ich mit re - gem Blu - te sah
70
p
die Be - trog' - ne an, und ich mit re - gem Blu - te sah die Be - trog' - ne
an.
80
p
pp

# WILDER REITER

**რ.შუმანი**




sf
sf
sf
sf

# სიმღერა შავ კატაზე

სიმღერა კინოფილმიდან „აბეზარა“

მუსიკა : სულხან ცინცაძის
ტექსტი : პეტრე გრუზინსკის




მი - ავ,
ჩე - მო ფი - სუ -
ნი - ავ,
მი - აუ, მი - აუ,
1, 2.
rit.
ჩე - მო ფი - სუ - ნი - ავ.
3.
rit.
ჩე - მო ფი - სუ - ნი - ავ.
Andante
მი - აუ!
pp
morendo
p

# მაია წყნეთელის სიმღერა

სიმღერა კინოფილმიდან „მაია წყნეთელი“

ტექსტი პეტრე გრუზინსკის

მუსიკა სულხან ცინცაძის

**Allegro marciale**




ვი?
ჰე - რი, ჰე - რი, ჰე - რი, ჰე - რი,
შე - ნი ეშ - ხით მე - ცა გმღე - რი, მე - - ცა გმღე - რი ა - სე
მა - ლი - მალ! ლექ - სი თი - თო - ო - რო-ლა - ო
მეც მას-წავ - ლე, ტო - რო - ლა - ო, მეც შენ - სა - ვით კენ - ტად


1.
2.
დავ - დი - ვარ.
დავ - დი - ვარ.
ff


mf
შე - - - - ნი სიმ - ლე - რა გაჰ - ყვე - ბა მა - შინ
mf
ფრთა - მა - ლი ქა - რის ქრო - ლა - სა,
მზე - - - - ო, ა - მო - დი, ა - მო - დი, მზე - ო,



ნუ ე - ფა - რე - ბი გო - რა - სა.
sf
f
ჰე - რი, ჰე - რი, ჰე - რი, ჰე - რი,
შე - ნი ეშ - ხით მე - ცა ვმღე - რი,
f
მე - - - ცა ვმღე - რი ა - სე მა - ლი - მალ!
ლექ - სი თი - თო - ო - რო ლა - ო
ვი - ცით მე და ტო - რო - ლა - მო




# ბაში-აჩუკის სიმღერა

სიმღერა კინოფილმიდან „ბაში-აჩუკი“

ტექსტი პეტრე გრუზინსკის

მუსიკა სულხან ცინცაძის




ო,
სა,
შენ რა - და გდის ცრემ - ლე - ბი,
ა - მას ვნატ - რობ, მა - მუ - ლო,
შენ კი შე - მო - გევ - ლე - ბი, ჩე - მო სა - მშობ - ლო მხა - რე -
ცრემ - ლით გა - და - ნა - მუ - ლო, შენ - თვის სიკვ - დი - ლი მა - ღირ
ო!
სა!
შენ რა - და გდის ცრემ - ლე - ბი,
ა - მას ვნატ - რობ, მა - მუ - ლო,
შენ კი შე - მო - გევ - ლე - ბი, ჩე - მო სა - მშობ - ლო მხა - რე -
ცრემ - ლით გა - და - ნა - მუ - ლო, შენ - თვის სიკვ - დი - ლი მა - ღირ -



ო!
სა!
ე!
ე!
ე!
ე!
"ცა - - - ფი - რუზ, ხმე - ლეთ
ზურ - მუხ - ტო,
ჩე - მო სა - მშობ - ლო მხა - რე -


1.
2.
ω!"
ω!"
dim.
dim.
pp

# თბილისის დილა

სიმღერა კინოფილმიდან „აბეზარა“

ტექსტი პეტრე გრუზინსკის
მუსიკა სულხან ცინცაძის




სიმ - ღე - რე - ბით თენ - დე - ბა. თბი - ლი - სიც ხომ
სიმ - ღე - რა - ა, ა - გან - თებს და გა - დაგ - წვავს, უ - თბი - ლი სოდ
1, 2.
3.
სა - ქარ - თვე - ლოთ ზღა-პარ - ში - აც ა - რა მწამს ა - რა მჯე - რა,
ა - რა მწამს.

# ჰერიო, ჰერიო

სიმღერა კინოფილმიდან „ჩაძირული ქალაქის მაძიებლები“

მუსიკა: **რევაზ ლაღიძის**
ტექსტი: **პეტრე გრუზინსკის**




ბი - ჭე - ბო, ბი - ჭე - ბო, ბი - ჭე - - ბო,
ჰე!
ქვეყ - ნად რამ - დე - ნი ზღვა - ა - რის,
რამ - დე - ნი ლურ - ჯი ცა ა - რის,


მაგ - რამ აქ მა - ინც სხვა ა -
რის.
ჩვე - ნი მზე უფ - რო თბი - ლი - ა,
ნი - ა - ვი უფ - რო გრი - ლი ა,


ჩვე - ნი ცა მა - ინც სხვა ა - რის.
1.
2.
Glissando


ფიქ - რე - ბი - ვით
გა - - ფან - ტუ - ლან ზღვა - ზე აფ - - რე -
ბი, თით - ქოს ტალ - ღებს
შო - - რე - უ - ლი მო - აქვს ზღაპ - რე -


ბი.
და - კარ - გუ - ლი
ბა - - რა - თი - ვით
და - ქრის თო - ლი -
ა,
მი - სა - მარ - თი
და - - - ე - კარ - გა,
ვერ - უ - პოვ - ნი -


1.
2.
ა. ვერ უ - პოვ - ნი - ა.
რის.
რის.

საშობაო-საახალწლო ზეიმისთვის

# ალილო

სიტყვები და მუსიკა მ. ოთიაშვილი




მისამღერი:
გა - თეთ-რე-ბუ-ლა მთე - ბი,
წე - ლო, წე - ლო ა - ხა-ლო,
გა - გვი-ნა - თე გზე - ბი,
ა - ლი-ლო, ბი - ჭო, ა - ლი-ლო,
მღე-რი-ან პა - ტა - რე - ბი.
რე - ბი.
1.
2.


მხიარულად, თამაშით.
წე-ლო წე-ლო ა-ხა-ლო,
გა-გვი-ნა-თე გზე - ბი,
ა-გვა-მღე-რე ბავ-შვე-ბი,
გაგ-ვი-შა-ლე ფრთე-ბი.
წე-ლო წე-ლო ა-ხა-ლო,
გაგ-ვი-ნა-თე გზე-ბი,
ა-გვამ-ღე-რე ბავ-შვე-ბი,
გაგ-ვი-შა-ლე ფრთე - ბი.
3


მისამღერი:
წე - ლო წე - ლო ა - ხა - ლო, გაგ - ვი - ნა - თე
გზე - ბი, ა - ლი - ლო ბი - ჭო ა - ლი - ლო, მღე - რი - ან ბა - ტა -
1.
2.
Coda
რე - ბი. რე - ბი. წე - ლო წე - ლო ა - ხა - ლო,


გაგ - ვი - ნა - თე გზე - ბი, სა - ქარ - თვე - ლოს დი - დე - ბა,
მრა - ვალ-ჟა - მი - ე - რი. წე - ლო წე - ლო ა - ხა - ლო,
გაგ - ვი - ნა - თე გზე - ბი, სა - ქარ - თვე - ლოს







ალილო
ახალი წელი მოსულა,
შობა-ახალი წელი,
ჩვენშიაც დაზამთრებულა,
გათეთრებულა მთები.

მისამღერი:
წელო, წელო ახალო
გაგვინათე გზები,
ალილო, ბიჭო, ალილო,
მღერიან პატარები.

წელო, წელო ახალო,
გაგვინათე გზები,
აგვამღერე ბავშვები,
გაგვიშალე ფრთები.

ქრისტეშობისთვეს გვილოცავს
თოვლის ბაბუა თეთრი,
თეთრი ფიფქები ცვივა და
მოდის ახალი წელი

მისამღერი:
წელო, წელო ახალო...

Score

# A Girl's Song and Ballet Sequence

მუს. ლ. ბერსტაინი.

ფრაგმენტი მიუზიკლიდან „ვესტსაიდური ისტორია“

**Adagio**




13
cresc.
Time to - geth - es with time for spare, Time to look, time to care,
cresc.
17
mf
Some day! Some - where! We'll find a new way of
f
20
p
liv - ing, We'll find a way of for - giv - ing


a tempo
pp
rall.
pp
Some-where.
There's a place for us,
pp
ppp
A time and place for us.
Hold my hand and were
half - way there.
Hold my hand and I'll take you there
f
ppp
Some-how,
Some day!
Some - where!
f
ff
ppp

# ანა-ბანა

მუსიკა: გ. ცაბაძე




10
სულ გა - ნათ - და ჩვე - ნი ბნე - ლი ბი - ნა.
სუს - ხი ვე - ღარ შე - მო - გვი - ჭებს
10
13
კარს,
ბუ - ჩრის პი - რას ჩა - მოვ - ჯდე - ბით თბი - ლად
13
16
და ბანს ვეტ - ყვით მო - გიზ - გი - ზე ალს!
ა - ნა - ბა - ნა, ა - ნა - ბა - ნა,
16




სანოტო ტექსტი ჩაწერა და დაამუშავა ნინო ჯულაყიძემ

## ნაწყვეტი ვერის უბნის მელოდიებიდან

მუსიკა: გ. ცაბაძე




9
ბო - ლოს ლხი - ნი გა - ე - მარ - თათ უ - ხა - რო - დათ დე - დებ - სა - ო
9
11
ოც - და - ხუთ - სა დე - კემ - ბერ - სა ქრის - ტე ი - შვა ბეთ - ლემ - სა - ო
11
14
და ა - ლა - თა - სა ბა - ლა - თა - სა
14


17
ხე - ლი ჩავ - ყავ კა - ლა - თა - სა
20
მე თუ ვე - რა ვი - შოვ - ნე რა
ღმერ - თი მოგვ - ცემს ბა - რა -
23
ქა - სა.
მჭე - ო სი - მარ - თლი - სა - ო


26
სვე - ტო სი - ნა - თლი - სა - ო
ლხი - ნი გა - გვი -
29
მრავ - ლე და
ა - გვა - შო - რე სიმ - წა - რე
32
ოც - და - ხუთ - სა დე - კემ - ბერ - სა ქრი - სტე ი - შვა ბეთ - ლემ - სა - ო და




სანოტო ტექსტი ჩაწერა და დაამუშავა ნინო ჯულაყიძემ

# I'd Do Anything

Words and Music by
LIONEL BART




G7 C Am Dm7 G7 Dm7 G7
Girl: Would you climb a hill? Boy: An-y-thing! Girl: Wear a daf-fo-dil?
Girl: Would you lace my shoe? Boy: An-y-thing! Girl: Paint your face bright blue?
Fagin: Would you rob a shop? All: An-y-thing! Fagin: Would you risk "the drop?"
Alternate lyric: Let the clouds of grey come a-long, Nev-er mind if they
G F C D7 G
Boy: An-y-thing! Girl: Leave me all your will? Boy: An-y-thing! Girl: E-ven fight my Bill?
Boy: An-y-thing! Girl: Catch a kan-ga-roo? Boy: An-y-thing! Girl: Go to Tim-buc-too?
All: An-y-thing! Fagin: Tho' your eyes go "pop?" All: An-y-thing! Fagin: When you come down "plop?"
come a-long; Sure-ly they won't stay ver-y long; if you'll on-ly say
C Cmaj7 Em Am7 C Dm Dm7 G7 G+7
Boy: What? Fis-ti-cuffs! I'd risk ev-'ry-thing for one kiss ev-'ry-thing; Yes,
Boy: And back a-gain! I'd risk ev-'ry-thing for one kiss ev-'ry-thing; Yes,
All: Hang ev-'ry-thing! We'd risk life and limb To keep you in the swim; Yes,
you're mine a-lone. I'd risk ev-'ry-thing for one kiss ev-'ry-thing; Yes,
Em Am7 D9 Dm7 G7 C Am Dm7 G7 C
1.2. 3.
I'd Do An-y-thing, Girl: An-y-thing? Boy: An-y-thing for you.
I'd Do An-y-thing, Girl: An-y-thing? Boy: An-y-thing for you.
We'd do an-y-thing, Fagin: An-y-thing? All: An-y-thing for you.
I'd Do An-y-thing, an-y-thing for you.

# Oom-Pah-Pah

Words and Music by
LIONEL BART




G7 C7 F
bin on the gin or the beer. If you've got the pa - tience, your
thought an - y - bod - y could see. Se - cret - ly he'd buy it, and
an - kles to all of the men. They could see her gar - ters, but
G7 C7 F
own im - ag - i - na - tions Will tell you just ex - act - ly what you want to hear.
drink it on the qui - et, And dream he was an earl wiv a girl on each knee.
not for free and gra - tis, An inch or two and then she knew when to say when.
Refrain
F G7 C7
Oom - pah - pah! Oom - pah - pah! that's how it goes, Om - pah - pah! Oom - pah - pah!
mf
F C7 F G7 F♯7 G7
ev - 'ry - one knows; They all sup - pose what they want to sup - pose,
What is the cause of his red shin - y nose?
Wheth - er it's hid - den or wheth - er it shows,
C7 B7 C7
1. 2.
F
3.
F
When they hear Oom - pah - pah!
Can it be Oom - pah - pah?
It's the same Oom - pah - pah!
f

Score

# Edelweiss

Richard Rodgers




19
meet me Bloss - om of snow may you bloom and grow,
19
rit.
a tempo
25
bloom and grow for - ev er. E - del weiss,
25
31
E - del - weiss Bless my home - land for - ever. ever.
31


tempo di walzer
37
mf E - del - weiss, E - del - weiss, Eve - ry mor - ning you
37
mf


43
greet me Small and white, clean and bright
43


49
you look hap - py to meet me Blos - som of snow may you
49
55
bloom and grow Bloom and grow for - ev - er
55




სანოტო ტექსტი ჩაწერილი და დაამუშავებულია ნ. ქუმსიშვილისა და რ. ჯულაყიძის მიერ

# DO-RE-MI

Lyrics by OSCAR HAMMERSTEIN II
Music by RICHARD RODGERS




C MARIA: G G7 C G7
Do - re - mi. The first three notes just hap-pen to
C C G C CHILDREN: C G C
be do - re - mi! Do - re - mi!
C MARIA: G7 (Spoken) C G7
Do-re-mi-fa-so-la-ti
All right, I'll make it easier. Listen:
mf
Refrain (in spirited tempo)
C MARIA: C G7
Doe a deer, a female deer, Ray a drop of gold-en
mp


G9 G7 C C
sun, Me--- a name I call my - self,
G9 G9 C C7
Far--- a long, long way to run. Sew--- a nee - dle pull - ing
poco a poco cresc.
F D7 G
thread, La--- a note to fol - low sew,
E7 Am C7 F Dm7
Tea--- a drink with jam and bread That will bring us
mf


G7 C G C C
back to do - oh - oh - oh! (Guitar) A deer, a fe - male
p
CHILDREN: (spoken) G7 MARIA: G9 G7 CHILDREN:
deer, Do! (Guitar) A drop of gold - en sun, Re!
C MARIA: C CHILDREN: G9 MARIA:
(Guitar) A name I call my - self, Mi! (Guitar) A
G9 CHILDREN: C MARIA: (sung) CHILDREN: C7
long, long way to run, Fa! So! A nee - dle pull - ing
poco a poco cresc.


MARIA: CHILDREN:
F D7 G
thread. La! A note to fol - low so!
mf
E7
MARIA: CHILDREN:
Am C7
MARIA:
F Dm7 G7
Ti! A drink with jam and bread That will bring us back to
C
ALL:
C G7
Doe--- a deer, a fe - male deer, Ray--- a drop of gold - en
mf
G9 C C
sun, Me--- a name I call my - self,


G9 G9 C C7
Far--- a long, long way to run. Sew--- a needle pulling
poco a poco cresc.
F D7 G
thread, La--- a note to fol-low sew,
E7 Am C7 F G7
Tea--- a drink with jam and bread That will bring us back to
mf
C C7 F Dm7 G7 C
doe! Do-re-mi-fa-so-la-ti-do!
f

# THE LONELY GOATHERD

Lyrics by OSCAR HAMMERSTEIN II
Music by RICHARD RODGERS




C7 F C F B♭ F F
quite re-mote, heard: lay-ee o-dl, lay-ee o-dl lay-ee-o. Lust-y and clear from the
C7 F C C7 F C
goat-herd's throat heard: lay-ee o-dl lay-ee o-dl-o. O-ho,
mf
F C C7 F C
lay-dee o-dl-lee-o, O-ho, lay-dee o-dl ay! O ho,
F B♭ F C Dm G7 C
lay-dee o-dl lee-o, hod-l-o-dl-lee-o-ay! A
mp


F C7 F C F B♭ F
prince on the bridge of a cas-tle moat, heard: lay-ee o-dl, lay-ee o-dl lay-ee-o.
F C7 F C C7 F
Men on a road, with a load to tote, heard: lay-ee o-dl, lay-ee o-dl-o.
F C7 F C F B♭ F
Men, in the midst of a ta-ble d'hote, heard: lay-ee o-dl, lay-ee o-dl lay-ee-o.
F C7 F C C7 F
Men, drink-ing beer with the foam a-float, heard: lay-ee o-dl, lay-ee o-dl-o.


C F C C7 F
O - ho, lay-dee o - dl lee - o, O - ho, lay-dee o - dl ay!
mf
C F Bb F C Dm G7 C
O - ho, lay-dee o - dl lee - o, hod - l - o - dl lee - o - ay!
F C7 F C F Bb F
One lit-tle girl, in a pale pink coat, heard: lay-ee o-dl, lay-ee o-dl lay - ee o.
mp
F C7 F C C7 F
She yo-dled back to the lone-ly goat-herd, lay-ee o-dl, lay-ee o-dl - o.


F C7 F C F B♭ F
Soon her ma-ma, with a gleam-ing gloat, heard: lay-ee o-dl, lay-ee o-dl lay-ee-o.
F C7 F C C7 F
What a du-et for a girl and goat-herd: lay-ee o-dl, lay-ee o-dl-o.
C F C C7 F
O-ho, lay-dee o-dl lee o, O-ho, lay-dee o-dl ay!
C F B♭ F C Dm G7 C
O-ho, lay-dee o-dl lee-o, hod-l-o-dl lee-o-ay!
f


F C7 F C F Bb F
Hap-py are they, lay-lee o lay-ee lee-o! O lay-lee o lay-lee lay - ee - o.
mf
F C7 F C C7 F
Soon the du-et will be-come a tri - o, lay-ee o-dl, lay-ee o-dl - o.
Coda
C7 F6
Ho-di lay-ee Ho-di lay-ee Ho-di
mf
C7 F
lay-ee O-de lay-ee o-dl lee-e o-dl lay.
sfz

# საქართველოს ჰიმნი

მუსიკა ზ. ფალიაშვილი
დაამუშავა ი. კეჭაყმაძემ
ტექსტი დ. მაღრაძე









ადაპტირებული ვარიანტი ბავშვთა სამხმიანი გუნდისთვის ჩაწერა რ. ჯულაყიძემ

# ლალე

ხალხური

დაამუშავა მაია ოთიაშვილმა







ჩე - მო ლა - მა - ზო სამ - შობ - ლო შენ კი გე - ნა - ცვა - ლე.
ლა - ლე, ლა - ლე, დივ - ლი და - ლა - ლა - ლე,
ჩე - მო ლა - მა - ზო სამ - შობ - ლო, შენ კი გე - ნა - ცვა - ლე.
ჩე - მო ლა - მა - ზო სამ-შობ-ლო შენ კი გე - ნა - ცვა - ლე. ცვა - ლე.
1.
2.

# ჩემო ციცინათელა

მუსიკა დ. ფალავასი

ლექსი ა. წერეთლის




2. ანათებ და კარგი ხარ, მე თუმც არას მარგიხარ!...
ჩემი იყო, ის მინდა, შენ კი სხვისკენ გარბიხარ!...

3. ჩემო ციცინათელა, საით ჰფრენ ნელა-ნელა?
მე ვარ შენი ერთგული, სხვა მოგატყუებს ყველა.

4. ჩემო ციცინათელა, სადღა ჰფრენ ნელა-ნელა?
შენმა შორ-შორ ნათებამ უდროოდ დამანელა!

სანოტო ჩანაწერი გადმოტანილია კრებულიდან „ნანინა“ 2014 წ. ავტორები: ნ. ქუმსიშვილი, რ. ჯულაყიძე, ა. უშვერიძე

# სულიკო

მუსიკა ვ. წერეთლის
ლექსი ა. წერეთლის




2. ეკალში ვარდი შევნიშნე,
ობლად რომ ამოსულიყო,
გულის ფანცქალით ვკითხავდი:
„შენ ხომ არა ხარ, სულიკო?“

3. სულგანაბული ბულბული
ფოთლებში მიმალულიყო,
მივეხმატკბილე ჩიტუნას:
„შენ ხომ არა ხარ, სულიკო?“

4. შეიფრთხიალა მგოსანმა,
ყვავილს ნისკარტი შეახო,
ჩაიკვნეს-ჩაიჭიკჭიკა,
თითქოს სთქვა: „დიახ, დიახო!“

5. ეგ არის, რასაც ეძებდი,
მორჩი და მოისვენეო!
დღე დაიღამე აწ ტკბილად
და ღამე გაითენეო!

სანოტო ჩანაწერი გადმოტანილია კრებულიდან „ნანინა“ 2014 წ. ავტორები: ნ. ქუმსიშვილი, რ. ჯულაყიძე, ა. უშვერიძე

# ქალაქური სიმღერების პოპური




8
და - ნა - მა დი - დი მინ - დო - რი და - ნა - მა ჭრე - ლო პე - პე - ლა
და - ნა - მა დი - დი მინ - დო - რი და - ნა - მა ჭრე - ლო პე - პე - ლა
8
12
1.
2.
გა - ფრინ - დი ნე - ლა დე - ლი - ა რა - ნუ - ნი ნი. რა - ნუ - ნი დე - ლი - ავ - რა - ნუ - ნი
გა - ფრინ - დი - ნე - ლა დე - ლი - ა რა - ნუ - ნი ნი. რა - ნუ - ნი დე - ლი - ავ - რა - ნუ - ნი
12


17
დე-ლი-ა რა-ნუ-ნი დე-ლი-ავ-რა - ნუ - ნი რა-ნუ-ნი დე - ლი - ავ რა - ნუ - ნი
დე-ლი ა რა-ნუ-ნი დე-ლი-ავ-რა - ნუ - ნი რა-ნუ-ნი დე - ლი - ავ რა - ნუ - ნი
17
21
დე-ლი-ავ-რა-ნუ-ნი დე-ლი-ავ-რა-ა-ნუ - ნი.
დე-ლი-ავ-რა-ნუ-ნი დე-ლი-ავ-რა-ა-ნუ - ნი
21


a cappella
26
ერთ-სა - ათ-საც ვერ ვი-ცოცხ-ლებ რომ არ მყავ-დეს კე-სა-რი-ა ჩე-მი ა-ქა
რომ არ მყავ-დეს კე-სა-რი-ა ჩე-მი ა-ქა
31
ნა-დამ-ბორ-კი და მა - ლა-მო ი-სა-რი-ა ჩე-მი ა-ქა ნა-დამ-ბორ-კი
ნა-დამ-ბორ-კი და-მა - ლა-მო ი-სა-რი-ა ჩე-მი ა-ქა ნა-დამ-ბორ-კი
36
და მა - ლა-მო ი-სა-რი-ა ჩე-მო ჩა- ფუნ - თუ-შე-ბუ-ლო ჩე-მო სუ-ლის
და მა - ლა-მო ი-სა-რი-ა ჩე-მო - სუ-ლის


41
კვა-რაჭ-ჭი-ნა ნე-ტავ შე-ნი უ-ნა-ხა-ვი ა-ქამ-დე რამ და-მარ-ჩი-ნა
კვა-რაჭ-ჭი-ნა ნე-ტავ-შე-ნი უ-ნა-ხა-ვი ა-ქამ-დე რამ და-მარ-ჩი-ნა
46
ნე-ტავ შე-ნი უ-ნა-ხა-ვი ა-ქამ-დე რამ და-მარ-ჩი-ნა
ნე-ტავ შე-ნი უ-ნა-ხა-ვი ა-ქამ დე რამ და-მარ-ჩი-ნა
50
სან-თე-ლი-ვით დავ-დნე-ბი, შა-ქა-რი-ვით დავ-ტკბე-ბი,
სან-თე-ლი-ვით დავ-დნე-ბი, შა-ქა-რი-ვით დავ-ტკბე-ბი,
50


54
სატრ-ფოს ხმას-რომ გა-ვი-გებ გე-ნა-ცვა-ლე მკვდა-რი ვი-ყო ავ-დგე ბი,
სატრ-ფოს ხმას რომ გა-ვი-გებ გე-ნა-ცვა-ლე მკვდა-რი ვი-ყო ავ-დგე-ბი,
54
58
სატრ-ფოს ხმას-რომ გა-ვი-გებ გე-ნა-ცვა-ლე მკვდა-რი ვი-ყო ავ-დგე ბი,
სატრ-ფოს ხმას რომ გა-ვი-გებ გე-ნა-ცვა-ლე მკვდა-რი ვი-ყო ავ-დგე-ბი,
58


62
ახ მე-ზურ-ნევ დაჰ - კარ დაჰ-კარ დაჰ-კარ გრძნო - ბით და - ი-რა-სა
ახ მე-ზურ-ნევ დაჰ - კარ დაჰ-კარ დაჰ-კარ გრძნო - ბით და - ი-რა-სა
62
66
თუ ხარ სა - ქარ - თვე - ლოს შვი - ლი ნუ მო - გვა - კლებ მაგ ტკბილ ხმა - სა
თუ ხარ სა - ქარ - თვე - ლოს შვი - ლი ნუ მო - გვა - კლებ მაგ ტკბილ ხმა - სა
66


70
თუ ხარ სა - ქარ - თვე - ლის შვი - ლი ნუ მო - გვა - კლებ მაგ ტკბილ ხმა - სა
თუ ხარ სა - ქარ - თვე - ლის შვი - ლი ნუ მო - გვა - კლებ მაგ ტკბილ ხმა - სა
70
74
მრა - ვალ ჟა - მი - ერ მრა - ვალ ჟა - მი - ერ მრა - ვალ-ჟა - მი - ერ.
მრა - ვალ-ჟა - მი - ერ მრა - ვალ-ჟა - მი - ერ მრა - ვალ-ჟა - მი - ერ.
74


78
მორ - ბის ა - რა - გვი ა - რა - გვი - ა - ნი
მორ - ბის ა - რა - გვი ა - რა - გვი - ა - ნი
78


82
თან მოს-ძა-ხი - ა - ან მთა-ნი ტყი-ა-ნი მთა - ნი
თან მოს-ძა-ხი - ა - ან მთა-ნი-ტყი-ა-ნი მთა - ნი
82



86
მთა - ნი ტყი - ა - ნი მთა - ნი მთა - ნი ტყი - ა - ნი ჰო - ი - ნა - პი - რო
ქარ - თველ - სა გულ - მან
მთა - ნი - ტყი - ა - ნი მთა - ნი მთა - ნი ტყი - ა - ნი ჰო - ი - ნა - პი - რო
ქარ - თველ - სა გულ - მან
86
90
ა - რა - გვის პირ - ნო მო - ბი - ბი - ნე - ო შვე - ბით მომ - ზირ - ნო მორ - ბის ა - რა -
რო - გორ გა - უ - ძლოს ო - დეს შვე - ნე - ბა თქვე - ნი - ი - ხი - ლოს
ა - რა - გვის პირ - ნო მო - ბი - ბი - ნე - ო შვე - ბით მომ - ზირ - ნო მორ - ბი ა - რა -
რო - გორ გა - უ - ძლოს ო - დეს შვე - ნე - ბა თქვე - ნი ი - ხი - ლოს
90


94
გვი ა - რა-გვი-ა - ნი თან მოს-ძა-ხი -
გვი ა - რა-გვი-ა - ნი თან მოს-ძა-ხი -
94


98
1.
ა - ან მთა-ნი ტყი-ა-ნი მთა - ნი მთა-ნი ტყი-ა-ნი
ა - ან მთა-ნი-ტყი-ა-ნი მთა - ნი მთა-ნი ტყი-ა-ნი
98




სანოტო ტექსტი ჩაწერა და დაამუშავა ნ. ქუმსიშვილმა

# Golden Slumbers / Carry That Weight

Songwriters: Paul McCartney / John Lennon




18
and I will sing a lul - la - by
18
23
Gol - den slum - bers fill your eyes,
23
28
smiles a - wake you when
28







სანოტო ტექსტი ჩაწერა რ. ჯულაყიძემ

# პროგრამა LMMS-ის გამოყენების ინსტრუქცია

LMMS პროგრამის გახსნის შემდგომ, პირველი, რასაც ვხედავთ, არის:




1 - მენიუს პანელი

2 - ხელსაწყოების პანელი (მარცხენა)

3 - ხელსაწყოების პანელი (მარჯვენა)

4 - გვერდითი პანელი

5 - ინტერფეისი

ინტერფეისში კი მოთავსებულია შემდეგი სამუშაო ფანჯრები:




1 - სიმღერის მარედაქტირებელი (Song Editor) - ფანჯარა, სადაც კომპოზიციის ყველა შემადგენელი ინსტრუმენტი თავსდება

2 - ბითის/ბასის მარედაქტირებელი (Beat + Bassline editor) - ფანჯარა, სადაც ხდება დასარტყამი ინსტრუმენტებისა და ბასის აწყობა

3 - ეფექტები და მიქსერი (FX Mixer) - ფანჯარა, რომელიც გვაძლევს საშუალებას ვაკონტროლოთ თითოეული ტრეკის ხმის სიძლიერე და დავამატოთ ეფექტები (რევერბეცარია, დილეი და ა.შ.)

4 - მაკონტროლებელი ფანჯარა, რომელიც ინახავს იმ მაკონტროლირებლების სიებს, რის მიხედვითაც თავად პროგრამა მუშაობს. ეს ფანჯარა შესაძლებელია გამორთოთ პროგრამის ჩართვისთანავე.

## ინსტრუმენტის სემპლის ჩატვირთვა

პროგრამის გახსნის შემდეგ, გვერდით პანელში მოვძებნოთ და დავაწკაპოთ “My Samples” ღილაკს, რომელიც გამოიყურება შემდეგნაირად:  . ამის შემდეგ გამოჩნდება პანელი, სადაც მოცემულია ფოლდერები კატეგორიების მიხედვით. ფოლდერების მარცხენა მხარეს მოცემულ + ნიშანზე დაკლიკებით ჩამოშლით სემპლების ჩამონათვალს. იმისთვის, რომ სემპლი მარედაქტირებელ ფანჯარაში მოვათავსოთ, საჭიროა მასზე ორჯერ დავაწკაპოთ. თუ სემპლის ადგილზე მოსმენა გვსურს, დავაკლიკოთ და არ მოვხსნათ მანამ, სანამ არ გავიგებთ ხმას.

ჩამონათვალში მოცემულ სემპლზე (bass01.ogg) ორი წკაპის შემდეგ, ბითის მარედაქტირებელ ფანჯარაში მანამდე ავტომატურად მოცემულ Kicker ტრეკის ქვემოთ გამოჩნდება ახალი ტრეკი სემპლის სახელით - bass01.ogg.




იმისათვის, რომ ახალ ტრეკზე ჩავწეროთ მელოდია (ამ შემთხვევაში მელოდია, რადგან ბასი გვაქვს დამატებული), დავაკლიკოთ ტრეკის სახელის გასწვრივ მოცემული ნაცრისფერი მართკუთხედებიდან პირველივეს, რის შედეგადაც გაიხსნება პიანო ფანჯარა (Piano roll).




პიანო ფანჯარაში მარცხენა მხარეს მოცემულია ფორტეპიანოს განლაგება, რომლის თითოეული ნოტის გასწვრივ დაკლიკებისასაც მივიღებთ იგივე სიმაღლის ბგერას, რაც ფორტეპიანოზეა გამოსახული. ამრიგად, თქვენ შეგიძლიათ მაუსის სხვადასხვა გრაფებში დაკლიკებით ააწყოთ ნებისმიერი მელოდია. მაგალითად, ქვემოთ მოცემულ ფანჯარაზე გამოსახულია დო ნოტი (ყვითლად შემოხაზული არეა).



ზემოთ მოცემულ პიანო ფანჯარაზე მონიშნული ღილაკების განმარტება:

1 შედგენილი მელოდიის დაკვრა

2 დაკვრის შეჩერება

3 ახალი ნოტების შესაქმნელი ხელსაწყო

4 მოცემული ნოტების წასაშლელი ხელსაწყო

შესაძლებელია მოცემული სემპლების გადაადგილება და ხანგრძლიობის გაზრდა. გადასაადგილებლად უბრალოდ დააწკაპეთ მასზე და მაუსის აშვების გარეშე გადააადგილეთ. ხანგრძლიობის გასაზრდელად/შესამცირებლად კი სემპლის მარჯვენა კუთხეში მიიტანეთ კურსორი და როდესაც მას ორივე მხარეს ისრები გაუჩნდება, დააწკაპეთ სემპლს და გააცურეთ მარჯვნივ ან მარცხნივ. რაც უფრო მოკლეა სემპლი, მით უფრო მოკლეა მისი ხანგრძლიობაც.

თუ გვსურს დამატებული ტრეკის პროექტიდან წაშლა, დავაწკაპოთ ტრეკის მარცხნივ მოცემულ ფიფქზე. გამოჩნდება პატარა ფანჯარა, სადაც მოვნიშნავთ „Remove this track". ტრეკის წაშლის მეთოდი არის იგივე ორივე - ბითისა და სიმღერის მარედაქტირებელ ფანჯრებში.




მელოდიის/დასარტყამი პარტიის შექმნის შემდეგ, სიმღერის მარედაქტირებელ ფანჯარაში მოძებნეთ Beat/Bassline ტრეკი და მის გასწვრივ, მართკუთხედზე დაკლიკებით გადმოიტანეთ შექმნილი მელოდია სიმღერის მარედაქტირებელში. მართკუთხედი გამწვანდება, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენი შექმნილი მელოდია განთავსდა სიმღერის მარედაქტირებელში, სადაც კომპოზიციის ყველა შემადგენელი თავსდება.




## აუდიოფაილის იმპორტი

იმ შემთხვევაში, თუ გვსურს, რომ პროგრამაში შემოვიტანოთ წინასწარ ჩაწერილი აუდიოფაილი, უნდა დავუბრუნდეთ სიმღერის მარედაქტირებელ ფანჯარას, სადაც Sample track არის მოთავსებული. ეს არის ის ტრეკი, რომელსაც შეუძლია უკვე ჩაწერილი აუდიო ფაილის აჟღერება.

Sample track-ის გასწვრივ მოცემული ნაცრისფერი მართკუთხედებიდან პირველივეზე დაკლიკების შემთხვევაში გამოჩნდება ახალი ფანჯარა, რომლის მარცხენა მხარეს მოცემულია იმ ადგილმდებარეობების ჩამონათვალი, საიდანაც შეგიძლიათ, რომ წინასწარ ჩაწერილი აუდიოფაილის იმპორტი (პროექტში შემოტანა) გააკეთოთ. დავუშვათ, მოცემული აუდიოფაილი დესკტოპზე გაქვთ შენახული, დააწკაპეთ Desktop-ს, მოძებნეთ ფაილი და ორჯერ დააწკაპეთ მას. ამის შემდგომ, Sample track-ის გასწვრივ, ნაცრისფერი მართკუთხედების ნაცვლად გაჩნდება აუდიოფაილი, ბგერის ტალღის გამოსახულებით.



სიმღერის მარედაქტირებელი ფანჯრის ღილაკების ზოგადი მიმოხილვა:




1 ფანჯარაში მოცემული ტრეკების ერთიანად დაკვრა

2 დაკვრის შეჩერება

3 ბით/ბას ტრეკის დამატება

4 სემპლ ტრეკის (წინასწარ ჩაწერილი აუდიოფაილისთვის) დამატება

5 აუტომაციის ტრეკის დამატება (ამ ტრეკით შესაძლებელია ნებისმიერი პარამეტრის ავტომატური მართვა. მაგალითად, ხმის სიძლიერის ცვლა წინასწარ განსაზღვრული მაჩვენებლების მიხედვით)

6 Solo/Mute ფუნქცია. თუ მწვანე ნაწილს დააკლიკებთ და ორივე მართკუთხედი ნაცრისფერია, ეს Mute ფუნქციაა და ამ დროს ტრეკი გათიშულია მთლიანი პროექტის დაკვრის დროს. თუ მარჯვენა მართკუთხედს დავაკლიკებთ, ის ნარინჯისფერი გახდება, ამ დროს ყველა სხვა დანარჩენი ტრეკი გამოირთვება და მხოლოდ ამ კონკრეტულ ტრეკს მოისმენთ. ამას Solo ფუნქცია ეწოდება.

### აუდიოფაილის ექსპორტი

მუშაობის დასრულების შემდგომ, თქვენ შეგიძლიათ ყველა ის ინსტრუმენტი, რომლითაც შექმენით კომპოზიცია შეკრიბოთ და ერთიანად დააექსპორტოთ, ერთ აუდიოფაილში.

ამისათვის მენიუს პანელში დააწკაპეთ Project და შემდეგ Export. გამოჩნდება ფანჯარა, რომელიც, ისევე როგორც აუდიოფაილის იმპორტის დროს, მარცხნივ გიჩვენებთ ადგილმდებარეობების ჩამონათვალს, სადაც შეგიძლიათ შეინახოთ დაექსპორტებული აუდიოფაილი. ადგილის შერჩევის შემდგომ, იგივე ფანჯარაში File name-ის გასწვრივ ველში

Untitled.wav-ის ნაცვლად შეგიძლიათ მიუთითოთ ფაილის თქვენთვის სასურველი სახელი და დააწკაპოთ Save-ს.




ამის შემდეგ, გამოჩნდება ფანჯარა, სადაც მოცემულია ინფორმაცია აუდიოფაილის შესახებ. დააწკაპეთ Start-ს და აუდიოფაილი დაექსპორტდება



**ყოველი მუსიკალური ფრაგმენტი თუ ხმა, რითაც პროგრამა LMMS-ში შექმნილია პროექტები, მოთავსებულია საგაკვეთილო ფაილებშიც.**

**აუდიო და ვიდეო მასალა**

**გაკვეთილი 1-2-3**
კომპიუტერული თამაში „სუპერ მარიო“ - ვიდეოფრაგმენტები

**გაკვეთილი 4**
კომპიუტერული თამაში „ანრაველი“- ვიდეოფრაგმენტები

**გაკვეთილი 5**
კომპიუტერული თამაში „აბზუ“

**გაკვეთილი 6**
კომპიუტერული თამაშების: Age Of Mytology, Samorost, Old Man's Journey საუნდტრეკები

**გაკვეთილი 7**
კომპიუტერული თამაშების: **The Last Of Us, GTA, The StanleyParable** საუნდტრეკები
კომპანია „კოკა-კოლას“ ორი ვიდეორგოლი
ჯ. ლენონი, პ. მაკარტნი. სიმღერა "Yellow Submarine"

**გაკვეთილი 9**
კ. დებიუსი. „მთვარის შუქი“.
ფ. შოპენი. ნოქტიურნი N1

**გაკვეთილი 10**
გამოჩენილ ადამიანთა ხმის აუდიოჩანაწერები: გია ყანჩელი, ლევან წულაძე, ნანი ბრეგვაძე, სესილია თაყაიშვილი, კახი კავსაძე, ოთარ ტატიშვილი და სხვ.

**გაკვეთილი 11**
ჯ. ვერდი. ოპერა: „ტრავიატა“ – სუფრული (I მოქმედება),
ჯ. ვერდი. „აიდა“ – გამარჯვებულ ეგვიპტელთა მარში (II მოქმედება
ლ. ვ. ბეთჰოვენი. სიმფონია №5, I ნაწილი, დო მინორი

**გაკვეთილი 12**
ქართული ხალხური სიმღერა „წინწყარო“

**გაკვეთილი 13-14**
ზ. ფალიაშვილი. ოპერა „დაისი“ – კიაზოს მიმართვა ხალხისადმი და თავისუფლების სცენა (II მოქმედება)
ნ. სულხანიშვილი. აკაპელა „გუთნური“.
მეგრული სიმღერა „ჩელა“
გ. ბზვანელი. სიმღერა „სამშობლოს“

**გაკვეთილი 15**
ო. თაქთაქიშვილი ოპერა „მინდია“:
მინდიას არია პირველი მოქმედებიდან,
დასკვნითი გუნდი ოპერის ეპილოგიდან.

**გაკვეთილი 16-17**
მ. მუსორგსკი. საფორტეპიანო სიუიტა „სურათები გამოფენიდან“. პიესები: ჯუჯა, ორი ებრაელი, ტიულირიის ბაღი, ლიმოჟის ბაზრობა, გამოუჩეკავი წიწილების ბალეტი, კუდიანი დედაბერი.

**გაკვეთილი 18**
ე. გრიგი. „პერ გიუნტი“. საორკესტრო სიუიტა №1, ანიტრას ცეკვა
ს. პროკოფიევი. ბალეტი „რომეო და ჯულიეტა“ – ჯულიეტა-გოგონა
ს. პროკოფიევი. სიმფონიური ზღაპარი „პეტია და მგელი“ – პეტიასა და ბაბუას თემები

**გაკვეთილი 19-20**
ქართული საგალობელი „შენ ხარ ვენახი“;
ჯ. კაჩინი. „ავე მარია“;
ბახ-გუნო. „ავე მარია;
ფ. შუბერტი. „ავე მარია“.

**გაკვეთილი 21-22**
რ. შუმანი. საფორტეპიანო სიუიტა „კარნავალი“. პიესები პიერო, არლეკინი, შოპენი, პაგანინი, კიარინა, ესტრელა
ფ. შოპენი. ნოქტიურნი №2
ნ. პაგანინი კაპრისი №24.
რ. შუმანი „მამაცი მხედარი“

**გაკვეთილი 23**
რ. შუმანი. საფორტეპიანო სიუიტა „კარნავალი“: „პრეამბულა“ და „დავითსბუნდლერთა მარში“.
რ. შუმანი. „კარნავალი“ – ერთმოქმედებიანი ბალეტი მ. ფოკინის ქორეოგრაფიით.
ფ. შუბერტი. სიმღერა „კალმახი“

**გაკვეთილი 24-25**
კადრები ძმები ლუმიერების ფილმიდან „მატარებელი“
ფრაგმენტი კ. მიქაბერიძის ფილმიდან „ჩემი ბებია“
გ. ყანჩელი - „ყვითელი ფოთლები“
გ. ყანჩელი, მუსიკა კინოფილმიდან „შერეკილები“

**გაკვეთილი 26-27**
საუნდტრეკები კინოფილმებიდან: „მარტო სახლში“, „ადამიანი ობობა“, „სუპერმენი“, „ჰარი პოტერი“

**გაკვეთილი 28**
ფრაგმენტები ქართული მხატვრული ფილმებიდან: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „ნატვრის ხე“, „უძინართა მზე“, „ფეოლა“, „ღიმილის ბიჭები“

**გაკვეთილი 29**
ფრაგმენტები მოკლემეტრაჟიანი ფილმებიდან: „ქოლგა“, „ქორწილი“ და „ლაზარე“

**გაკვეთილი 30**
ფრაგმენტი კინოფილმიდან „შერეკილები“

**გაკვეთილი 31**
სიმღერები ქართული კინოფილმებიდან
ბაში-აჩუკის სიმღერა – კ/ფ „ბაში-აჩუკი“ (კომპ. ს. ცინცაძე)
მაია წყნეთელის სიმღერა – კ/ფ „მაია წყნეთელი“ (კომპ. ს. ცინცაძე)
გარეთ თოვს – კ/ფ „ყვავილი თოვლზე“ (კომპ. რ. ლაღიძე)
„თბილისის დილა“ – კ/ფ „აბეზარა“ (კომპ. რ. ლაღიძე)
„სიმღერა შავ კატაზე“ – კ/ფ „აბეზარა“ (კომპ. ს. ცინცაძე)
„ჰერიო, ჰერიო“ – კ/ფ „ჩაძირული ქალაქის მაძიებელნი“ (კომპ. რ. ლაღიძე)

**გაკვეთილი 32**
ფრაგმენტები ჯ. ვერდის ოპერიდან „აიდა“ და ელტონ ჯონის მიუზიკლიდან „აიდა“.

**გაკვეთილი 33**
ჯ. ვერდი  ოპერა „ნაბუქო“ – ტყვე ებრაელთა გუნდი „Va pensiero, sull’ale dorate”

**გაკვეთილი 34**
ფრაგმენტები მიუზიკლებიდან
„როგორ მივაღწიოთ წარმატებას ბიზნესში ხელგაუნძრევლად“ (კომპ. ფრენკ ლესერი);
„პატარა სერენადა“ (კომპ. სტივენ სონდჰეიმი);
„ჰამილტონი“ (კომპ. ლი მანუელ მირანდა);
„პატარა პრინცი“ (კომპ. ფრედერიკ ლოუ);

**გაკვეთილი 35**
რ. კოჩანტე. მიუზიკლი „პატარა უფლისწული“ – ფრაგმენტები
ე. ჰუმპერდინკი. ოპერა „ჰენზელი და გრეტელი“ – ფრაგმენტები

**გაკვეთილი 36**
ფრაგმენტები ოპერებიდან:
ვ.ა. მოცარტი. „ჯადოსნური ფლეიტა“ – ღამის დედოფლის არია
ჯ. პუჩინი. „ტურანდოტი“ – კალაფის არია
ჟ. ბიზე. „კარმენი“ – ესკამილიოს კუპლეტები
ჯ. ვერდი. მთავარი ქურუმის სოლო
შ. გუნო. „რომეო და ჯულიეტა“ – ჯულიეტას არია
ჟ. ბიზე. „კარმენი“ – კარმენის ხაბანერა.

**გაკვეთილი 37-38**
ლ. ბერნსტაინი. კინომიუზიკლი „ვესტსაიდური ისტორია“;
„რაკეტები“, „ზვიგენების“ და „რაკეტების“ ცეკვა კლუბში, ტონის სიმღერა, მარიას სიმღერა, მარიასა და ტონის სცენა-დუეტი აივანზე, „ზვიგენების“ ცეკვა.

**გაკვეთილი 39-40**
გ. ცაბაძე. მიუზიკლი „ვერის უბნის მელოდიები“: მრეცხავების სიმღერის სცენა;
გოგონების დუეტი
ვ.ა. მოცარტი. ოპერა „ჯადოსნური ფლეიტა“ – „გენიოსების“ ტრიო.

**გაკვეთილი 41**
ლ. ბარტი. მიუზიკლი „ოლივერი“ – სცენა სასადილოში; ბიჭუნების გუნდი; სცენა სხვენში; ნენსის სიმღერა; „დილის სცენა“
ჟ. ბიზე. ოპერა „კარმენი“ – სცენა მოედანზე; ბიჭუნების გუნდი
ჯ. პუჩინი. ოპერა „ბოჰემა“ – სცენა დუქანში; მიუზეტას ვალსი

**გაკვეთილი 42-43**
რ. როჯერსი. მიუზიკლი „მუსიკის ჰანგები“ – სიმღერა „ედელვაისი“; ცეკვა „ლენდლერი“
ლ. დელიბი. ოპერა „ლაკმე“ – „ყვავილების დუეტი“,
ლ. ბერსტაინი. „ვესტსაიდური ისტორია“ – „მამბო“.

**გაკვეთილი 44**
მ.  ჰელმიში, ე. კლებანი. მიუზიკლი „კორდებალეტი“ – ფოქსტროტი, სიმღერა-ბალადა, სამბა
ფრაგმენტები მიუზიკლიდან: „ჩემი მშვენიერი ლედი“  – მეჯლისის სცენა;  „ოლივერი“ – სცენა ტავერნაში.
პ. ჩაიკოვსკი. ოპერა „ევგენი ონეგინი“ – ლენსკის არია
გ. დონიცეტი. ოპერა „პოლკის ქალიშვილი“ – ედგარის არია
ვ. ბელინი. ოპერა „ნორმა“ – ნორმას არია (Casta Diva)
ჯ. ვერდი. ოპერა „ტრავიატა“ – სუფრული (Brindisi)

**გაკვეთილი 45-46**
ვ. დოლიძე. ოპერა „ქეთო და კოტე“:
მაკარის არია – „ფულები არის ჩვენი გამხარებელი“

რეჩიტატივი – მაკარისა და საქოს სცენა
კოტეს რომანსი „ნაზი ხარ ნაზი“
სტუმრების შემოსვლა. გუნდი „სალამი ჩვენს მასპინძელსა“
ქეთოს არია „ერთ საღამოს“
კვინტეტი – ქეთო, ბარბარე, კოტე, სიკო და საქო – „ჩუმად, ჩუმად, არვინ გაგვიგოს“.
ქეთოს და კოტეს დუეტი
მაზურკა
ცეკვა ქართული

**გაკვეთილი 47-48**
ჯ. როსინი. ოპერა „სევილიელი დალაქი“;
უვერტიურა
ფიგაროს კავატინა (ბარიტონი)
გრაფ ალმავივას კანცონა (ტენორი)
ფიგაროსა და გრაფის დუეტი
როზინას კავატინა (კოლორატურული მეცო სოპრანო)
რეჩიტატივი და ბაზილიოს არია (ბანი)
სცენა, მამაკაცთა გუნდი და სექსტეტი
ბარტოლოს სცენა, რეჩიტატივი და არია (კომიკური ბანი, ბასსო-ბუფფა)
საორკესტრო ჩანართი
ტერცეტი
ფინალური სცენა

**გაკვეთილი 49**
ვ. ა. მოცარტი. ოპერა „ჯადოსნური ფლეიტა“;
პაპაგენოს სიმღერა ზანზალაკებით და გუნდით.
პაპაგენოს და პამინას დუეტი. ღამის დედოფლის არია.
„გენიოსების“ სიმღერა.

**გაკვეთილი 50**
რ. კოჩანტე. მიუზიკლი „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ – პოეტი გრენგუარის თხრობა („კათედრალების ეპოქა“),
რ. ლეონკოვალო. ოპერა „ჯამბაზები“ – ტერცეტი „Belle“ („ლამაზმანი“),

**გაკვეთილი 51**
რ. ვაგნერი. ოპერა „ზიგფრიდი“ – „ზიგფრიდის იდილია“.
რ. ვაგნერი. ოპერა „ვალკირიები“ – „ვალკირიების ფრენის სცენა“
რ. ვაგნერი. ოპერა „ლოენგრინი“ – შესავალი

**გაკვეთილი 52**
ჟ. ბიზე. ოპერა „კარმენი“ – III და IV მოქმედებების საორკესტრო ანტრაქტები
ჯ. ვერდი. ოპერა „აიდა“ – გამარჯვებულ ეგვიპტელთა მარში, (ტრიუმფალური მარში, მეორე მოქმედება)
ქ. ვ. გლუკი. ოპერა „ორფეოსი და ევრიდიკე“ – ფლეიტის სოლო (მეორე მოქმედება)

**გაკვეთილი 53**
ზ. ფალიაშვილი ოპერა „დაისი“ – კიაზოს მიმართვა ხალხისადმი და გუნდი „თავისუფლება“ (მეორე მოქმედება).

**გაკვეთილი 54**
ვ.ა. მოცარტი. ოპერა „ჯადოსნური ფლეიტა“ – ღამის დედოფლის არია,
ჯ. ვერდი. ოპერა „აიდა“ – ამნერისის სცენა,
ჟ. ბიზე. ოპერა „კარმენი“ – კარმენის ხაბანერა
ჯ. პუჩინი. ოპერა „ტურანდოტი“ – კალაფის არია
ჟ. ბიზე. ოპერა „კარმენი“ – ტორეადორის კუპლეტები

**გაკვეთილი 55**
გ. დონიცეტი. ოპერა „ლუჩია დი ლამერმური“ – ლუჩიას არია
რ. ვაგნერი. ოპერა „ვალკირიები“ – „ვალკირიების ფრენის სცენა“
რ. კოჩანტე. მიუზიკლი „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ – ინტროდუქცია „კათედრალების ეპოქა“
ვ. ა. მოცარტი. ოპერა „ჯადოსნური ფლეიტა“ – ღამის დედოფლის არია
ჯ. როსინი. ოპერა „სევილიელი დალაქი“ – ფიგაროს კავატინა
ლ. ბერნსტაინი. მიუზიკლი „ვესტსაიდის ისტორია“ – მამბო
რ. როჯერსი. მიუზიკლი „მუსიკის ჰანგები“ – სიმღერა „დო, რე, მი“

**გაკვეთილი 56**
პ. ჩაიკოვსკი. ბალეტი „გედების ტბა“ – პატარა გედების ცეკვა, ოდეტა, ოდილია, ფინალური სცენა;
პ. ჩაიკოვსკი. ბალეტი „მძინარე მზეთუნახავი“ – ვალსი;
ი. სტრავინსკი. ბალეტი „ფასკუნჯი“ – ფასკუნჯის ცეკვა;
ს. პროკოფიევი. ბალეტი „კონკია“ – ფერიების ცეკვა, მეჯლისის სცენა – ვალსი.
ორი ვიდეოფრაგმენტი მძინარე მზეთუნახავის თემაზე შექმნილი ანიმაციური ფილმიდან „მძინარე მზეთუნახავი“ და მხატვრული კინოფილმიდან **Maleficent**.

**გაკვეთილი 57-58**
პ. ჩაიკოვსკი. ბალეტი „გედების ტბა“ – „პატარა გედების ცეკვა“
პ. ჩაიკოვსკი. ბალეტი „მაკნატუნა“ – ყვავილების ვალსი
ლ. მინკუსი. ბალეტი „დონ კიხოტი“ – სცენა და გოგონების ცეკვა
პ. ჩაიკოვსკი. ბალეტი „მძინარე მზეთუნახავი“ – ვალსი
ლ. მინკუსი. ბალეტი „დონ კიხოტი“ - ფრაგმენტები
ლ. აუჯერბახი. ბალეტი „პატარა სირინოზი“ - ფრაგმენტები

**გაკვეთილი 59**
ფრაგმენტები ბალეტებიდან:
პ. ჩაიკოვსკის ბალეტები: „მძინარე მზეთუნახავი“ და „მაკნატუნა“,
ვ.ა მოცარტის მუსიკაზე შექმნილი თანამედროვე ბალეტი ი. კილიანის ქორეოგრაფიით
ჯ. ბალანჩინი. „ბაროკო“.

**გაკვეთილი 60**
მ. რაველი. ფრაგმენტები ოპერა-ბალეტიდან „ბავშვი და ჯადოსნობა“ ირჟი კილიანის ქორეოგრაფიით.

**გაკვეთილი 61**
ფრაგმენტები ბალეტებიდან:
პ. ჩაიკოვსკი „მაკნატუნა“.
ლ. მინკუსი. „ბაიადერკა“, „დონ კიხოტი“

**გაკვეთილი 62**
ზ. ფალიაშვილი. ოპერა „აბესალომ და ეთერი“ - ცეკვა „ქართული“
ზ. ფალიაშვილი. ოპერა „დაისი“ - ცეკვა „ქართული“
ვ. დოლიძე. ოპერა „ქეთო და კოტე“ - ცეკვა „ქართული“
სხვადასხვა ფრაგმენტები აღნიშნული ოპერებიდან

**გაკვეთილი 63**
დ. თორაძე. ბალეტი „გორდა“ – ფრაგმენტები

**გაკვეთილი 64**
ფ. შოპენი. ნოქტიურნი №2
ჯ. გერშვინი. „რაფსოდია ბლუზის ტონებში“.
ჯ. ბალანჩინი. ბალეტი „ძვირფასი ქვები“, გამოყენებულია გ. ფორეს (ძვირფასი ქვა – ზურმუხტი), ი. სტრავინსკის (ლალი) და პ. ჩაიკოვსკის (ბრილიანტი) მუსიკა.
ჯ. ბალანჩინი. საბალეტო სპექტაკლი ი. სტრავინსკის სავიოლინო კონცერტის მუსიკაზე.

**გაკვეთილი 65**
პ. ჩაიკოვსკი. ბალეტი „მაკნატუნა";
თაგვებისა და მაკნატუნას ორთაბრძოლის სცენა
ფერია დრაჟეს ცეკვა
ტკბილეულთა ცეკვები
ფიფქების ვალსი
ყვავილების ვალსი

**გაკვეთილი 66**
ს. ცინცაძე საკვარტეტო მინიატურები: „ციცინათელა", „ლალე", „სულიკო",
„საჭიდაო", „ინდი-მინდი",
ს. ცინცაძისე. სიმებიანი კვარტეტი №4, I ნაწილი
ს. ცინცაძე. „ხორუმი"
ა. მაჭავარიანი „ხორუმი"
მ. დავითაშვილი „ხორუმი"

**გაკვეთილი 67**
პ. ჩაიკოვსკი. ბალეტი „მაკნატუნა": სტუმრებთან მისალმების სცენა; არაბული ცეკვა „ყავა"; „ყვავილების ვალსი".
მ. გლინკა. ესპანური  უვერტიურა – „არაგონული ხოტა".
მ. გლინკა. „ვალს-ფანტაზია.
მ. გლინკა. ოპერა „რუსლან და ლიუდმილა" – „ჩერნომორის მარში".

**გაკვეთილი 68**
ა. დვორჟაკი. სიმფონია №9, „ახალი სამყაროდან", I ნაწილი
ჯ. გერშვინი. ოპერა „პორგი და ბესი": სპირიჩუელსი; Sommertime; გუნდი O, I Can See Down.
ჯ. გერშვინი. „რაფსოდია ბლუზის ტონებში"
ქართული ხალხური სიმღერები: „ჩაკრულო" (კახური), „ხასანბეგურა" (გურული)

**გაკვეთილი 69**
ნ. სულხანიშვილი. „დაიგვიანეს" (არია ოპერიდან „პატარა კახი");
ზ. ფალიაშვილი. ოპერა „აბესალომ და ეთერი" – აბესალომის არიოზო (მე ბანი-ბანად გეძებდი);
აბესალომის და მურმანის დუეტი (მურმანო, მითხარ, მითხარ, შენსა მზესა).
ეთერის არია (დედინაცვალი); ანსამბლი (წამწამსა და წამწამს შუა); გუნდი საქორწილო სცენიდან.
იმერული შრომის სიმღერა „ნადური"
კახური შრომის სიმღერა „კალოსპირული"

**გაკვეთილი 70**
ქართული ხალხური სიმღერები
ფშაური ნანა; მეგრული ნანა; „ჭიჭეტურა" (მეგრული სახუმარო); სვანური ფერხული „შინა ვორგილ",
რაჭული საცეკვაო სიმღერა „ტაში ბიჭო გიორგუნა".
თუშური სიმღერა „მთიდან სიმღერით მოვდივართ", იმერული მგზავრული „ჰადილოის",
„მრავალჟამიერი"

**გაკვეთილი 71**
რ. ლაღიძე. სიმღერა „ჰერიო, ჰერიო".

ა

**ადაჯიო** (იტალ. adagio) – მუსიკალური ნაწარმოების ნელი ტემპი.

**აკაპელა** (იტალ. acappella) – სიმღერა თანხლების გარეშე.

**აკომპანემენტი** – ვოკალური ან ინსტრუმენტული მელოდიის მუსიკალური თანხლება.

**აკორდი** – ორზე მეტი ბგერის თანაჟღერადობა.

**ალეგრეტო** (იტალ. allegretto) – მუსიკალური ნაწარმოების ცოცხალი ტემპი, მაგრამ შედარებით ნელი, ვიდრე ალეგრო.

**ალეგრო** (იტალ. allegro) – მუსიკალური ნაწარმოების ჩქარი ტემპი.

**ალტერაცია** – ლათინური სიტყვაა და შეცვლას ნიშნავს.

**ალტი** – ქალის ან ბავშვის სასიმღერო დაბალი ხმა.

**ანდანტე** (იტალ. andante) – მუსიკალური ნაწარმოების ზომიერი, მშვიდი ტემპი.

**აპლოდისმენტი** (ფრანგ.) – მოწონების გამოხატვა ტაშის დაკვრით. ძირითადად, გამოიყენება სხვადასხვა წარმოდგენაზე (თეატრში, კონცერტზე, ცირკში). აპლოდისმენტებს, ხშირ შემთხვევაში, თან ახლავს შეძახილები (ოვაციები) „ბრავო“, „ბრავისიმო“, რაც იტალიურად ნიშნავს „შესანიშნავია“.

**აპოთეოზი** – რაიმე მოვლენის, ამბის ან პიროვნების განდიდება; სპექტაკლის ან კონცერტის ბოლო მასობრივი სცენა, რომელშიც განდიდებულია, შექებულია ხალხი, გმირი, რაიმე საზოგადოებრივი მოვლენა.

**აფიშა** – მიზნად ისახავს, შეატყობინოს მაყურებელს, თუ სად, როდის, რა სანახაობა გაიმართება. არსებობს აფიშა-პროგრამები და ე.წ. მოკლე ფურცლები.

**აჩელერანდო** – (იტალ. accelerando) – მუსიკაში ტემპის აჩქარება.

ბ

**ბაგატელი** – (ფრანგ. bagatelle - უმნიშვნელო, წვრილმანი) 1.პატარა, დახვეწილი ნივთი; 2.მცირე ზომის, მსუბუქი მუსიკალური პიესაა ფორტეპიანოსათვის.

**ბალეტი** – მუსიკალურ-თეატრალური წარმოდგენა, რომელშიც მოქმედი გმირები ცეკვავენ ორკესტრის თანხლებით და ასე გადმოსცემენ ნაწარმოების შინაარსს.

**ბანი** – მამაკაცის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა.

**ბარიტონი** – მამაკაცის საშუალო სასიმღერო ხმა.

**ბეკარი** – ნიშანი, რომელიც აბათილებს დიეზს და ბემოლს.

**ბემოლი** – ნიშანი, რომელიც ადაბლებს ბგერას ნახევარი ტონით ქვემოთ.

**ბის!** – მაყურებელთა მოწონების შეძახილი კონცერტზე, გამოხატავს გარკვეული ნომრის გამეორების თხოვნას.

**გ**

**გამა-** ერთი ან რამოდენიმე ოქტავის ფარგლებში ბგერათა აღმავალი ან დაღმავალი თანმიმდევრობაა.

**გასტროლი** (გერმ. „სტუმრის როლში ყოფნა“) – სხვა ქალაქიდან ან ქვეყნიდან ჩამოსული მსახიობის ან მსახიობთა კოლექტივის (თეატრალური დასის, მუსიკალური ანსამბლის, ორკესტრის და ა.შ.) გამოსვლა.

**გლისანდო** – (იტალ. glissando - სრიალი) ადამიანის ხმით და მუსიკალური საკრავით ბგერის შესრულების ხერხი, რომელიც იძლევა ფერადოვან ტალღისებურ გადასვლას ბგერიდან ბგერაზე.

**გუნდი** – ვოკალისტთა დიდი ჯგუფი (არანაკლებ 12 შემსრულებლისა.

**დ**

**დეკორაცია** – (ლათ. decoratio - ვრთავ) სცენის გაფორმება ფერწერის, გრაფიკის და სხვა საშუალებებით.

**დიეზი** – ნიშანი, რომელიც ბგერას ამაღლებს ნახევარი ტონით ზემოთ.

**დიმინუენდო** (იტალ. diminuendo) – მუსიკალური ხმოვანების თანდათან შესუსტება.

**დირიჟორი** – ორკესტრის ან გუნდის ხელმძღვანელი.

**დისკანტი** – ბავშვის მაღალი სასიმღერო ხმა.

**დუეტი** – მუსიკალური ნაწარმოების შესრულება ორი მუსიკოსის მიერ ან ამ შემადგენლობისთვის დაწერილი ნაწარმოები.

**ე**

**ეტიუდი** – პიესა, რომლის შესწავლა და შესრულება მიზნად ისახავს შემსრულებლის დაოსტატებას.

**ვ**

**ვალსი** – ძველებური გერმანულ-ავსტრიული წყვილთა ცეკვა, რომელიც თანამედროვეობაშიც პოპულარულია. ცეკვის მუსიკალური ზომაა 3/4, იშვიათად, 3/8 ან 6/8.

**ვარიაცია** (ლათ. variatio - სახეცვლა) მუსიკაში მელოდიის ან მისი თანხლების სახეშეცვლილი გამეორება.

**ვირტუოზი** – ადამიანი, რომელიც სრულყოფილად ფლობს შესრულების (სიმღერის, დაკვრის და სხვ.) ტექნიკას.

**ვოკალური მუსიკა** – ადამიანის ხმით შესრულებული მუსიკა

**ვოკალურ-ინსტრუმენტული მუსიკა** – მუსიკა, რომელიც ადამიანის ხმითა და მუსიკალური საკრავებით სრულდება.

**ი**

**იმიტირება** – მიბაძვა.

**ინსტრუმენტული მუსიკა** – მუსიკალური საკრავებით შესრულებული მუსიკა.

**ინტერვალი** (ლათ. Intervallum - მანძილი, შუალედი) მუსიკაში ინტერვალი არის მანძილი ორ ბგერას შორის. ინტერვალს ახასიათებს ტონობრივი და საფეხურებრივი შემადგენლობა. ტონობრივი გან-

საზღვრავს ინტერვალში შემავალი ტონების რაოდენობას, ხოლო საფეხურებრივი შემავალი საფეხურების რაოდენობას. ინტერვალის გამორკვევისას ვსვამთ ორ კითხვას, რამდენი საფეხურია ფუძესა დამწვერვალს შორის და რამდენი ტონია მათ შორის.

**ინტონაცია** – მუსიკალური აზრის უმცირესი ნაწილაკი, რომელიც რამდენიმე ბგერისაგან შედგება და ნაწარმოების შინაარსს განსაზღვრავს.

**იოდლი** – შვეიცარულ სიმღერებში „იო-აიი-უუ“ ხმოვნებზე სწრაფად მოძრავი მაღალი ხმა.

კ

**კანონი** (ბერძნ. kanon - წესი) - პოლიფონიური მრავალხმიანი მუსიკის სახეობაა, სადაც ერთი და იგივე მელოდია სხვადასხვა ხმაში რამდენიმე ტაქტის დაგვიანებით იწყება. კანონი შეიძლება იყოს ორხმიანი, სამხმიანი და მეტხმიანი.

**კანტატა** (იტალ. cantare - სიმღერა) – რამდენიმე ნომრისგან შემდგარი ნაწარმოები სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისათვის, უფრო მცირე ზომის, ვიდრე ორატორია. შინაარსის მიხედვით, მკაფიოდ განასხვავებენ სასულიერო და საერო კანტატებს.

**კარნავალი** – სახალხო დღესასწაული ნიღბებით.

**კილო** – მუსიკალურ ბგერებს შორის გარკვეული დამოკიდებულება, ურთიერთკავშირი. ყველა მელოდია აგებულია გარკვეული კილოს საფუძველზე.

**კვარტეტი** – მუსიკალური ნაწარმოების შესრულება ოთხი მუსიკოსის მიერ ან ამ შემადგენლობისთვის დაწერილი ნაწარმოები.

**კლავიატურა** – თეთრი და შავი კლავიშების ერთობლიობა კლავიშიან საკრავებზე (ფორტეპიანო, როიალი, კლავესინი და ა. შ.)

**კოლაჟი** – საკუთარი ან სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებების ფრაგმენტისაგან აწყობილი ერთგვარი კომპოზიცია. კოლაჟის აწყობა შესაძლებელია სხვადასხვა ხმითაც.

**კომპოზიტორი** – ადამიანი, რომელიც მუსიკას ქმნის.

**კონკურსი** – სხვადასხვა დარგში გამართული შეჯიბრება, რომლის მიზანია მონაწილეთა შორის საუკეთესოს გამოვლენა.

**კონტრალტო** (ან ალტი) – ქალის დაბალი სასიმღერო ხმა.

**კონტრაპუნქტი** (ნიშნავს ნოტი ნოტის წინ, წერტილი წერტილის წინ) – რამდენიმე დამოუკიდებელი მუსიკალური აზრის შერწყმა, პოლიფონიური მუსიკის შექმნის ერთ-ერთი ხერხი.

**კონტრდანსი** – ინგლისური ხალხური ცეკვა. ამ ცეკვიდან წარმოიშვა სხვა ინგლისური და, ნაწილობრივ, ფრანგული ცეკვებიც.

**კონცერტი** (იტალ.concerto - შეთანხმება; ლათ. concertare - შეჯიბრი) – 1. მუსიკის სახალხო შესრულება. 2. დიდი ფორმის მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც სრულდება ერთ ან რამდენიმე სოლო ინსტრუმენტზე, ორკესტრის თანხლებით.

**კრეშჩენდო** (იტალ. crescendo) – მუსიკალური ხმოვანების თანდათან გაძლიერება.

**კრიმანჭული** – გამანჭულ კრინს ნიშნავს; გურულ სიმღერაში მამაკაცის ყველაზე მაღალი ხმაა, ახასიათებს ბგერიდან ბგერაზე სწრაფი მოქნილი მოძრაობა.

**კულმინაცია** (ლათ. culmen [culminis] - მწვერვალი) მუსიკაში ნაწარმოების ემოციურად ყველაზე მნიშვნელოვანი, უმაღლესი დაძაბულობის მომენტი, სადაც იდეის გადმოცემის სიმძაფრე მწვერვალს აღწევს.

## ლ

**ლაიტმოტივი** (გერმ. leitmotiv - წამყვანი მოტივი) – მუსიკალური მოტივი, ძირითადი თემა, რომელიც დაკავშირებულია ნაწარმოების კონკრეტულ პერსონაჟთან, გრძნობასა ან საგანთან და თან ახლავს მის გამოჩენას, დროდადრო მეორდება. გვხვდება ოპერებში, ბალეტებში და პროგრამულ მუსიკაში.

**ლეგატო** (იტალ. legato) – ბგერების გადაბმულად სიმღერა ან დაკვრა.

**ლეზგინკა** – კავკასიელი ხალხების – ქისტების, ჩეჩნების, ინგუშების ხალხური ცეკვა.

**ლეიბლი** (ინგლ. Label – ქაღალდის ეტიკეტი) – ხმისჩამწერი ლეიბლი (Record label), ან უბრალოდ, ლეიბლი – ამა თუ იმ კომპანიის მიერ შექმნილი ბრენდი ან სავაჭრო ნიშანი, რომელიც აუდიო და ვიდეოჩანაწერების წარმოებით, გავრცელებითა და პოპულარიზაციით არის დაკავებული.

**ლენდლერი** – ავსტრიულ-გერმანული ხალხური ცეკვა.

**ლოტბარი** – მომღერალთა ანსამბლის ან გუნდის ხელმძღვანელი.

## მ

**მაზურკა** – პოლონური ცეკვა. ცეკვის მუსიკალური ზომაა 3/4

**მაჟორი** (ფრანგ. majeur - დიდი) – მუსიკალური კილო, რომლისთვისას დამახასიათებელია მხნე, მხიარული ელფერი.

**მარში** (ფრანგ. marche სიარული, წინსვლა) – მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც დაწერილია რაიმე მსვლელობის გასაფორმებლად. არსებობს სადღესასწაულო, სამხედრო, სპორტული და სამგლოვიარო მარშები.

**მელოდია** (ბერძნ. melodia - მღერა, ჰანგი) – ბგერების თანმიმდევრობა, რომელიც გარკვეულ დასრულებულ მუსიკალურ აზრს გამოხატავს.

**მენუეტი** – ძველებური ფრანგული ცეკვა.

**მეტრი** (ბერძნ. metron - ზომა) – რიტმულ სურათში ძლიერი და სუსტი დროების მონაცვლეობა.

**მეცო სოპრანო** – ქალის საშუალო სასიმღერო ხმა.

**მიმიკა** – ბერძნული სიტყვაა და მიბაძვას ნიშნავს. სახის ნაკვთების გამოკვეთილი მოძრაობაა, რომელიც საშუალებას იძლევა, გამოვხატოთ სხვადასხვა განცდა – სიხარული, სევდა და ა.შ.

**მინორი** (ფრანგ. mineur - პატარა) – მუსიკალური კილო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნაღვლიანი, სევდიანი ელფერი.

**მოდერატო** (იტალ. moderato) – მუსიკალური ნაწარმოების ზომიერი, თავშეკავებული ტემპი, ანდანტესა და ალეგროს შორის.

**მუსიკალური თემა** – მოკლე ნაგებობა, რომელიც მუსიკალურ სახეს გამოხატავს.

## ნ

**ნაწარმოები** – ნებისმიერი მუსიკალური თხზულება.

**ნოტები** – ბგერის სიმაღლისა და ხანგრძლივობის აღმნიშვნელი ნიშნები.

**ნევმები** – მუსიკალური ბგერების აღმნიშვნელი, ნოტების წინამორბედი ნიშნები. აჩვენებდა მელოდიის მიმართულებას, არ იყო განსაზღვრული არც ბგერის სიმაღლე, არც მისი გაჟღერების ზუსტი დრო.

## ო

**ოპერა** – მუსიკალური სპექტაკლი, სადაც მომღერლები, ორკესტრის თანხლებით, შინაარსს სიმღერით გადმოსცემენ. ოპერაში, შესაძლებელია, საცეკვაო ნომრებიც იყოს ჩართული.

**ორატორია** (ლათ. oratorium – სამლოცველო) – ძირითადად, რელიგიურ სიუჟეტებზე შექმნილი მრავალნაწილიანი მუსიკალური ნაწარმოები სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისათვის.

**ორკესტრი** – მუსიკოსთა დიდი ჯგუფი, რომელიც სხვადასხვა საკრავზე შეთანხმებულად უკრავს.

**ოსტინატო** (იტალ. ostinato – დაჟინებით, ჯიუტად) – რამდენიმე ბგერის ან რიტმული ფიგურაციის გამეორება.

## პ

**პანტომიმა** (ბერძნ. pantomimos – რაიმეს მიბაძვით განსახიერება) – უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა, რომლის მოქმედი პირები აზრებსა და გრძნობებს ჟესტებით, მიმიკით გადმოსცემენ.

**პარტია** – ცალკეული ინსტრუმენტის ან ხმისათვის დაწერილი მუსიკა.

**პაუზა** – მუსიკალური ჟღერადობის შეჩერება გარკვეული ხნით, ასეთი შეჩერების აღნიშვნა.

**პენტატონიკა** – ხუთი ბგერისაგან შემდგარი ჩინური კილო.

**პიანო** (იტალ. piano) – ჩუმად სიმღერა ან დაკვრა.

**პიესა** – მცირე ფორმის მუსიკალური ნაწარმოები.

**პიქტოგრამა** (ლათ. pictus – დახატული, ბერძნ. grapho – ვწერ) – პირობითი ნიშანი, ნახატი.

**პიციკატო** (იტალ. pizzicato) – სიმებიან-ხემიანი საკრავების სიმებზე თითის გამოკვრით დაკვრა.

**პოლკა** – ჩეხური ნაციონალური ცეკვა, რომელიც წყვილებში სრულდება. ცეკვის მუსიკალური ზომაა 2/4

**პოლონეზი** – პოლონური წარმოშობის საზეიმო ცეკვა-სვლა, სრულდება ზომიერ ტემპში. პოლონეზით, ამაღლებული და სადღესასწაულო განწყობის შექმნისათვის, როგორც წესი, იწყებოდა მეჯლისები.

**პოპური** (ფრანგ. pot-pourri – სხვადასხვა საჭმლის შერევა) – მუსიკაში პოპულარული მუსიკალური თემების თანმიმდევრული შეწყობილი შესრულება.

**პოლიფონია** – მრავალხმიანი მუსიკის ნაირსახეობაა, რომელიც აგებულია დამოუკიდებელი, თანაბარმნიშვნელოვანი ხმების ერთდროულ ჟღერადობაზე.

**პორტამენტო** (იტალ. portamento – გადატანა) – ეს არის შესრულების ხერხი, რომლის დროსაც ნოტი მაშინვე ზუსტად კი არ აიღება, არამედ თანდათანობით, მოქნილად გადადის შემდეგი ნოტის სიმაღლეზე.

**პროგრამული მუსიკა** – ინსტრუმენტული მუსიკა, სადაც კომპოზიტორი ნაწარმოების შინაარსს წინაწარ განსაზღვრავს, – ზოგჯერ სათაურით, ზოგჯერ კი ლიტერატურული წინასიტყვაობით.

**პუბლიკა** – ხალხი, რომელიც კონცერტს ან რაიმე წარმოდგენას ესწრება.

**პუნქტირი** წერტილს ნიშნავს და გრძლიობას თავისივე დროის ნახევარს უმატებს.

**ჟ**

**ჟანრი** – მუსიკალური ნაწარმოების ნაირსახეობა.

**ჟესტიკულაცია** – არავერბალური (უსიტყვო) კომუნიკაციის ფორმაა, გამოხატული ხელების მოძრაობით, რომელიც ვერბალური (სიტყვიერი) კომუნიკაციის მაგივრად ან მის პარალელურად ხორციელდება. ჟესტიკულაციის ენა იძლევა სხვადასხვა გრძნობებისა თუ აზრების გამოხატვის საშუალებას.

**რ**

**რაგა** – კლასიკური ინდური მუსიკალური ფორმა.

**რეგისტრი** (ლათ. registrum – სია) – მუსიკალური საკრავის ან მომღერლის ხმის ბგერითი დიაპაზონის მონაკვეთი. მუსიკალურ ბგერებს ვაჯგუფებთ დაბალ, საშუალო და მაღალ რეგისტრებად.

**რიტენუტო** (იტალ. ritenuto) – მუსიკის ტემპის შენელება.

**რიტმი** – მუსიკაში გრძელი და მოკლე ბგერების, ანუ სხვადასხვა გრძლიობების მონაცვლეობა.

**ს**

**სამხმოვანება** – ტერციებად დალაგებული, სამი სხვადასხვა ბგერის ერთდროული ჟღერადობა.

**სერენადა** – სატრფოსადმი მიძღვნილი სიმღერაა, რომელსაც გამთენიისას, შეყვარებული მამაკაცი თავის რჩეულს ფანჯარასთან უმღერის. ტრადიციულად, სერენადებს, ესპანეთსა და იტალიაში, გიტარის თანხლებით ასრულებდნენ.

**სიმფონია** (ბერძნ. symphonia – შეთანხმება, შეწყობა, კეთილხმოვანება) – დიდი ფორმის მუსიკალური ნაწარმოები, რომელსაც ორკესტრი ასრულებს. სიმფონია რამოდენიმე ნაწილისაგან შედგება.

**სიმღერა** – მცირე ზომის მუსიკალური ნაწარმოები, რომელსაც მღერიან.

**სინკოპა** – რიტმული დაჯგუფება, სადაც მახვილი (აქცენტი) ძლიერი დროიდან სუსტ დროზეა გადატანილი.

**სიუიტა** (ფრანგ. suite – თანმიმდევრობა) – დიდი ფორმის ნაწარმოები, რომელიც საერთო შინაარსით გაერთიანებულ რამდენიმე კონტრასტულ ნაწილს ან პიესას მოიცავს.

**სიუჟეტური მუსიკა** – მუსიკა, რომელიც პიესის შინაარსიდან გამომდინარეობს, ასევე ასახავს პიესის ავტორის მიერ რემარკებში არსებულ მითითებებს. ასე მაგ., გოგონა მიუჯდა ფორტეპიანოს და დაკვრა დაიწყო, მეგობრები მღერიან გიტარის თანხლებით. ამ დროს, ფანჯრიდან საქორწინო მარშის ხმები გაისმა და ა. შ.

**სკეტჩი** – სახუმარო შინაარსის სასცენო დადგმაა.

**სოლისტი** (იტალ. solo ერთი, ერთადერთი) – შემსრულებელი, რომელიც ნაწარმოებს დამოუკიდებლად ასრულებს ან ნაწარმოებში სოლო პარტიის შემსრულებელი; მომღერალი ან ინსტრუმენტალისტი.

**სონატა** – ინსტრუმენტული ნაწარმოები, რომელიც იწერება ფორტეპიანოს ან რომელიმე სხვა საკ-

რავისა და ფორტეპიანოსათვის; შედგება ერთი ან რამოდენიმე ნაწილისაგან.

**სოპრანო** – ქალის მაღალი სასიმღერო ხმა.

**სტაკატო** (იტალ. staccato) – წყვეტილად სიმღერა ან დაკვრა.

**სტილი** – სხვადასხვა ხალხის, ეპოქის ან ცალკეული კომპოზიტორისათვის დამახასიათებელი მხატვრული სახეები და გამომსახველობითი ხერხები.

## ტ

**ტაქტი** – მუსიკალური ნაწარმოების მცირე მონაკვეთი ერთი ძლიერი დროდან მეორემდე, გამოიყოფა სანოტო სისტემის გადამკვეთი ვერტიკალური ხაზებით (ტაქტის ხაზი).

**ტემბრი** – ადამიანის ხმის ან ინსტრუმენტის ჟღერადობის შეფერილობა.

**ტემპი** – მუსიკალური ნაწარმოების შესრულების სიჩქარე.

**ტენორი** – მამაკაცის მაღალი სასიმღერო ხმა.

**ტონალობა** – ტონალობა კილოს ბგერების ზუსტი სიმაღლებრივი განლაგება და მდებარეობაა.

**ტონიკა** – მოცემული კილოს ყველაზე მყარი, ძლიერი საფეხურია, რიგით პირველი. ტონიკისკენ მიიზიდებიან კილოს დანარჩენი საფეხურები. ტონიკას აღვნიშნავთ ასო T-თი ან ციფრი I.

**ტრეკი** – ინგლისური სიტყვაა და ხმოვან გზას ნიშნავს. მუსიკაში – მუსიკალურ გზას. კომპიუტერულ პროგრამაში, „ტრეკებზე" განლაგებულ ადამიანის ან საკრავის ხმას.

**ტრიო** – მუსიკალური ნაწარმოების შესრულება სამი მუსიკოსის მიერ ან ამ შემადგენლობისთვის დაწერილი ნაწარმოები.

**ტრიუმფი** – 1. საზეიმო შეხვედრა, რომელსაც ძველ რომში გამარჯვებით დაბრუნებულ სარდალსა და მის ჯარს უწყობდნენ. 2. დიდი წარმატებით, გამარჯვებით გამოწვეული ზეიმი.

**ტუში** – რამოდენიმე ბგერისაგან შემდგარი მოკლე მუსიკალური სადღესასწაულო მისალმება.

## უ

**უვერტიურა** – ოპერის ან ბალეტის შესავალი, რომელშიც კომპოზიტორი მოკლედ მოუთხრობს მსმენელს ნაწარმოების შინაარსისა და გმირების შესახებ. უვერტიურას ორკესტრი ასრულებს. XIX საუკუნიდან გაჩნდა ე.წ. საკონცერტო უვერტიურები – დამოუკიდებელი საორკესტრო პიესები, რომელთაც ხშირად პროგრამული ხასიათი აქვთ.

**უნისონი** – (იტალ. unisono – ერთი ბგერა) ერთი და იმავე სიმაღლეზე ორი ან რამოდენიმე ტონის ერთდროული ჟღერა.

## ფ

**ფაბულა** (fabula – არაკი, ზღაპარი) – მხატვრულ ნაწარმოებში ფაბულა იგივეა, რაც ამბავი, სიუჟეტი.

**ფაქტურა** (ლათ. factura – დამზადება, დამუშავება, აგებულება) – მელოდიისა და თანხლების ერთობლიობა, ასევე, მრავალხმიან ნაწარმოებში ხმების ერთობლიობა. მუსიკალური მასალის გადმოცემის ხერხები, რომლებსაც კომპოზიტორები სხვადასხვაგვარად ამუშავებენ. ესენია: მელოდია, აკორდიკა, ფიგურაციები, ხმათასვლის ხერხები და ა.შ. ფაქტურის დასახასიათებლად ხშირად იყენებენ ასეთ განსაზღვრებებს: შემჭიდროვებული ფაქტურა, აკორდული ფაქტურა, გამჭვირვალე და ა.შ.

**ფესტივალი** – ხელოვნების რომელიმე დარგის (მუსიკის, კინოს, თეატრის) მიღწევათა ჩვენება. ეწყობა პერიოდულად.

**ფინალი** (იტალ. finale – დასასრული) – ოპერის, ბალეტის, ასევე სონატის და სიმფონიის დასკვნითი ნაწილი.

**ფოლკლორი** (ინგლ. folklore ხალხური სიბრძნე) – ხალხური შემოქმედება, რომელიც მოიცავს მუსიკას, ცეკვას და ა. შ.

**ფორტე** (იტალ. forte) – ხმამაღლა სიმღერა ან დაკვრა.

**ფრაზა** – რამდენიმე მოტივისგან შემდგარი მუსიკალური ნაგებობა.

## ქ

**ქორალი** – საეკლესიო გალობა, სასულიერო მუსიკის სახეობა. ძირითადად, ნელ ტემპში, თანაბარი გრძლიობებით აგებული ნაწარმოები. არსებობს საორგანო და საფორტეპიანო ქორალები. (მაგ., იოჰან სებასტიან ბახის საორგანო ქორალები, რობერტ შუმანის საფორტეპიანო პიესა „ქორალი").

**ქრონომეტრაჟი** – რაიმე პროცესების და მოქმედებების ხანგრძლივობის ზუსტად გაზომვა.

## ც

**ცეკვა** – მუსიკალური ჟანრი, რომელშიც სხეულის მოძრაობა მუსიკის თანხლებით გარკვეულ შინაარსს გადმოსცემს.

**ციკლი** (ბერძნ. kyklos – წრე) – მრავალნაწილიანი მუსიკალური ნაწარმოები, სადაც ნაწილები გარკვეული თანმიმდევრობით, კონტრასტის პრინციპით არის წარმოდგენილი.

## ჯ

**ჯაზი** – პროფესიული მუსიკის სახეობა, რომელიც ზანგური ფოლკლორის საფუძველზე აღმოცენდა ამერიკაში.

## ჰ

**ჰანგი** – სიმღერა, მელოდია.

**ჰომოფონია** – მრავალხმიანი მუსიკა, სადაც წამყვანია მელოდია, რომელსაც დანარჩენი ხმები თანხლებას უწევენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გარაყანიძე ე., ქართული მუსიკალური დიალექტები და მათი ურთიერთმიმართება. ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი. განათლების, კულტურის და სულიერების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობი“. თბ., 2011
2. ერქომაიშვილი ა., გზები, ადამიანები, სიმღერები. თბ., 2011
3. ქართული გალობა. ანთოლოგია. თბ., 2016
4. გოგებაშვილი ი., დედა ენა. გამომცემლობა „დედაენა“, თბ., 2016
5. მარუაშვილი ლ., მუსიკის რეპეტიტორი, სტუდენტის სახელმძღვანელო, თბ. 2016
6. Музыкальный энциклопедический словарь. Москва „Советская энциклопедия“.1990
7. Энциклопедический словарь юного музыканта. Москва „Педагогика”. 1985
8. Васина-Гроссман В., Книга о музыке и великих музыкантах. Изд. “Детская литература”. 1986
9. Nitsche Paul, Die Pfleger der Kinder-und Jugendstimme. Stimmbildung am Lied. BSchott’s Sohne. Mainz, 1970
10. Metzler. Komponisten Lexikon. Herausgegeben von Horst Weber. Verlag J. BMetzler Stuttgart. Weimar, 1992
11. სანოტო კრებული „ნანინა“, 2014 წელი, ავტ. ჯგუფი: ნ. ქუმსიშვილი, რ. ჯულაყიძე, ა. უშვერიძე.

ამ სახელმძღვანელოს გაყიდვის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში,
გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ცხელ ხაზზე (+995 32) 2 200 200

დამატებითი ინფორმაცია სახელმძღვანელოს/სერიის შესახებ
იხილეთ ვებ-გვერდებზე:

klio.ge
tskarostvali.ge

ISBN 978-9941-481-29-1










დაფინანსებულია „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით
უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში